ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტის

გულნაზი გალდავას

სადოქტორო ნაშრომი

უმაღლესი განათლება, როგორც საჯარო-სამართლებრივი ფუნქცია და მისი განხორციელების საჯარო-სამართლებრივი ფორმიდან (სსიპ) კერძო-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლის შესაძლებლობა

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი პაატა ტურავა

თბილისი. 2010 წ.

შინაარსი

შესავალი

გვ. 22-26

1. ზოგადად;
2. ნაშრომის მიზანი;
3. ნაშრომში გამოყენებული მეთოდის შესახებ;
4. კვლევის ობიექტი;
5. კვლევის ნორმატიული ბაზა;
6. კვლევის შედეგი.

თავი I. განათლების არსი და ფუნქციები

გვ. 26-44

§1. განათლება, როგორც სოციალური ინსტიტუტი.

1.1. ზოგადად;
1.2. განათლების ინსტიტუტის ფუნქციები;
1.3. განათლების სოციალურ-კულტურული ფუნქციები;
1.4. განათლების სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციები;
1.5. განათლების სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციები.

§ 2. უმაღლესი განათლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უნივერსიტეტი)

2.1. ზოგადად;
2.2. უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირება;
2.3. ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე;
2.4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარდაქმნის პირობები;
2.5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ოპერირება ბაზრებზე:

ა) სამომხმარებლო ბაზარი;

ბ) პრესტიჟის ბაზარი;

გ) აკადემიური შრომის ბაზარი.

თავი II. პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

გვ. 44-47

§1. პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება

1.1. ზოგადად;
1.2. უძველესი უმაღლესი სასწავლებლების ორგანიზაციული მოდელები.

თავი III. საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემები გვ. 48-72

§ 1. უმაღლესი განათლების სისტემების დახასიათება ცალკეული ქვეყნების მიხედვით

1.1.ზოგადად;
1.2. საფრანგეთის უმაღლესი განათლების სისტემა;
1.3. დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემა;
1.4. გერმანიის უმაღლესი განათლების სისტემა;
1.5. აშშ-ს უმაღლესი განათლების სისტემა;
1.6. ირლანდიის უმაღლესი განათლების სისტემა;
1.7. ნიდერლანდის უმაღლესი განათლების სისტემა;
1.8. ჩინეთის უმაღლესი განათლების სისტემა;
1.9. ავსტრალიის უმაღლესი განათლების სისტემა;
1.10. რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი განათლების სისტემა;
1.11. რუმინეთის უმაღლესი განათლების სისტემა;
1.12. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემები.

§2 სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემების შედარებითი ანალიზი.

თავი IV. უმაღლესი განათლება, როგორც საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება და მისი განხორციელების ნორმატიული საფუძვლები

გვ. 72-83

§1. საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების პრივატიზაცია.

§ 2. უმაღლესი განათლება, როგორც საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება და მისი განხორციელების სამართლებრივი ფორმები

2.1. უმაღლესი განათლების საჯარო ფუნქცია;
2.2. საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივი ფორმები.

§3. უსდ-ს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.

თავი V. უმაღლესი განათლების, როგორც საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელების სახელმწიფო მექანიზმები.

გვ. 84-90

§ 1. უმაღლესი განათლების სისტემის მართვა - სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებები უმაღლესი განათლების სფეროში;

§ 2. ერთიანი ეროვნული გამოცდები;

§ 3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია და აკრედიტაცია;

 თავი VI. უმაღლესი განათლების, როგორც საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელების სტანდარტები.

გვ. 90-103

§ 1. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურები;

§ 2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურა
- 2.1. ზოგადად;
- 2.2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა;
- 2.3. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- 2.3.1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტები.

თავი VII. უმაღლესი განათლების, როგორც საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელების გზები.

გვ. 103-107

§ 1.უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება - ზოგადად;

- 1.1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

  უნივერსიტეტის ბიუჯეტი;

- 1.2. სწავლის საფასური, სასწავლო გრანტი.

თავი VIII. უმაღლესი განათლების, როგორც საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელების ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა.

გვ. 107-124

§ 1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი
- 1.1. უსდ-ს პერსონალის კლასიფიცირება;
- 1.2. რეფორმები უსდ-ს პერსონალის მართვის სფეროში;
- 1.3. უსდ-ს პერსონალის კვალიფიკაცია და პერსპექტივები;
- 1.4. საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის იურიდიულ პირ უსდ-ების პერსონალი;
- 1.5. უსდ-ს აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები;
- 1.6. უსდ-ს პერსონალის შეთავსებადობის პრაქტიკა;
- 1.7. პერსონალის ოპტიმიზაცია (თსუ-ში პერსონალის შესარჩევად ჩატარებული კონკურსები);
- 1.8. პარალელები დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს უსდ-ების პერსონალთან დაკავშირებით;
- 1.9. 65 წელი – უსდ-ში მოღვაწეობის ზღვარი?!

თავი IX. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის ფორმები.
გვ. 125-157

§ 1. საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნება უსდ-ს სტატუსის მოპოვების მიზნით
1.1. ზოგადად.

§2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კერძო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნის შესაძლებლობა
2.1. ქონებასთან დაკავშირებული პრობლემები, უსდ-ს გარდაქმნის პროცესში;
2.1.1. ზოგადად;
2.1.2. თსუ-ს ქონების რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები.

§3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბების ფორმები.

§ 4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამედროვე ადაპტიური სტრუქტურები
4.1. ადაპტიური სტრუქტურების ფორმირების წინაპირობები;
4.2. უსდ-ს თანამედროვე ადაპტიური სტრუქტურების ტიპები;
4.2.1. მატრიცული უნივერსიტეტი;

4.2.2. TQM (Total Quality Menegement) – ხარისხის ტოტალური მენეჯმენტის პროცესზე ორიენტირებული ორგანიზაციების სტრუქტურა;

4.2.3. საყოველთაოდ მიღებული თანამედროვე უნივერსიტეტი;

4.2.4. უნივერსიტეტი - ტექნოპოლისი (მულტიპოლარული უნივერსიტეტი);

4.2.5. საინოვაციო, სამეწარმეო უნივერსიტეტი;

4.2.6. ინდივიდუალური უნივერსიტეტი.

§ 5. თავის დასკვნა
5.1. ზოგადად;
5.2. უსდ-ს ლოჯისტიკის სქემა;
5.3. უსდ-ს ფუნქციური სისტემები;
5.4. უსდ-ს შეჯერებული მოდელები, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების მიხედვით.

თავი X. უმაღლესი განათლების სისტემის თეორიული საფუძვლები
გვ. 157-160

§ 1. უსდ-ს ორგანიზაციულ სტრუქტურათა თეორიები.

თავი XI. უმაღლესი განათლების საყოველთაობის საკითხი
გვ. 160-164

§ 1. განათლების მიღება, როგოც მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლება.

§2. უმაღლესი განათლების საყოველთაობა.

დასკვნა
გვ. 165-172

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსპექტიული მოდელი;

2. კვლევის შედეგად შემოთავაზებული უსდ-ს მოდელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ავტორთა ჯგუფი, ზოგადი,
ზურაბ ადეიშვილი, ქეთევან ვარდიაშვილი, ლევან იზორია, ნინო კალანდაძე, მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, პაატა ტურავა, დიმიტრი ქიტოშვილი, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო", გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი 2005 წ.

ავტორთა ჯგუფი, პროცესი,
მაია ვაჩაძე, ინგა თოდრია, პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე, „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი". გამომცემლობა „დიოგენე". თბილისი. 2005 წ.

ავტორთა ჯგუფი, 2008,
მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა (რედ.) – „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო", გამომცემლობა „სიესტა", 2008 წ.

გოულდი მ.,
მონიკა გოულდი მსოფლიო სწავლების (world learning) პროექტის ფარგლებში "ამერიკის უნივერსიტეტები და კოლეჯები" Strategic Consulting Partners. 2007 წ.

ებერჰარდტი ი., 2007 წ.
იურგენ ებერჰარდტი საზღვარგარეთის სახალხო განათლების ბონის ცენტრალური ბიუროს ექსპერტი - ალექსანდრე ფონ ჰუმბოლტდის ფონდის პუბლიკაცია „პოსტსაბჭოური გარდატეხები და იმედი ევროპაში შესვლაზე". 2007 წ.

იზორია ლ., 2005
ლევან იზორია, საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის კომენტარი, წიგნში: „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი", გამომცემლობა „მერიდიანი" თბილისი 2005.

იზორია, ლ., 2009
ლევან იზორია, „თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია", გამომცემლობა „სიესტა" თბილისი 2009

კერესელიძე დ.,
დავით კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2009 წ.

მელიქიშვილი დ.,
დამანა მელიქიშვილი. გელათი - „სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი", თბილისი, 2006.

მსოფლიო სწავლების (world learning) forecast-ის პროექტი
2008 წლის ივლის-ოქტომბერი. მსოფლიო სწავლების (world learning) forecast-ის პროექტის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარების შეფასება.

ტურავა პ., წკეპლაძე ნ., 2005
პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე, „ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო", გამომცემლობა „ფორმა", თბილისი 2005.

ტურავა პ., წკეპლაძე ნ., 2010
პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე, ადმინისტრაციული ორგანოს სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სეზანი", თბილისი 2010.

ტურავა პ., ხარშილაძე ი.,
პაატა ტურავა, ირმა ხარშილაძე, „ადმინისტრაციული წარმოება", გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი 2006.

შულცე შ., შმიტ-იუსტენი ნ., ტურავა პ.,
შარლოტე შულცე, ნიკოლინე შმიტ-იუსტენი, პაატა ტურავა ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციული მოწყობის ფორმები, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი – სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის", 2008 წ.

ჭანტურია ლ.,
ლადო ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამომცემლობა „სამართალი" 2000 წ.

ჭაბაშვილი მ., (შემდგენელი),
მიხეილ ჭაბაშვილი უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შემდგენელი. მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა. გამომცემლობა „განათლება" თბ. 1989 წ.

თსუ-ს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია.
კორესპონდენცია № 276/01-13-09 (26.07.2010 წ.)

Астахова Е.В.,
Астахова Е.В.– «Высшее образование на рубеже веков: трансформация социальных функций» Электронный журнал «Полемика». Выпуск 7 -/WWW.irex.ru/press//pub/polemika/07/ast

Булгакова Е.Т.,
Булгакова Е.Т. Материалы XIII научно-технической конференции "Вузовская наука - Северо-Кавказскому региону". Том второй. Общественные науки. Ставрополь. Сев КАВГТУ, 2009 г

Гизеке Ханс К.,
Гизеке Ханс К. «Стремление новых частных вузов Центральной и Восточной Европы к легитимности» - Журнал «Высшее образование в Европе» т. XXXI N 1, 2006 г.
http://www.aha.ru/~moscow64/educational_book/

Грудзинский А.О.,
Грудзинский А.О. «Стратегическое управление университетом: от плана к инновационной миссии». Журнал "Университетское управление" 2004. №1 (29)

Головастиков К.,
Головастиков К. «Учиться, учиться и еще раз учиться». lenta.ru, 2009 г.

Дюркгейм Э.,
Дюркгейм Э. Социология образования. Под ред. В.С. Собкина и В.Я. Нечаева - М. - ИНТОР 1996

Дювернуа Н.Л.,
Дювернуа Н.Л. Конспект лекций по русскому гражданскому праву (отделение 2 общей части и особенная часть) С.-Петербург, 1897 г.

Иванюк И.А.,
Иванюк И.А. "Функции образования в экономической сфере" - http://www.smartcat.ru/Referat/Economics/revaluationS.shtml

Лачугина Ю. Н.,
Лачугина Ю. Н."Психология и педагогика" ч. 2. педагогика Ульяновск 2008 г.

Микла М.,
Мирча Микла "Институциональные подходы к предпринимательству: анализ опыта университета Бабеш-Больяй в Клуж-Напоке". Журнал "Высшее образование в Европе". Том XXXI № 2, 2006 г - http://www.aha.ru/~moscow64/educational_book/

Миндибекова Л.А.,
Миндибекова Л.А. "Социальные функции высшего образования и проблемы реализации" - Издательский дом "АТИСО" - http:/lid.atiso.ru/node/77

Майбуров И.,
Майбуров И. «Финансирование высшего образования: национальные особенности». Журнал «Высшее образование в России» 2004 г. № 10

Матузова М.И., Малько А.В.,
Матузова М.И., Малько А.В. Теория государства и права: курс лекций под ред. Матузова М.И., Малько А.В.. – 2-е из., перераб. и доп. М. Юрист 2000 г.

Прокопенко С.А.,
Прокопенко С.А. «Рыночный подход к реформированию университета». Журнал "Университетское управление: практика и анализ". 2006 г. № 5 www.umj.ru. php/pup/inside/767

Покровский И.А.,
Покровский И.А. Римское право. История Римского Права. Издание 3-е, исправленное и дополненное. 1917. // Allpravo.Ru - 2004. § 42. Болонский университет и глоссаторы. - http://www.allpravo.ru/library/doc2527p/instrum3503/item3575.htmll

Рослякова Н.И.,
Рослякова Н.И. "Реализация идеи непрерывного образования в современных культурно- исторических условиях" - Научный, информационно- аналитический журнал "Образование и общество" № 3, 2009 г. - http:/lid.atiso.ru/node/77

Реали Д. и Антисери Д.,
Реали Д. и Антисери Д. Западная философия от источников до наших дней. Т. 2 средневековье. Перевод с итальянского С. Мальцевой. Научный руководитель Э. Соколов. 1994

Сорокин П.,
Сорокин П. «Современное состояние России». Полит. Исслед. 1991 г.

Сластенин В., Исаев И. и др.,
Педагогика: Учебное пособие - http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Pedagog/slast/09.php

Савченко Н.А.,
Савченко Н.А. Российский университет дружбы народов. Социально-гуманитарное и политологическое образование. "Инновации в образовании: основания и смысл". http//www.humanities.edu.ru/db/msg/84 191

Суханов Е.А.,
Суханов Е.А. Гражданское право. Том I. (под ред. д.ю. н., проф. Е.А. Суханова) «Волтерс Клувер», 2004 г.

Суворов Н.,

Суворов Н. "Понятие об университете в средние века" Журнал "Развитие личности" №3 2005 г. http://rl-online.ru/authors/180.html

Суворов Н.,
Суворов Н. "Возникновение университетов". Журнал "Развитие личности" № 1, 2006 г. http://rl-online.ru/authors/180.html

Университет Минесоты
Университет Минесоты. Библиотека по Правам Человека. Международный пакт об экономических, социальных и культурных правах Замечание общего порядка № 13: (Двадцатая первая сессия, 1999 год). Статья 13 - Право на образование. http://www1.umn.edu/humanrts/russian/esc/Resc-page.html

Фрид Йохен, Гласс Анна, Баумгартл Бернд.,
Фрид Йохен, Гласс Анна, Баумгартл Бернд «Резуме развернутого сравнительного анализа частного высшего образования в Европе. Журнал «Высшее образование в Европе». т. XXXI, N1, 2006 г. http://www.aha.ru/~moscow64/educational_book/

Шаммазов А.М., Бахтизин Р.Н.,
«Приказано выжить, или способы адаптации государственного университета к рыночной экономике», журнал «Университетское управление: практика и анализ» 2001 г. N 3. www. umi.ru/index.php/pub/inside/249

Чепурных Е. М.,
Чепурных Е. М. "Системный анализ в теории государства и права". http://www.yurclub.ru/docs/theory/article9.html

Юань Ш.,
Юань Ш. «Частное высшее образование в Китае: эволюция, особенности и проблемы» Журнал «Университетское управление: практика и анализ». архив. 2004 г. N 3. - http://umj.ru/index.php/pub/inside/443

Ястребицкая А.Л.,
Ястребицкая А.Л. Западная Европа XI-XIII веков. – М.: Искусство, 1978 г.

Becher, T. and Kogan, M.,
Becher, T. and Kogan, M (1992). Process and Structure in Higher Education. London: Heinemann.

Becher, T. and Trowler,,
Becher, T. and Trowler P. (2001). Academic Tribes and Territories: Intellectual Engineering and the Culture of Disciplines. 2ed sdition. Buckingham:open University press.

Ghoshal S., Bartlett C.A.,
Ghoshal S., Bartlett C.A. The Individualized Corporation: A Fundamentally New approach to Menegement. Random Hous Business Book, 2000

Dill, D.D.,
Dill, D.D. "Effects of competetion on Diverse Institutional Contexts" in Petersov, M.w.1997

Duderstadt, J. A,
Duderstadt, J. A university for the 21st Century. Ann Arber:University of Michigan Press. 2000

Eckert,
Eckert, Karlheinz: Externe Prüfung staatlicher Beteiligungsunternehmen, 1979

Ipsen,
Ipsen, Joern: Die Wahl der Organisationsform kommunaler Einrichtungen, DVBl 1988.85

Clark B.R.,
Clark B.R. Creating entepreneurial universities: organization pathways of transformation. Issues in Higher Education. Raris: IAU Press: Pergamon: Elsever Science, 1998

Hagemeister,
Hagemeister, Adrian: Die Privatisierung oeffentlicher Aufgaben, 1992.

Taylor J,
Taylor Jon "Big is Beatiful". Organisational Change in Universities in the United Kingdom: New Models of Institutional Management and the Changing Role of Academic Staff. Hegher Education in Europe. Volume XXXI Number 3. 2006.

Shattock, M,
Shattock, M. Managing Successful Universities. Buckingham:open University press. 2003

Badura,
Badura, Peter: Staatsrecht, 1986

Battis/Grigoleti,
Ulrich Battis, Klaus Joachim Grigoleti, „Die Universität als privatrechtliche Hochschule", YJurnalSi: „Zeitschrift für Rechtspolitik", 2002, #2

Becker,
Stefan Becker, „Rechtsfragen zu Grundung und Betrieb privater Universitat", JurnalSi: „Das Deutsche Verwaltungsblatt", 2002, #2

Schroeder,
Juergen Schroeder, „Privat geht alles besser!? – Anmerkungen zur Novellierung des sächsischen Hochschulrechts", JurnalSi: „Sächsische Verwaltungsblätter", 2008, #6

Schuppert,

Schuppert, Gunnar Folke: Die Erfuellung oeffentlicher Aufgaben durch verselbstaendigte Verwaltungseinheiten, 1981

Ossenbühl,

Ossenbühl, Fritz: Die Erfüllung von Verwaltungsaufgaben durch Private, VVDStRL 29 (1971).

Steiner,

Steiner, Udo: Oeffentliche Verwaltung durch Private, 1975.

Woll,

Artur Woll, Deregulierung des Hochschulwesens“, JurnalSi: „Jahrbuch für die Ordnung von Wirtschaft und Gesellschaft“, #43

Wolfgang C. Müller/ Vincent **Wright** (eds.),

Wolfgang C. Müller/ Vincent **Wright** (eds.), **The State in** Western Europe: Retreat or Redefinition? ... 1994: The State in Western. Europe: Retreat orRedefinition? ... uni-bielefeld.de/soz/Forschung/**...**/Regulatory**State**_Grande-15-09-05.pdf.

Fehling,

Michael Fehling, „(Hochschul-)Wissenschaft zwischen Autonomie und zunehmenden Effizienzdruck“, JurnalSi: „Die Verwaltung“, 2002, #35

Kimminich,

Otto Kimminich, წიგნში: „Besonderes Verwaltungsrecht“ Munch-ის რედაქტორობით, 1970, გვ. 596

Lorenz,

Dieter Lorenz, „Hochschulrahmengesetz“, კომენტარი Hailbronner–ის რედაქტორობით, 2002

ინფორმაცია ინტერნეტ ვებვერდებიდან:

ბრემენის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მონაცემები გამოქვეყნებული ბრემენის საერთაშორისო უნივერსიტეტის საიტზე “Greeting from the President” – მონაცემები გამოქვეყნებული ბრემენის საერთაშორისო უნივერსიტეტის საიტზე – www.iu-bremen.de

ბრემენის საერთაშორისო უნივერსიტეტის სარეგისტრაციო სამსახური

„ანგარიში სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ“ (2004) – მომზადებულია ბსუ-ს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ – www.iu-bremen.de/about/president/print.php

გამოცდების ეროვნული ცენტრი

გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი - www.naec.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი - www.mes.gov.ge

Universitu of Oxford
Universitu of Oxford - ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებგვერდი - www.ox.ac.uk

Catholic Encyclopedia
Catholic Encyclopedia: University of Oxford - www.newadvent.org

QS TOPUNIVERSITIES
QS TOPUNIVERSITIES - გაზეთ "The Times Higher Uducation Supplement, THES" მიერ გამოქვეყნებული კომპანიის კვლევის შედეგები (უნივერსიტეტების რეიტინგი).

Большая Энциклопедия
Большая Энциклопедия - Версия ANALOGA NET GROUP - www.analoga.net/KOND-PLAS/1824.htm

Информационно-справочный портал поддержки системы управления качеством
Информационно-справочный портал поддержки системы управления качеством – www/quality.edu.ru/sk/menejment/vuzstructure/663

International Education Guide
International Education Guide – Дайджест № 49 (апрель 2004) Система образования США. – http://www.studybroad.ru/digest.php?Id=8556

Социология
ვებგვერდი "Социология" - http://socio.rin.ru/cgi-bin/article.pl?id=627&page=1

Статистическая служба Федерального министерства образования и исследований Германии
Статистическая служба Федерального министерства образования и исследований Германии (2003/2004). Майский выпуск Abi Berufswahl-Magazin 2005. – http:/www.abi-magazine.de

eduABROA.
eduABROA.Журнал о зарубежном образовании. Школы, курсы, коледжи, университеты Система образования США. Система образования США http://eduabroad.ru/us/sys

Университеты мира
Университеты мира - uni-versity.info – http://uni-versity.unfo/0xford.

Университеты мира
Университеты мира - http://uni-versity.unfo/sorbonna.

Университеты мира
Университеты мира - http://uni-versity.info/Heilderberg.

Функции образования
Функции образования - The future for new generation... - http://www.nuru.ru/socio/068.htm

Экономика, Социология, Менеджмент. Федеральный образовательный портал
Экономика, Социология, Менеджмент. Интернет-конференция. Финансирование и доступность высшего образования. с 10.09.04 по 30.10.04. Полезные материалы – Обзоры системы высшего образования стран ОЭСР. W.W.W. ecsocman.edu.ru

რადიო „კომერსანტი“ -
რადიო „კომერსანტი“ 6.07.2010 წ. წყარო - Sourse:www.ambebi.ge.ge/sazogadoeba/16482-umaglesi-sastsavleblebi-licenzireba-gaugmdeba.html#xzz0tsoiwvvy

გაზეთი „ვერსია“
გაზეთი „ვერსია“ № 82 (431) 23 ივლისი, 2010 წელი. გვ. 7 - ჟურნალისტ ნინო ხარშილაძის ინტერვიუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან დიმიტრი შაშკინთან - „რას გულისხმობს „საზოგადოებრივი ინსტიტუტი და ვის შეეძლება იქ სწავლის გაგრძელება“.

კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია
საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 25.08.1995 წ. ძალაშია 25.08.2995 წ. 2010 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 2010 წ.
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - კანონი № 786 - მიღებულია 26.06.1997 წ. ძალაშია - 25.11.1997 წ. - 23.02.2010 წ. მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 2005 წ.
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - კანონი № 786 - მიღებულია 26.06.1997 წ. ძალაშია - 25.11.1997 წ. 01.10.2005 წ. მდგომარეობით. გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა-კაუზა“, თბილისი, 2005 წ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი - კანონი № 1106 - მიღებულია 14.11.1997 წ. ძალაშია 01.05.1998 წ. 23.02.2010 წ. მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი - კანონი № 281-IIს - მიღებულია 25.06.1999წ. ძალაშია 01.01.2000 წ. 23.02.2010 წ. მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს ადმინიტრაციული საპროცესო კოდექსი
საქართველოს ადმინიტრაციული საპროცესო კოდექსი - კანონი № 2352-რს - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი მიღებულია 23.07.1999 წ. ძალაშია 01.01.2000 წ. 23.02.2010 წ. მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს სისხლშის სამართლის კოდექსი
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ. 21.07.2010 წ. ამოქმედდება 2010 წლის 15 ოქტომბრიდან. www. parliament.ge

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“
საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ - კანონი №688-რს - მიღებულია 21.12.2004 წ. ძალაშია 10.01.2005 წ. 23.02.2010 წ. მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“
საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ - კანონი №688-რს - მიღებულია 21.12.2004 წ. 16.11.2009 წ. მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“
საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ - კანონი №688-რს - მიღებულია 21.12.2004 წ. 22.09.2008 წ. მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“
საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ - კანონი №688-რს - მიღებულია 21.12.2004 წ. .2005 წ. მდგომარეობით („განათლების რეფორმა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა“, იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2005 წ.)

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“
საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ - კანონი №688-რს - მიღებულია 21.12.2004 წ. 09.09.2010 წ. მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“
კანონი 3531-რს ძალაშია 21.07.2010 წ.

საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი № 2052-IIს - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ - მიღებულია 28.02.2010 წ. 23.02.2010 წ. მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 15, 23.04.2007 წ.) საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე - 27.01.2011 მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ - № 1775-რს მიღებულია 24.06.2005 წ. ძალაშია 02.08.05 წ. 23.02.2010 წ. მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“
საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ - მიღებულია 19.02.1999 წ. ძალაშია 19.02.1999 წ. ძალაშია 02.08.05 წ. 23.02.2010 წ. მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ
საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ - კანონი № 2116-II-ს - მიღებულია 24.04.2003 წ. ძალაშია 01.01.2004 წ. 13.02.2009 წ. მდგომარეობით

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ - კანონი № 1388 Iს - 20.04.2005 წ. ძალაშია 01.01. 2006 წ. ძალაშია 02.08.05 წ. 23.02.2010 წ. მდგომარეობით (GSSCode Net)

საქართველოს შრომის კოდექსი
საქართველოს შრომის კოდექსი კანონი №3132-Iს - მიღებულია 25.05.2005 წ. ძალაშია 03.07.2006 წ. 24.02.2010 წ. მდგომარეობით

ბოლონიის დეკლარაცია
ბოლონიის დეკლარაცია. 1999 წლის 19 სექტემბერი.

უნივერსიტეტების დიდი ქარტია
უნივერსიტეტების დიდი ქარტია (MAGNA CHARTA UNIVERSITATUM) ბოლონია, 1988 წელი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, 2001
საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის № 277 ბრძანებულება.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, 1997 წ.
საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 31 დეკემბრის № 781 ბრძანებულება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 2005 წ. 18 XI № 633 „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის შესახებ“.

თსუ-ს წესდება, 2001
საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის № 277 ბრძანებულებით დამტკიცებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება.

თსუ-ს წესდება, 2008
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება. თავი I. ზოგადი დებულებანი. დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის № 490 ბრძანებით.

თსუ-ს წესდება, 2008
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება. დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 27 ნოემბრის № 1042 ბრძანებით.

თსუ-ს შინაგანწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები. დამტკიცებულია თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი № 20. 18.06.09

თსუ-ს ეთიკის კოდექსი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი. დამტკიცებულია თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი № 20. 18.06.09

თსუ-ს ნორმატიული დოკუმენტების კრებული
თსუ-ს ნორმატიული დოკუმენტების კრებული ნაწილი I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2006 წ.

საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა საქართველოში.
საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – გოეთეს ინსტიტუტი თბილისში. თსუ-ს სარედაქციო-სადუბლიკაციო კომპიუტერული სამსახური. თბილისი. 1995 წ.

თსუ-ს ნორმატიული დოკუმენტების კრებული.
თსუ-ს ნორმატიული დოკუმენტების კრებული. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2003 წ.

თსუ-ს 2003 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში
თსუ-ს 2003 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2004 წ.

უნივერსიტეტი ინსტიტუციური აკრედიტაციის მიჯნაზე
უნივერსიტეტი ინსტიტუციური აკრედიტაციის მიჯნაზე. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2005 წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება № 3/2790-07, 25 სექტემბერი, 2008 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის დადგენილება №ბს-1448-1406 (კს-08) №8 კ. ნ. ქ. თბილისი, 25 მარტი, 2009წ.

თბილისის საქალაქო სასამართლო

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება (საქმე № 3/1199-06) 30 იანვარი, 2009 წელი.

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებები:

სკ - საქართველოს კონსტიტუცია

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სკ უგშ - საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“

სკ სსიპშ - საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“

სკ მშ – საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“

უსდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სს - სააქციო საზოგადოება

სკ გხგშ - საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

სსსკ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

თსუ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბსუ – ბრემენის საერთაშორისო უნივერსიტეტი

TQM - Total Quality Menegement

სმთუ - საყოველთაოდ მიღებული თანამედროვე უნივერსიტეტი

უტ - უნივერსიტეტი-ტექნოპოლისი

შესავალი

1. ზოგადად

თანამედროვე ეპოქაში „ეკონომიური ეფიციენტურობის" პრინციპის აქტუალობის გათვალისწინებით, მეცნიერული კვლევა და სწავლება იზომება იმის და მიხედვით, თუ რა „დათვლად" შედეგებს იძლევა ის სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის. უმაღლესი სასწავლებლები უფროდაუფრო იღებენ მომსახურების სფეროს დაწესებულების სახეს, რომლებიც თავიანთი ნაწარმით, გამოშვებით („Output"), მეწარმე სუბიექტების მსგავსად, უნდა დაექვემდებარონ კონტროლს. ამ მიდგომას უპირისპირდება ძველი მოსაზრება, რომლის თანახმადაც, მეცნიერება და მისი ორგანიზაცია ფართო ავტონომიას საჭიროებს, რათა კრეატიულ და ინოვაციურ აზროვნებას მიეცეს განვითარების შესაძლებლობა.[1]

თანამედროვე საჯარო მენეჯმენტის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს პროდუქტზე, ანუ ადმინისტრაციული საქმიანობის კონკრეტულ შედეგზე, ორიენტაცია.[2] მოთხოვნას უმაღლესი სასწავლებლების მართვის ეფექტურ სტრუქტურებზე, ასევე ხარისხისა და შედეგიანობის კონტროლზე აქვს კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება, კერძოდ, ის გამომდინარეობს დემოკრატიისა და ბიუჯეტის ხარჯვაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპებიდან. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გათვალისწინებით, ბუნებრივია მოთხოვნა უმაღლესი დაწესებულებების მიერ თანხების ყაირათიან ხარჯვაზე, მით უფრო, როდესაც მიმდინარეობს პოლიტიკური დისკუსია ბიუჯეტში განათლებისა და მეცნიერებისათვის თანხების გაზრდის შესახებ.

თუ დირექტიული ეკონომიკის პირობებში უნივერსიტეტის მიზნობრივი ფუნქცია იყო სახელმწიფოსაგან ცენტრალიზებულ სარესურსო ნაკადში მონაწილეობა, საბაზრო პირობებში ორგანიზაცია უნდა ჩადგეს კონკურენტული სარესურსო გაცვლის ნაკადში.

აღნიშნული პრობლემის გათვალისწინებით ჩნდება შეკითხვა, როგორ უნდა განხორციელდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურული რეფორმა, რომელიც უნივერსიტეტების ავტონომიურობის შენარჩუნებით ხელს შეუწყობს მათი ეფექტურობის გაზრდას. ამერიკული სანიმუშო კერძო უნივერსიტეტების პრაქტიკის გათვალისწინებით, აქტუალური ხდება უნივერსიტეტების კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით ჩამოყალიბების იდეა.[3]

ჩვენს ქვეყანაში განათლების სისტემის რეფორმირება გრძელდება. საქართველოს კანონში - „უმაღლესი განათლების შესახებ" განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ საჯარო ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნება და ისიც მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით[4] და ამ სტატუსის მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ავტორიზაციის გავლის შემდეგ.

---

[1] Fehling, S. 399.

[2] ახალი საჯარო მენეჯმენტის ცნება და ძირითადი მახასაიათებლები იხ. იზორია ლ., 2009.გვ. გვ. 94-110.

[3] საკითხი ასევე აქტუალურია გფრ-ში. იხ. Battis/Grigoleit, გვ. 65-69 .

[4] სკ უგშ მუხლი 11, პუნქტი 1

რაც შეეხება სამეწარმეო იურიდიულ პირს, მის დაფუძნებასთან სახელმწიფო აკრძალვის გამო არ დგას.[5]

ამდენად, საჯარო-სამართლებრივ ფუნქციას ახორციელებენ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (უსდ-ების სტატუსის მოპოვების საფუძველზე) და ასევე, სხვა სუბიექტების მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირები (უსდ-ების სტატუსის მოპოვების შედეგად)[6]. საყურადღებოა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ექმნება თუ არა საფრთხე საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელებას და ამ ფუნქციის რეალიზაციის უფრო მყარ გარანტიებს ხომ არ ქმნის სახელმწიფო დამფუძნებლის როლში?!

ამასთან ხაზგასასმელია, რომ საჯარო სამართლებრივი ფუნქციის სათანადოდ შესრულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია უსდ-ს სტრუქტურული მოწყობა, რომელიც უნდა ქმნიდეს ამ ფუნქციის შესრულების საფუძველს. ამ თვალსაზრისით, უფრო სრულყოფილია სსიპ უსდ-ს სტრუქტურული მოწყობა, რადგან ის დეტალურად განსაზღვრულია საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“[7], ვიდრე კერძო სამართლის იურიდიული პირი უსდ-ს, რის გამოც, ერთი შეხედვით, საქართველოში საჯარო-სამართლებრივ ფუნქციას სახელმწიფო უსდ-ები უფრო ეფექტურად ახორციელებენ, ვიდრე კერძო სამართლის იურიდიული პირი უსდ-ები (რამდენიმე, რეიტინგული, კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირი უსდ-ს გამოკლებით, არაკომერციული იურიდიული პირი უსდ ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს).

როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებამ განათლების სფეროში მიგვიყვანა მომთხოვნი გარემოს - ბაზრის მდგომარეობის ცვლილებასთან. ძველი მესაკუთრის (სახელმწიფოს) გვერდით ჩნდებიან ახალი მესაკუთრეები – არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მფლობელები. მესაკუთრე გამოდის, როგორც მომთხოვნი სუბიექტი, მაგრამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის ფორმა არ უნდა იქცეს საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელების შემაფერხებელ გარემოებად.

2. ნაშრომის მიზანი

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია განათლების მნიშვნელობის, მისი ფუნქციების, სამოქალაქო ბრუნვაში თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობის სპეციფიკისა და მათი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებების დახასიათება, უმაღლესი განათლების, როგორც საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის სრულფასოვანი ანალიზი, უსდ-ს ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის ფორმების წარმოჩენა, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უნივერსიტეტის), როგორც საჯარო სამართლის

[5] სკ უგშ მუხლი 12, პუნქტი 2[1]
[6] სკ უგშ მუხლი 12, პუნქტი 1
[7] სკ უგშ თავი 4

იურიდიული პირის, მართვის განხორციელების, კერძო სამართლის იურიდიულ პირად რეორგანიზაციის შესაძლებლობის გამოკვეთა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მრავალსაუკუნოვან გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია:

- განათლების როლის, მნიშვნელობისა და უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირების ანალიზი, როგორც უძველესი, ასევე თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილების საფუძველზე;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებების წარმოჩენა;
- იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება უკავშირდება ავტორიზაციის გავლას, მკაფიოდ გამოიკვეთოს საქართველოს მთავრობისა და სხვა სუბიექტების უფლებამოსილება დააფუძნონ არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (როგორც ეს ცვლილებებამდე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით იყო განსაზღვრული), არამედ საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით.
- გავააქტიუროთ საკითხი კერძო სამართლის იურიდიული პირი უსდ-ების, როგორც ეკონომიკურად აქტიური სუბიექტების, დამკვიდრების აუცილებლობის შესახებ, სახელმწიფოს მიერ უსდ-ების გარანტიებისა და მათზე კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფის ფარგლებში (ამ მიმართებით სახელმწიფოს მოქმედების სპექტრი მრავალფეროვანია: ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზება, უსდ-ების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები, სასწავლო პროგრამების განსაზღვრა, დაფინანსება და ა.შ.), რადგან სახელმწიფოს მიერ საკუთარი ამოცანების ახლებურად გააზრება საკონტროლო ფუნქციების განვითარებაში, არამარტო გააძლიერებდა სახელწიფო უსდ-ებში შემორჩენილი ბიუროკრატიზმის გამოვლინებებისადმი ბრძოლას, არამედ მიზანსწრაფულობას შესძენდა უმაღლესი განათლების კერძო სექტორს.

3. ნაშრომში გამოყენებული მეთოდის შესახებ

იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგია მოიცავს სახელმწიფოსა და სამართლის აღქმისა და შესწავლის პრინციპებს, მიდგომებსა და მეთოდებს.

იურიდიული მეცნიერება შედგება კვლევის ზოგადმეცნიერული (დიალექტიკა, ანალიზი, ინდუქცია, ანალოგია, შედარება, კონკრეტიზაცია და სხვა), კერძომეცნიერული (ფორმალურ-იურიდიული, სამართლებრივ-შედარებითი) და სპეციალური (სისტემური, სტრუქტურულ-ფუნქციონალური, შედარებითი, სოციოლოგიური, სტატისტიკური, ისტორიული და ა.შ.) მეთოდებისაგან. [8]

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულ იქნა შემეცნების ზოგად-მეცნიერული, სამართლებრივ-შედარებითი, საგანმანათლებლო იდეების, კონცეფციისა და მიდგომების თვისებრივი და შედარებითი ანალიზის,

[8] Чепурных Е. М. Стр 1.

სისტემატიზაციის, კლასიფიკაციისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები, ასევე ეკონომიკური, სტატისტიკური მონაცემების სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზი, საექსპერტო შეფასებები და სხვა.

4. კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტად ძირითად შერჩეულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც ერთგვარი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ფუნქცია შეასრულა და სადაც სადღეისოდ სტუდენტთა რაოდენობა სწავლის სამივე საფეხურზე შეადგენს სულ 17763 სტუდენტს. მათ შორის:

- ბაკალავრიატი - 14. 390;
- ერთსაფეხურიანი - 669;
- პროფესიული - 92;
- მაგისტრატურა - 1751;
- დოქტორანტურა - 861[9]

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი იყო ასევე ადგილობრივი და უცხოელი იურისტ-მეცნიერების ნაშრომები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა ასპექტების მართვის პრობლემების თაობაზე.

კვლევა მიმდინარეობდა რამდენიმე ეტაპად:

პირველი ეტაპი – მოიცავდა საგანმანათლებლო, იურიდიულ, სოციოლოგიურ, ისტორიულ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ კვლევასთან დაკავშირებული ლიტერატურის ანალიზს.

მეორე ეტაპი – შედგებოდა ზემოაღნიშნული შესწავლილი ლიტერატურის საფუძველზე კვლევის კონცეფციის შემუშავებისა და შესაბამისად ნაშრომის სტრუქტურის განსაზღვრისაგან.

მესამე ეტაპი – იყო თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების კონტექსტში სხვადასხვა ეტაპების წარმოჩენა ისტორიული საფეხურების გათვალისწინებით, რომელიც საშუალებას გვაძლევდა, სამეცნიერო ამოცანის შესაბამისად, სრულფასოვნად გაგვეანალიზებინა კვლევის საგანი და მიგვეღწია ნაშრომის მიზნისათვის.

5. კვლევის ნორმატიული ბაზა

კვლევის ნორმატიულ ბაზას შეადგენს საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიული აქტები, კონვენციები, სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციები და კანონები, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, საქართველოს კანონი

[9] თსუ-ს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია 2010 წ. 26 ივლისი

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემების შესახებ“, საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სხვა.

6. კვლევის შედეგი

მიმდინარე ეტაპზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა მეტად რთული გამოწვევების წინაშე დგას და უმაღლესი განათლება სახელმწიფო მიზნების მიღწევაში მართლაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინსტრუმენტია. სადისერტაციო ნაშრომში განიხილება რა უმაღლესი განათლების საჯარო-სამართლებრივი ფუნქცია, გაანალიზდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობისა და სტრუქტურის დანერგვის ესა თუ ის ვარიანტი, მათი სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკის, საერთო სისტემასა და ისტორიულად ჩამოყალიბებულ სპეციალიზაციაში მისი ადგილისა და როლის ფონზე.

კვლევის შედეგით გამოიკვეთება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უნივერსიტეტის) ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის ის მოდელი, რომელიც შეესაბამება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და, შესაბამისად, განისაზღვრება არიან თუ არა თავისუფალი უმაღლესი სასწავლებლები საკუთარი ამოცანების განხორციელებაში, რამდენად არიან დამოკიდებული სახელმწიფო დაფინანსებაზე და რა დონეზე შეუძლიათ დაეყრდნონ საკუთარ რესურსებს, ასევე, წარმოჩინდება უმაღლესი განათლების სფეროში არსებული პრობლემები და პერსპექტივები.

თავი I
განათლების არსი და ფუნქციები

§1. განათლება, როგორც სოციალური ინსტიტუტი

1.1. ზოგადად.

განათლება როგორც სოციალური ინსტიტუტი მოიცავს სწავლებას, შემეცნებას, სპეციალური სწავლებით შეძენილი ცოდნის ერთობლიობას.[10] თანამედროვე მსოფლიოში განათლება, თავისი ფუნქციების წყალობით, ინტეგრაციულ როლს ასრულებს სოციალური გაერთიანებების, საზოგადოების სოციალური ინსტიტუტებისა და პიროვნებების ჩამოყალიბებაში. განათლება საზოგადოების ის ერთადერთი ინსტიტუტია, რომელზეც იგება ყველაზე მეტი ურთიერთობა სოციალურ გაერთიანებებსა და მათ წარმომადგენლებს შორის. განათლება ყველა სახის საქმიანობაში წამყვანი მოტივია, რომელიც კაცობრიობას უმზადებს ქცევის მზა ნიმუშებს და განაპირობებს მათი განვითარების შესაძლებლობას. სწორედ განათლების მეშვეობით

[10] ვებგვერდი "Социология" გვ. 1

ხორციელდება ცოდნის, ინფორმაციის და მაშასადამე, შესაძლებლობების გაცვლა საზოგადოების ფენებს, სახელმწიფოებს, ჯგუფებსა და ადამიანებს შორის.

განათლება წარმოადგენს საკუთარი სტრუქტურის მქონე სოციალურ ქვესისტემას. მის ძირითად ელემენტებად შეგვიძლია გამოვყოთ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები, როგორც სოციალური ორგანიზაციები, სოციალური გაერთიანებები, სასწავლო პროცესი, როგორც სოციოკულტურული საქმიანობის სახეობა[11], აგრეთვე, საქმიანობის გარკვეულ სფეროში ადამიანთა ობიექტური სტატუსის არსებობა, მოცემული სოციალური ინსტიტუტის ფარგლებში ასოცირებული ადამიანებისათვის დაკისრებული როლების ერთობლიობა, იმ ზომის გამომხატველი სოციალური ნორმის არსებობა, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება ადამიანთა ქცევის სტანდარტი, ფასდება მათი საქმიანობა. ისინი უძღვებიან და არეგულირებენ ადამიანთა საქმიანობას და მათ ურთიერთმოქმედებას ერთიანი სოციალური ინსტიტუტის ფარგლებში.

განათლება როგორც ინსტიტუტი განისაზღვრება ორი ასპექტით – სოციალური და კულტურული ასპექტებით. პირველი განასახიერებს სოციალური ინსტიტუტის სტრუქტურულ მხარეს, მეორე კი – ფუნქციურ მხარეს, მისი საქმიანობის გარკვეულ საშუალებას. მათი ურთიერთმოქმედება განაპირობებს ინსტიტუტის განვითარებას და თვითშენარჩუნებას. სწორედ ფუნქციურზე შევჩერდებით უფრო დეტალურად.[12]

1.2. განათლების ინსტიტუტის ფუნქციები

ფუნქცია (ლათ.– functio შესრულება) ეს არის დანიშნულება ან როლი, რომელსაც გარკვეული სოციალური ინსტიტუტი ასრულებს.[13] სოციალური ინსტიტუტის ფუნქცია ეს ის სარგებელია, რომელიც მას მოაქვს საზოგადოებისთვის, ანუ ეს არის გადასაჭრელი ამოცანების, მისაღწევი მიზნების, გასაწევი მომსახურების ერთობლიობა.

თანამედროვე მსოფლიოში განათლების განვითარების ძირითადი ტენდენციები განისაზღვრება „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ ხელმომწერ სახელმწიფოთა კოლექტიური ნებით და საერთაშორისო პაქტით „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“. დეკლარაცია განსაზღვრავს ადამიანის ძირითად უფლებებს. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ (ძალაშია 1976 წლის 3 იანვრიდან). 2009 წლის ივლისისათვის პაქტში მონაწილეობდა 160 სახელმწიფო, მას ასევე მოაწერა ხელი კიდევ 6 უმსხვილესმა სახელმწიფომ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ადამიანის უფლება განათლებაზე განსაზღვრულია მე-13 მუხლში: „განათლება ერთდროულად არის ადამიანის უფლებათაგან ერთ-ერთი უფლება და აუცილებელი საშუალება მისი სხვა უფლებების რეალიზაციისათვის“.[14]

---

[11] ვებგვერდი "Социология" - გვ. 1

[12] Астахова Е.В. გვ. 6-7

[13] ვებგვერდი "Социология" - გვ. 1

[14] საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ მუხლი 13

საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სწრაფი გართულების, გლობალური ხასიათის რთული პროცესების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შედეგად მსოფლიოში მომხდარი კარდინალური ცვლილებების პირობებში, ადამიანი, ადეკვატურად რომ მოახდინოს ორიენტირება, მითუმეტეს, რომ გაცნობიეროს მიმდინარე პროცესები და სწორი შეფასებითი დასკვნები გამოიტანოს, უნდა იყოს საკმაოდ განათლებული. საზოგადოების განათლების დონესა და მოსახლეობის შემადგენლობის თვისებრივ მახასიათებლებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში, აღწერა ცნობილმა სოციოლოგმა და კულტუროლოგმა და პ. სოროკინმა. მის ცნობილ ნაშრომში „რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა“ აღნიშნულია: „ნებისმიერი საზოგადოების ბედი დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, მის წევრთა თვისებებზე. იდიოტებისგან ან უნიჭო ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოება ვერასოდეს იქნება წარმატებული საზოგადოება. მიეცით ეშმაკთა ჯგუფს ბრწყინვალე კონსტიტუცია, მაგრამ ამით მათგან მშვენიერ საზოგადოებას მაინც ვერ შექმნით... ნიჭიერი და ძლიერი ნებისყოფის ადამიანთაგან შემდგარი საზოგადოება ერთად ცხოვრების უფრო სრულყოფილ ფორმებს წარმოქმნის“ [15].

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს განათლების ფუნქციების შინაარსთან და მათ სისტემატიზაციასთან დაკავშირებით. ზოგიერთი მკვლევარი საფუძვლად იღებს პიროვნებაზე განათლების სისტემის ზეგავლენის შედეგს და ამასთან დაკავშირებით ასახელებს მის ისეთ სახეობებს, როგორიცაა პიროვნების სოციალიზაცია, მისი შესაბამისი ცოდნით და ჩვევებით უზრუნველყოფა და მრავალი სხვა. რიგი მკვლევარები თავიანთი შეხედულებებით მოიცავენ საზოგადოების სტრუქტურაში განათლების როლს და ამიტომ გამოჰყოფენ გაერთიანებებისა და საზოგადოების ფარგლებში სოციალური პროგრამების რეალიზაციისათვის გამიზნულ ფუნქციებს. მკვლევართა გარკვეული ჯგუფი ასახელებს ფუნქციებს, რომლებიც გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, სოციალურ სტრუქტურაზე, სულიერ კულტურასა და მთლიანად საზოგადოებაზე. ძირითადად ისინი გამოჰყოფენ ეკონომიკურს, რომელსაც ასევე ეწოდება პროფესიულ-ეკონომიკური ან პროფესიულ-საგანმანათლებლო, და სოციალურს. მრავალი მკვლევარი გამოჰყოფს უამრავ ფუნქციას და როგორც წესი, უკვე არსებულებს, თავიანთი მოსაზრებისამებრ, უმატებენ ახალ ფუნქციებს.

მთლიანად განათლების ძირითადი ფუნქციები პირობითად შეგვიძლია დავყოთ;

- სოციალურ-კულტურულ ფუნქციებად, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარებას, სადაც უმაღლეს სკოლას გადამწყვეტი როლი აკისრია, რადგან იგი არა მარტო უშუალო გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე, არამედ ნერგავს სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობას, იძლევა სულიერი მემკვიდრეობის შენარჩუნების, განვითარების, ტრანსლირების შესაძლებლობას.

[15] Сорокин П. с. 168-169

- სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციებად, რომლებიც უკავშირდება საზოგადოების ინტელექტუალური, სამეცნიერო-ტექნიკური და საკადრო პოტენციალის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, სოციალურ სტრატიფიკაციას.
- სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციებად, რომელთა რეალიზაციაც უზრუნველყოფს საზოგადოების უსაფრთხოებას, ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით, სოციალურ კონტროლს, სოციალურ მობილობას, საზოგადოების მყარ განვითარებას, მის ინტერნაციონალიზაციას და საკაცობრიო ცივილიზაციის პროცესებში ჩართულობას.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ფუნქციები მეტად აქტიურად ურთიერთმოქმედებენ და მჭიდროდ არიან გადაჯაჭვული. [16]

1.3. განათლების სოციალურ-კულტურული ფუნქციები

- **ჰუმანისტური (ადამიანად ჩამოყალიბების) ფუნქცია** - ვლინდება საპირისპირო, მაგრამ ორგანულად დაკავშირებული პროცესების: პიროვნების სოციალიზაციისა და ინდივიდუალიზაციის პროცესების ერთობლიობაში. სოციალიზაციის პროცესში ადამიანი ითვისებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, აქცევს მათ საკუთარი პიროვნების შინაგან არსად, საკუთარ სოციალურ თვისებებად. თუმცა ეს ყველა ადამიანში ინდივიდუალურად ხდება. ამიტომ განათლება ეს განსაკუთრებული სოციალური ინსტიტუტია, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების სოციალიზაციას და ამავდროულად მის მიერ ინდივიდუალური თვისებების შეძენას. „სოციალიზაცია განსაზღვრავს პიროვნების განვითარებას, თვითგამორკვევას და თვითრეალიზაციას“.[17] „თანამედროვე განსაზღვრით საერთო კულტურა ხასიათდება გახსნილობით, ფართო გაგებით და ახდენს ისეთი შემადგენელი ნაწილების ინტეგრირებას, როგორიცაა ჰუმანისტური, მეცნიერული და ტექნოლოგიური. იგი არის ბაზა ინდივიდუალური იდენტურობის ფორმირებისათვის, თანამედროვე სამყაროს გაგებისა და მასში აქტიური მონაწილეობისა“.[18]

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსთან განათლების კავშირი ხორციელდება უშუალოდ პიროვნების მეშვეობით, პიროვნებისა, რომელიც ჩართულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სულიერ და სხვა სოციალურ ურთიერთობებში. განათლება საზოგადოების ერთადერთი სპეციალიზებული ქვესისტემაა, რომლის მიზნობრივი ფუნქციაც საზოგადოების მიზანს ემთხვევა. „განათლება, როგორც სოციალური ცნება - არის შედარებით დამოუკიდებელი სისტემა, მისი ფუნქცია არის სწავლება და საზოგადოების წევრების აღზრდა, იგი ორიენტირებულია

[16] Астахова Е.В. стр. 1-4
[17] Сластенин В., Исаев И. и др. стр. 54-55
[18] Булгакова Е.Т. стр. 181

განსაზღვრული ცოდნის დაუფლებაზე (პირველ ყოვლისა სამეცნიერო), იდეურ-ზნეობრივ ფასეულობებზე, შესაძლებლობებზე, უნარ-ჩვევებზე, ქცევის ნორმებზე, რომელთა შინაარსი საბოლოო ჯამში განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობით მოცემული საზოგადობის და მისი მატერიალურ-ტექნიკური განვითარებით".[19]

განათლება საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს ადამიანის პოზიციას საზოგადოებაში, მის შესაძლებლობებს, მიზნებს, რომლებსაც საზოგადოებაში აღწევს და შრომის ანაზღაურების ხერხებს, თავად შრომას, მსოფლმხედველობას და ა.შ.

- **საზოგადოებაში კულტურის ტრანსლაცია და გავრცელება** - კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე განათლება იყო ცოდნის მთავარი წყარო, საზოგადოების განათლების ინსტრუმენტი. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ხალხის კულტურას აქვს თავისი ეროვნულ-ეთნიკური თავისებურებანი, და მაშასადამე, განათლების სისტემა განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული კულტურის, იმ განუმეორებელი და უნიკალური ნიშნების შენარჩუნებასა და დაცვაში, რომლებთან ზიარებითაც ინდივიდი ეროვნული შეგნებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის მატარებელი ხდება. „კულტურის ტრანსლაცია და გავრცელება საზოგადოებაში არის განათლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია. იგი განსაზღვრულია იმით, რომ განათლების ინსტიტუტის მეშვეობით ხდება გადაცემა თაობიდან თაობაზე კულტურის ფასეულობების, მისი ფართო გაგებით (სამეცნიერო ცოდნა, მიღწევები კულტურის დარგში, მორალური ფასეულობები და ნორმები, ქცევის წესები, სხვადასხვა პროფესიების გამოცდილება და უნარ-ჩვევები)".[20]
- **კულტურის სოციალური ტიპების წარმოქმნა** - განათლება ცოდნას ანიჭებს ტექნოლოგიურობას, კონსტრუქციულ ფორმებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება მისი სისტემატიზაცია, გამთლიანება, ტრანსლირება და მზარდი მოცულობით დაგროვება. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება დინამიკური, მასობრივი, გახსნილი ხდება.
- **ინოვაცია განათლებაში** - ტერმინი ინოვაცია, როგორც სოციოლოგიური ტერმინი, გაჩნდა 1930 წელს სოციოლოგიურ კულტურაში და კულტურულ ანთროპოლოგიაში, იგი უშულოდ იყო დაკავშირებული კულტურული ფენომენების დიფუზიასთან. ახალი მიდგომები ინოვაციის განსაზღვრისადმი წარმოიქმნა პირველ რიგში სოციოლოგიაში და პედაგოგიკაში. განათლების სოციოლოგიაში ინოვაციური პროცესების კვლევა დაიწყეს მეოცე საუკუნის 60-იან წლებში და მეტწილად გამოიყენებოდა კულტურული ანთროპოლოგიის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საშუალებები. 80-იან წლებში აწარმოებდნენ ინოვაციის სხვადასხვა ფორმების

[19] Сластенин В., Исаев И. и др. стр 54-55
[20] ვებგვერდი Функции образования (The futere for new generation...) - стр. 1-2

ფართო გამოკვლევებს განათლების სისტემაში, ხდებოდა იმ ინოვაციების განსაზოგადოება, რომლებიც შემოთავაზებული იყო სხვადასხვა ქვეყნების და საფეხურების სკოლების პედაგოგების, ადმინისტრატორების მიერ კულტურის სფეროში, ასევე მოწესრიგდა ამ პრობლემების შესწავლის საერთაშორისო თანამშრომლობა. ინოვაციაში იგულისხმება ნებისმიერი ახალი იდეა, ახალი მეთოდი ან ახალი პროექტი, რომელიც სპეციალურად ინერგება ტრადიციული განათლების სისტემაში.[21] განათლების საზოგადოებრივი სისტემა კულტურაში მიღწეული ინოვაციების მხოლოდ ნაწილის ტრანსლირებას ახდენს. ინოვაციები მიიღება დომინანტური კულტურის კალაპოტიდან, და ისინი საფრთხეს არ უქმნის მოცემული სოციალური ორგანიზაციის მთლიანობას (მისი მმართველობითი სტრუქტურების სტაბილურობას).

- **საზოგადოებრივი ინტელექტის (ინტელექტუალური საქმიანობის მენტალიტეტის, გარკვეული დარგების და სოციალური ტექნოლოგიების) ჩამოყალიბება და განვითარება** - შეიცავს ჯერ კიდევ ე. დიურკგეიმის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებებს: არსებული ცოდნის გავრცელება სწავლების მეშვეობით და ინდივიდებისათვის შემეცნებითი ჩვევების ჩანერგვა. განათლების სისტემა მრავალდარგოვანი კომპლექსი გახდა, მისი მიზანია არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა და პიროვნების განვითარება, არამედ საზოგადოების განვითარების ინტელექტუალური თანხლება.[22] მსოფლიო ლიდერები ესწრაფვიან გააკონტროლონ საგანმანათლებლო კომპლექსები მსოფლიოს სხვადასხვა ზონაში, გადასცენ თავიანთი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები ან სხვა მოდელები, რომლებიც სპეციალურად სხვადასხვა ქვეყნებისათვის არის შემუშავებული.
- **ახალგაზრდა თაობისათვის მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებული განწყობების, ღირებულებითი ორიენტაციების, ცხოვრებისეული იდეალების ჩამოყალიბება** - მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს განათლების მიზნების ორიენტაციის შეცვლა პიროვნების სოციალიზაციაზე ყურადღების გამახვილებით, რომელშიც იგულისხმება ინდივიდუალური თავისუფლების განვითარება, დამოუკიდებლობის და სოლიდარობის, ურთიერთობის უნარის, აზრთა გაცვლის და პოზიციების შეჯერების, განსხვავებების აღიარება და მიღება. ახალგაზრდების სოციალიზაციაში გარესამყაროს მნიშვნელობის აღნიშვნისას, სპეციალისტები მიუთითებენ საგანმანათლებლო დაწესებულებების განსაკუთრებულ როლზე დემოკრატიული საზოგადოების სრულყოფილი

[21] Савченко Н.А. стр. 3
[22] Дюркгейм Э. стр. 23, 26, 27

მოქალაქის მომზადებისათვის.[23] ენის, სამშობლოს ისტორიის, ლიტერატურის, მორალისა და ზნეობის პრინციპების სწავლება წანამძღვარს ქმნის საიმისოდ, რომ ახალგაზრდა თაობას ჩამოუყალიბდეს საყოველთაოდ გავრცელებული ღირებულებების სისტემა, რისი მეშვეობითაც ადამიანები სწავლობენ სხვა ადამიანებისა და საკუთარი თავის გაგებას, ყალიბდებიან ქვეყნის შეგნებულ მოქალაქეებად. განათლების სისტემის მიერ ბავშვთა სოციალიზაციისა და აღზრდის სისტემის განხორციელების შინაარსი მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული საზოგადოებაში გაბატონებულ ღირებულებით სტანდარტებზე, მორალზე, რელიგიასა და იდეოლოგიაზე.

- განათლების **აღმზრდელობითი** ფუნქცია - მდგომარეობს პიროვნების სოციალიზაციისა და მისი მოქალაქეობრივი ჩამოყალიბების პროცესების უზრუნველყოფაში, ახალი თაობებისათვის საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიოს კულტურულ-ისტორიული გამოცდილების გადაცემაში.
- განათლების **შემეცნებითი** ფუნქცია - გულისხმობს იმ პროცესის უზრუნველყოფას, რომ ადამიანი დაეუფლოს ცოდნას და უნარ-ჩვევებს სასწავლებლებისა და საზოგადოების მოქმედების სხვადასხვა სფეროების ფარგლებში.
- **პიროვნების და საზოგადოდ ახალგაზრდობის სოციალიზაცია და მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია-** განათლების ზემოთ აღწერილი ფუნქციები ამ ფუნქციის შემადგენელი ნაწილებია. სწორედ საგანმანათლებლო დაწესებულებები ამზადებენ ადამიანში გარკვეულ ჩვევებს, რომელთა მეშვეობითაც მას შეუძლია გარკვეული სტატუსით გარკვეული სოციალური როლი შეასრულოს.[24]

1.4. განათლების სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციები.

- **მოსახლეობის სოციალურ-კვალიფიკაციური შემადგენლობის ჩამოყალიბება** - რაოდენობრივი თვალსაზრისით განათლების სისტემა პასუხს აგებს **მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო შემადგენლობის** განვითარებისათვის. მისი მწარმოებლობა და ინოვაციური აქტიურობა რამდენადმე მაღლდება ზოგადი განათლების ზრდის კვალობაზე.

სამუშაო ადგილებზე მოთხოვნილებასთან შედარებით საგანმანათლებლო დონის ამაღლება პოზიტიურ როლს ასრულებს წარმოებაში, ქმნის პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის, ადამიანის კვალიფიკაციური და სოციალური წინსვლის რეზერვს.

- **მოსახლეობის სამომხმარებლო სტანდარტების ჩამოყალიბება** - განათლებას შეუძლია ადამიანთა მატერიალურ მოთხოვნილებებში დანერგოს რაციონალური სტანდარტები,

[23] Булгакова Е.Т. стр. 1-2
[24] Лачугина Ю. Н. стр. 23-34

ხელი შეუწყოს რესურსდამზოგავი ეკონომიკის, აგრეთვე ადამიანისათვის სტაბილური და სასიკეთო გარემოს ჩამოყალიბებას. ბაზრის პირობებში ასეთი ფუნქცია დიდწილად შეესაბამება ეროვნულ ინტერესებს.

- **ეკონომიკური რესურსების მოზიდვა** - როგორც ცნობილია, ყველაზე ხელსაყრელი კაპიტალდაბანდება ეს არის დაბანდება განათლებაში.
- **ეკონომიკური და სხვა რესურსების შიდა განაწილება** - რესურსებით უზრუნველყოფა ხდება საქმიანობის ისეთი მიმართულებებისა, რომლებიც ორიენტირებულია განათლებაზე და „არასაგანმანათლებლო" სივრცეზე (მატერიალური დახმარება მოსწავლეებისადმი, კომერციული, კვლევითი, საკონსტრუქტორო და სხვა სტრუქტურების მხარდაჭერა). [25]
- **სოციალური სელექცია** - ეს ფორმალური განათლების ინსტიტუტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. იგი უშუალოდ გამომდინარეობს ჰუმანისტური ფუნქციიდან საგანმანათლებლო პროცესის სტრუქტურა იმგვარად არის მოწყობილი, რომ იძლევა შესაძლებლობას უკვე დაწყებით ეტაპებზე განხორციელდეს მოსწავლეებისადმი დიფერენცირებული მიდგომა.[26] მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები შემოქმედებითი თვალსაზრისით ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის, რომელთა სიბეჯითე უთუოდ წახალისდება, მათი მონაცემების მაქსიმალური განვითარებისათვის კი ხელსაყრელი პირობები იქმნება, რადგან განათლების დონე, ძალაუფლებასთან, საკუთრებასთან და შემოსავალთან ერთად თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის სოციალური სტატუსის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.
- **პროფესიული ფუნქციები** - იმ სოციალური კლასების, ჯგუფებისა და ფენების განვითარება, რომლებთან კუთვნილებასაც განათლების სერტიფიკატები განაპირობებს. საგანმანათლებლო დაწესებულებები ინდივიდებს განსხვავებულ განათლებას აძლევენ, რაც შრომის განაწილების (და სოციალური სერტიფიკაციის) სისტემებში შესაბამისი ადგილების დაკავების პირობას წარმოადგენს.
- **სოციალური გადანაცვლების აქტივიზაცია** - იმის გათვალისწინებით, თუ როგორ განაპირობებს განათლება საზოგადოებაში სულ უფრო მეტ მისაღწევ სტატუსს, კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება განათლების ეს ფუნქცია.
- **სოციალური და კულტურული ცვლილების ფუნქცია** - ვლინდება შემდგომი უწყვეტი განათლებისათვის ცოდნის ბაზის შექმნაში. მისი რეალიზაცია ხდება უმაღლესი სასწავლებლების კედლებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევის, მეცნიერული მიღწევების და აღმოჩენების,

[25] Иванюк И.А. - стр. 1-2; Астахова Е.В. - стр. 1-6; Миндибекова Л.А. стр. 1-4

[26] ვებგვერდი "Социология" - გვ. 2

პროცესში, სხვადასხვა სახეობის პედაგოგიური საქმიანობის სპეციალიზაციით, სასწავლო პროცესის სტანდარტიზაციით.

- **ახალგაზრდობასთან პროფორიენტაციული მუშაობის უზრუნველყოფა** - სასწავლებლები ვალდებული არიან ეწეოდნენ ამ მუშაობას. პროფორიენტაციული მუშაობის არსი ის არის, რომ ჩამოაყალიბოს კურსდამთავრებულების და კვალიფიციური მუშახელის უფრო კომპეტენტური შემადგენლობა. [27]

1.5. განათლების სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციები

პიროვნების ჩამოყალიბება სახელმწიფოსა და ჯგუფების ერთ-ერთ საარსებო მნიშვნელობის ინტერესს წარმოადგენს, ამიტომ განათლების სავალდებულო კომპონენტია სამართლებრივი ნორმები და იმ ჯგუფების პოლიტიკური ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ღირებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემულ საზოგადოებაში განვითარების მიმართულებას.

- **საგანმანათლებლო გაერთიანებებისათვის მისაღები სამართლებრივი ნორმების და პოლიტიკური ღირებულებების დამკვიდრება** - ნებისმიერი პოლიტიკური წყობა იწყებს იმით, რომ იბრძვის ძველი სკოლისთვის ან ქმნის ახალს. ამ თვალსაზრისით ფორმალური განათლება უზრუნველყოფს **კანონმორჩილი სამართლებრივი და პოლიტიკური ქცევის** წახალისებას, აგრეთვე **სახელმწიფო (დომინანტური) იდეოლოგიის განვითარებას**.
- **ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის** ფუნქცია - ბიპოლარული მსოფლიოს ერთპოლარულად გარდაქმნამ გამოიწვია ამ ფუნქციის გამოყოფა. ნამდვილი უსაფრთხოება მსოფლიო ცივილიზაციის პროგრესის გათვალისწინებით განისაზღვრება ადამიანთა რესურსების, როგორც მისი მეცნიერული, ეკონომიკური, სოციოკულტურული და სულიერი პოტენციალის ძირითადი წანამძღვრის, განვითარების დონით.[28]

§ 2. უმაღლესი განათლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უნივერსიტეტი)

2.1. ზოგადად

უმაღლესი განათლების სისტემის პრინციპულად ახალი მიდგომები განპირობებულია მსოფლიო ტენდენციებზე რეაგირების აუცილებლობით, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების მოთხოვნებზე. უმაღლესი სკოლა გარდაიქმნა საბაზრო ურთიერთობების სრულუფლებიან სუბიექტად, რაც ხელს უწყობს მისი სტრუქტურის ტრანსფორმაციას, ცოდნისა და სწავლების ახალი მეთოდების ძიებასა და განვითარებას.

---

[27] Рослякова Н.И. стр. 22-25
[28] Астахова Е.В. стр. 5

სწავლებას განახორციელებენ არა მხოლოდ სკოლამდელი და სასკოლო, არამედ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (უსდ), ასევე სხვადასხვა სუბიექტები, რომლებიც გავლენას ახდენენ პიროვნების განვითარებისა და სწავლების პროცესზე. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი ნაშრომი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (უნივერსიტეტს) ეძღვნება, აუცილებელია განვსაზღვროთ, პირველ რიგში, უმაღლესი განათლების, შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და კონკრეტულად უნივერსიტეტის დეფინიციები. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მიხედვით; უმაღლესი განათლება არის „სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით“.[29]

ამავე კანონის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო ან სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომლის ძირითადი ფუნქციაა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების ან უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, აგრეთვე შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციებს“.[30] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტს განსაზღვრავს როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას, „რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს “[31].

ცნებას „უნივერსიტეტი“ საფუძვლად უდევს ლათინური სიტყვა universitas (universitatis - ერთობლიობა), რაც ნიშნავს უმაღლეს სასწავლებელს და სამეცნიერო დაწესებულებას, რომელსაც აქვს სხვადასხვა ფაკულტეტები.[32] ეს ცნება ისტორიულად კორპორაციასთან ასოცირდებოდა, ვინაიდან თავდაპირველად შუა საუკუნეებში უნივერსიტეტები მხოლოდ მეცნიერ-მასწავლებელთა გაერთიანება იყო.[33] ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების ჰარმონიზაციის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს უმაღლესი განათლებისათვის ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას, დაიწყო უნივერსიტეტების დიდი ქარტიით (MAGNA CHARTA UNIVERSITATUM), რომელმაც განსაზღვრა საუნივერსიტეტო ფუნდამენტური პრინციპები:

„1. უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება, განსხვავებული ისტორიული მემკვიდრეობისა და გეოგრაფიული პირობების გამო სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ საზოგადოებებში,

---

[29] სკ უგშ მე-2 მუხლი ჰ[1]-15-ე პუნქტი.
[30] სკ უგშ - მუხლი2; პუნქტი ჰ [16].
[31] სკ უგშ - მუხლი 2, პუნქტი ჰ[18]
[32] უცხო სიტყვათა ლექსიკონი გვ. 512

[33] Суворов Н. Стр. 199—206

რომელიც ქმნის, ამოწმებს, აფასებს და ავრცელებს კულტურას კვლევისა და სწავლების გზით.

არსებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, კვლევა და სწავლება ზნეობრივად და ინტელექტუალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისაგან;

2. უნივერსიტეტში სწავლება და კვლევა ურთიერთისაგან განუყოფელი უნდა იყოს, რათა სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს;

3. კვლევისა და სწავლების თავისუფლება საუნივერსიტეტო ცხოვრების ფუნდამენტური პრინციპია. ამიტომ, მთავრობებმა და უნივერსიტეტებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ ამ ფუნდამენტური მოთხოვნის პატივისცემა.“[34]

განათლების სისტემაში ახალგაზრდა არანაკლებ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში პედაგოგების, აღმზრდელების კონტროლს ექვემდებარება სასწავლო და ზოგ შემთხვევაში არასასწავლო დროსაც კი. ამიტომაც სწორედ განათლების ამოცანაა ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარება, ისეთი კანონმორჩილი მოქალაქეების ჩამოყალიბება, რომლებიც პატივისცემით მოეპყრობიან ნორმებს, ტრადიციებს, სახელისუფლებო ინსტიტუტებს. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ თანახმად, „1. საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია:

ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის.

დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება“. 35

[34] უნივერსიტეტების დიდი ქარტია (MAGNA CHARTA UNIVERSITATUM)
[35] სკ უგშ მუხლი 3, პუნქტი 1.

2.2. უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირება

XXI საუკუნის დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა რადიკალურმა სოციალ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა, ადრინდელი იდეოლოგიის უარყოფამ მრავალ საკითხზე შეხედულებათა გადასინჯვა მოითხოვა. ამ პროცესს არც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის აუვლია გვერდი. განათლების სისტემის განვითარება ურთულეს სიტუაციებში მიმდინარეობდა. საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენდა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სოციალური და ეკონომიკური არასტაბილურობა საზოგადოებაში, ფინანსური სახსრების მწვავე დეფიციტი ეკონომიკაში კრიზისულ მდგომარეობასთან ერთად. უმაღლესი განათლების სფეროში ცვლილებათა უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად იქცნენ გლობალიზაცია, ინტერნაციონალიზაცია და ახალი ტექნოლოგიების განვითარება, განსაკუთრებით ინფორმაციის დამუშავებისა და კომუნიკაციების სფეროში და, შესაძლოა, ცვლილებათა ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი იყო საბაზრო ძალების მზარდი ზეგავლენა და კონკურენცია უმაღლეს განათლებაში. ფასიან განათლებაზე გადასვლის მსოფლიო ტენდენციამ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის დამატებითი რესურსების მოზიდვის სწრაფვამ და საუკეთესო პერსონალის შენარჩუნებისა და დაქირავების მნიშვნელობამ მიგვიყვანეს უმაღლეს განათლებაში კონკურენტული ბრძოლის ადრე გაუგონარ გამწვავებამდე.

არ არის გასაკვირი, რომ გაჩნდა ამ ახალი პირობებისადმი უნივერსიტეტების ორგანიზაციული სტრუქტურებისა და საქმიანობის ადაპტირების აუცილებლობა. უნივერსიტეტებმა გვერდი ვერ აუარეს მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს. ახალი პირობები მოითხოვენ მართვის ახალ ფორმებსა და უნივერსიტეტების ხელმძღვანელებისა და მენეჯერების ახალ ჩვევებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, დღის წესრიგში დადგა უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის რეფორმირება, გადასინჯვა და რესტრუქტურიზაცია. ამ რეფორმებს საფუძვლად ედო ღრმა ცვლილებები უმაღლესი განათლების მიზნებსა და ამოცანებში. ახლა აშკარა ხდება უმაღლესი დაწესებებულებების ადაპტაციის აუცილებლობა უფრო რთულ სინამდვილესთან, რადგან უმაღლესი განათლებისადმი მოლოდინი არნახულად შეიცვალა.

2.3. ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლონიის პროცესი ეს არის ცნება, რომელიც შემოღებულ იქნა ყველა იმ მოვლენისა და პროცესის შერწყმის აღსანიშნავად, რომელიც შეინიშნება გაერთიანებული ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში და რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ევროპაში ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებასთან, რომელიც იწოდება სწორედ ბოლონიის პროცესად.

ეროვნული განათლების სისტემის ყველა ცვლილება მიმართული იმისაკენ, რომ შეიქმნას ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე.

თვით დასახელება დაკავშირებულია 1999 წლის 19 სექტემბერს, ევროპის ქვეყნების განათლების მინისტრთა მიერ ქ.ბოლონიაში(იტალია) ხელმოწერილ ერთობლივ დეკლარაციასთან. დოკუმენტში გაცხადებულია მიზნები და პრინციპები მოღვაწეობისა,რომელმაც უნდა მიგვიყვანოს "ცოდნის ევროპის " შექმნასთან.

უმაღლესი განათლების სფეროში ინტეგრირება წარმოადგენს ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის საერთო და ღრმა პროცესების გამოხატულებას. ევროპის ერთიანი ეკონომიკა გულისხმობს ერთიანი ბაზრის არსებობას, სადაც ყველასათვის ერთნაირი წესით შეძლებენ თავისი შრომის გამოყენებას ევროპის ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები.ამისათვის კი საჭიროა განათლების შესახებ იმ დოკუმენტის "ცნობადობა" და შეჯერება, რომელსაც გასცემენ ამ ქვეყნების სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებები. თავის მხრივ, ამა თუ იმ სპეციალისტის შერჩევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა დიპლომსა და მის დანართში იქნება ჩანაწერი იმ პროგრამის შესახებ, რომელიც თავისი შინაარსითა და ხარისხით ცნობილია სამუშაოს მიმცემისა და უმაღლეს სასწავლებლებისათვის.

მეორე აუცილებლობა, რომელიც ითხოვს ერთიან განათლების სისტემას,ეს არის ევროპული(მათ შორის საუნივერსიტეტო) კულტურისათვის პრინციპული მოთხოვნა,ე.წ. აკადემიური მობილურობა, ანუ ისეთი მდგომარეობა,როცა სტუდენტი სწავლის პროცესში, შეძლებს მიიღოს განათლება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის რამოდენიმე უმაღლეს სასწავლებელში.ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ერთიანი განათლების სივრცის შექმნა მოითხოვს ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნებისაგან კოლოსალური სამუშაოს ჩატარებას უმაღლესი განათლების მიღების ერთიანი სისტემისა და მისი ხარისხის შედეგების ერთიანი წესით ასახვის სისტემის დანერგვისათვის.

ბევრი ქვეყნისათვის ეს დაკავშირებულია უმაღლესი განათლების მიღების მათთვის ტრადიციულ სქემაზე უარის თქმასთან, რაც მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, ასეთი გადასვლის პროცესის ვადებისა და ეტაპების მკაფიო განსაზღვრას – ანუ რთული ორგანიზაციულ-მეთოდურ, პედაგოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა კომპლექსის გადაწყვეტას.

2.4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარდაქმნის პირობები

საქართველო, ბუნებრივია, არ უნდა იდგეს განზე საერთაშორისო, მათ შორის ევროპული საგანმანთლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებისაგან. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები არამხოლოდ უნდა მონაწილეობდნენ ამ პროცესებში, არამედ გაუწიონ ღირსეული პარტნიორობა ამ პროცესში ჩართულ უმაღლეს სკოლებსა და სხვა სასწავლებლებს.

ბოლონიის პროცესთან მიერთებით, ქვეყნის უმაღლესმა სასწავლებლებმა, შეძლებისდაგვარად, უნდა მიიღონ გარკვეული სარგებლობა, რასაც იძლევა ერთიან განათლების სივრცეში არსებობა და არ დაუშვან საქართველოს უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების (კონკრეტულად ეს შეიძლება განხილულ იქნას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მაგალითზე) ისტორიულად ტრადიციული კონკურენტუპირატესობის დაკარგვა.

თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე ვიმსჯელებთ, მისი ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, საქართველოში პირველი ქართული უნივერსიტეტი, თავისი არსებობის უკვე 90 წელზე მეტი ხნის მანძილზე, არამც თუ იყო საქართველოს ისტორიის ორგანული ნაწილი, არამედ მისი შემოქმედიც, ეს განსაზღვრავს მის ეროვნულობასაც.

არის თუ არა ისტორიული წარსული, მის ბაზაზე XXI საუკუნის უნივერსიტეტის ფორმირების უტყუარი გარანტია?! თუ მხოლოდ მისი ტრადიციების განვითარებას დავჯერდებით?! რაღა თქმა უნდა არა, რადგან არსებობს საფრთხე კონკურენტ უპირატესობის დაკარგვისა და ეს ეხება, უპირველესად, განათლების ხარისხსა და უკვე უფრო გლობალური საკითხების რეალიზაციას, რაც განსაზღვრულია თუნდაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში და გამოხატულებას პოულობს: საერთაშორისო სტანდარტებში, ბოლონიის პროცესის შესაფერისი სამსაფეხურიანი სასწავლო პროგრამებით, ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებში, განვითარებულ სასწავლო და სოციალურ ინფრასტრუქტურაში, მატერიალური ბაზითა და საფინანსო სისტემით.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება, რომ 2008 წლის ივლის-ოქტომბერში მსოფლიო სწავლების (world learning) forecast-ის პროექტის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარების შეფასების პროექტის საბოლოო ანგარიშში წარმოდგენილია, რომ „არის აზრთა სხვადასხვაობა რამდენად წინ წავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ძირითადად ეს დინამიკაა: პირველი, მიღწეული პროგრესიდან დამახასიათებელი დაღმასვლა, რაც გააღრმავა შეფერხებებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კონსტრუქციულად გადასულიყო მომდევნო ეტაპებზე, მეორე გახლავთ ახალ ეტაპზე დეტალური და ნათლად გამოხატული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ხედვის არქონა თუ ნაკლებობა დაბოლოს, გარეშე ფაქტორები (კანონმდებლობა, დაფინანსება, კონკურენცია და სხვა)“[36].

საფრთხე არსებობს კიდევ იმ თვალსაზრისით, რომ მიიღებენ თუ არა უცხოეთის ქვეყნებისათვის ცნობად განათლების შესახებ დოკუმენტებს ჩვენი საუკეთესო კურსდამთავრებულები, გავლენ უცხოეთის შრომის ბაზრებზე და ამგვარად კიდევ უფრო გაარღმავებენ „ტვინების გადინების“ პროცესს.

ხაზგასასმელია, რომ ალექსანდრე ფონ ჰუმბოლტდის ფონდის პუბლიკაციაში „საქართველო – პოსტსაბჭოური გარდატეხები და იმედი ევროპაში შესვლაზე“ აღნიშნულია: გერმანიის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, გერმანიის უნივერსიტეტებში, ჯერ კიდევ 2004/2005 სასწავლო წელს დაფიქსირდა 3280 ამერიკელი და 3269 ქართველი სტუდენტი. რაც შეეხება მეზობელ კავკასიურ ქვეყნებს –

[36] მსოფლიო სწავლების (world learning) forecast-ის პროექტის ფარგლებში. გვ. 12

სომხეთსა და აზერბაიჯანს: 391 სომეხი და 357 აზერბაიჯანელი სტუდენტი.[37]

გაურკვეველია აგრეთვე ზოგიერთი სხვა ასპექტიც, თუმცა მთლიანობაში აშკარაა, რომ პერსპექტივაშია ფართო ურთიერთმოქმედება ეროვნულ და ტრანსნაციონალური განათლების სისტემებისა, ეს კი ნიშნავს, რომ რომ უნდა ავითვისოთ ასეთი ურთიერთმოქმედების წესები და ტექნოლოგია, რასაც თავის მხრივ არსებული მოდელის გარდაქმნისაკენ მივყავართ.

თსუ-ს სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების შესაბამისად: „უნივერსიტეტი უნდა იმართებოდეს როგორც დიდი კორპორაცია, ე.წ. ახალი მენეჯმენტის წესების შესაბამისად“.

ქართული უნივერსიტეტების უმრავლესობა, რომლებიც აღმოჩდნენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფო ექსკლუზიური ან სხვა საფინანსო მხარდაჭერის გარეშე, 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის დადგნენ არსებითი ორგანიზაციული ტრანსფორმაციის პრობლემის წინაშე. უსდ-ების ტრანსფორმაციის გზა და მეთოდები ბიზნესსექტორის ტრანსფორმაციის თანმხვედრია, რაც უსდ-ებისათვის ქმნის თანამედროვე მენეჯმენტის შესწავლის აუცილებლობას. მათ შორის უმთავრესია ბიზნესის სექტორის სტრატეგიული მართვის გამოცდილება. სტრატეგიული მართვა – ეს არის ორგანიზაციის ტრანსფორმაციის მართვა. თანამედროვე უნივერსიტეტების სტრატეგიული მართვის ძირითადი არსი არის ინოვაციური მისია, მიმართული იმ პრიორიტეტებისაკენ, რომლებიც უსდ-ების განვითარებისა და წარმატების განმსაზღვრელია.

გარდამავალ პერიოდში, თანამედროვე საუნივერსიტეტო მენეჯმენტის განხორციელებას შეექმნა თითქმის პარადოქსალური სიტუაცია სტრატეგიული დაგეგმარების თვალსაზრისით. 90-იანი წლების დასაწყისში დაემხო მექანიკური ბიუროკრატიის კლასიკური მაგალითი – საბჭოური სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა ტოტალური დაგეგმარების პრინციპს.

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ახალმა ეტაპმა სხვა მიმართულებებთან ერთად, განსაზღვრა ქვეყნის განათლების დარგის ინსტიტუციონალური საფუძვლები. უსდ-ების მართვის ახალმა სისტემამ, გაანთავისუფლა ისინი დირექტივებისა და ნაკარნახევი აუცილებლობისაგან.

მე-20 საუკუნის მიწურულს სიტუაცია მთლიანად შეიცვალა, ხოლო 21-ე საუკუნის დასაწყისში განისაზღვრა მსოფლიო განათლების სისტემის გლობალური ტენდენციები. რიგი ელიტარული უნივერსიტეტების გარდა, რომელთა მხარდაჭერა სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად განიხილებოდა ძირითადად უსდ-ები ჩაბმულნი აღმოჩდნენ ბაზარზე ორიენტირებულ საქმიანობასა და კონკურენციაში.

ცვლილებებმა უსდ-თა ფუნქციონირებაში დააჩქარა მისი ორგანიზაციული ტრანსფორმაციის აუცილებლობა. დღევანდელობის განსაკუთრებულობა საგანმანათლებლო საქმიანობის განახლებისა და განვითარების პროცესის უწყვეტობაში მდგომარეობს. დინამიური გარემო არ იძლევა უსდ-ს მართვისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისათვის ერთჯერადად განხორციელებულ ცვლილებებზე

[37] იურგენ ებერჰარდტი გვ. 1

შეჩერების საშუალებას. ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულება უსდ-ს მართვის ადაპტიური სიტემის შექმნა.

ახალი პირობები ავალდებულებს უსდ-ებს საქმიანობაში იხელმძღვანელონ თითოეული უნივერსიტეტისათვის შერჩეული იმ უნიკალური კონცეფციის შესაბამისად, რომელიც სოციალ-ეკონომიკურ სიტუაციებსა და დინამიური განვითარების კონკრეტულ რეალიებს პასუხობს. აღნიშნული მათ წინაშე სვამს სტრატეგიული მართვის განხორციელების საკითხს.

სტრატეგიული მართვა – მართვის კონცეფცია, რომელიც გამოყენებაში 60-იანი წლების მიწურულს დამკვიდრდა. სტრატეგიული მართვის ძირითადი ფუნქცია ორგანიზაციის სტრუქტურის დროულ ცვლილებასა და მის მოქნილ რეგულირებაშია. ხოლო მისი შეუცვლელი ელემენტები მისიის ფორმირებისა და ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებისაგან შედგება. ჩვენი ქვეყნის უსდ-ების უმრავლესობა შეგნებულად მიუდგა სტრატეგიული მართვის განხორციელების საკითხს ახალ პირობებში, უახლოესი ამოცანების სწორად ჩამოყალიბების ფონზე. ეს უპირველესად განსაზღვრა სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის მიმდინარე ანალიზმა და ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცალკეულმა რეკომენდაციებმა და მიზნობრივმა პროექტებმა. უსდ-ებს საშუალება მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ მრავალ საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებში, საუნივერსიტეტო მართვასთან დაკავშირებით.

ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტთა უმრავლესობას ჩამოყალიბებული აქვს თავისი მისია. რაც შეეხება სტრატეგიული გეგმების შემუშავებას, ეს საკითხი კვლავ რჩება განხილვისა და ექსპერიმენტების საგნად, თუმცაღა ზემოაღნიშნულ უნივერსიტეტებს გააჩნიათ შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლებსაც გარკვეული ეტაპის განვითარების გეგმები შეიძლება ეწოდოს.

უსდ-ების მენეჯმენტის განხორციელების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მათ თანამშრომლობას მართვის სპეციალისტებთან, კონსულტანტებთან. მაგრამ უსდ-ებში ამგვარი თანამშრომლობის ფარგლებში, შესაძლებელია დაბალი, საშუალო და მაღალი ხარისხის მოტივაციის საფეხურების გამოყოფა:

1. დაბალი მოტივაცია – დამახასიათებელია გარკვეული სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის, რაც განპირობებულია კონკურენტული ფაქტორების სუსტი ზემოქმედებითა და უმრავლეს შემთხვევაში, მართვის კოლეგიალური ორგანოების ძლიერი ზეგავლენით.
2. საშუალო მოტივაცია – ამ ფარგლებში წარმოდგენილია ის სპეციალიზირებული და მცირერიცხოვანი უსდ-ები, რომლებიც იდგნენ არსებობის ზღვართან, რამაც ხელი შეუწყო ძლიერი, უნარიანი მმართვის სისტემის ფორმირებას, კონკურენტუნარინობის დაძლევის მიზნით.
3. მაღალი მოტივაცია – ამ კატეგორიას განეკუთვნებიან მყარი სახელმწიფო უსდ-ები, რადგან ისინი უკვე გამოწრთობილი არიან კონკურენტული და წარმატებისათვის დინამიური ბრძოლის პირობებში და აქვთ ამ მიმართებით მნიშვნელოვანი გამოცდილებით.

დღევანდელობა განსაზღვრავს დროის გამოძახილზე ორიენტირებული უსდ-ების ფორმირების აუცილებლობას. იურისტ-მეცნიერები გვთავაზობენ უსდ-ს ჩამოყალიბებას სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებითა და შინაარსით. მათ შორისაა: სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსები, სამეცნიერო-ტექნიკური ჰოლდინგები, თანამედროვე ადაპტიური სტრუქტურები - მატრიცული უნივერსიტეტი, TQM (Total Quality Menegement) – ხარისხის ტოტალურ მენეჯმენტის პროცესზე ორიენტირებული უნივერსიტეტი, თანამედროვე უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი - ტექნოპოლისი, საინოვაციო-სამეწარმეო უნივერსიტეტი და სხვა, რომელთა განხილვასაც შემოგთავაზებთ ნაშრომის შემდეგ თავებში.

კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპებზე განათლება არსებობდა როგორც საქმიანობის სახეობა და ხორციელდებოდა უშუალოდ შრომითი და სოციალური ვალდებულებების შესრულების პროცესში. მიუხედავად ამისა, ენა ხელს უწყობდა როგორც იმ ცოდნის სულ უფრო მეტად დაგროვებას, რომლის ოდენობაც გეომეტრიული პროგრესიით მატულობდა, ასევე მის გადაცემას სხვადასხვა სოციალურ დონეებზე იმ წარმომადგენელთა მეშვეობითაც კი, რომლებიც უშუალოდ არ იყვნენ დასაქმებული ამ სფეროში. ცოდნა მატულობდა და საჭირო იყო მისი სისტემატიზაცია თაობიდან თაობისათვის და საზოგადოების ერთი ფენიდან მეორისათვის გადასაცემად. სწორედ ეს ითავა შესაბამისმა სოციალურმა ინსტიტუტმა; მეცნიერება, სწავლება და აღზრდა საქმიანობის კიდევ ერთ სახეობად იქცა.

სოციალური ინსტიტუტების ჩამოყალიბების აუცილებლობის განმსაზღვრელია შრომის საზოგადოებრივი განაწილება, რომელიც წარმოქმნის მოთხოვნილებას, ამა თუ იმ სოციალურ ინსტიტუტზე და რომელიც ხორციელდება გააზრებული მიზანმიმართული საქმიანობის პროცესში.

სოციალური ინსტიტუტები საზოგადოებაში ჩნდება როგორც სოციალური ცხოვრების მსხვილი დაუგეგმავი პროდუქტი. სოციალურ ჯგუფებში ადამიანები ცდილობენ თავიანთი მოთხოვნილებების რეალიზება ერთად მოახდინონ და საამისოდ სხვადასხვა ხერხებს ეძებენ. საზოგადოებრივ პრაქტიკაში ისინი პოულობენ ზოგიერთ მისაღებ ნიმუშებს, ქცევის შაბლონებს, რომლებიც თანდათანობით, გამეორებისა და შეფასების კვალობაზე, სტანდარტიზებულ ჩვეულებებად და ჩვევებად ყალიბდება. გარკვეული დროის შემდეგ ქცევის ამ შაბლონებსა და ნიმუშებს მხარს უჭერს საზოგადოებრივი აზრი, ისინი ინერგება და მკვიდრდება. ამ საფუძველზე მუშავდება სანქციების სისტემა. დრო და დრო საზოგადოების ან სოციალური ჯგუფის წევრებს შეუძლიათ შეაგროვონ ეს პრაქტიკული ჩვევები და ნიმუშები, სისტემაში მოიყვანონ ისინი და მათი ლეგალური დადასტურება მოახდინონ, რის შედეგადაც ინსტიტუტები იცვლება და ვითარდება.

აქედან გამომდინარე, ინსტიტუციონალიზაცია წარმოადგენს პროცესს, რომელიც გულისხმობს სოციალური ნორმების, წესების, სტატუსების და როლების განსაზღვრასა და დამკვიდრებას, მათ სისტემაში მოყვანას, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს ზოგიერთი საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიმართულებით.

ინსტიტუციონალიზაცია ეს არის სპონტანური და ექსპერიმენტული ქცევის შეცვლა მოსალოდნელი ქცევით, რომლის განჭვრეტადია, მოდელირდება, რეგულირდება.

2.5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ოპერირება ბაზრებზე

ნებისმიერი უნივერსიტეტი ოპერირებს, როგორც მინიმუმ, სამ ბაზარზე: სამომხმარებლო ბაზარზე, პრესტიჟის ბაზარსა და აკადემიური სამუშაო ძალის ბაზარზე. ეს ბაზრები იმყოფებიან მჭიდრო ურთიერთკავშირში[38]:

ა) სამომხმარებლო ბაზარი - უნივერსიტეტის მდგომარეობა სამომხმარებლო ბაზარზე განისაზღვრება კლიენტების მოთხოვნილებებისადმი მის მიერ შემოთავაზებული პროგრამების შესაბამისობით. უნივერსიტეტი წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას, რომელიც სპეციალიზირებულია ცოდნის წარმოებაზე (კვლევების საშუალებით), მის ხელმისაწვდომობაზე (სწავლებისა და მომზადების საშუალებით) და მის გამოყენებაზე (ცოდნის მომსახურეობად და გაყიდვისთვის ვარგის პროდუქტად გარდაქმნის ხარჯზე). ის, რის შემოთავაზებაც შეუძლია უსდ-ს, ასე თუ ისე დაკავშირებულია (უნივერსიტეტის მიხედვით) ამ სამ ასპექტთან : სწავლებასთან, კვლევეებთან და მომზადებასთან. ზოგიერთი კლასიკური უნივერსიტეტი აცხადებს, აგრეთვე, პრეტენზიას კულტურული მემკვიდრეობის საცავების როლზე, რომელიც განსაზღვრავს ნებისმიერი საზოგადოების აწმყოსა და მომავალს.

ამდენად, სამომხმარებლო ბაზარი შედგება რამდენიმე სეგმენტისაგან – უმაღლესი განათლებისაგან, სამეცნიერო კვლევებისა და მომსახურეობებისაგან, რომლებიც სხვადასხვაგვარად არიან მოთხოვნილნი მომხმარებლების მიერ.

ბ) პრესტიჟის ბაზარი - რეპუტაცია მნიშვნელოვანი საქონელია; ის განსაზღვრავს უნივერსიტეტის მიმზიდველობას სტუდენტებისათვის, ცნობილ მკვლევარებისა და კვალიფიცირებული პედაგოგებისთვის, აგრეთვე, პოტენციური ინვესტორებისთვის. მთელ მსოფლიოში უნივერსიტეტები წარმოადგენენ რეპუტაციის ბაზრის აქტიურ მონაწილეებს, მიისწრაფვიან რა თავიანთი პრესტიჟის გაზრდისკენ. პრესტიჟი, პირველ რიგში, განისაზღვრება სწავლებისა და კვლევების ხარისხით.

სწავლებისა და კვლევების ხარისხის გარდა, არსებობს უნივერსიტეტების პრესტიჟის გაზრდის სხვა გზებიც:

- წარსული დიდების აღორძინება – მსოფლიო სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობის განვითარებაში უნივერსიტეტის წვლილის ხაზგასმა. პრესტიჟი დამოკიდებულია არა მარტო მიმდინარე მიღწევებზე, არამედ წინანდელი დამსახურების გონიერ გამოყენებაზე. დიდი ხნის ტრადიციები ბევრ რამეს ნიშნავს პრესტიჟის თვალსაზრისით.
- უნიკალური თავისებურებების ხაზგასმა, რომლებიც განასხვავებენ მოცემულ უნივერსიტეტს სხვებისაგან.

---

[38] Микла М. стр. 2-7

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ უსდ-ს პრესტიჟი, პირველ რიგში, დამოკიდებულია შიდა მექანიზმებზე და დადასტურებულია მომხმარებელთა შეფასებებით. კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის მონაცემების ბაზა შეიძლება იქცეს პრეტიჟის გაზრდის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, განსაკუთრებით კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე. წინანდელი დამსახურების გონიერმა გამოყენებამ და მოცემული უნივერსიტეტის უნიკალურ თავისებურებთა ტაქტიკურმა ხაზგასმამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ მისი მდგომარეობა პრესტიჟის ბაზარზე და აღმოჩნდეს სასარგებლო მისი განვითარებისთვის. პრესტიჟის ბაზარზე ყურადღების გამახვილების ნებისმიერი ხერხი ხელს შეუწყობს ახალი ინვესტორების გამოჩენას და მოწმობს სამეწარმეო სულისკვეთების შესახებ.

გ) აკადემიური შრომის ბაზარი - მესამე ბაზარი, რომელზეც უნდა ფუნქციონირებდნენ უსდ-ები, აკადემიური შრომის ბაზარია. იდეაში ნებისმიერ უნივერსიტეტი ცდილობს დაიქირავოს საუკეთესო მეცნიერები და მკვლევარები; ისინი ხელს უწყობენ თავიანთი დისციპლინების განვითარებას და, საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტის პრესტიჟისა და საერთო დონის ამაღლებას. ამ ბაზარზე სამეწარმეო მოქმედება ნიშნავს მსოფლიო დონის სპეციალისტების მოზიდვას, სთავაზობენ რა მათ საინტერესო კარიერულ შესაძლებლობებს, უფრო მაღალ ანაზღაურებას, მაღალი კლასის ლაბორატორიებს და ა.შ.

თავი II
პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

§1. პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება

1.1. ზოგადად

პირველივე უმაღლეს სასწავლებლებს მაშინვე უნივერსიტეტები ეწოდა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამით ისინი განისაზღვრებოდნენ როგორც სასწავლო ცენტრები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინით „უნივერსიტეტი“ თავდაპირველად აღინიშნებოდა ნებისმიერი კორპორაციული წარმონაქმნი, რომელიც იცავდა გარკვეული კატეგორიის პირთა ინტერესებს.

თავდაპირველად, ადამიანთა ნებისმიერი ორგანიზებული კავშირი შეიძლებოდა უნივერსიტეტად წოდებულიყო, არაფერი უშლიდა ხელს იმას, რომ ასე წოდებულიყო ქალაქი ან ნებისმიერი სახელოსნო, საამქრო. უნივერსიტეტი სტატუსით უთანაბრდებოდა საამქროს სტატუსს, ამიტომაც შეინიშნებოდა მსგავსება უნივერსიტეტისა და საამქროს მართვაში, რაც ვლინდებოდა თავმჯდომარის მეთაურობით საერთო კრების არსებობით, აგრეთვე მოწაფეების, ბაკალავრების და მაგისტრების ან დოქტორების გრადაციით. ეს შეესაბამებოდა შეგირდების, ქარგლების და ოსტატების საამქრო ტრადიციებს.

1106 წელს გელათის მონასტერთან დავით აღმაშენებლის ხელშეწყობით დაარსდა ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, სადაც სამოღვაწეოდ თავი მოიყარეს ქართულმა სწავლულებმა, მათ შორის იყვნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. გელათის მონასტერი დავით მეფის

სიცოცხლეშივე იქცა „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად, სხუად ათინად“. დავითის ისტორიკოსის მიერ ამ ორი ქალაქის - ათენისა და იერუსალიმის, ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული რწმენის ამ ორი სიმბოლოს, დაკავშირებას საფუძვლად უდევს შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროსათვის დამახასიათებელი პრინციპი რწმენისა და ცოდნის ერთიანობისა“[39].

გელათის აკადემიიდან წამოსული არსენ იყალთოელი იყო პირველი რექტორი XI-XII საუკუნეებში საქართველოში დაარსებული უმაღლესი სასწავლებლის, რომელიც იყალთოს აკადემიად იწოდებოდა. ქართულ აკადემიებში, კერძოდ, იყალთოს აკადემიაშიც სწავლება ძირითადად „ტრივიუმ-კვადრივიუმის“[40] ციკლის საგნებს ითვალისწინებდა. ისწავლებოდა აგრეთვე მჭედლობა, კერამიკა („მეკეცეობა“) და მევენახეობა-მეღვინეობა.

შუასაუკუნის სულიერი კულტურის დამახასიათებელი თვისებები: რელიგიურობა, ტრადიციონალიზმი, კანონიკურობა, სიმბოლიზმი, წარმოადგენდნენ ქრისტიანული განათლების საფუძვლებს. ეკლესია, როგორც განათლების უმნიშვნელოვანესი ორგანიზატორი ხსნიდა საეკლესიო და სამონასტრო სკოლებს. ამასთან, ფუნქციონირებდა სახალხო სკოლები. სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ ჯერ კიდევ 534 წელს, რომში არსებობდა იურიდიული სკოლა, რომელიც შემდგომ გადატანილი იქნ„ ბოლონიაში. მოგონებები რომის სამართლის პედაგოგის – პეპოს (პეპინო) შესახებ გვხვდება 1050 წლიდან, რომელიც იყო სამართლის პროფესორი ბოლონიაში.[41] ევროპული განათლება და მისი მოღვაწეობის პრინციპები გამოიხატებოდა მეცნიერების ყველა დარგის თავისუფალ განვითარებაში. ფანათლების ისტორიული ასპექტები ევროპის მოდერნიზაციის კონტექსტში ქმნიდა კულტურის აღორძინებისა და ტრანსფორმაციის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარების ეპოქას. განათლების განვითარების ადრეულმა ეპოქამ საზოგადოებაში პოლიტიკურ-კულტურული ცვლილებები გამოიწვია, რამაც თავის მხრივ განსაზღვრა სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების ფორმირება.

შუასაუკუნეების უნივერსიტეტებს შორის გამოკვეთილია „დედა-უნივერსიტეტები“ - პარიზის, ბოლონიის, ოქსფორდისა და სალამანკის უნივერსიტეტები (მე-14 საუკუნიდან მკვიდრდება ეპითეტი `lma mater). ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ისინი იყვნენ უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ლიდერები და სხვა უნივერსიტეტები აგრძელებდნენ მათ ტრადიციებს. ხაზგასმით ეს ეხება შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ პარიზის უნივერსიტეტს.[42]

---

[39] მელიქიშვილი დ., გვ. 12

[40] ტრივიუმ-ი (ლათ. trivium „სამი გზის გასაყარი“) – შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში: სასწავლო საგნების ერთ-ერთი ციკლი, რომელშიც შედიოდა გრამატიკა, რიტორიკა და დიალექტიკა. კვადრივიუმ-ი (ლათ. quadrium„ოთხი გზის გასაყარი) – შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში საერო განათლების მაღალი კურსი, რომელშიც შედიოდა ოთხი საგანი: მუსიკა, არითმეტიკა, გეომეტრია და ასტრონომია. – უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შემდგენელი ჭაბაშვილი მ., გვ 506, გვ. 227გვ.

[41] Покровский И.А. стр.1

[42] Ястребицкая А.Л. 1978. с.76

გერმანიაში უნივერსიტეტები მხოლოდ XIV საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება, როცა იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში უკვე დამთავრებულია უნივერსიტეტების შიდა სტრუქტურების ჩამოყალიბება. ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტები XII საუკუნეში შეიქმნა. 1348 წელს კარლოს IV პრაღაში აარსებს უნივერსიტეტს, პარიზის უნივერსიტეტის მსგავსს, სადაც თავად სწავლობდა. შემდეგ ჩნდება უნივერსიტეტები ვენაში (1365 წ.), კელნში, ერფრუტში, ლაიფციგში, როშტოკში (1506 წ.) და სხვაგან, ასე რომ გერმანიას XVI საუკუნის დამდეგისათვის უკვე თექვსლეტი სასწავლებელი ჰქონდა[43].

1.2. უძველესი უმაღლესი სასწავლებლების ორგანიზაციული მოდელები.

უნივერსიტეტის მოდელი უფრო კონკრეტულად განვიხილოთ პარიზის უნივერსიტეტის – ევროპის უძველესი უნივერსიტეტის მაგალითზე, რომელიც დაარსდა 1215.

პირველ უმაღლეს სასწავლებლებს თავიდან იმ დროის მოთხოვნათა შესაბამისი მარტივი ორგანიზაციული სტრუქტურა ჰქონდათ. მაგალითად, პარიზის უნივერსიტეტი შედგებოდა რამდენიმე დიდი სათვისტომოსგან („ნაციისგან“), რომლებიც ეროვნული ნიშნით აერთიანებდა პედაგოგებს. სულ ოთხი სათვისტომო იყო: ფრანგული (პარიზი, რეიმსი, ტური, ბურჟი, სამხრეთ საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი), ნორმანდიული (ჩრდილოეთ საფრანგეთი, ნორმანდია, სამხრეთ ნიდერლანდის ნაწილი), პიკარდიული (პიკარდია და მეზობელი ოლქები, ნიდერლანდის ნაწილი), ინგლისური (ინგლისი, გერმანია, ჰოლანდია, შვედეთი, დანია, ნორვეგია, უნგრეთი, სლავური ქვეყნები). სტუდენტები ამ სათვისტომოებში არ შედიოდნენ. მოგვიანებით ამ სათვისტომოების მაგისტრებმა შექმნეს ერთიანი ფაკულტეტი, რომელსაც ეწოდა „თავისუფალ ხელოვნებათა“ ფაკულტეტი, ანუ „არტისტთ„“ ფაკულტეტი. მას განათლების ყველაზე დაბალ საფეხურად მიიჩნევდნენ. ამ ფაკულტეტზე სწავლება ექვსი წდლი მიმდინარეობდა.

პარიზის უნივერსიტეტის შესახებ იმ მცირერიცხოვანი ცნობებიდან, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ იმ პერიოდის უნივერსიტეტის მართვის ორგანოებზე. ყოველ ნაციას სათავეში ედგა პროკურატორი, მათი უფროსი იყო – არტისტთა ფაკულტეტის მეთაური – რექტორი. სამ ფაკულტეტს კი სათავეში ედგნენ დეკანები. მათ ერთი წლით ირჩევდნენ. მხოლოდ თეოლოგიური ფაკულტეტის დეკანს ირჩევდნენ ორი წლით. პროკურატორს ირჩევდნენ ერთი თვით, რექტორს თავდაპირველად ასევე ერთი თვით, მერე უკვე ექვსი კვირით[44].

საინტერესოა, რომ თავდაპირველ ტერმინს „ფაკულტეტი“ სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ახლა აქვს. ის აღნიშნავდა, ჯერ ერთი, თავად სასწავლო დარგს, მეორე, ეს ცნება მიანიშნებდა სამეცნიერო დარგის სწავლების უნარს.

ჩამოყალიბებული წესი, რომლის დროსაც ყველა დონის ხელმძღვანელებს ირჩევდნენ მასწავლებლები, ბუნებრივი იყო და

[43] Реали Д. и Антисери Д. с. 87
[44] Дювернуа Н.Л. с.117.

შეესაბამებოდა დროის სულისკვეთებას. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ჩამოყალიბების სხვა წესი იმ პერიოდში სრულიად შეუძლებელი იყო. მასწავლებლის თანამდებობა უნივერსიტეტების ჩამოყალიბების პერიოდში თავისუფალი და რაიმე ძალაუფლებისგან დამოუკიდებელი იყო. უნივერსიტეტის მასწავლებლები კი, თავად უნივერსიტეტის ბუნებრივი წარმოშობის გამო, დამსახურებული ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდნენ საზოგადოებაში, რომელიც ცოდნას ესწრაფვოდა.

თავისებური იყო პარიზის უნივერსიტეტის რექტორის მდგომარეობა. ფაკულტეტის დეკანს რექტორზე მაღალი სტატუსი ჰქონდა, ამიტომ თუ რექტორს ერთ-ერთ ფაკულტეტზე დოქტორის ხარისხის მიღება სურდა, რექტორის უფლებამოსილება უნდა მოეხსნა. ჩვენამდე მოღწეულ ცნობებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პარიზის უნივერსიტეტი ერთიან ორგანიზაციას არ წარმოადგენდა. იგი შედგებოდა დამოუკიდებელი ფაკულტეტებისგან, რომლებიც უნივერსიტეტში კორპორაციების უფლებით შედიოდა. უნივერსიტეტში რეალური ძალაუფლება ფაკულტეტების დეკანებს ჰქონდათ. ფაკულტეტებს ჰქონდათ თავიანთი ქონება, რომლის მეშვეობითაც იფარებოდა ქირა, სასკოლო ნაგებობების მოწყობის და შეკეთების, აგრეთვე ღვთისმსახურების ხარჯები, დანარჩენი შემოსავალი ფაკულტეტის მაგისტრებს შორის ნაწილდებოდა. თავად უნივერსიტეტს არავითარი სახსრები არ გააჩნდა, ამიტომ თუ საჭირო იყო პროცესის წარმართვა, ამ საჭიროებებისათვის ფულს უნივერსიტეტის ყველა წევრი გაიღებდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფაკულტეტის შემოსავალს, უმთავრესად, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციების დაცვისათვის საფასურიდან მოსაკრებლები შეადგენდა. შემოსავლის დანარჩენ ნაწილი გროვდებოდა ლექციების წაკითხვისათვის მიღებული სახსრების ხარჯზე. ხაზგასასმელია ის მფლანგველობა, რომელიც ფაკულტეტებს ახასიათებდა. მათ მიერ მიღებული მთელი სახსრები უნდა დახარჯულიყო, დარჩენილი სახსრები უნივერსიტეტს არ გადაეცემოდა. ამიტომაც სხვა უნივერსიტეტებს შორის პარიზის უნივერსიტეტი სიღარიბით გამოირჩეოდა. ვფიქრობთ, სწორედ ეს გარემოება გახდა საბოლოდ პარიზის უნივერსიტეტის დასუსტების მიზეზი. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ის, რომ პარიზის უნივერსიტეტი თავისი არსებობის განმავლობაში არაერთგზის გარდაქმნილა, თუმცა ეს გარდაქმნები არ შეხებია მის სტრუქტურებს. 1873 წელს წარდგენილი იქნა პარიზის უნივერსიტეტის რეორგანიზაციის ბოლო პროექტი, რომლის თანახმადაც მოხდა ყველა ფაკულტეტის გაერთიანება და დამკვიდრდა რექტორისა და საბჭოს საერთო მმართველობა. ამასთან, ცენტრალური ადგილი დაეთმო საბჭოს, რომელსაც დაეკისრა ქონების მართვის ყველა ძირითადი საკითხის გადაწყვეტა.[45]

სხვა სრუქტურა აქვს შუა საუკუნეების ბოლონიის უნივერსიტეტს. ბოლონიის უნივერსიტეტი მსოფლიოში სიძველით ცნობილი უნივერსიტეტია. 2000 წლიდან სახელი გადაერქვა და ეწოდება ALMA MATER STUDIORUM (ლათ. სწავლის დედაბოძი) მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტის ტიტულის პატივსაცემად. უნივერსიტეტმა ქარტია მიიღო ფრიდრიხ ბარბაროსასგან 1158 წელს, თუმცა მე-19

[45] Суворов Н. стр 197-211

საუკუნეში ისტორიკოსთა კომიტეტმა ჯოსუე კარდუჩის მეთაურობით მიაკვლია უნივერსიტეტის დაბადების ნამდვილ თარიღს – 1088 წელს. დასავლეთის სამყაროში ყველაზე მხცოვანმა უნივერსიტეტმა 900 წლისთავი 1988 წელს აღნიშნა. ბოლონიის უნივერსიტეტი ისტორიულად ცნობილია კანონიკური და საზოგადოებრივი სამართლის სწავლებით.[46]

თავი III. საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემები

§ 1. უმაღლესი განათლების სისტემების დახასიათება ცალკეული ქვეყნების მიხედვით

1.1.ზოგადად

სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემები მრავალფეროვანია და მათი განვითარების ხარისხის განმსაზღვრელი ძირითადად ქვეყნის განვითარების დონეა. დასავლეთში უმაღლეს განათლებას განიხილავენ არა როგორც ნაციონალური პრიორიტეტების უზრუნველყოფის სფეროს, არამედ როგორც პიროვნებისთვის შესაძლებლობის მიცემას დაიკავოს უფრო მაღალი მდგომარეობა ცხოვრებაში. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ზოგად ტენდენციას წარმოადგენს ე.წ. უმაღლესი განათლების რეგიონალიზაცია. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, საერთოდ არ არსებობენ ეროვნული უნივერსიტეტები, რიგ ქვეყნებში სახელმწიფო უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა წარმოქმნა კერძოებზე მნიშნელოვნად უფრო გვიან დაიწყეს ან პირიქით.

აღნიშნული თავის მიზანია სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემების შემოთავაზებული ფორმების გათვალისწინებით საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის დახასიათება.

1.2. საფრანგეთის უმაღლესი განათლების სისტემა

საფრანგეთის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა 87 უნივერსიტეტისაგან შედგება, მათ შორისაა – არასახელმწიფო კათოლიკური ინსტიტუტი და სამი ნაციონალური პოლიტექნიკური (უნივერსიტეტის ტიპის) ინსტიტუტი. უნივერსიტეტებთან ფუნქციონირებს სპეციალიზირებული ინსტიტუტები. მათ შორის 113 ტექნოლოგიური, 66 პროფესიული და 30 პედაგოგიური პროფილის. სახელმწიფო, ეროვნული სწავლების მართვის ძირითადი ფუნქციები ხორციელდება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. სპეციალიზირებული უმაღლესი სასწავლებლების დიდი ნაწილი პროფილური სამინისტროებისა და უწყებების დაქვემდებარებაშია. სახელმწიფო ასევე რჩება უმაღლესი განათლების ფინანსირების წყაროდ.

- **სორბონა** – საფრანგეთის ყველაზე ძველი და ცნობილი უნივერსიტეტია. მისი ისტორია, როგორც საეკლესიო კოლეჯის, იწყება 1215 წელს. 1968 წლის „მაისის რევოლუციის“ შემდეგ, საფრანგეთის უმაღლესი განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმის შედეგად, სორბონის გიგანტური უნივერსიტეტი დაყოფილ იქნა ნაწილებად, რომელთაგან თითოეულმა მიიღო ავტონომიური უნივერსიტეტის სტატუსი. სორბონის პირდაპირი მემკვიდრეები არიან: პარიზი I – პანტეონ სორბონა, სადაც

[46] Покровский И.А. стр. 1-3

სწავლობს 40 ათასზე მეტი სტუდენტი; პარიზი III – ახალი სორბონა, სადაც დღეისათვის 20 ათას სტუდენტზე მეტი სწავლობს, პარიზი IV – პარიზი-სორბონის უნივერსიტეტი, სადაც 25 ათასზე მეტი სტუდენტია; პარიზი V – რენე-დეკარტის სახელობის უნივერსიტეტი, სადაც 30 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. სორბონის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არიან პარიზის უნივერსიტეტის სპეციალობების მემკვიდრეები.[47]

საფრანგეთის უმაღლესი განათლების სისტემა ხასიათდება, ერთი მხრივ, უმაღლესი სასწავლებლების დიდი მრავალფეროვნებით, მეორე მხრივ, მართვის საკმაოდ უნიფიცირებული და ცენტრალიზებული სისტემით. მიუხედავად ბოლო ორ ათწლეულში დაწყებული დეცენტრალიზაციის პროცესებისა, რომელთა დროსაც ავტონომია მიეცა სახელმწიფო დეპარტამენტებს, ტერიტორიულ და რეგიონალურ ხელისუფლებას, სახელმწიფო ინარჩუნებს ძირითად როლს განათლების მართვაში (მათ შორის ფინანსური და საკადრო საკითხების გადაწყვეტაში).

საფრანგეთში უმაღლესი სასწავლებლების მრავალფეროვნება დიდ შესაძლებლობებს იძლევა სტუდენტთა შერჩევისათვის, თუმცა ამავდროულად პრობლემებს უქმნის უმაღლესი განათლების მთელ სისტემას და ამგვარად, რეფორმების ძირითადი ვექტორი მიმართულია უმთავრესად უმაღლესი სასწავლებლების მართვის დეცენტრალიზაციისკენ, განათლების ხარისხის კონტროლის ახალი მექანიზმების შექმნისკენ, უმაღლესი სასწავლებლების შიდა სტრუქტურის შეცვლისა და უნიფიკაციისკენ, უმაღლესი სასწავლებლების ერთიანი სასწავლო ციკლების შემუშავებისა და მიღებისაკენ, იმასთან ერთად, რომ იქმნება სტუდენტთა სწავლების ინდივიდუალური გეგმები და ხორციელდება აკადემიური მობილურობის ხელშემწყობი ღონისძიებანი.

საფრანგეთის საინტერესო თავისებურება მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ ამ ქვეყანაში „გამოყენებით“ უმაღლეს სასწავლებლებს უძველესი ისტორიული ფესვები აქვს და ამჟამად რეიტინგების უმრავლესობით შორს უსწრებს „კლასიკურ“ უნივერსიტეტებს.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის განათლების სისტემა მოიცავს არა მხოლოდ თავად კონტინენტურ საფრანგეთს, არამედ მის დაშორებულ ტერიტორიებსა და დეპარტამენტებს – კუნძულებს ინდოეთის, ატლანტიკის და წყნარ ოკეანეებში (DOM).[48]

1.3. დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემა

ისტორიულად დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში ჩამოყალიბდა მმართველობის ძალზე განსხვავებული ტრადიციები. 1992 წლამდე დედოფლის ბრძანებით დაფუძნებული „ძველი“ უნივერსიტეტები სარგებლობდნენ მნიშვნელოვანი ავტონომიით და მათ ტრადიციულად მართავდა აკადემიური საზოგადოება კოლეგიური მეთოდით, რომელიც მოიცავდა კომიტეტების რთულ სტრუქტურას. გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა აუჩქარებლად და დაკვირვებით; აკადემიური პერსონალი

[47] ვებგვერდი "Университеты мира" - Сорбона стр.1
[48] ვებგვერდი „Экономика, Социология, Менеджмент" стр. 5

აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუციონალურ მენეჯმენტში. რექტორს ეკავა primu inter peres (ლათ. პირველი თანასწორთა შორის) მდგომარეობა; უფროსი თანამშრომლები ერთმანეთს ცვლიდნენ დეკანებისა და კათედრათა ხელმძღვანელების პოსტებზე, ხოლო ადმინისტრატორები ახორციელებდნენ სამუშაო პროცედურებს, მაგრამ პრაქტიკულად მონაწილეობას არ ღებულოდნენ გადაწყვეტილებათა მიღებაში. ძალზე რთულია ადრინდელი მდგომარეობით შევაფასოთ პროფესურის „ბარონთა“ ავტოკრატია და ცალკეული მუშაკების დომინირება მენეჯმენტის სისტემაში, რომელსაც არ ჰყოფნიდა გამჭვირვალობა.

ამ უნივერსიტეტებისათვის მსოფლიომ შეცვლა დაიწყო XX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც სამთავრობო დაფინანსების შემცირებას თან ახლდა უნივერსიტეტებისადმი ახალი მოთხოვნების წარმოქმნა. უმაღლეს განათლებაში შეაღწიეს ახალი საზოგადოებრივი მმართველობის იდეებმა. დაიწყო გადასვლა მენეჯმენტისა და ფინანსების უფრო რთულ სტრუქტურებზე. აღიარებულ იქნა უფრო ეფექტური მენეჯმენტის აუცილებლობა როგორც აკადემიურ ქვედანაყოფებში, ისე პროფესიულ სამსახურებშიც. უნივერსიტეტთა უმრავლესობაში ამ სიახლეებმა წარმატებით ჰპოვეს ასახვა ძველ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე (კათედრებსა და ფაკულტეტებზე), მართვის ტრადიციულ ფორმებსა (საბჭოსა და სენატზე) და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში აკადემიკოსების უზენაესობასა და მონაწილეობაზე, საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებებზე. 1990-იანი წლების ბოლოსთვის მომწიფდა ორგანიზაციის მართვაში უფრო ფუნდამენტური ცვლილებების აუცილებლობა, რასაც არ შეიძლებოდა ზეგავლენა არ მოეხდინა აკადემიური პერსონალის როლზე ინსტიტუციების ფუნქციონირებასა და აკადემიური პროფესიისთვის მთლიანობაში.[49]

- **ოქსფორდის უნივერსიტეტი** დიდი ბრიტანეთის პირველი და ინგლისურენოვანი სამყაროს უძველესი უნივერსიტეტია, რომელიც დაარსებულ იქნა 1117 წელს. უნივერსიტეტი შედგება 39 კოლეჯისაგან. დღეისათვის ოქსფორდში 18 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. მათ შორის 1/4 უცხოელია. მათი რაოდენობა მკვეთრად იზრდება ზაფხულში, როდესაც ფუნქციონირებას იწყებენ საზაფხულო ენის შემსწავლელი სკოლები. ოქსფორდში მოღვაწეობს 4000-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი, რომელთაგან 70 სამეფო საზოგადოების, ხოლო 100 ბრიტანეთის აკადემიის წევრია. ოქსფორდი არა მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, არამედ იგი უმსხვილესი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია, რომელსაც 100-ზე მეტი ბიბლიოთეკა აქვს. სტუდენტების სამსახურშია 300-ზე მეტი წრე ინტერესების მიხედვით.[50]

არსებობს დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემის ორი ურთიერთსაპირისპირო შეფასება. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ბრიტანეთის მოდელი წარმოადგენს ბოლონიის საგანმანათლებლო სისტემის ტიპურ მაგალითს და ამიტომ ინტეგრაციის ავანგარდში

[49] Taylor J, p. 251-274

[50] ვებგვერდი "Университеты мира" - Оксфорд. стр. 1

იმყოფება. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: უმაღლესი სასწავლებლების ორიენტაცია ბაზრის მოთხოვნილებებზე, მათი მჭიდრო კავშირი ბიზნეს-საზოგადოებასთან, აქტიური კვლევითი საქმიანობა, სპეციალური სააგენტოების მეშვეობით სახელმწიფო კონტროლი.

უმაღლესი განათლების ბრიტანულ მოდელზე პრინციპულად განსხვავებული თვალსაზრისი მოცემულია დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტისათვის წარდგენილ კვლევითი კომისიების მოხსენებებში (მაგალითად, „დირინგის მოხსენებაში“, 1997 წ. და „რობინსის მოხსენებაში“, 1963 წ.). ამ მოხსენებებში ბრიტანეთის საგანმანათლებლო სისტემა აღწერილია, როგორც უაღრესად რთული, არაერთგვაროვანი, დივერსიფიცირებული, უამრავი სპეციფიკური თვისებების მქონე.

ორ შეფასებას შორის აშკარა წინააღმდეგობის მიუხედავად, ისინი ასახავს უმაღლესი განათლების ბრიტანული სისტემის მნიშვნელოვან ასპექტებს. ჩვენთვის ბრიტანული მოდელი საინტერესოა რამდენიმე მიზეზის გამო:

· უმაღლესი განათლების ბრიტანული სისტემა ეს ერთ-ერთი ყველაზე მყარი ევროპული მოდელია, რომელიც ხანგრძლივ საუნივერსიტეტო ტრადიციას ემყარება;

· დიდმა ბრიტანეთმა სხვა ევროპულ ქვეყნებზე ადრე გააცნობიერა განათლების მოდერნიზაციის აუცილებლობა და მისი სტრატეგიის შემუშავებას შეუდგა;

· დიდ ბრიტანეთში აქტიურად ინერგება უნივერსიტეტების მართვის ახალი პრაქტიკა, რომელიც იწვევს სერიოზულ ცვლილებებს განათლების სისტემაში;

· განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბრიტანეთის უნივერსიტეტებში დანერგილი კვლევითი საქმიანობის ეფექტიანი სტიმულირების პრაქტიკა;

· ყურადღებას იპყრობს ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;

დასასრულ, საყურადღებოა მოდერნიზაციის ნეგატიური შედეგები და მათი დაძლევის გზები.

გასული საუკუნის ბოლო ორი ათწლეული აღინიშნა დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში სტუდენტთა რაოდენობის მკვეთრი ზრდით. მრავალი ინსტიტუტი გაიზარდა მოცულობებში ორჯერ მეტად, როგორც ინსტიტუციონალური შერწყმების, ისე ჩარიცხვათა გაფართოების ხარჯზე. აგრეთვე, გააქტიურდა კვლევითი საქმიანობა. უნივერსიტეტის მენეჯერთა უმრავლესობისთვის სავსებით ახალი იყო, რომ ეს თვისობრივი და რაოდენობრივი გაფართოება მოითხოვს რეაქციას ორგანიზაციისა და მართვის კუთხით. გარკვეული დროის განმავლობაში არსებული სტრუქტურები აგრძელებდნენ გამკვლავებას, მაგრამ საუკუნის ბოლოსთვის გარდამტეხი მომენტი მიღწეულ იქნა.

ამავე დროს ტექნოლოგიურმა განვითარებამ საშუალება მისცა შეემუშავებინათ ახალი მიდგომები მენეჯმენტისადმი.

აუცილებელია ხაზი გავუსვათ, რომ ბრიტანული უნივერსიტეტები ერთობლივად აღიარებულია წარმატებულად ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორებიცაა აბიტურიენტთა რაოდენობა, კურსდამთავრებულთა მოთხოვნილება შრომის ბაზარზე, სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების შედეგები, ფინანსური მაჩვენებლები და ა.შ. თანამშრომელთა ნაწილს ეჭვი ეპარებოდა ცვლილებათა აუცილებლობაში: „რატომ შევაკეთოთ ის, რაც მუშაობს?“ უფრო მეტიც,

მნიშვნელოვან შეშფოთებას, განსაკუთრებით უფროსი თაობის პედაგოგებში, იწვევდა უშუალო ვალდებულებებისაგან თავის არიდების აუცილებლობა. თუმცა უნივერსიტეტებმა ჩათვალეს საჭიროდ თავიანთი შიდა ორგანიზაციის შეცვლა.

ბრიტანული უნივერსიტეტის დაწვრილებითი ანალიზი მოწმობს იმის შესახებ, რომ მოტივაცია ასახავს ორგანიზაციული ცვლილებების ოთხ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს:

- ადმინისტრაციის სრულყოფას;
- დისციპლინურ ტრანსფორმაციებს;
- გარედან ზეწოლას;
- კონკურენციას. [51]

1.4. გერმანიის უმაღლესი განათლების სისტემა

მიუხედავად ერთეული საწავლო დაწესებულების ფუნქციის განმახორციელებელი კერძო დაწესებულებებისა, გაბატონებული იყო მიდგომა, რომელიც შეესაბამებოდა ტრადიციულ მოსაზრებას, რომ მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება იყოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ფუნქციების განმახორციელებელი.[52] მე-20 საუკუნის 60-ანი წლების დასასრულსა და 70-ანი წლების დასაწყისში იმატა კრიტიკამ ამ მოსაზრების წინააღმდეგ[53]. მეცნიერული ანალიზის ძირითადი კვლევის საგანი გახდა „კერძო ფონდის უნივერსიტეტი". აღნიშნული დისკუსიის შედეგად 1976 წელს მიღებულმა „უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ჩარჩო კანონის[54]" 70-ე პარაგრაფმა დაუშვა კერძო უნივერსიტეტების ჩამოყალიბების შესაძლებლობა. 1898 წლიდან არსებული და 1992 წელს ხელახლა ჩამოყალიბებული ლაიპციგის მიწის უმაღლესი სკოლის გვერდით შეიქმნა ახალი კერძო უნივერსიტეტები ოესტრიხ-ვინკელში (1971 წ.), ბერლინში (1973 წ.), ვიტენში (1980 წ.), ვალენდარში (1984 წ.) და ვაილჰაიმ-ბირბრონერში (1989 წ.). პროცესი უფრო ინტენსიური გახდა 90-ანი წლების ბოლოს, ამ პერიოდში ჩამოყალიბდა დამატებით ექვსი ახალი კერძო უნივერსიტეტი[55].

გერმანიის უმაღლესი განათლების სისტემა 383 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აერთიანებს, მათ შორის 103 უდიდესი ნაწილი სახელმწიფოა და ფინანსდება მთავრობის მიერ. კერძო უსდ-ების რაოდენობა შედარებით მცირეა. დღეისათვის ფუნქციონირებს 69 კერძო უსდ. კერძო უმაღლეს დაწესებულებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელმწიფო ლიცენზია.

- ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი - გერმანული „კლასიკური" უნივერსიტეტის იდეა უდიდესს ფილოსოფოსისა და რეფორმატორის ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის სახელს უკავშირდება, რომელიც დაარსდა 1809 წელს. სწავლება

[51] Taylor J. - p. 251-274
[52] Kimminich, S. 596; Thieme,
[53] Becker, DVBl, 2002
[54] Lorenz, in: Hochschulrahmengesetz, Kommentar
[55] ეს უნივერსიტეტებია, ეკონომიკისა და სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა ლარში (1997), გერმანიის ინტერნაციონალური უნივერსიტეტი ბრუხსალში (1998), მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების შტუდგარდის ინსტიტუტი (19998), მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ინტერნაციონალური სკოლა ჰანოვერი (1999), ბრემენის ინტერნაციონალური უნივერსიტეტი (1999), ბუცერიუსის სამართლის სკოლა ჰამბურგში (2000), წყარო: Becker, გვ. 1-2.

უნივერსიტეტში 1810 წელს დაიწყო და თავდაპირველად სულ 256 სტუდენტი ირიცხებოდა. 1949 წლიდან უნივერსიტეტს ჰუმბოლდტის სახელი ეწოდა. მე-19 საუკუნეში უნივერსიტეტი ერთ-ერთი უმსხვილესი ევროპული კვლევითი ცენტრი გახდა. ჰუმბოლდტის მიერ შექმნილი უნივერსიტეტის თეორიული და სტრუქტურული საფუძვლები სიღრმისეულად ეყრდნობოდა ნეოჰუმანისტურ ფილოსოფიას.[56]

- **ჰეიდელბერგის უნივერსიტეტი** - გერმანიის ერთ-ერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტად მიჩნეულია ჰეიდელბერგის უნივერსიტეტი, რომელიც დაფუძნებულია 1386 წელს, რომის პაპის აქტიური მხარდაჭერით. სადღეისოდ ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში 25000-ზე მეტი სტუდენტია, მათ შორის 15% უცხოელი. ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან მსოფლიოს 128 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები. ჰეიდელბერგის პირველ სტუდენტთა მიერ შეიქმნა ცნობილი სტუდენტური ჰიმნი Gaudeamus.[57]
- **ბრემენის საერთაშორისო უნივერსიტეტი** (ბსუ) არის იმის თვალსაჩინო მაგალითი, თუ როგორ მოქმედებს ლეგიტიმურობის კონტინიუმი შედეგების შემოწმებადობისა და გამჭვირვალობის პირობებში. ხუთზე ნაკლები წლის განმავლობაში ბსუ დოკუმენტებისა და გეგმების პაკეტიდან გადაიქცა სრულმასშტაბიან ფუნქციონირებად უნივერსიტეტად.

იმის წყალობით, რომ ბსუ-მ წინ წაიწია ლეგიტიმურობის კონტინიუმამდე ასე სწრაფად, შეიძლება გამოვყოთ მისი მოძრაობის საკვანძო ეტაპები. ამ ახალი გერმანული კერძო უნივერსიტეტის გამოცდილება, აგრეთვე, მოგვცემს საშუალებას გავაცნობიეროთ, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგან კერძო უსდ-ბმა იმისათვის, რომ მიაღწიონ აღიარებას საკუთარ სამშობლოში.

ბსუ დაფუძნებულ იქნა ბრემენის მიწისა და ქალაქის პარლამენტის გადაწყვეტილებით, როგორც კერძო უნივერსიტეტი, 1999 წ. თებერვალში. ის უნდა გამხდარიყო გერმანიის ამ რეგიონის ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი, სადაც უმუშევრობის დონე იყო ყველაზე მაღალი ქვეყანაში. ამჟამად გერმანიაში ფუნქციონირებად კერძო უსდ-ების უმრავლესობას გააჩნია ერთი-ორი დისციპლინის მომცველი ვიწრო სპეციალიზაცია. თავდაპირველად ნავარაუდევი იყო, რომ ბსუ იქნებოდა საერთაშორისო ორიენტაციის მქონე ყოველმხრივი სამეცნიერო-კვლევითი უნივერსიტეტი.

---

[56] ვილჰელმ ფრაიჰერ ფონ ჰუმბოლდტი იხ. Battis/Grigoleit, S. 66; Woll, S. 338. ჰუმბოლდტისეული იდეალური უნივერსიტეტის მახასიათებელია საერთო ჭერქვეშ სხვადასხვა დისციპლინების რაც შეიძლება ფართო სპექტრის წარმომადგენელი კვლევარებისა და სტუდენტების გაერთიანება. განათლების ეს იდეალი განსხვავდება უნივერსიტეტების იმ კატეგორიისგან, რომელიც output-ზე ორიენტირებული კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებების სახით ამზადებენ მენეჯმენტის საშუალო და ზედა ფენების წარმომადგენლებს. ღირებულება universitas საპირისიროდ. მოლოდინი კერძო აქტიურობისა და სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერას.

[57] ვებგვერდი "Университеты мира" - Гейделберг. стр. 1

იმის გამო, რომ ბსუ დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ და მას მართავს დირექტორთა დამოუკიდებელი საბჭო, მას თავდაპირველად ჰქონდა გარკვეული უპირატესობები, რომლებიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ახალ კერძო უსდ-ებს არ გააჩნიათ. ასე, ყველაზე მოკლე დროში დაფუძნებიდან უნივერსიტეტს თავის განკარგულებაში უკვე ჰქონდა ოთხი საკვანძო ფუნქციური ელემენტი, რომელმაც მნიშვნელოვან წილად დააჩქარეს მისი განვითარება:

- უნივერსიტეტისთვის გამოყოფილ იქნა ოფიცერთა ყოფილი აკადემიის კეთილმოწყობილი ტერიტორია საერთო ფართობით 30 ჰა;
- ბრემენის მიწამ უნივერსიტეტს გამოუყო განვითარებაზე საწესდებო კაპიტალი დაახლოებით 115 მლნ ევროს ოდენობით;
- უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები ჰქონდა ჰიუსტონში მდებარე რაისის უნივერსიტეტთან;
- უნივერსიტეტი სარგებლობდა პოლიტიკური მხარდაჭერით ბრემენის მიწის სენატისა და ქალაქის მერის მხრიდან.

უნივერსიტეტში პირველი სტუდენტები ჩარიცხულ იქნენ 2001 წ. შემოდგომაზე. იმ დროიდან ბსუ-მ მიაღწია გასაოცარ წარმატებებს საერთაშორისო მარკეტინგსა და ინიციატივებში სტუდენტთა მოზიდვის საქმეში. უნივერსიტეტი ორიენტირებულია ხუთ ერთმანეთის გადამფარავ მიზნებზე, რომლებმაც საშუალება მისცეს მას გამოკვეთილიყო უმაღლესი განათლების ევროპულ ბაზარზე, სახელდობრ:

- სრულყოფის მიღწევა პროფესორებისა და სტუდენტთა შერჩევის საკითხებში;
- სტუდენტებისა და მასწავლებლების საერთაშორისო კონტინგენტი;
- სწავლებისა და კვლევების დისციპლინათშორისი ხასიათი;
- ინტერაქტიულობა სწავლებისა და სწავლის ქსელური გარემოს ხარჯზე;
- ორგანიზაციის და მენეჯმენტის დამოუკიდებლობა, გადაწყვეტილებათა მიღების ოპერატიულობა და მაქსიმალური მოქნილობა[58].

2005/06 წ.წ.-ში ბსუ-ში ჩაირიცხა 930 სტუდენტი მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყნებიდან, მათ შორის, ასპირანტურაშიც. სტუდენტთა ნახევარზე მეტი - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან იყვნენ. ბსუ-ში ყველაზე მეტი სტუდენტი ისეთი ქვეყნებიდანაა, როგორებიცაა:

- ბულგარეთი;
- რუმინეთი;
- პოლონეთი;
- ლიტვა;
- უნგრეთი[59]

ცხადია, რომ ამ ქვეყნებში სტუდენტებს ხშირად არ აკმაყოფილებთ სამამულო სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული

[58] Гизеке Ханс К. стр. 6-7

[59] ბრემენის საერთაშორისო უნივერსიტეტის საიტი

- Статистическая служба Федерального министерства образования и исследований Германии (2003/2004). Майский выпуск Abi Berufswahl-Magazin 2005
- ბსუ-ს სარეგისტრაციო სამსახური

სწავლების ტრადიციული შესაძლებლობები და ამიტომაც უფრო დიდი რაოდენობით აბარებენ ბსუ-ში. ეს მიზეზი ნაწილობრივ ხსნის კერძო უსდ-ების მძაფრ ზრდას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

გერმანიაში მოქმედებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების საერთო წესები. ძირითადად სასწავლო დაწესებულებაში ჩარიცხვის განმსაზღვრელია საშუალო განათლების დიპლომი (ატესტატი) და თუ შეფასებები შეესაბამება საერთო სტანდარტებს, ამ შემთხვევაში აბიტურიენტის ჩარიცხვა ხდება უგამოცდოდ. გერმანიის გაერთიანებამ განსაზღვრა რეფორმა საგანმანათლებო სივრცეში რომლის შინაარსი მდგომარეობს განათლების სტანდარტების უნიფიცირებაში. ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ მხოლოდ საშუალო განათლების დიპლომი აღარ განიხილება მისი მფლობელის მომზადების დონის გარანტად. სწორედ ამიტომ რიგი პერსტიჟული უნივერსიტეტებისა ატარებენ მისაღებ გამოცდებსა და კონკურსებს, ხაზგამით ეს ეხება სამედიცინო ფაკულტეტს.

გერმანიის უმაღლესი განათლების სფეროს უმთავრესი პრინციპია აკადემიური თავისუფლება, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს დამოუკიდებლად აირჩიოს სასწავლო დისციპლინა. განსაკუთრებული თავისებურება გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არის სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევის ურთიერთკავშირი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის გრაფიკსაც: თითოეული სემესტრი შედგება სალექციო და არასალექციო პერიოდებისაგან, რომლის დროსაც სტუდენტი ვალდებულია დაკავდეს დამოუკიდებელი სამეცნიერო სამუშაოთი. გერმანიაში უმაღლესი განათლების რეფორმის თანამედროვე ეტაპი 1991 წელს ქვეყნის გაერთიანებასთან ერთად დაიწყო და განპირობებული იყო, ერთი მხრივ, განათლების მოდერნიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობით, მეორე მხრივ კი, განათლების ხარისხის საერთო ეროვნული სტანდარტების შექმნის მიზნით ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სისტემის რეფორმირების აუცილებლობით. ბოლო ათწლეულში გერმანია საკმაოდ წარმატებით ართმევდა თავს ამ ორი ამოცანის გადაჭრას და დღეს გერმანული განათლების სისტემა მთელ მსოფლიოში აღიარებულია, მრავალი ქვეყნისთვის წარმოადგენს მაგალითს და ორიენტირს საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებისათვის.

გერმანული განათლების სისტემა არის ცენტრს, ფედერაციის სუბიექტებს (მხარეებს) და თავად საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის მმართველობითი უფლებამოსილების გაწონასწორებულად გამიჯვნის ნიმუში.

გერმანიის უმაღლესი განათლების სისტემას გამოირჩევა იმით, რომ მასში ჰარმონიულად არის შერწყმული ძველი საუნივერსიტეტო ტრადიციები და განათლების მართვის ინოვაციური მეთოდები, ფუნდამენტური თეორიული განათლება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ხელმისაწვდომობა და განათლების უმაღლესი ხარისხი.

კულტურის საკითხებში სახელმწიფო სუვერენიტეტის იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც დამკვიდრებულია გერმანიის კონსტიტუციით, უმაღლესი განათლების სისტემა ფედერალური მხარეების ავტონომიური პასუხისმგებლობის სფეროში შედის. უმაღლეს განათლებაში ფედერალური მხარეების პოლიტიკას კოორდინაციას უწევს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრთა მოქმედი კონფერენცია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმაღლესი განათლების სისტემის აღდგენა უპირატესად მიწების (მხარეების) ამოცანა იყო. იმის კვალობაზე, რომ უმაღლესი განათლების განვითარება სულ უფრო მეტად მოითხოვდა დაგეგმვის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას და მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების მიზიდვას, ფედერალური მთავრობა სულ უფრო მეტად ებმებოდა უმაღლესი განათლების მართვის საკითხებში. 1969 წლიდან უმაღლესი განათლების დაწესებულებების, მათ შორის საუნივერსიტეტო კლინიკების შექმნისა და განვითარების საკითხები, აგრეთვე კვლევითი სამუშაოების დაფინანსების საკითხები შეტანილია იმ ერთობლივ ამოცანათა რიცხვში, რომლებსაც თანაბრად აფინანსებენ ფედერალური ცენტრი და მხარეები, და რეგულირდება ძირითადი კანონით. გარდა ამისა, ფედერალურ მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება აამოქმედოს ჩარჩო კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს უმაღლესი განათლების სისტემის ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს. ამ სფეროში ძირითადი საკანონმდებლო ფედერალური დოკუმენტი გახდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1976 წელს მიღებული და შემდგომ არაერთგზის გადასინჯული ფედერალური ჩარჩო კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (ამ ფედერალური ჩარჩო კანონის ბოლო რედაქცია მიღებულია 1998 წელს).

1989 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მშვიდობიანი რევოლუციის შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიის უმაღლესი განათლების ადრინდელი ცენტრალიზებული სისტემა გადაისინჯა და მოხდა მისი დასავლურ პლურალისტურ სისტემაში გადაყვანა მეცნიერების საბჭოს (მართვის მთავარი საკონსულტაციო ორგანო, რომელიც აერთიანებს ფედერალური მთავრობის და მხარეთა მთავრობების წარმომადგენლებს, მეცნიერებს და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს) რეკომენდაციების შესაბამისად, რომელსაც დაევალა ჩაეტარებინა ყოვლისმომცველი გამოკვლევა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიაში განათლების მართვის სისტემის საკითხებზე.[60]

1.5. აშშ-ს უმაღლესი განათლების სისტემა

აშშ-ს უმაღლესი განათლების სისტემა, ისევე როგორც მთლიანად განათლების სფერო, დეცენტრალიზებულია. თითოეული შტატი უფლებამოსილია გაატაროს თავისი საგანმანათლებლო პოლიტიკა ფედერალურ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. აშშ-ს ფედერალურ ხელისუფლებაში განათლებაზე პასუხისმგებელია განათლების დეპარტამენტი, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტებს ქვეყნის განათლების სფეროში. აშშ-ს კონგრესი ღებულობს კანონებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ახდენენ გავლენას ქვეყნის განათლების სისტემის განვითარებაზე, განათლების დეპარტამენტი კი ანაწილებს ფინანსებს ფედერალური ბიუჯეტიდან და აკონტროლებს მის გამოყენებას. უმაღლესი განათლების ამერიკული სისტემა არ ექვემდებარება ერთიან სახელმწიფო მმართველობას. იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების ლიცენზირება, რომლებიც დისლოცირებულია ცალკეულ შტატებში,

[60] ვებგვერდი "Экономика, Социология, Менеджмент" стр. 2-3

ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, მაგრამ მათ მიერ არ ხდება აკრედიტაცია, ისევე, როგორც სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა. აკრედიტაციას და სწავლების ხარისხის შეფასებას ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. რთულია იმის განსაზღვრა, თუ აშშ-ში რომელი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფრო პრესტიჟულია, სახელმწიფო თუ კერძო. შეიძლება ითქვას განმსაზღვრელია უფრო საგანმანათლებლო დაწესებულების სახელი, ვიდრე საკუთრების ფორმა. თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აშშ-ს უძველესი უნივერსიტეტების ჩამონათვალში უმთავრესი ადგილი მაინც კერძო უნივერსიტეტებს უკავიათ, თუმცაღა, სტუდენტების 79% სწავლობს სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

აშშ-ს უმსხვილესი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებანი გამოირჩევიან მდიდარი ტრადიციებით და აქტიურად თანამშრომლობენ იმ შტატების ხელისუფლებასთან, სადაც არიან განლაგებულები, რადგან ფინანსირდებიან მათი მხრიდან. სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების ფინანსირების ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვეულებრივ სახელმწიფო უსდ-ების ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი ეს არის დოტაცია სახელმწიფო წყაროდან (შტატის ბიუჯეტიდან), დანარჩენი ნაწილის ფორმირება ხდება სწავლის საფასურით, გრანტებით, საქველმოქმედო შემოწირულობებით და ცალკეული ფონდებიდან. კერძო უსდ-ები კი დამოკიდებულები არიან სწავლების საფასურსა და სხვადასხვა მომსახურებაზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტები ასევე წარმოადგენენ შტატების საზოგადოებრივ და სამეცნიერო ცენტრებს და მარტივად იპყრობენ უცხოელთა ყურადღებას, რადგან მათთან სწავლის საფასური, უფრო იაფია, ვიდრე კერძო უნივერსიტეტებში და ამასთან ისინი საკმაოდ პრესტიჟულადაც გამოიყურებიან. სახელმწიფო უნივერსიტეტები, სოლიდური დაწესებულებებია, სადაც ათეულ ათასობით სტუდენტი ეუფლება ცოდნას სხვადასხვა აკადემიურ საფეხურზე – ბაკალავრიატიდან დაწყებული დოქტორანტურის ჩათვლით. ეს უნივერსიტეტები განსხვავდებიან სხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებიდან იმით, რომ იქ ხორციელდება სამეცნიერო კვლევები, რომელთათვისაც შექმნილია შესაბამისი პირობები. ასეთ დაწესებულებებს, რომლებსაც ეძლევათ ყოველწლიურად მილიონობით დოლარი, აქვთ შესაძლებლობა მოიწვიონ სამუშაოდ წარმატებული მეცნიერები მსოფლიო სხვადასხვა კუთხიდან. სახელმწიფო უნივერსიტეტები მდებარეობს როგორც მეგაპოლისებში, ასევე პატარა ქალაქებში. ძირითადად მათ აქვთ ფილიალების ფართო ქსელი შტატის ფარგლებში. ცალკეულ განვითარებულ შტატებს შესაძლებლობა აქვთ შეინახონ რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტიც.

აშშ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან მსხვილი კერძო უნივერსიტეტები, რომლებიც ქვეყანაში რიცხოვნების მიხედვით ნაკლებია სახელმწიფო უნივერსიტეტებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ისინი აშშ-ს (ასევე მსოფლიოს) მაღალრეიტინგულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიგებში არიან წარმოდგენილნი.[61]

[61] eduABROA. Система образования США. стр. 1-2

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი აშშ-ს უნივერსიტეტების შესახებ:

- **ჰარვარდის უნივერსიტეტი** - სრული უფლებით შეგვიძლია მივაკუთვნოთ უნივერსიტეტ-ტექნოპოლისს, მასში ამჟამად მოქმედებს 144 კვლევითი ცენტრი და 10 კოლეჯი. ცენტრებს აქვთ დაქვემდებარების მატრიცული სტრუქტურა, მათ შორის 35 სამეცნიერო კვლევითი ცენტრი დაკავშირებულია საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, 13 ცენტრი მუშაობს ბიზნესის სფეროში, 37 ცენტრი - მედიცინისა და ჯანდაცვის დარგში, 12 - ცენტრი - მთავრობასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებზე, 18 ცენტრი კი - სამართლის სფეროში და ა.შ. ცენტრების ასეთი რაოდენობა აფართოებს უნივერსიტეტის მომქმედ და ისედაც განშტოებულ ინფრასტრუქტურას, რაც ერთის მხრივ, საშუალებას იძლევა განხორციელდეს მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება. ჩვეულებრივ, უდს-ში საქმიანობის ძირითადი სფერო - ეს სტუდენტების სწავლებაა საბაკალავრო პროგრამებით, და მხოლოდ 15-25% სწავლობს მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში, ჰარვარდში კი - პირიქით, ბაკალავრიატის პროგრამებით სწავლობს სტუდენტების მხოლოდ 35%, მაგრამ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამებით კი - 65%.[62]

- **დრექსელის უნივერსიტეტი** – არის კერძო უნივერსიტეტი, რომელიც დაარსებულია 1891 წელს ფინანსისტის და ფილანტროპისტის ანტონ დრექსელის მიერ. დრექსელის 60 ჰექტარზე გაშენებული ძირითადი კემპუსი მდებარეობს ფილადელფიაში, პენსილვანია. სწავლობს 12.900 ბაკალავრი, 6.976 მაგისტრი სტუდენტი. უნივერსიტეტში სწავლობენ სტუდენტები აშშ-ს 40 შტატიდან და საზღვარგარეთის 53 ქვეყნიდან. მოქმედებს 70 საბაკალავრო; 77 სამაგისტრო და 21 სადოქტორო პროგრამა. სწავლის საფასური მერყეობს აკადემიური პროგრამების მიხედვით, ასევე არის დამატებითი გადასახადები (საცხოვრებელი და კვება). სწავლების გადასახადია 32,000 აშშ დოლარი, ჰონორარი 1,650 დოლარი, საცხოვრებელი 6,555, კვება 4,455.

1983 წელს დრექსელი გახდა პირველი უნივერსიტეტი, სადაც ყველა სტუდენტს უნდა ჰქონოდა პერსონალური კომპიუტერი (ნოუთბუქი). 2000 წელს დრექსელი იყო პირველი ძირითადი უნივერსიტეტი, რომელმაც აღჭურვა თავისი საერთო საცხოვრებელი უახლესი ტექნიკური მიღწევებით. დრექსელის უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს სწავლას და სტაჟირებას აზიაში, ევროპასა და ლათინურ ამერიკაში. ყველა საზღვარგარეთის სასწავლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს დრექსელის უნივერსიტეტის მოთხოვნებს.[63]

---

[62] ვებგვერდი „Информационно-справочный портал поддержки системы управления качеством“ стр. 9

[63] გოულდი მ.,

- **ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი** - უნივერსიტეტმა არსებობა დაიწყო 1957 წელს ჩრდილოეთ ვირჯინიის უნივერსიტეტის ფილიალის სტატუსით, ახლადგახსნილი უნივერსიტეტის დასახმარებლად ქალაქ ფეართექსის მუნიციპალიტეტმა 1958 წელს შეიძინა 150 ჰექტარი მიწა და გადასცა ის ვირჯინიის უნივერსიტეტს პერმანენტული ფილიალის დასაარსებლად. 1966 წელს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ექსპანსია ოთხწლიან უნივერსიტეტად, უნივერსიტეტს მიენიჭა გრძელვადიანი მანდატი, რათა ის გარდაქმნილიყო რეგიონის ძირითად უნივერსიტეტად. სწავლობს 18000-მდე ბაკალავრიატის სტუდენტი, 6.785 მაგისტრი, 1.776 დოქტორანტი.[64]

- **ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი** - მდებარეობს ვაშინგტონში. დაარსებულია 1789 წელს. უნივერსიტეტი არის უძველესი კათოლიკური და იეზუიტური უნივერსიტეტი. დღეისათვის ჯორჯთაუნი არის ერთ-ერთი ძირითადი კვლევითი უნივერსიტეტი, რომელიც ყველანაირად პასუხობს თანამედროვეობის მოთხოვნებს, თავისი სტუდენტების მრავალფეროვნებით, პროფესიონალი კადრებითა და პროფესორ-მასწავლებლებით. სწავლობს 1.577 ბაკალავრი, 1.340 მაგისტრი. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში არის ოთხი ბაკალავრის დიპლომის გამცემი სკოლა, სამი სამაგისტრო და პროფესიული სკოლა, სამედიცინო და სხვა პროგრამები. სწავლის საფასურია ბაკალავრიატში 33,552 აშშ დოლარი, მაგისტრატურაში 31,512 აშშ დოლარი, დოქტორანტურაში 35,328 აშშ დოლარი. [65]

აშშ-ს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ბიუჯეტის ფორმირების ფორმაა (ხაზგასასმელია, რომ ანალოგიურია სხვაობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით, იმის მიხედვით სახელმწიფო თუ კერძო სექტორს განეკუთვნებიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები).

მეორე ნიშანი, რომელიც ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვისაც დამახასიათებელია, არის ის, რომ კერძო უნივერსიტეტები აშშ-ში განსხვავდებიან სახელმწიფო უნივერსიტეტებისაგან მასშტაბებით, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა რიცხოვნებით. თუმცაღა, აშშ-ს კერძო უნივერსიტეტები გამოირჩევიან მაღალპროფესიული კადრებით, სწავლების მაღალი ხარისხითა და სტუდენტებისადმი ფართო ფინანსური მხარდაჭერით.

მიუხედავად იმისა, რომ ფედერალური მთავრობა დიდმნიშვნელოვან (და მკაცრად რეგლამენტირებულ) როლს ასრულებს მთლიანად ქვეყნის მართვაში (კერძოდ, არის კონსტიტუციის გარანტი და ქმნის ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას სამოქალაქო სამართლის, გარემოს დაცვის, დასაქმების უზრუნველყოფის პოლიტიკის სფეროში, წარმოადგენს სტიპენდიების დაფინანსებისა და მეცნიერული კვლევის გრანტების

[64] გოულდი მ.,
[65] გოულდი მ.,

წყაროს), იგი მაინც პირდაპირ არ მონაწილეობს უმაღლესი სასწავლებლების ფინანსურ მართვაში.

1.6. ირლანდიის უმაღლესი განათლების სისტემა

ირლანდიის უმაღლესი განათლების სისტემა ექსპერტთა ყურადღებას რამდენიმე ასპექტის გამო იპყრობს.

ჯერ ერთი, საყურადღებოა უმაღლესი განათლების სისტემის როლი ბოლოდროინდელ „ირლანდიის ეკონომიკურ სასწაულში“. წარმოების მოდერნიზაციის რევოლუციურმა ტემპმა, განათლების სფეროში ინვესტიციების ზრდასთან ერთად კიდევ ერთხელ დაადასტურა ეკონომიკური განვითარებისათვის საგანმანათლებლო პოტენციალის მნიშვნელობა.

მეორე, ევროპული ქვეყნების მოსახლეობის დაბერების პროცესის ფონზე ირლანდია გამონაკლისად გამოიყურება, რადგან მცხოვრებთა საშუალო ასაკი 28 წელია. ირლანდიის ეკონომიკის მოდერნიზაცია მიმდინარეობდა მოსახლეობის გაახალგაზრდავების დემოგრაფიული პროცესების და ადამიანური პოტენციალის ზრდის ფონზე, რასაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ეკონომიკური ბუმის პერიოდში ირლანდიელი ემიგრანტების შთამომავალთა დაბრუნებამ.

მესამე, ინტერესს იწვევს სამთავრობო სტრუქტურების მიერ შუამავალი ორგანიზაციისათვის მართვისა და დაგეგმვის ფუნქციების დელეგირების მოდელი.

მეოთხე, ირლანდიური მოდერნიზაციის დამახასიათებელი ნიშანია ინვესტიციების მიზიდვა მაღალი ტექნოლოგიების სექტორში. ირლანდიის უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნა (ტექნოლოგიური ინსტიტუტების სტატუსის ამაღლება, უნივერსიტეტებში ტექნიკური დისციპლინების სწავლების გაძლიერება, მაღალი ტექნოლოგიების კორპორაციებისა და უმაღლესი სასწავლებლების უშუალო ურთიერთმოქმედების კურსი, განათლების ინფორმატიზაცია) მნიშვნელოვანწილად განაპირობა ეკონომიკის მოთხოვნილებებმა.

უმაღლესი განათლების ირლანდიური მოდელი კიდევ იმითაც არის საინტერესო, რომ მასში კარგად არის შერწყმული ტრადიციული და მოდერნიზებული კომპონენტები; ეს ბაზრის ყველა მოთხოვნის შესაბამისი თანამედროვე ინსტიტუტების კონსტრუქციაა, რომელიც აწყობილია ევროპაში უძველესი საგანმანათლებლო სისტემის ფუნდამენტზე.[66]

1.7. ნიდერლანდის უმაღლესი განათლების სისტემა

უმაღლესი განათლების ჰოლანდიური სისტემა მრავალი მიზეზის გამო იპყრობს ყურადღებას.

დღეს უმაღლესი განათლების ჰოლანდიური სისტემა ბოლონიის პროცესით განსაზღვრული გარდაქმნების პროცესში იმყოფება, თუმცა ისტორიულად იგი შორს არის ბოლონიური მოდელისგან („ბაკალავრიატ-მაგისტრატურის“ ორდონიანი სისტემა, ჩასათვლელი კრედიტების ერთიანი სისტემა, უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის მაღალი ხარისხი). მას ახასიათებს ინსტიტუტების იერარქიულობა, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მჭიდრო კავშირი, სახელმწიფოს

[66] "Экономика, Социология, Менеджмент". Федеральный образовательный портал стр. 24

განსაკუთრებული როლი მართვაში, უმაღლესი განათლების ტრადიციულად ჩამოყალიბებული ერთდონიანი სისტემა, მოსწავლეთა ადრეული დიფერენციაცია.

რეფორმების პროცესში გამონახული პროფილური სამინისტროსა და უმაღლესი სასწავლებლების ურთიერთმოქმედების საშუალება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანალიტიკოსებმა სწავლების ხარისხისადმი კონტროლისა და ფინანსური მდგრადობის მიღწევის პრობლემის წარმატებულ გადაწყვეტად მიიჩნიეს.

ინტერესს იწვევს საერთაშორისო განათლების სისტემა, რომელიც ინტერნაციონალიზაციის გამოწვევების პასუხად წარმოიქმნა. უცხოელი სტუდენტებისათვის ინგლისურენოვანი პროგრამები სერიოზულ როლს ასრულებს უმაღლესი განათლების მთელი სექტორის ფუნქციონირებაში.

საინტერესოა, აგრეთვე, ექსპერიმენტი სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის სქემების შეცვლის მიზნით, რომელიც ცხადყოფს სტიპენდიების სესხით მთლიანად შეცვლის სუსტ მხარეებს.

საყურადღებოა ნიდერლანდის „საგანმანათლებლო ექსპანსია". ერთიანი ჰოლანდიურ-ფლანდრიული საგანმანათლებლო სივრცის და აკრედიტაციის საერთო სისტემის შექმნა[67].

1.8. ჩინეთის უმაღლესი განათლების სისტემა

ჩინეთს აქვს უძველესი ისტორია კერძო უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით. პირველი კერძო უსდ შიუანი (აკადემია) შეიქმნა 1300 წლის წინ. თანამედროვე კერძო უსდ-ები აღმოცენდენ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. ფადანის და ჩინეთის უნივერსიტეტები დაარსებულ იქნენ 1905 წელს და მათ კვალდაკვალ 1919 წელს დაარსდნენ სიამინის და ნანკეის უნივერსიტეტები. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში კერძო სექტორი წარმოადგენდა უმაღლესი განათლების სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს. 1949 წლისათვის 223 უნივერსიტეტიდან ის 93 უნივერსიტეტი, რომლებზეც კომუნისტებმა დააწესეს კონტროლი, იყვნენ კერძო უსდ-ები. 1950 წელს ნაციონალიზაციის შედეგად, ყველა კერძო უსდ ან დაიხურა ან გაერთიანდა სახელმწიფოსთან. 1952 წლიდან 1982 წლამდე პერიოდში კერძო უმაღლესი განათლება სრულიად გაუქმდა. 1982 წლის მარტიდან, 30-წლიანი შეფერხების შემდეგ, პეკინში კვლავ გაიხსნა პირველი კერძო უსდ – ჩინეთის სოციალური უნივერსიტეტი. 1992 წელს საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ, საფუძველი ჩაუყარა დიდი რაოდენობის კერძო უსდ-ების შექმნას. 1993 წელს ჩინეთის განათლების სისტემის რეფორმის პროგრამამ განსაზღვრა პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო კერძო უმაღლესი განათლების განვითარებისაკენ, რომელიც 2002 წელს გამყარდა კანონით „კერძო უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის შესახებ". ამ პერიოდისათვის ჩინეთში მოქმედებდა 1396 სახელმწიფო და 1202 კერძო უსდ.[68]

1.9. ავსტრალიის უმაღლესი განათლების სისტემა

ავსტრალიის უმაღლესი განათლების სისტემაში 39 უნივერსიტეტია, მათ შორის 2 კერძო – ნოტრ-დამისა და ბონდის უნივერსიტეტები;

---

[67] "Экономика, Социология, Менеджмент". Федеральный образовательный портал стр. 8

[68] Юань Ш. стр. 1-2

დაახლოებით 85 კერძო უმაღლესი სასწავლებელი და სამი უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც არასახელმწიფო დიპლომებს გასცემენ. თანამეგობრობის მთავრობას (ცენტრალურ მთავრობას) უმაღლესი განათლების სისტემის მიმართ შეზღუდული უფლებამოსილება აქვს. ავსტრალიის კონსტიტუციის თანახმად ფედერალურ პარლამენტს არ აქვს საკანონმდებლო უფლებამოსილებანი მთლიანად განათლების სფეროში და კერძოდ უმაღლესი განათლებისა და უნივერსიტეტების სფეროში. ამ სფეროსათვის პასუხს აგებენ შტატები და სახელმწიფო ტერიტორიები. მიუხედავად ამისა, თანამეგობრობის მთავრობას შტატებთან და ტერიტორიებთან მოქმედი შეთანხმებების შესაბამისად ძირითადი პასუხისმგებლობა აკისრია უმაღლესი განათლების დაფინანსებისათვის და უმაღლეს განათლებაში პოლიტიკის მრავალი ასპექტისათვის.

1940-იანი წლებიდან დაწყებული თანამეგობრობა სულ უფრო დიდ როლს ასრულებს უმაღლესი განათლების დაფინანსებასა და მისი განვითარების პოლიტიკის განსაზღვრაში. 1974 წლიდან თანამეგობრობა პასუხს აგებს დაფინანსების უზრუნველყოფისათვის, მაშინ როცა შტატებმა შეინარჩუნეს საკანონმდებლო და სარეგულაციო კონტროლი უნივერსიტეტებისადმი. თანამეგობრობისა და შტატების შესაბამისი როლები ბოლოს 1991 წელს ჩამოყალიბდა, როცა მთავრობათა ხელმძღვანელების სპეციალურ კონფერენციაზე მოიწონეს შეთანხმება, რომელშიც უმაღლესი განათლების სისტემა განისაზღვრა როგორც ერთობლივი პასუხისმგებლობის სფერო. ამ შეთანხმების თანახმად თანამეგობრობას აკისრია ძირითადი პასუხისმგებლობა დაფინანსების უზრუნველყოფისა და პოლიტიკის შემუშავებისთვის, ხოლო შტატები პასუხს აგებენ კანონმდებლობისათვის, მართვისა და ამ სფეროს განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრისათვის.

დაფინანსების არსებული სისტემა შემოიღეს 1988 წელს, უმაღლეს განათლებაში პოლიტიკის გადასინჯვის და მთელი რიგი ფინანსური ხელშეკრულებების დადების შემდეგ. 2000 წელს მოეწყო უნივერსიტეტებში კვლევითი სამუშაოებისა და კვლევითი მომზადების დაფინანსების რევიზია, რომლის შედეგადაც 2002 წლიდან ამ სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

მოქმედი სისტემის ძირითადი ნიშნები შემდეგია:

1). სასწავლო პროცესისათვის საექსპლუატაციო რესურსები უნივერსიტეტებს გადაეცემათ ერთდროული საოპერაციო გრანტის სახით სტუდენტების გარკვეული რაოდენობის ადგილებისათვის იმ ყოველი ეგრეთ წოდებული საგანმანათლებლო პროფილის კონტექსტით, რომელიც მოიცავს უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო და კვლევით საქმიანობას. საოპერაციო გრანტი შეიცავს აგრეთვე დაფინანსების სასწავლო, ძირითად და ადგილობრივ დამხმარე კომპონენტებს;

2). სახსრები გადაირიცხება სამი წლით. ამგვარად, უმაღლესი სასწავლებლები, სულ ცოტა სამი წლის განმავლობაში, უზრუნველყოფილი არიან დასაბუთებული დაგეგმვისათვის საჭირო დაფინანსების საიმედო დონით;

3). კვლევითი სამუშაოების განსახორციელებლად გრანტების განაწილება, როგორც წესი, კონკურსის საფუძველზე ხდება;

4). ძირითადი ფონდების დაფინანსება 2001 წელს 41,1 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა;

5). ფინანსური ანგარიშმგებლობის სისტემა არსებითად უზრუნველყოფილია, საგანმანათლებლო პროფილების მიხედვით, ყოველწლიურად წარსადგენი დოკუმენტაციით.

სახელმწიფო დაფინანსება, როგორც ჩანს, ავსტრალიის უმაღლესი განათლების სისტემის ფუნქციონირების ქვაკუთხედად რჩება, თუმცა 1983 წლიდან უნივერსიტეტები ნაკლებად არიან დამოკიდებული სახელმწიფო დაფინანსებაზე და მათი შემოსულობათა წყაროები უფრო მრავალფეროვანი გახდა, შესაბამისად გაიზარდა მათი შემოსავალიც.[69]

1.10. რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი განათლების სისტემა

2009 წელს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება რეგიონებში ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნის შესახებ, ფედერალური უნივერსიტეტების სტატუსით. ფედერალური უმაღლესი სასწავლებლები შეიქმნა ქვეყნის ფედერალურ ოლქებად დაყოფის საფუძველზე. ფედერალური უნივერსიტეტები იქმნებიან მოქმედი სახელმწიფო უნივერსიტეტების ბაზაზე, მასთან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერთების გზით.

ასევე, სახელმწიფო დუმის მიერ მიღებული კანონით, განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭა რუსეთის ორ უდიდეს უნივერსიტეტს – მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს და პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტს. განსაკუთრებული ცვლილება, რომელიც ელით აღნიშნულ უნივერსიტეტებს ახალი სტატუსის ფარგლებში, არის რექტორების დამტკიცების პროცედურა, რადგან მათი დანიშვნის უფლებამოსილება გადადის რუსეთის პრეზიდენტის ხელში. სანაცვლოდ აღნიშნული უნივერსიტეტები ღებულობენ განსაკუთრებულ ფინანსირებას და თითოეული მათგანი ცალკე მუხლად იქნება გამოყოფილი რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტში. ამასთან ხაზგასასმელია, რომ მათ ეძლევათ უფლება შეიმუშაონ საკუთარი საგანმანათლებლო სტანდარტები, აღიჭურვონ ფართო ავტონომიით და, რაც მთავარია, ჩარიცხონ აბიტურიენტები საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების საფუძველზე და არა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით.[70]

1.11. რუმინეთის უმაღლესი განათლების სისტემა

XX ს. უკანასკნელ დეკადაში, სოციალისტური რეჟიმის დაცემისთანავე, რუმინეთის უნივერსიტეტები აღმოჩდნენ უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდის წინაშე. ქვეყანაში შესაფერისი ასაკის ახალგაზრდების რიცხვმა მიაღწია უპრეცედენტო რაოდენობას. უფრო მეტიც, უმაღლესი განათლების დარგში სოციალისტური მთავრობის ელიტისტურმა პოლიტიკამ მოქალაქეთა, უკვე დასაქმებულთა, მაგრამ უნივერსიტეტის დიპლომის მიღების მსურველთა კოლოსალური „ნარჩენი ჯგუფების“ წარმოქმნა განაპირობა. ამ პირობებში უნივერსიტეტების წინაშე იდგა ისეთი ამოცანები, როგორებიცაა: ახალი სასწავლო პროგრამების შექმნა, დივერსიფიკაცია და სტუდენტების

[69] "Экономика, Социология, Менеджмент". стр. 21-23
[70] Головастиков К. стр.1

რაოდენობის ზრდა. რუმინეთის ზოგიერთი უნივერსიტეტის სამეწარმეო რეაქცია ვითარდებოდა სხვადასხვა სქემით :

1) უსდ-ების რაოდენობის ზრდა, თვით უსდ-ებში მრავალრიცხოვანი ახალი ფაკულტეტებისა და კოლეჯების სწრაფი წარმოქმნა. 1990 წელს რუმინეთში არ არსებობდნენ კერძო უსდ-ები. 2005 წელს ქვეყანაში რეგისტრირებული და აკრედიტებული იყო 49 კერძო უნივერსიტეტი. სახელმწიფო უსდ-ების რაოდენობა ამ პერიოდში პრაქტიკულად გაორმაგდა. საშუალოდ, 1990 წლიდან დაწყებული, ყოველწლიურად იქმნებოდა დაახლოებით 4 ახალი უნივერსიტეტი (კერძო და სახელმწიფო). ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტი ამ წლებში გახდა ქვეყნის ყველაზე მსხვილი და მრავალმხრივი უნივერსიტეტი.

2) აკრედიტებული უსდ-ების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამების რაოდენობის ზრდა. აქაც ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტს უკავია, აგრეთვე, წამყვანი მდგომარეობა.

3) ცოდნის წარმოდგენის ხერხების დივერსიფიკაცია. ამჟამად 4000-ზე მეტი სტუდენტი შეისწავლის 26 სპეციალობას დისტანციური სწავლების კურსებზე, რომლებშიც ონლაინის მეცადინეობები შეთავსებულია პირად კონსულტაციებთან.

რუმინეთის უნივერსიტეტები, მოქმედებენ რა დროის სულისკვეთებით, ცდილობენ გადაჭრან პრობლემები, რომლებსაც სვამს მათ წინაშე ჩვენი ეპოქა, მათ შორის მეწარმეობის განვითარების ხარჯზე.

ქ. კლუჟ-ნაპოკეს ბაბეშ-ბოლიაის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდილება გამოიყენება ამოსავალ წერტილად უმაღლეს განათლებაში, მეწარმეობისადმი ინსტიტუციური მიდგომების შესახებ ზოგადი დასკვნების მისაღებად. ბაბეშ-ბოლიაის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსებულ იქნა 1919 წელს ტრანსილვანიაში – რუმინეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 20 ფაკულტეტი, სადაც 45000-ზე მეტი სტუდენტი შეისწავლის სხვადასხვა სპეციალობებს – მათემატიკიდან და ქიმიიდან დაწყებული, ევროპის ისტორიითა და თეოლოგიით დამთავრებული. 1990 წელს ის სთავაზობდა სტუდენტებს 19 სპეციალობას, 2005 წელს კი – 100-ზე მეტს.[71]

1.12. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემები

1990 წელს დაიწყო უმაღლესი განათლების კერძო სექტორის ზვავისებური ზრდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ამასთანავე, სრულად კანონზომიერად წარმოიშვა საკითხები იმის შესახებ, თუ რამდენად ლეგიტიმურია ახალი ინსტიტუტები და ოფციები და რამდენად იმსახურებენ ნდობას. უსდ-ები, ცდილობენ მიაღწიონ აღიარებას, საზოგადოებრივ ნდობას და ბოლოს, ლეგიტიმურობას. ეს გზა წარმოადგენს თავისებურ კონტინიუმს, რომელშიც მოძრაობა

[71] Микла М. стр.1

ხორციელდება ინსტიტუციური ეფექტურობიდან ინსტიტუციურ სიცოცხლისუნარიანობისკენ, ხოლო შემდეგ, საბოლოო ჯამში, ინსტიტუციურ ლეგიტიმურობისკენ.

არცთუ იშვიათად ეს წინსვლა შემთხვევით ან მიზანმიმართულად მუხრუჭდება სახელმწიფო პოლიტიკით უმაღლესი განათლების დარგში (ან მისი არარსებობით), აგრეთვე, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, პოლიტიკური მოღვაწეებისა და საზოგადოებრივი ლიდერების ნეგატიური დამოკიდებულებით. ამ დაბრკოლებების შეფასება საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ის ფაქტორები, რომლებსაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს განათლების წინსვლისთვის, პროცესების უწყვეტობის ფარგლებში.

კერძო უსდ-ები განსაკუთრებით სუსტები არიან თავიანთი განვითარების პირველ ეტაპებზე. ამ პერიოდში, როდესაც წარუმატებლობის ალბათობა განსაკუთრებით დიდი, ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ რექტორები, რომლებიც სათავეში უდგანან ახალ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გულისხმიერად რეაგირებდნენ და საგულდაგულოდ ითვალისწინებდნენ იმ ფაქტორებს, რომლებიც საშუალებას მისცემენ ინსტიტუტებს გაზარდონ თავიანთი ლეგიტიმურობა.

2004 წლის მაისში, პოლონეთსა და უნგრეთში ჩატარებულ ინტერნეტ-გამოკითხვაზე, კერძო უსდ-ების რექტორთა პასუხებისა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სტუდენტებთან ასობით ინტერვიუს შედეგების შესწავლის საფუძველზე შედგენილ იქნა ლეგიტიმურობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორების რანჟირებული ჩამონათვალი უნგრეთისა და პოლონეთისათვის. ეს ფაქტორები ყოველთვის არ შეიძლება პირდაპირ გამოვიყენოთ რეგიონის სხვა ქვეყნების უმაღლეს განათლებაში, თუმცა ისინი საშუალებას აძლევენ მკითხველს შეიქმნას წარმოდგენა იმ მაჩვენებლებზე, რომლებიც აჩქარებენ უსდ-ების წინსვლას და განვითარებას.

ზემოთ ნახსენები ინტერნეტ-გამოკითხვა მოიცავდა ოც ფაქტორს, რომლებიც შერჩეული იყო იმიტომ, რომ აკრედიტაციის ორგანოები ან რეიტინგული სამსახურები ყველაზე ხშირად იყენებენ მათ ინსტიტუციური დონისა და სტატუსის შესაფასებლად. ასეთი ფაქტორები გამოიყენება, აგრეთვე, ზოგიერთ ქვეყანაში (კერძოდ, აშშ-ში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში) უსდ-ების კლასიფიკატორების შესადგენად, ისეთების, როგორებიცაა „კარნეგის ამერიკული კლასიფიკატორი“ ან უმაღლესი განათლების საკითხში გაზეთ „თაიმსის“ დანართის რეიტინგები.

მათი ვარგისიანობის შესაფასებლად ამ მაჩვენებლებს აჯერებდნენ ბრემენის საერთაშორისო უნივერსიტეტის (ბსუ) განვითარების ანალოგიური ანალიზის შედეგებს. ეს უსდ არჩეულ იქნა მაგალითის სახით იმიტომ, რომ ეს ახალი ევროპული ინსტიტუტია.

ბოლო დროს, კერძო უმაღლესი განათლების განვითარების მსვლელობა გერმანიაში, მთლიანობაში, იმეორებს ამ სეგმენტის ფენომენალური ზრდის ზოგად სურათს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში. ამიტომ ბსუ წარმოადგენს საინტერესო მაგალითს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავამოწმოთ ლეგიტიმურობის მაჩვენებლების ქმედითობა სხვადასხვა ქვეყნისათვის. ანალიზის საბოლოო მიზანი მდგომარეობს იმ ფაქტორების შეფასებაში,

რომლებსაც თვლიან ყველაზე არსებითად ლეგიტიმურობის მისაღწევად პოლონეთსა და უნგრეთში, ბსუ-ს გამოცდილებიდან გამომდინარე.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების კონტექსტში ყველაზე მეტი შესაძლებლობა, ეფექტურობის დემონსტრაციისთვის, აქვთ იმ კერძო უსდ-ებს, რომლებმაც ისწავლეს თავიანთი ქვეყნების ბაზარზე თავისთვის მისაღები ნიშის პოვნა. თუმცა, ამ ახალ უსდ-ებს მოუხდებათ, აგრეთვე, დაამტკიცონ თავიანთი ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა და დაადასტურონ ლეგიტიმურობაზე თავიანთი უფლებების განაცხადი კურსდამთავრებულების (ან საქმიანობის სხვა მატერიალური შედეგების) წარმოებით, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სამშობლოს სახელმწიფო და კორპორაციულ კეთილდღეობაში.

აღიარების მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეები განპირობებულია არა მარტო აღქმის აბერაციებით, არამედ რეალური ინსტიტუციური ნაკლოვანებებით.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ლიდერებს შორის, ჭარბობს ნეგატიური და უნდობი დამოკიდებულება კერძო უსდ-ებისადმი. ჩაატარდა რა რეგიონში ასობით ინტერვიუ სტუდენტებთან და პედაგოგებთან, გამოავლინდა რიგი საკითხებისა:

- უმრავლეს კერძო უსდ-ში სტუდენტების მომზადებისა და მოსწრების დონე უფრო დაბალია, ვიდრე სახელმწიფო ინსტიტუტებში;
- ბიბლიოთეკები და ლაბორატორიები პრაქტიკულად უვარგისია მეცადინეობისთვის;
- ახალი კერძო უსდ-ების პედაგოგთა უმრავლესობა არ აწარმოებს სამეცნიერო კვლევებს (ყოველ შემთხვევაში, კერძო უსდ-ებში თავიანთი მუშაობის მსვლელობაში);
- სასწავლო პროგრამები სუსტია და ორიენტირებულია, პირველ რიგში, შრომის ბაზრის ამწუთიერ მოთხოვნილებებზე და არ ითვალისწინებენ საზოგადოების უფრო გრძელვადიან პრობლემებს.

ყველა ეს არასწორი შეხედულება საკმაოდ ძლიერია და ამ პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელია შეიქმნას ავტორიტეტის ან პრესტიჟული თვისებების აღიარების აურა, რომლებიც დამკვიდრების საშუალებას მისცემენ ინსტიტუციურ ბრენდს.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში უმაღლესი განათლების კერძო სექტორის აყვავებისთვის საჭიროა, რომ კერძო უსდ-ების ლიდერმა ჯგუფმა გაითქვას სახელი დიდი წარმატებებით რომელიმე აკადემიურ დარგში, იქნება ეს ბიზნესი, სამართალი, საზოგადოებრივი მართვა, საინჟინრო საქმე, ზუსტი, კომპიუტერული თუ ჰუმანიტარული მეცნიერებები. ამისათვის, როგორც წესი, საჭიროა სტუდენტთა რამდენიმე თაობის გამოშვება, რომლებიც დაიკავებენ წამყვან პოზიციებს მთავარობაში, ბიზნესში ან უმაღლეს განათლებაში. კერძო სექტორის სოციალური მიღებისა და აღიარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტები ქირაობენ კერძო უსდ-ების კურსდამთავრებულებს პროფესორების ან მენეჯერების თანამდებობაზე.

მთლიანობაში, განსხვავებები ინსტიტუციური ლეგიტიმურობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორების ჩამონათვალში, თვალსაჩინოდ ასახავენ სხვაობას ქვეყნებს შორის უკანასკნელ წლებში კერძო

სექტორის განვითარების თვალსაზრისით. კერძო უსდ-ების პოლონელი რექტორების აზრით, ლეგიტიმურობა ვლინდება, პირველ რიგში, იმაში, თუ რამდენად მიისწრაფვიან სტუდენტები ჩაირიცხონ ამა თუ იმ უსდ-ში. თუ მოთხოვნა მაღალია, მაშინ უსდ-ს სწავლის ლეგიტიმური ადგილია სტუდენტებისთვის.

ეს მოთხოვნა განისაზღვრება, პირველ რიგში, ინსტიტუტის მდგომარეობით უსდ-ების სახელმწიფო რეიტინგში, რომელსაც ამზადებს წამყვანი პოლონური გამომცემლობა. ინსტიტუტები, რომლებსაც უკავიათ წამყვანი პოზიციები, ცდილობენ ყოველნაირად გაუსვან ხაზი ამ მიღწევას, შეგვახსენებენ რა მის შესახებ ინსტიტუტის საიტზე და პრაქტიკულად ყოველ პუბლიკაციაში. სრულიად ნათელია, რომ პოლონეთში ამ რეიტინგების ფართო გავრცელება და განხილვა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამა თუ იმ უსდ-ს მოთხოვნილებას.

უნგრეთში კერძო სექტორის ინსტიტუტების ლეგიტიმურობა დამოკიდებულია უფრო განათლების სამინისტროს შესაბამის ორგანოში მიღებულ აკრედიტაციაზე. კერძო უსდ-მ, რომელმაც გაიარა აკრედიტაცია, შეიძლება დაიკავოს პრაქტიკულად თანაბარი პოზიციები სახელმწიფო უნივერსიტეტებთან და თამამად მოახდინოს მის მიერ უმაღლესი განათლების ბაზარზე შემოთავაზებულ საგანმანათლებლო მომსახურეობათა ხარისხის რეკლამირება. პოლონეთის მაგალითი მოწმობს ჩარიცხვაზე ლეგიტიმურობის მნიშვნელოვანი დამოკიდებულების შესახებ. უნგრეთში კი, პირიქით, გზა ლეგიტიმურობისკენ გადის მთავარობის მიერ დადგენილი სტანდარტებისადმი შესაბამისობის უზრუნველყოფაზე - მაშინაც კი, თუ კერძო უსდ-ების უმრავლესობა ამ კრიტერიუმებს არ თვლის თავის ლეგიტიმურობის რეალურ საზომად.

ზემოაღნიშნული გამოკითხვის ძირითადი დასკვნების ბრემენის საერთაშორისო უნივერსიტეტის განვითარების შედეგებთან შედარების საფუძველზე გამოირკვა, რომ ბსუ თავისი აღმოცენების ეტაპზე იმყოფებოდა უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში, ვიდრე პოლონეთისა და უნგრეთის ახალ კერძო უსდ-თა უმრავლესობა. მიუხედავად ამისა, მას მათთან ბევრი რამ საერთო ჰქონდათ. როგორც ნებისმიერ ახალ ინსტიტუტს, ბრემენის საერთაშორისო უნივერსიტეტს უნდა გაევლო ლეგიტიმურობის მოპოვების იგივე გზა, რაც რეგიონის სხვა კერძო უსდ-ებს. იყო რა კერძო უსდ, ბსუ იძულებული იყო გადაეხდევინებინა სწავლის გადასახადი და საკუთარი ბიუჯეტის მეტი წილი გამოეძებნა არასამთავრობო წყაროებიდან. არ ჰქონდა რა საკუთარი პრესტიჟი ანუ რეპუტაცია, უნივერსიტეტს უნდა შეექმნა საკუთარი იმიჯი ბრენდის განვითარების ხარჯზე. და ბოლოს, რადგან ეს უნივერსიტეტი ფუნქციონირებს ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში, მისი განვითარება და ფუნქციონირება განისაზღვრება ბოლონიის პროცესის მოთხოვნებით, რომლებიც გამოიყენება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა უსდ-სთან მიმართებაში.

ბრემენის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგალითი მოწმობს იმის შესახებ, რომ უსდ-ები აღწევენ ლეგიტიმურობას, მხარდაჭერის სხვადასხვა წყაროებისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით. ბსუ-ს საკმაოდ სწრაფი ლეგიტიმაცია აიხსნება საქალაქო და ფედერალური მხარდაჭერით განვითარების ადრეულ ეტაპებზე. ამის წყალობით უნივერსიტეტმა მიიღო კამპუსი, სასტარტო კაპიტალი, სახელმწიფო

აკრედიტაცია და საბოლოო ჯამში, გერმანიის სამეცნიერო საბჭოს აღიარება, რომელმაც, თავის მხრივ, მას გზა გაუხსნა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფედერალური დაფინანსებისაკენ.

ქვეყნებს შორის ყველაზე თვალსაჩინოდ განსხვავებები უმაღლესი განათლების ტრადიციებისა და ისტორიული კონტექსტის მიხედვით ვლინდებიან უსდ-ს პედაგოგების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საკითხებში. ინსტიტუტებისთვის, რომლებიც გამოხატავენ პოზიციებს, როგორც უნივერსიტეტები, სამეცნიერო კვლევები არის ინსტიტუციონალური მისიის განუყოფელი ნაწილი, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ახალ კერძო უსდ-ების უმრავლესობას შეადგენენ დაწესებულებები, რომლებიც თავიანთ თავს განსაზღვრავენ როგორც „უმაღლესი სკოლები“ ან „ინსტიტუტები“ და მათთვის კვლევები არც ისე მნიშვნელოვანია ლეგიტიმურობის თვალსაზრისით.[72]

§2 სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემების შედარებითი ანალიზი

როგორც სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემების გამოცდილების მიხედვით იკვეთება, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ყოველმხრივი რეფორმირება უფრო სიღრმისეულად უნდა განხორციელდეს, რადგან მხოლოდ ზედაპირული ხასიათის რეფორმები ვერ გვთავაზობს იმ შედეგს, რაც დღეისათვის რიგ ქვეყნებშია წარმოდგენილი. საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილების ეფექტურად გამოყენება, მნიშვნელოვანწილად, შეუწყობდა ხელს ჩვენ ქვეყანაში განათლების ძირითადი მიმართულებების განვითარებას. მთავარია, წარმატებული ქვეყნების მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სპექტრის ანალიზის შედეგად, სწორი არჩევანი გაკეთდეს იმ ფორმების გამოყენებაზე, რომელიც მიესადაგება ქართულ რეალობას და შექმნიდა საიმედო საფუძველს საქართველოს განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და შედეგზე ორიენტირებული პერსპექტივის უზრუნველყოფისათვის.

ამ თვალსაზრისით, სხვადასხვა ქვეყნებმა მიაღწიეს გარკვეულ ეფექტებს. კერძოდ, გერმანიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ძველი საგანმანათლებლო ტრადიციების ჰარმონიულ თანშერწყმას სიახლეებთან, ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანული განათლების სისტემა არის კლასიკური მაგალითი ცენტრს, ფედერაციის სუბიექტებსა და უსდ-ებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის. დიდ ბრიტანეთში სისტემის განვითარების პერსპექტივა ამ მიმართებით ახალი მენეჯმენტის განხორციელების აუცილებლობას დაუკავშირეს. საფრანგეთის საკმაოდ უნიფიცირებული და ცენტრალიზებული სისტემა უკანასკნელ პერიოდში დეცენტრალიზაციის გზით მიემართება. როგორც ვთქვით, სრულად დეცენტრალიზებულია აშშ-ს განათლების სფერო. ე.ი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესია განვსაზღვროთ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფარგლებში როგორ განვახორციელოთ უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზება.

[72] Гизеке Ханс К. стр.1-6

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა კვლავ რეფორმირების პროცესშია, სახელმწიფოს კონტროლი უსდ-ების საქმიანობაზე ადეკვატურ ეფექტს ვერ იძლევა, რის გამოც, თუ ერთი შეხედვით ავტორიტეტულობით გამორჩეული უსდ-ების საქმიანობაში სიღრმისეულად ჩავიხედავთ, აღმოვჩნდებით სერიოზული ხარვეზების წინაშე როგორც მენეჯმენტის განხორციელების, ასევე სასწავლო პროგრამებისა და აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ეს რეალობა არასაიმედო ნიადაგია უსდ-ების საქმიანობის თანამედროვე მოთხოვნებთან და საზოგადოდ საერთაშორისო გამოცდილებასთან შესაბამისობის მოყვანის თვალსაზრისით.

2005 წლის ნოემბერში იუნესკო-სეპესმა მოაწყო კონფერენცია „კერძო უმაღლესი განათლება ევროპაში და ხარისხის უზრუნველყოფა .და აკრედიტაცია ბოლონიის პროცესის მიხედვით“. კონფერენციისთვის მომზადებულ იქნა ცამეტი ანგარიში ცალკეულ ქვეყნებზე და წარმოებულ იქნა ამ ქვეყნების შედარებითი ანალიზი. პროექტმა მოიცვა ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ალბანეთი, ავსტრია, ბულგარეთი, ესტონეთი, გერმანია, იტალია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, ესპანეთი, თურქეთი და უკრაინა.

უმაღლესი განათლების ყველა ფორმა მეტწილად კონტროლირდება სახელმწიფოს მიერ იმ მნიშვნელობით, რომ ისინი ფუნქციონირებენ სახელმწიფო ორგანოების მიერ შემუშავებულ რეგულატურ ჩარჩოებში.

კერძოდ ესენია:

- კვალიფიკაციური ჩარჩოები: ხარისხის სტრუქტურა და მისი მოთხოვნები, ხარისხის უზრუნველყოფის სქემა;
- ავტონომიის ჩარჩოები: კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის ავტონომიას და უმაღლესი განათლების რეგულირების განსაზღვრული პროცედურების დაცვას;
- თანაბარი წვდომის ჩარჩოები: კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის ყველა მსურველის თანასწორობას;
- ზოგადი სამართლებრივი ჩარჩოები: დაქირავების, ჯანდაცვის, უსაფრთხოების და ა.შ. ნორმები.

ქვეყნების მიხედვით, ცამეტი ანგარიშის ანალიზის გათვალისწინებით, გაკეთდა რიგი ზოგადი დასკვნები. ჯერ ერთი, სრულიად ნათელია, რომ სიდიდით კერძო უსდ-ები, როგორც წესი, სახელმწიფო უსდ-ზე ბევრად ნაკლებია, თუმცა მათი სიდიდე არ უნდა შევაფასოთ კერძო სექტორის სტუდენტების რაოდენობისაგან, აგრეთვე, კერძო უსდ-ების დაფინანსების სქემებისაგან მოწყვეტით. სტუდენტების რაოდენობის ცვალებადობა და დემოგრაფიული ტენდენციები მოითხოვენ უმაღლესი განათლების სისტემისაგან მნიშვნელოვან მოქნილობას. ამჟამად, ევროპის უმრავლეს ქვეყანაში, ხდება შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების რაოდენობის შემცირების პროგნოზირება, რაც, როგორც ჩანს, მიგვიყვანს სტუდენტების მოსაზიდად უსდ-თა შორისი კონკურენციის გამწვავებამდე.

მრავალ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო უდს-ები გადატვირთულნი არიან, კერძო ინსტიტუტები ავსებენ წყვეტილობას მოთხოვნასა და

მიწოდებას შორის, სწავლების ყველაზე მოთხოვნად დარგებში (ეს ტენდენციაა საქართველოშიც, მაგრამ ხანდახან არის პირიქით - რეიტენგული კერძო უნივერსიტეტების გადატვირთულობის შემთხვევაში, წყვეტილობის შევსებას ახდენენ სახელმწიფო უნივერსიტეტები).

იმ ცამეტ ქვეყანაში, რომლებიც დაექვემდებარნენ ანალიზს, კერძო უმაღლესი განათლების ორი უმნიშვნელოვანესი ამოცანა - წვდომის გაფართოება და ელიტარული მომსახურეობებია. წვდომის გაფართოებაზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების კერძო სექტორები, ჩვეულებრივ მოიცავენ ქვეყანაში სტუდენტების საერთო რაოდენობის 10%-ზე მეტს. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში კერძო უსდ-ებში უფრო ადვილია მოწყობა, ვიდრე სახელმწიფო უსდ-ებში, რაც მიუთითებს არჩევითობის დაბალ დონეზე. ასეთი კერძო უსდ-ები ფინანსდებიან მხოლოდდამხოლოდ კერძო წყაროებიდან და სახელმწიფო სუბსიდირების შესაძლებლობები პრაქტიკულად არ არსებობს.

ელიტარულ მომსახურეობებზე ორიენტირებული განათლების კერძო სექტორები, როგორც წესი, მოიცავენ ქვეყანაში სტუდენტების საერთო რაოდენობის 10%-ზე ნაკლებს. ჩარიცხვის პროცედურები მათში ხასიათდებიან მკაცრი არჩევითობით, ხოლო დაფინანსება ხორციელდება შერეული ტიპით - სახელმწიფო და კერძო საშუალებების ხარჯზე.

აქედან გამომდინარე, ცამეტი ქვეყნის კერძო უმაღლესი განათლების კლასიფიცირება მიზნების მიხედვით ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

წვდომის გაფართოება: ბულგარეთი, ესტონეთი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, უკრაინა.

ელიტარული მომსახურეობები: ავსტრია, გერმანია, იტალია, პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, თურქეთი. პორტუგალია და რუსეთი რიგი მიზეზებით შევიდნენ ორივე ჯგუფში.[73]

ევროპაში კერძო უმაღლესი განათლების განვითარებისათვის დამახასიათებელია რიგი კლასიკური პრივატიზაციული ნიშანი, რომელთაგან მთავარია ალტერნატიული სახელმწიფო სასწავლო პროგრამების მიწოდება. გარდა ამისა, კერძო უსდ-ები, როგორც წესი, წარმოადგენენ ინსტიტუციურ მომსახურეობების უფრო ფართო სპექტრს, ისეთებს, როგორებიცაა:

- სტიპენდიების და გრანტების მიწოდება მონაწილეობის გასაფართოებლად;
- საზღვარგარეთის მიმზიდველ უსდ-ებთან სტუდენტთა გაცვლის პროგრამების ორგანიზაცია;
- კარიერის დაგეგმვისა და შრომითი მოწყობის სამსახურების განვითარების უფრო მაღალი დონე;
- სტუდენტების უზრუნველყოფა მაღალხარისხიანი საერთო საცხოვრებლებით და საზოგადოებრივი კვების საწარმოებით;
- კამპუსებში განვითარებული ინფრასტრუქტურის შექმნა დასვენებისა და ურთიერთობისთვის;
- საღამოს, საკვირაო და ასინქრონული არატრადიციული კურსებისა და პროგრამების შექმნა მომუშავე სტუდენტებისათვის.

სტუდენტების საჭიროებებისადმი, შეხედულებებისადმი და საზრუნავისადმი ასეთ გულისხმიერებისა და ყურადღების გამოჩენის

[73] Фрид Йохен, Гласс А., Баумгартл Б. стр. 1-5

აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სტუდენტები გამოხატავენ მზადყოფნას შეიცვალონ სწავლის ადგილი, თუ ისინი იგრძნობენ, რომ მათი მოთხოვნილებები და მოლოდინი სათანადოდ არ კმაყოფილდება. უსდ-ების რექტორების უმრავლესობა თვლის, რომ ჩარიცხვის მაღალი დონე და სასწავლო ადგილების მოთხოვნილება წარმოადგენენ საზოგადოებრივი აღიარების ან ლეგიტიმურობის მიღწევის ორ ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებელს. ამ მაჩვენებლებს მიიჩნევენ ლეგიტიმურობის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ფაქტორებად, რადგან სტუდენტების მოზიდვისა და შეჩერების უნარი მოთხოვნის თვალსაჩინო მტკიცებულებაა, ხოლო მოთხოვნილი უსდ-ები სარგებლობენ პატივისცემითა და აღიარებით საზოგადოებაში.[74]

უფრო მეტიც, რადგან სამეცნიერო კვლევების პროდუქტიულობა არის უსდ-ების სახელმწიფო რეიტინგთა უმრავლესობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, საჭიროა შევაფასოთ, თუ რამდენად და რა სახით მოქმედებენ ცნობილი რეიტინგები გარკვეული ტიპის უსდ-ების ლეგიტიმურობაზე. ამ საკითხისადმი მიძღვნილი კვლევები მიუთითებენ იმაზე, რომ რეიტინგები უდიდეს ზეგავლენას ახდენენ ყველაზე შეძლებულ სტუდენტებზე, რადგან სწორედ ისინი არიან განსაკუთრებით გარკვეულები განათლების ხარისხის საკითხებში. შესაბამისად, იმისათვის, რომ გავაქარწყლოთ არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მომზადების დონით კერძო უსდ-ების სტუდენტები ჩამორჩებიან სახელმწიფო უსდ-ებს, კერძო ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმონ საკუთარ რეიტინგს. უფრო მაღალი რეიტინგი მისცემს მათ საშუალებას მოიზიდონ საუკეთესო სტუდენტები და წარმატებული კონკურენცია გაუწიონ ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებულ სახელმწიფო უნივერსიტეტთა მიმზიდველობას.

საქართველოში, ზემოაღნიშნული ქვეყნებისაგან განსხვავებით, თვით რეიტინგული კერძო უსდ-ებიც ვერ სთავაზობენ სტუდენტებს მომსახურების სრულფასოვან პაკეტებს (მითუმეტეს, კამპუსებს განვითარებული ინფრასტრუქტურით და ა.შ.),[75] მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჩვენი ქვეყნის რეიტინგულ კერძო უსდ-ებს (და არა საზოგადოდ კერძო უსდ-ებს) სერიოზული კონკურენცია გაუწიონ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს და ეს განპირობებულია, პირველ ყოვლისა, სწავლების ხარისხით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი კერძო უსდ-ები ახერხებენ ჩარიცხვის დომინირებადი პარადიგმების დაძლევასა და საუკეთესო სტუდენტების მოზიდვას, ხშირად იქმნება დაძაბულობა კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის. მისი მიზეზების გაგება მოგვცემს საშუალებას გავზარდოთ ნდობის დონე, რომელსაც სახელმწიფო უსდ-ები განიცდიან კერძოთა მიმართ. საბოლოო ჯამში, მისიებისა და მომსახურეობების დიფერენციაციის განმაპირობებელი ფაქტორების უფრო ღრმა გაგება ხელს უწყობს საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებას. ახდენენ რა ეფექტურობისა და სიცოცხლისუნარიანობის დემონსტრირებას, ახალი კერძო უსდ-ები თანდათანადობით მიაღწევენ აღიარებას საზოგადოებრივი ლიდერებისა და მომავალი სტუდენტების

[74] Гизеке Ханс К. стр. 3-5

[75] თუმცაღა, თსუ-ს „საუნივერსიტეტო ქალაქის“ იდეის მონახაზი დამუშავებულია და 2008 წელს საჯაროდ წარედგინა საზოგადოებას. ასევე, 2010 წელს, საჯაროდ წარდგენილ იქნა თავისუფალი უნივერსიტეტის „ცოდნის ქალაქის“ პროგრამა.

მხრიდან, რომლებზეცაა მნიშვნელოვან წილად დამოკიდებული მათი საერთო მომავალი.[76]

კრიზისულ მოვლენებს აქვს ადგილი განათლების მსოფლიო სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 1960 წლიდან 1980 წლამდე მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 436,1 მლნ ადამიანიდან 845,3 მლნ ადამიანამდე, ხოლო უცოდინართა წილი ამის შედეგად შემცირდა 44%-დან (1950 წელი) 26,5%-მდე (1990 წელი), ვერ მოხერხდა უცოდინართა აბსოლუტური რაოდენობის ზრდის დაძლევა, გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა სხვადასხვა პრობლემების გამწვავებას, რომლებმაც საბოლოოდ შეიძინეს განათლების სისტემური კრიზისის ხასიათი.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში განათლებას, მატერიალური და მორალური კუთხით, არც თუ ისე საუკეთესო პერიოდი დაუდგა. სახელმწიფო მხარდაჭერა განუხრელად მცირდება. ამ შემცირების მიზეზები და ხარისხი მრავალფეროვანია. დაფინანსების მკვეთრი შემცირების განმსაზღვრელი მიზეზია ღრმა ეკონომიკური ვარდნა, მაგრამ არის სხვა მიზეზებიც სხვადახვა ქვეყნებში უმაღლესი განათლებისადმი სახელმწიფო ხელისუფლების ნეგატიურ დამოკიდებულებაში.

ამასთან, დასავლეთის უნივერსიტეტები წყვეტენ საკუთარ პრობლემებს კონკურენციის პირობებში, მათ შორის, სახელმწიფო და არასახელმწიფო უსდ-ბს შორის და აფასებენ განვითარებისადმი ამ კონკურენციით მოცემულ იმპულსს.

სახელმწიფო უსდ-ბმა წარმოქმნა კერძოებზე მნიშვნელოვნად უფრო გვიან დაიწყეს. კანადაში ყველა უნივერსიტეტი საზოგადოებრივია. მათ 60% აფინანსებს სახელმწიფო, 35% შეადგენს სტუდენტების გადასახდელი, დანარჩენი ნაწილი – კერძო წყაროებიდან მიღებული სახსრებია. აშშ-ში მთავრობა აფინანსებს არა უნივერსიტეტს, არამედ სტუდენტებს, რუსეთში, რეგიონების მონაწილეობის გარეშე, უნივერსიტეტთა განვითარება და შენახვა პრობლემატურია. თავის მხრივ, ეს უსდ-გან მოითხოვს ამოცანათა გადაჭრაში რეგიონების აქტიურ ჩართვას.[77]

ევროპული უნივერსიტეტები თვლიან, რომ უნივერსიტეტების დინამიკური განვითარებისთვის საჭიროა მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობები ბიზნესთან და გაფართოებული დაფინანსება სხვადასხვა წყაროების გამოყენებით, ვფიქრობ, რომ ეს მიდგომა და მისი რეალიზება ეფექტური იქნება საქართველოს უსდ-ებისათვის.

თავი IV

უმაღლესი განათლება, როგორც საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება და მისი განხორციელების ნორმატიული საფუძვლები

§1. საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების პრივატიზაცია.

მზარდი საჯარო ამოცანების და სახელმწიფო ფინანსების დეფიციტის გათვალისწინებით ჩნდება კითხვა, თუ რამდენად შესწევს უნარი თანამედროვე სოციალურ სახელმწიფოს გაუმკლავდეს მის წინაშე

[76] Гизеке Ханс К. стр. 2-3
[77] Гизеке Ханс К. стр.1

მდგარ ამოცანებს. ამის გათვალისწინებით, კითხვა შესაძლებელია დაკონკრეტდეს შემდეგნაირად, ხომ არ არის შესაძლებელი ამ ამოცანათა უკეთესად და, პირველ რიგში, უფრო იაფად შესრულება კერძო პირების მიერ?!

პრივატიზაციის შესახებ დისკუსიის გააქტიურებას ხელს უწყობს სახელმწიფოს ფინანსების მზარდი დეფიციტი. თემის გარშემო გამართულ დისკუსიებში ხდება პრობლემის იდენტიფიკაცია ამოცანის მატარებელი სუბიექტის და ამ ამოცანის შესრულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენაში.[78] ამ მიმართულებით ანალიზის გასაგრძელებად აუცილებელია, პირველ რიგში, მოკლედ შევჩერდეთ „საჯარო ამოცანის" ცნებაზე.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, „სახელმწიფო ამოცანების" კატეგორიის ქვეშ ექცევა ისეთი ამოცანები, რომელსაც სახელმწიფო კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში და დასაშვებობის გათვალისწინებით საკუთარ ამოცანებად მიიჩნევს[79]. ასევე „სახელმწიფო ამოცანად" განიხილავენ ისეთ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტით საზოგადოება მნიშვნელოვნად არის დაინტერესებული[80].

იურიდიული ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ „საჯარო ამოცანის" ერთიანი ცნება არ არსებობს, არამედ ის განიმარტება სხვადასხვა ინტერესზე ყურადღების გამახვილებით.[81]

კამათის საგანია საკითხი, უნდა გაიმიჯნოს თუ არა „სახელმწიფო" და „საჯარო" ერთმანეთისგან. მაშინ როდესაც ავტორთა ერთი ნაწილი უარს ამბობს ასეთ გამიჯვნაზე, ტერმინის „საჯარო" გამოუსადეგარობის მოტივით[82], მეორე, დიდი ნაწილი ავტორებისა გონივრულად და საჭიროდ მიიჩნევს ასეთ დაყოფას[83].

შტაინერის მოსაზრებით, „საჯარო" გულისხმობს დამოუკიდებელ ზონას სახელმწიფოსა და კერძოს შორის, რომელიც თუმცა სცილდება კერძო სფეროს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის სახელმწიფო ზონა.[84]

„საჯაროსა" და „კერძოს" ურთიერმიმართების თვალსაზრისით, შუპერტი გამოყოფს შემდეგ ფორმებს: (1)სახელმწიფო ამოცანები შესაძლებელია ისეთივე წარმატებით განხორციელდეს კერძო პირების მიერ, რომ სახელმწიფომ უარი თქვას მის შესრულებაზე. (2)თუმცა შესაძლებელია, საჯარო ინტერესი იმდენად ძლიერი იყოს, რომ სახელმწიფომ ამ ამოცანების შესრულებაზე განახორციელოს კონტროლი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით ან (3)შექმნას ამ ამოცანის შესრულებისას სახელმძღვანელო ნორმატიული საფუძვლები ან (4)ეს ამოცანები შეასრულოს სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით ან (5)საამისოდ შექმნილი და მასზე დაქვემდებარებული სუბიექტების შექმნით განახორციელოს ის.[85]

---

[78] Hagemeister, S. 5
[79] Ossenbuehl, VVDStRL 29 (1971) S. 137 ff.
[80] Eckert, S. 150
[81] Hagemeister, S.
[82] Hagemeister, S. 16-ე სქოლიო
[83] Hagemeister, 17-ე სქოლიო
[84] Steiner, Verwaltung, S. 62.
[85] Schuppert, S. 158.

საჯარო ამოცანის განსაზღვრა უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსა და სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის განსხვავების დადგენასთან. მატერიალური გამიჯვნის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ამოცანები არის მოცემულობა, რომელიც განსაზღვრებადია, უნდა მოხდეს სახელმწიფო და კერძო სფეროს მკვეთრი გამიჯვნა. ამ მოსაზრების ქვეშ მოქცეული დუალიზმი და შესაბამისად, ამოცანის ცნება, თანამედროვე ეტაპზე არსებითად არის შეცვლილი.

სახელმწიფოს ქვეშ მოიაზრება საჯარო-სამართლებრივად მოწყობილი სუბიექტების (ცენტრალური, რეგიონალური მმართველობა და ადგილობრივი თვითმმართველობა, საჯარო-სამართლის იურიდიული პირები) ერთობლიობა, ხოლო „საზოგადოება" გულისხმობს მოქალაქეებს შორის სამართლებრივ წესრიგს, რომელსაც ახასიათებს თანასწორობა, ღიაობა, იდეების თავისუფალი კონკურენცია, ინტერესები და მოსაზრებები, ისევე როგორც სოციალური და ეკონომიკური თვითრეგულირება[86].

ინდუსტრიალიზაციის ეპოქისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების მკაცრი გამიჯვნა. სახელმწიფო გაიგებოდა, როგორც მონარქების ხელში არსებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც ახასიათებს იძულების ძალა, ხოლო საზოგადოება როგორც სივრცე, რომელშიც დასაქმებული მოქალაქე სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შეძლებს განვითარებას. სანამ ეკონომიკურ-საზოგადოებრივ ძალებს, თვითრეგულირების საფუძველზე, შეუძლიათ ჰარმონიული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღწევა, სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ამ სფეროსაგან. ის უნდა შეიზუდოს წესრიგის დაცვის ფუნქციით და ეკონომიკას უნდა მისცეს თვითფუნქციონირების შესაძლებლობა.

ეროვნული სახელმწიფოების თანამედროვე განვითარება ბადებს კითხვას – ხომ არა აქვს ადგილი სახელმწიფოს ფუნქციონალური დანიშნულების შეცვლას და, აქედან გამომდინარე, ხომ არ ვიღებთ, სახელმწიფოს შესუსტებას, უფრო მეტიც, მის გაქრობას?

შიდასახელმწიფოებრივ ფარგლებში გარკვეული სახელმწიფო ამოცანების კერძო სექტორისათვის დელეგირება (პრივატიზაცია) წარმოშობს ასეთი ეჭვის საფუძველს. თუმცა ეს იქნებოდა ნაჩქარევი დასკვნა, რომ აღნიშნული პროცესი მიგვეჩნია სახელმწიფო კლასიკური ფუნქციების შეცვლად. მართალია, თანამედროვე ეპოქაში პრივატიზაციის პროცესმა ისეთი მზარდი ხასიათი მიიღო, რომ არა თუ უმაღლეს განათლებას, არამედ სახელმწიფოს ისეთ ძირითად კლასიკურ ფუნქციასაც კი შეეხო, როგორიცაა უსაფრთხოება. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების სფეროში კერძო სექტორის ჩართვა ხდება, ანუ სახელმწიფო ახდენს აღნიშნული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების დელეგირებას კერძო სუბიექტებზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო უარს ამბობს თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულებაზე. უსაფრთხოების სფეროში კვლავაც სახელმწიფო რჩება პასუხისმგებელი, მაგრამ ის, შესაბამისი კონტროლის უზრუნველყოფით,

[86] Badura, Staatsrecht, A4

ამ ამოცანის განხორციელების უფლებამოსილებას კერძო სექტორს გადასცემს.[87]

სასწავლო დაწესებულებები იქმნებიან განათლებაში სოციალური ფუნქციის განსახორციელებლად, – საგანმანათლებლო მომსახურებათა გასაწევად, რომლებიც ატარებენ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ხასიათს. ამრიგად, უსდ-ები საგანმანათლებლო მომსახურეობებს უწევენ სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებს, რაშიც, რეალიზდება საჯარო ინტერესი საგანმანათლებლო სფეროში.

უსდ-ების მიერ მათზე დაკისრებულ საჯარო ფუნქციათა განხორციელებაში მნიშვნელოვანია მათი ადგილის განსაზღვრა სხვადასხვა სამართლებრივ კავშირებში, უპირველეს ყოვლისა, სახელისუფლო საჯარო-სამართლებრივ სუბიექტებთან მიმართებაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, განურჩევლად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას[88].

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი განისაზღვრება, როგორც მისი კომპონენტების (უფლებების, ვალდებულებების, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის) ნაკრები სისტემა.

უსდ-ების, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სუბიექტების, თავისებურება დგინდება მათი დამფუძნებლის ბუნებით. მისი სტატუსი თავდაპირველად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა მოცულობასა და ხასიათს.

ამავე დროს, ადმინისტრაციული სამართლის კუთხით, მნიშვნელოვანია უსდ-ს ადმინისტრაციულ სამართალურთერთობათა დახასიათება, რომელიც მოქმედებს გარკვეული მიზნების რეალიზაციისათვის გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების პრივატიზაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხა ფორმით[89]:

1. ფორმალური პრივატიზაცია

ფორმალური პრივატიზაციის შემთხვევაში საჯარო ამოცანა ისევ სახელმწიფოს მიერ ხორციელდება, თუმცა ის ამისათვის ქმნის კერძო სამართლის იურიდიულ პირს. ამოცანის ხარისხი, როგორც „საჯარო" და მისი საჯარო მმართველობის ორგანოსადმი მიკუთვნება შენარჩუნებულია, თუმცა ეს უკანასკნელი იღებს (ორგანიზაციული მოწყობის) კერძო სამართლებრივ ფორმას[90].

ფორმალური პრივატიზაციის შემთხვევაა მოსახლეობის წყლით, გაზით და ელექტროენერგიით მომარაგება სახელმწიფოს მიერ სააქციო საზოგადოებების, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შექმნის გზით.

ფორმალური პრივატიზაციის შემთხვევა უნდა გავმიჯნოთ სახელმწიფოს წმინდა სამეწარმეო საქმიანობისაგან. თუ სახელმწიფო

---

[87] იზორია ლ., გვ. 125-127.

[88] უმაღლესი განათლება, როგორც საჯარო-სამართლებრივი ფუნქცია განხილულია ნაშრომის მე-3 თავში.

[89] ავტორთა კოლექტივი, გვ. 368-371

[90] ფორმალური პრივატიზაცია იწოდება ასევე, როგორც „ორგანიზაციული პრივატიზაცია", იხ. Ipsen, 85.

მოქმედებს, როგორც „მეწარმე" და მისი მიზანია მოგების მიღება, ის მოქმედებს კერძო სამართლის ნორმების საფუძველზე, როგორც ნებისმიერი კერძო პირი. ისეთი საქმიანობა ექცევა აღნიშნული ინსტიტუტის ქვეშ, რომელიც მიმართული საჯარო ამოცანების შესრულებისაკენ.

2. ფუნქციური პრივატიზაცია

ფუნქციური პრივატიზაციის დროს, კონკრეტული საქმიანობა სახელმწიფოს ფუნქციად რჩება, ხოლო მისი შესრულება ხდება კერძო პირების მიერ სახელმწიფოს მიერ გაცემული დაკვეთის საფუძველზე. განსხვავებით ფორმალური პრივატიზაციისაგან, საჯარო ფუნქცია ხორციელდება არა მმართველობის ორგანოს მიერ, არამედ დამოუკიდებელი კერძო პირის მიერ.[91]

3. მატერიალური პრივატიზაცია

მატერიალური პრივატიზაციის შემთხვევაში სახელმწიფო თავისუფლდება საჯარო ამოცანისგან და გადასცემს მას კერძო სექტორს. ამ შემთხვევაში გარკვეული საქმიანობა კარგავს „საჯარო ფუნქციის" სტატუსს. პრივატიზაციის ეს ფორმა შესაძლებელს ხდის შემცირდეს სახელმწიფოს ფუნქციები და მოხდეს საჯარო მმართველობის ორგანოების განტვირთვა.[92]

ამრიგად, აღნიშნული პროცესი არ გულისხმობს სახელმწიფოს მთავარი ფუნქციონალური დანიშნულების ცვლილებას. თანამედროვე სახელმწიფო აღარ არის ყველა საჯარო ამოცანის უშუალო განმახორციელებელი. ის უზრუნველყოფს მხოლოდ აუცილებელს, შემოიფარგლება ფორმალური პირობების განსაზღვრით – რეგულირებით. იცვლება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ფორმები და მოცულობა, ხოლო ფუნქციები უცვლელი რჩება.[93]

§ 2. უმაღლესი განათლება, როგორც საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება და მისი განხორციელების სამართლებრივი ფორმები

2.1. უმაღლესი განათლების საჯარო ფუნქცია.

განათლების ფუნქციების[94] გათვალისწინებით, უმაღლესი განათლება იძენს საჯარო ფუნქციის სტატუსს. ამის გათვალისწინებით, გაბატონებული მოსაზრების თანახმად[95] სახელმწიფოს ფუნქციაა უმაღლესი განათლების სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ის ვალდებულია მოსახლეობის გადასახადებიდან შემოსული თანხებიდან (ბიუჯეტი) სრულად ან ნაწილობრივ დააფინანსოს სწავლება და კვლევა.

მე-20 საუკუნის 80-ანი წლების დასაწყისიდან დიდ ინდუსტრიულ სახელმწიფოებში ინტენსიურად მიმდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკურ სფეროში აქტიურობის შენელების პროცესი, რაც ხორციელდება სახელმწიფო საწარმოების კერძო პირებისათვის მიყიდვით(პრივატიზაცია) ან კერძო სექტორში სახელმწიფო მარეგულირებელი ნორმების შემცირებით(დერეგულაცია). სახელმწიფოებში შედარებით დიდი კერძო სექტორით, როგორიცაა აშშ – ადგილი აქვს დერეგულაციის პროცესს, ხოლო სახელმწიფოებში, სადაც

[91] Ipsen, 85.
[92] Ipsen, 86.
[93] Mueller/Wright, The State in Westen Europe. Retreat or Redefinition, 1994.
[94] ფუნქციები დაწვრილებით იხილეთ ნაშრომის პირველ თავში.
[95] Woll, 337

მაღალია სახელმწიფო საწარმოების რიცხვი, როგორიცაა დიდ ბრიტანეთი, აქტუალურია პრივატიზაციის პროცესი.

აღნიშნული პროცესი აქტუალურს ხდის დისკუსიას უმაღლესი საწავლებლების პრივატიზაციასა და დერეგულირებასთან დაკავშირებით. თანამედროვე უნივერსიტეტის არსებითი ნიშანია არსებული ცოდნის გადაცემა (სწავლება) და ახალი ცოდნის მიღება(კვლევა). გერმანული ტრადიციული განათლების სისტემისათვის, რომელიც ჰუმბოლდტის სახელს უკავშირდება მნიშვნელოვანია პრიციპი, რომ სწავლებისა და კვლევის ერთიანობა არა მარტო ინსტიტუციონალურად, არამედ პერსონალურად უნდა იყოს გარანტირებული. პედაგოგი იმავდროულად უნდა იყოს მკვლევარი და პირიქით. ეს მიდგომა წარმოშობს პრობლემას, რომელიც ძნელად გადასაწყვეტია: უმაღლესი განათლების პროდუქტი – სწავლება – წარმოადგენს საბაზრო ბრუნვის საგანს, რაც არ შეიძლება ითქვას კვლევაზე. სამეცნიერო კვლევა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ გამოყენებით კვლევას, არ შეიძლება გახდეს საბაზრო ურთიერთობის საგანი.[96]

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას, როგორც ნებისმიერ სხვა იურიდიულ პირს, მინიჭებული აქვს უფლებებისა და ვალდებულებების „ზოგადი“ ნაკრები. მაგრამ საგანმანათლებლო საქმიანობა უნდა აწარმოონ სპეციალური სამართლებრივი სტატუსის მქონე იურიდიულმა პირებმა, რომელიც უნდა აღნიშნავდეს მოცემულ პირს, როგორც სპეციალური რეგულირების სუბიექტს, თანაც ასეთი იურიდიული პირის სამართალსუბიექტურობა განისაზღვრება არა მარტო და არა იმდენად სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგადი ნორმებით, რამდენადაც, მოცემულ შემთხვევაში, განათლების შესახებ კანონმდებლობის სპეციალური ნორმებით.

უსდ-ს სუბიექტური მახასიათებლების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ განსაზღვრებაში მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს მათი ადმინისტრაციული სამართალსუბიექტურობის შინაარსის გამჟღავნებამ, აგრეთვე, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების ცალკეულ სახეთა სტატუსებმა.

ამჟამად უსდ-ების სტრუქტურა გართულებულია. საჯაროებისა და კერძოს გარდა, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიმართულებათა განვითარება განსაზღვრავს მიდგომას სხვადასხვა სამართლებრივი მახასიათებლების მქონე უსდ-ების აგებაში.

მეცნიერ-იურისტი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ცნობილი სპეციალისტი ნ.ი. მატუზოვი სამართლიანად აღნიშნავდა: „თავისთავად ცხადია, რომ სპეციალური, ინდივიდუალური და ყველა სხვა სტატუსი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ზოგად (კონსტიტუციურ) სტატუსს. პირიქით, ისინი უნდა შეესაბამებოდნენ მას როგორც საბაზოს, პირველადს, საწყისს“[97].

უმაღლესი განათლების მოდერნიზაცია განისაზღვრება, პირველ რიგში, სოციალურ მომსახურებათა მექანიზმის სრულყოფის აუცილებლობით, სოციალური, მათ შორის, საგანმანათლებლო სფეროს, ორგანიზაციების სისტემის მკაფიო მუშაობაში სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნილებით.

---

[96] Woll, 338, Schroeder, 133f. Becker, DVBl

[97] Матузова М.И., Малько А.В. – с. 269

უსდ-ები, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენენ სოციალურ ინსტიტუტთა სისტემის ელემენტს, რაც გულისხმობს განსაკუთრებულ მიდგომას მათი სამართლებრივი სტატუსისადმი და, უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციულ სფეროში.

ამავე დროს, სამეცნიერო კვლევებში არსებული უსდ-ს ცნებები, მათ შორის, არასახელმწიფო უსდ-სი, შემოფარგლულნი არიან ნორმატიული ფორმულირების ჩარჩოებით, არ ასახავენ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების, ე.ი. როგორც ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობათა მონაწილეების (სუბიექტების) საჯარო თვისებებს.

ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებასა და ადმინისტრაციული კანონმდებლობის დონეზე აუცილებელია განვსაზღვროთ უსდ-ების ადგილი და როლი ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში, გავმიჯნოთ მათი ფუნქციონირების სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სფერო, რომელიც განისაზღვრება მათი სამართლებრივი სტატუსის შინაარსითა და მოცულობით.

უსდ-ების, როგორც განათლების სფეროში ურთიერთობათა მონაწილეების, დახასიათების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს მათი საგანმანათლებლო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება. ის იძნეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, განსაკუთრებით, უსდ-ს რეფორმირების პროცესებთან დაკავშირებით. უსდ-ების საქმიანობის ეფექტურობა პირდაპირაა დამოკიდებული მკაფიო სამართლებრივ რეგულირებაზე.

ამჟამად კანონმდებლობა არ შეიცავს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების, განსაზღვრის მკაფიო სამართლებრივ კონცეფციას. ამიტომ საჭიროა შემუშავდეს თანამედროვე წარმოდგენა უსდ-ს, როგორც ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობათა სუბიექტის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის ა) პუნქტში მოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს დეფინიცია: „ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“.

ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიციის მეორე ნაწილი, ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს. იმის გათვალისწინებით, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება „ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“, ის ექცევა ადმინისტრაციული ორგანოს ლეგალური დეფინიციის ქვეშ.[98]

[98] ტურავა პ, წკეპლაძე ნ, 2005, გვ. 16-17.

2.2. საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივი ფორმები.

საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება მოითხოვს სუბიექტის ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის სამართლებრივი ფორმების განსაზღვრას. იურიდიულ ლიტერატურაში ხდება ოთხი შემთხვევის გამოყოფა[99]:

1. საჯარო სამართლებრივი ორგანიზაციული ფორმით მოწყობილი ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს საჯაროსამართლებრივი საქმიანობის ფორმის გამოყენებით.

ეს არის ტიპიური შემთხვევები მმართველობითი საქმიანობის სფეროში, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები (სამინისტროები, საქვეუწყებო დაწესებულებები), საჯარო სამართლის იურიდიული პირები (მათ შორის სსიპ უნივერსიტეტი) ახორციელებენ მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

2. საჯარო სამართლებრივი ორგანიზაციული ფორმით მოწყობილი ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს კერძო სამართლის ფორმით.

ამ შემთხვევაში სუბიექტს აქვს ორგანიზაციული მოწყობის საჯარო-სამართლებრივი ფორმა (მმართველობის ორგანო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი) და ის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით იყენებს კერძო სამართლებრივ ფორმებს. სამართლის სისტემის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად და ადმინისტრაციული სამართლის ადმინისტრაციის სპეციალურ სამართლად მიჩნევა, არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კერძო სამართლის ინსტრუმენტების გამოყენების აკრძალვას. ორგანიზაციული მოწყობის საჯარო-სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტის მიერ საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმის გამოყენების შემთხვევა შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად:

ა) საჯარო ამოცანების უშუალო განხორციელება კერძოსამართლებრივი ფორმით წარმოადგენს ე.წ. „ადმინისტრაციულ კერძო სამართალს[100]“. ეს უცნაური სახელწოდება განპირობებულია იმ სპეციფიკით, რომელიც ახასიათებს საქმიანობის ამ სფეროს. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი მოითხოვს საჯარო-სამართლებრივად მოწყობილ სისტემას, კერძოდ საჯარო მმართველობის სპეციფიკურ კერძო სამართალს. ადმინისტრაციული კერძო სამართლის აუცილებლობა გამოწვეულია სახელმწიფოს მზარდ როლში შექმნას არსებობის მინიმალური პირობები.

ბ) საჯარო ამოცანების კერძოსამართლებრივი ფორმით განხორციელების დანარჩენი ორი კატეგორია იმით განსხვავდება პირველისაგან, რომ ისინი, როგორც წესი ყოველთვის მხოლოდ კერძოსამართლებრივი ფორმით ხორციელდება.

3. კერძო სამართლებრივი ფორმით მოწყობლი საჯარო მმართველობა მოქმედებს კერძოსამართლებრივი ფორმის გამოყენებით.

---

[99] შულცე შ, შმიტ-იუსტენი ნ, ტურავა პ, გვ. 36.; ტურავა პ, წკეპლაძე ნ, 2010, გვ. 17-19.

[100] Ipsen, 64. ჰანს იულიუს ვოლფის მიერ დამკვიდრებულმა ტერმინმა მყარად დაიმკვიდრა ადგილი თანამედროვე ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებაში.

მესამე ჯგუფი აერთიანებს იმ შემთხვევებს, როდესაც საჯარო მმართველობა იყენებს როგორც ორგანიზაციული მოწყობის, ასევე საქმიანობის კერძოსამართლებრივ ფორმებს.

4. კერძოსამართლებრივი ფორმით მოწყობილი საჯარო მმართველობა მოქმედებს საჯაროსამართლებრივი ფორმით

კერძო სამართლის იურიდიული პირები არ არიან უფლებამოსილი გამოიყენონ საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმები. მიუხედავად ამ ზოგადი პრინციპისა სახელმწიფოს შეუძლია შექმნას კერძო სამართლის იურიდიული პირი და აღჭურვოს ის საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით. ეს არის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ხორციელდება კანონის შესაბამისად ან საფუძველზე ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.[101]

ეს დაშვება გამომდინარეობს მმართველობის ეკონომიურობის პრინციპიდან. მმართველობითი უფლებამოსილებებით კერძო პირების აღჭურვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე საქმიანობის განხორციელება მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და ამ მიზნით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შექმნა დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული მაშინ, როდესაც კერძო პირებს მისი შესრულება იმავე ხარისხით და, ამასთან, ნაკლები დანახარჯებით შეუძლიათ. მაგ. ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერების სამსახური, უკანონოდ გაჩერებული ავტომანქანების საჯარიმო სადგომზე გადამყვანი ფირმები, საჰაერო ნავიგაცია და ა.შ.

აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სუბიექტის ორგანიზაციული მოწყობის ფორმა არ გვაძლევს შესაძლებლობას უმაღლესი განათლება მივიჩნიოთ ან არ მივიჩნიოთ საჯარო-სამართლებრივ ფუნქციად. კერძო და საჯარო სუბიექტების სამართლებრივი მოდელის აგებაში დარგობრივი დაყოფა არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ერთმნიშვნელოვნად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ფუნქციონირების განსაზღვრულ მომენტში საჯარო სამართლის სუბიექტი თავსდება საჯარო სამართლის ველში, მაშინ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფონის შეცვლისას, რომელთა მონაწილეა ის, ხდება რეგულირების სიმძიმის ცენტრის გადაადგილება კერძო სამართლის რეჟიმის მხარისკენ.

§3. უსდ-ს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები მაინც გამიჯნულია, კანონმდებლობა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირ უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით გარკვეულწილად არის საერთო, ასევე გარკვეულ კომპონენტებში გამიჯნულია.

უპირველესად ხაზგასასმელია საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“: „ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების,

[101] შულცე შ., შმიტ-იუსტენი ნ., ტურავა პ., გვ. 36.

საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს“[102]. თუმცაღა ამ კანონიდან გარკვეული სამართლის ნორმები ვრცელდება ყველა უსდ-ზე, გარკვეულთან დაკავშირებით იყოფა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირთა ფარგლები, რის შესახებაც უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ ნაშრომის შემდგომ თავებში.

საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ უსდ-ებთან დაკავშირებით, ის ვრცელდება ბ,უნებრივია, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაზე. ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფარგლებში ხაზგასასმელია: „საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას:

„1. სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანახმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა

ე) სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.“[103]

რიგი კონკრეტული საკითხები საჯარო სამართლის იურიდიული პირ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმართებაში მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“.

საქართველოს კანონის - „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირები – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ კანონის შესაბამისი მართვის ორგნოების პირველი არჩევიდან არა უგვიანეს 6 თვისა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენენ ამ კანონის შესაბამის ახალ წესდებებს“[104].

თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე ვიმსჯელებთ, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ რეგლამენტის მიხედვით წესდების დამტკიცება თითქმის 1 წელზე მეტი ვადით ამოვარდა სამართლებრივი კონტექსტიდან და დამტკიცებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის № 490 ბრძანებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება „აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უნივერსიტეტის მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესებს“[105]. თუმცაღა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული წესდება

[102] სკ უგშ - მუხლი 1

[103] სკ სსიპშ - მუხლი 12.

[104] სკ უგშ - მუხლი 87, პუნქტი 4 .

[105] თსუ-ს წესდება - თავი I. ზოგადი დებულებანი. მუხლი 1. 2008 წ.

კვალდაკვალ მიჰყვებოდა საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2008 წლის 27 ნოემბრის, № 1042-ე ბრძანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანამდე. საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ განსაზღვრულია: „ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის არჩეული წარმომადგენლები“[106]. ფაქტიურად იგივეს ანალოგი იყო თსუ-ს წესდებაში წარმოდგენილი განსაზღვრებაც. ცვლილებამდე კანონის შეთავაზებით: „ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით“[107] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არ უსარგებლია. ცვლილებების შეტანის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2008 წლის 27 ნოემბრის, № 1042 ბრძანებით წესდების 27-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდგი სახით: „ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტზე არსებული პროგრამული მიმართულებებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.“[108]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 39-ე მუხლს დაემატა შემდეგი რედაქციის მე-3 პუნქტი: „ფაკულტეტის საბჭოს ფორმირებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო“[109] (მანამდე წესდების აღნიშნული მუხლი წარმოდგენილი იყო ორი პუნქტით).

ასევე ცვლილება შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 51-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, ფაკულტეტების დეკანები და მათი მოადგილეები (ასეთის/ასეთების არსებობის შემთხვევაში), უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები“[110]. რითაც ამ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ თანამდებობებს დაემატა საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ შეტანილი ცვლილებების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები. თუმცაღა, აქვე ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, საქართველოს კანონში - „უმაღლესი განათლების შესახებ“ ჩამოყალიბებულია: „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი და მათი

[106] სკ უგშ - მუხლი 27. პუნქტი 2
[107] თსუ-ს წესდება - მუხლი 39. პუნქტი 1. 2008 წ.
[108] თსუ-ს წესდება - 27-ე მუხლი. მე-5 პუნქტი. 2008 წ.
[109] თსუ-ს წესდება - მუხლი 39. პუნქტი 3. 2008 წ.
[110] თსუ-ს წესდება - მუხლი 51 პუნქტი 1. 2008 წ.

მოადგილეები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები“[111]. რაც თვალნათლივ მიგვანიშნებს, რომ რექტორის მოადგილეებიც მიეკუთვნებიან ადმინისტრაციულ თანამდებობის პირებს (გარკვეულ ეტაპზე ასეთის არარსებობის შემთხვევა, ბუნებრივია, ამ მიდგომას არ ცვლის). წესდების მოყვანილ პუნქტში კი კანონისაგან განსხვავებით, „რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე....“ და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში წესდება შეუსაბამობაში მოდის საქართველოს კანონთან „უმაღლესი განათლების შესახებ“ (ე.ი. ცვლილება მისადაგებულია მხოლოდ კონკრეტულ რეალობას).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნორმატიული საფუძვლები ბუნებრივია არ შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოს კანონით - „უმაღლესი განათლების შესახებ“ და მისი მართვა რეგულირდება შესაბამისად სხვადასხვა კანონების ფარგლებში, მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტის სრულფასოვან განხორციელებას რამდენიმე კანონი არეგულირებს, ამ შემთხვევაში ჩვენ გვერდს ვერ აუვლით საქართველოს კანონებს - „უმაღლესი განათლების შესახებ“, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემების შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის რიგ ბრძანებებს და სხვა სამართლებრივ აქტებს. მათ მისადაგებაზე კონკრეტულ საქმიანობასთან სხვადასხვა თავებში გვექნება საუბარი.

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-18 მუხლით განსაზღვრულია უსდ-სათვის ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმების შემუშავება და დამტკიცება. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითის მიხედვით, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების მიზნებია:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – თსუ) შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები განსაზღვრავს თსუ-ს შრომის განაწესს, დისციპლინური პასუხიმგებლობის ზომებს და მიზნად ისახავს:

ა) შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფას;

ბ) თსუ-სა და მასში დასაქმებულ პერსონალს შორის სამსახურის განხორციელებათან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

გ) პერსონალის უფლებებისა და თავისუფლების განხორციელების ხელშეწყობას;

დ) შრომის სამართლიან ანაზღაურებას;

ე) პერსონალისათვის სამუშაოს უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნას;

ვ) პერსონალისა და მესამე პირების ურთიერთობისას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესების გამოხატვასა და დაცვას;

[111] სკ უგშ - მუხლი 40. პუნქტი 1.

ზ) სამსახურში ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფას.“[112]

თსუ-ს ეთიკის კოდექსი განკუთვნილია უნივერსიტეტის პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე), მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის:

„იგი საუნივერსიტეტო ღირებულებების, კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ადგენს აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისა და სტუდენტური კონტიგენტის ქცევის ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს“.[113]

თავი V.

უმაღლესი განათლების, როგორც საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელების სახელმწიფო მექანიზმები.

§ 1. უმაღლესი განათლების სისტემის მართვა - სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებები უმაღლესი განათლების სფეროში

საქართველოს კანონის - „უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-5; მე-6, მე-7; მე-8 მუხლები განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის უფლებამოსილებებს უმაღლესი განათლების სფეროში. ეს უფლებამოსილებები საქართველოს პარლამენტის ფარგლებში მე-5 მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად „განსაზღვრავს უმაღლესი განათლების პოლიტიკისა და მართვის ძირითად მიმართულებებს და იღებს შესაბამის საკანონმდებლო აქტებს“, ასევე პერიოდულად ისმენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიშს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ. თუმცაღა, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მის პირდაპირ დაქვემდებარებაში არ გახლავთ არცერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც ეს არის თუნდაც დიდ ბრიტანეთში, ოქსფორდის უნივერსიტეტის სახით, მაგრამ დიდი ტრადიციების მქონე უსდ-სადმი იდენტური მიდგომის განხილვა შესაძლებელია, მითუმეტეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების პრეამბულაში წერია: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, ჰუმანისტური ტრადიციების, გელათისა და იყალთოს აკადემიების სულიერი და ინტელექტუალური მემკვიდრეა. უნივერსიტეტის ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა“[114].

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-6 მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებებს უმაღლესი განათლების სისტემაში, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობა „ახორციელებს სახელმწიფო

---

[112] თსუ-ს შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები. თავი I, მუხლი 1.

[113] თსუ-ს ეთიკის კოდექსი. მუხლი 2, პუნქტი 2.1.

[114] თსუ-ს წესდება - 2008 წ.

პოლიტიკას უმაღლესი განათლების სფეროში“[115], რაც გამოხატულებას პოულობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით, საჯარო და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში, უსდ-ს სტატუსის მოპოვების მიზნით. სახელმწიფო-სასწავლო გრანტის ოდენობის განსაზღვრაში და ა.შ. ხაზგასასმელია, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრისა და განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის (ამჟამად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორების დანიშვნის უფლებამოსილება, რომელსაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ახორციელებდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინების საფუძველზე)[116], საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროს აღნიშნული საკითხის პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით.[117]

მრავალფეროვანია უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებათა სპექტრი, რომლის უფრო დეტალურ ასახვას ცალკეულ თავებთან დაკავშირებით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში წარმოვაჩენთ.

§ 2. ერთიანი ეროვნული გამოცდები

უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ყველაზე ეფექტურ შედეგად შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, ერთიანი ეროვნული გამოცდები მივიჩნიოთ: „... პროცედურა, რომელიც ადგენს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად“.[118]

„გამოცდების ეროვნული ცენტრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარებას, აგრეთვე ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.“[119]

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საფუძველზე: „გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგები სავალდებულოა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოს მოქალაქეზე ან რეზიდენტზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის საფუძველია. ერთიან ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა მსურველს, რომელიც წარმოადგენს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს“.[120]

ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობენ აბიტურიენტები, განურჩევლად იმისა, მათი არჩევანი საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებია. შეღავათიან რეჟიმში ხვდებიან მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

---

[115] სკ უგშ - მუხლი 6, პუნქტი ა.
[116] სკ უგშ - მუხლი 6, პუნქტი 2.
[117] სკ უგშ - მუხლი 7, პუნქტი დ[1], საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ მუხლი 3, პუნქტი 2.
[118] სკ უგშ მუხლი 2, პუნქტი ფ.
[119] სკ უგშ მუხლი 51, პუნქტი 1
[120] სკ უგშ - მუხლი 51. პუნქტი 4.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ ეროვნული გამოცდების ცენტრალიზებულად ჩატარებამ, არა მხოლოდ დაანგრია მისაღები გამოცდების ჩატარების ძველი საბჭოური მოდელი, არამედ ხელი შეუწყო ამ სისტემაში დამკვიდრებული კორუფციის აღმოფხვრას.

თუმცაღა შემდგომში თავი იჩინა სხვა პრობლემამ. როდესაც ეროვნულ გამოცდებში ჩაჭრილი ბავშვები კანონდარღვევით ხდებოდნენ ისეთი სასწავლებლის სტუდენტები, რომელთაც აკრედიტაცია გავლილი არა ჰქონდათ, რა თქმა უნდა, ამგვარ სასწავლებელს შეცდომაში შეყავდა აბიტურიენტები და მშობლები. ხაზგასასმელია, რომ სტუდენტების შეცდომაში შეყვანის არაერთ ფაქტს ჰქონდა ადგილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემო ქართლის ყოფილ ფილიალში, სადაც ფილიალის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდა ეროვნულ გამოცდებში ჩაჭრილი აბიტურიენტების ჩარიცხვა, და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ თანახმად „გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენს ეროვნულ გამოცდებგავლილ იმ აბიტურიენტთა სიებს, რომლებმაც უფლება მოიპოვეს, ისწავლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის/ ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამით, და მათ უგზავნის შესაბამის ფაკულტეტებს.“[121]

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებული გაუგებრობის თავიდან აცილების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილება უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც 192[1] მუხლი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: „1. საგანმანათლებლო საქმიანობა ავტორიზაციის გარეშე, ანდა ავტორიზაციის პირობების დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია არ რასაც ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

შენიშვნა:

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, ავტორიზაციის გაუქმებით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.“[122]

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით, საქართველოში დისლოცირებული ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ღებულობს ჩარიცხული კონტიგენტის სიებს, რის საფუძველზე, შემდგომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მიერ ხდება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, სტუდენტთა

[121] სკ უგშ - მუხლი 52 9 პუნქტი 9.
[122] სსსკ მუხლი 192[1]

კონტიგენტის ჩარიცხვის თაობაზე (თსუ-ს მაგალითზე, ადმინისტრაციულ აქტში მოხვედრამდე სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული რეგისტრაცია). ხაზგასასმელია, რომ მხოლოდ 2007-2008 და 2008-2009 სასწავლო წლის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა 5000-ზე მეტი აბიტურიენტი. მათ შორის 80%-მდე გრანტოსანი (რანჟირების მიხედვით).

საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელებულ რეფორმებს ბევრ დადებითთან ერთად, გარკვეულწილად, ჰქონდა უარყოფითი მომენტებიც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე, სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს, რომლებიც ეროვნულ გამოცდებამდე ჩაირიცხნენ, ჰქონდათ პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ეროვნულ გამოცდებამდე, ჩააბარეს სულ სხვა სპეციალობებზე, რაც იყო მათი არჩევანი, ამ ფარგლებში გაფორმდა მათი ხელშეკრულებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, დამთავრებისას კი სთავაზობდნენ იმ სპეციალობათა დიპლომებს, რაც თავის დროზე მათი არჩევანი არ ყოფილა, ეს ეხებოდა ძირითადად ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების დამამთავრებელი კურსების სტუდენტთა მოთხოვნას, სპეციალობების - ბიოფარმაკოლოგია-ფარმაცია, ბიოლოგიური ექსპერტიზა და დიაგნოსტიკა, ტოქსიკოლოგია, ცოცხალი ბუნების დაცვა და სხვა. თუმცაღა საბოლოოდ გადაწყდა, რომ სტუდენტებს ძველი წესით მიენიჭებოდათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რომელიც მოქმედებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის შესახებ“ ძალაში შესვლამდე[123].

ხაზგასასმელია, რომ 2009-2010 სასწავლო წელს, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ იქნა საერთო სამაგისტრო გამოცდები. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ შესაბამისად: „გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები სავალდებულოა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“.[124]

ამავე დროს: „საერთო სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა მსურველს, რომელიც წარადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემულ უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადატურებელ დოკუმენტს“.[125]

წარმოდგენა უსდ-ის პრესტიჟულობის შესახებ, ხშირად განისაზღვრება მასში მოწყობილი სტუდენტების დონით და არა კურსდამთავრებულთა დონით, რომლებსაც ის „აწარმოებს“. ეს ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტების აღიარება დამოკიდებულია არა მარტო სწავლების შედეგებზე: თუ უსდ-ში ეწყობიან „ხარისხიანი“ აბიტურიენტები, მაშინ, ძირითადად, ამ აბიტურიენტებიდან გამოვლენ „ხარისხიანი“ კურსდამთავრებულები. ეს მტკიცებულება ხაზს უსვამს ხარისხის შესახებ წარმოდგენის შეფარდებით ხასიათს: ის შეიძლება გახდეს ყველა უსდ-ს ნიშანი - იმ უსდ-საც, რომლებიც მიისწრაფვიან

[123] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, 2005 წ.
[124] სკ უგშ - მუხლი 51 პუნქტი 5.
[125] სკ უგშ - მუხლი 51 პუნქტი 6.

სრულყოფისკენ, იმ უსდ-საც, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ხელმისაწვდომობაზე და იმ უსდ-საც, რომლებმაც ახალი ნიშა იპოვეს ბაზარზე. სინამდვილეში, უნივერსიტეტები წარმატებულნი არიან ზუსტად იმდენად, რამდენადაც წარმატებულნი არიან მათი სტუდენტები - მაგრამ არა მოწყობის მომენტში, არამედ დამთავრების მომენტში.

„ამრიგად, მოწყობის პროცედურები არცთუ იშვიათად წარმოადგენენ ხარისხის მაჩვენებელს. გარდა ამისა, ჩარიცხვის თანამედროვე პრაქტიკოსები ხშირად აძლიერებენ სოციალურ და აკადემიურ უსამართლობას. მატერიალურად უზრუნველყოფილი სტუდენტები ყველაზე ხშირად იკავებენ უფასო სასწავლო ადგილებს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო შედარებით ხელმოკლე სტუდენტებს უხდებათ სრულად გადაიხადონ თავიანთი სწავლების საფასური კერძო უსდ-ებში (თუ მათ პრინციპში, შეუძლიათ დართონ ამის ნება საკუთარ თავს). ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება ბოლონიის პროცესის მიზანს უზრუნველყონ "ხარისხიან განათლებასთან წვდომის საყოველთაო თანასწორობა"[126]

§ 3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია და აკრედიტაცია

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „ა) ატარებს ერთიან პოლიტიკას უმაღლესი განათლების სფეროში“.[127] თავდაპირველად, აღნიშნული კანონის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების სფეროში ახორციელებდა „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზირებას და სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლს კანონმდებლობით დადგენილი წესით“[128]. ამავე კანონის განმარტებით, ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ექვემდებარებოდა „აკრედიტაციას მისი საქმიანობის დაწყებიდან 4 წლის შემდეგ“[129]. ახალდაფუძნებულად კი ითვლებოდა ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქმიანობის დაწყებიდან 5 წლის განმავლობაში.

უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირების პროცესი გრძელდება, რამაც განაპირობა ლიცენზირებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის გაუქმება და მის ნაცვლად ავტორიზაციის სისტემის შემოღება და ერთიანი აკრედიტაციის პრინციპის განსაზღვრა. 2010 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ შეტანილი ცვლილებების მიხედვით, განსაზღვრულია ავტორიზაციის დეფინიცია, რომლის ვადა 5 წელია: „ავტორიზაცია – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად

[126] Фрид Йохен, Гласс Анна, Баумгартл Бернд стр. 3
[127] სკ უგშ - მუხლი7. პუნქტი 1
[128] სკ უგშ - მუხლი 7. პუნქტი ე.
[129] სკ უგშ - 66[1] მუხლი. პუნქტი 1

შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა“.[130]

საქართველოში მოქმედი აკრედიტაციის სისტემის შესაბამისად, თუ უსდ ვერ გაივლიდა აკრედიტაციას, სახელმწიფო მის მიერ გაცემულ დიპლომებს არ ცნობდა. არააკრედიტებულ უსდ-ებს იმის გათვალისწინებით, რომ აკრედიტაციით დადგენილ პირობებს ვერ აკმაყოფილებდნენ, მხოლოდ ლიცენზია გააჩნდათ. ამასთან, არც ერთიან საგამოცდო სისტემაში არ იყვნენ ჩართულები. ავტორიზაციის ინსტიტუტის შემოღების ფარგლებში, არააკრედიტებულ, მაგრამ ლიცენზირებულ უსდ-ებს ეძლევათ ავტორიზაციის გავლის შესაძლებლობა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განმარტებით: „სახელმწიფო სთავაზობს 200 სასწავლებელს, რომლებიც ამჟამად ჩრდილში იმყოფება, გაიაროს ავტორიზაცია, რათა დაცული იყოს სტუდენტის უფლებები და არ გაჩნდეს ეჭვი, მოხდება თუ არა მათი დიპლომების აღიარება.“[131]

საქართველოს კანონმდებლობით, „2010 წლის 1 სექტემბრამდე ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ პირებზე ვრცელდება 2010 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი“.[132] ასევე, „ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის სამართლებრივი შედეგები არ ვრცელდება ამ დაწესებულებაში ავტორიზაციის გავლამდე ჩარიცხულ პირებზე“.[133]

საქართველოს კანონმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ განსაზღვრა, რომ „2. ავტორიზაციის სტანდარტებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ) მატერიალური რესურსი;

გ) ადამიანური რესურსი.“[134]

საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, აკრედიტაციის განსაზღვრება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „აკრედიტაცია - აკრედიტაციის სტანდარტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე, ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება“.[135]

აკრედიტაცია ნებაყოფლობითია და სწავლების მაღალი ხარისხის დონეს ადასტურებს. ამასთან, მას უკავშირდება სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემა.

„პატიოსანი და სამართლიანი აკრედიტაცია ძალზე მნიშვნელოვანია განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. იმისათვის,

---

[130] სკ უგშ მუხლი 2, ქვეპუნქტი ბ[1]

[131] რადიო „კომერსანტი“

[132] სკ უგშ მუხლი 89, პუნქტი 21

[133] სკ უგშ მუხლი 89, პუნქტი 22

[134] სკ უგშ - მუხლი 56[1], პუნქტი 2

[135] სკ უგშ მუხლი 2. ქვეპუნქტი თ)

რომ სრულად აისახოს უმაღლესი განათლების სისტემის სიმდიდრე და სიღრმე, გამოიყენება ხარისხის მრავალი კატეგორია ან ტიპი. აკრედიტაციის გამოყენება ერთიანი („უზომო“) სტანდარტის დანერგვისთვის ეწინააღმდეგება ბოლონიის პროცესის მიზნებს“.[136]

ბოლო პერიოდში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა განსაზღვრა აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის აუცილებლობაც, რის გამოც, ამავე კანონის 89-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის პუნქტი: „3[2]. რეორგანიზებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრად. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უფლებამონაცვლე“.[137]

2010 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შესულმა საქართველოს კანონმა „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ განსაზღვრა აღნიშნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები: „ცენტრი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი მუშაობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტების, სამინისტროს მიერ დამტკიცებული ცენტრის დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.“[138]

ავტორიზაციის ინსტიტუტის შემოღებამ, საქართველოს კანონებში - „უმაღლესი განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“ და „პროფესიული განათლების შესახებ“ განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განაპირობა ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, სისხლის სამართლის კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, საქართველოს კანონებში: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“.

თავი VI.
უმაღლესი განათლების, როგორც საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელების სტანდარტები.

§ 1. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურები.

ევროპულ სივრცეში შესვლა, ბოლონიის ხელშეკრულების ხელმოწერა, საკრედიტო-მოდულური სისტემის დანერგვა, ინოვაციური

[136] Фрид Йохен, Гласс Анна, Баумгартл Бернд стр. 3
[137] სკ უგშ - მუხლი 89, პუნქტი 3[3]
[138] სკ გხგშ - მუხლი 3. პუნქტი 2

ტიპის სასწავლებლების განვითარება განათლების ფენომენისადმი ახალ მიდგომას მოითხოვს, რაც თავის მხრივ, დაკავშირებულია სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაციული ფორმების განახლებასა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შინაარსის კიდევ უფრო გაღრმავებასთან.

უნდა ითქვას, რომ ევროპაში განათლების შესახებ დოკუმენტების აღიარების უზრუნველყოფის ძირითად ინსტრუმენტს ბოლონიის დეკლარაციაში წარმოადგენს ჩათვლის ერთეულის ერთიანი სისტემის დანერგვა (ე.წ.კრედიტები, შრომატევადობის ჩათვლის ერთეულების გადათვლის ევროპული სისტემის CTS ტიპის მიხედვით) და დიპლომის ევროპული დანართი (Diploma Supplement)[139].

კრედიტების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ეს განათლების შინაარსის გაზომვის რაოდენობითი ერთეულია, რომელსაც იყენებს ბევრი უცხოური უმაღლესი სასწავლებელი აკადემიური საათის მაგივრად და ცნობილია რამდენიმე მეთოდი ჩვენი საათების მათ კრედიტებში "გადაანგარიშებისათვის", დიპლომის ევროპული დანართი კი არის სპეციალური ნიმუშის დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას ბოლონიის პროცესის მონაწილე ევროპის ქვეყნებისათვის ერთიანი სახით.

საქართველოს კანონის - „უმაღლესი განათლების შესახებ" თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „ამტკიცებს უმაღლესი განათლების სპეციალობათა ჩამონათვალს, უმაღლესი განათლების სახელმწიფო დოკუმენტისა და მისი დანართის ფორმას"[140].

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ 2005 წლის 5 აპრილს გამოცემულ იქნა ბრძანება № 149 „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანათრის ფორმის დამტკიცების შესახებ" ფორმის მოდელი დამუშავდა ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს მიერ.

აკადემიური უმაღლესი განათლება არის „უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს".[141]

თავდაპირველად, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ" 46-ე მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად „უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სწავლების საფეხურებია:

ა) ბაკალავრიატი - საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს სამ წელიწადზე ნაკლები და ოთხ წელიწადზე მეტი;

ბ) მაგისტრატურა - საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს სამ წელიწადზე ნაკლები.

გ) დოქტორანტურა - საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს სამ წელიწადზე ნაკლები."[142]

საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ" შემდგომ შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით განისაზღვრა აკადემიური განათლების საფეხურების კრედიტების ოდენობა:

---

[139] ბოლონიის დეკლარაცია. 1999 წ.
[140] სკ უგშ - მუხლი 7 პუნქტი ნ.
[141] სკ უგშ - მუხლი 2, პუნქტი ე1.
[142] სკ უგშ - მუხლი 46 პუნქტი 2.

„ 2. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურებია:
ა) პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს;
ბ) მეორე საფეხური (მაგისტრატურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს (გარდა ამ მუხლის 2" პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);
გ) მესამე საფეხური (დოქტორანტურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.“

ამავე დროს, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 1 სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს“.[143]

ყველა საფეხურის დამთავრების შემდეგ ხდება შესაბამისი დიპლომის გაცემა დანართით, ვინც ვერ ასრულებს აკადემიურ საფეხურს, ეძლევა მოწმობა.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, რომლებიც სერიოზულად შეისწავლიან ბოლონიის პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს, აცნობიერებენ მომავალი სამუშაოს მთელ სიძნელეს, მაგრამ ამასთან ითვალისწინებენ რა თავიანთი უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკასა და ტრადიციებს, გაგებით ეკიდებიან მომავალი ცვლილებების საჭიროებას.

§ 2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურა

2.1. ზოგადად

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მიხედვით, გამიჯნულია საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე კანონის გავრცელების ფარგლები, რის მიხედვითაც კერძო სამართლის იურიდიულ პირ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე არ გავრცელდა კანონის მე IV თავი (ე.ი. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა“), თავი მე-V („საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი“) 32-ე („პერსონალი“) და 35-ე („აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები“) მუხლების გარდა და XIV თავით გათვალისწინებული ნორმები („საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონება“).

ხაზგასასმელია, რომ უსდ-ების მიერ საჯარო სამართლებრივი ფუნქციის ეფექტური განხორციელება პირდაპირ კავშირშია სტრუქტურის მოქნილ და სრულფასოვან მოდელთან. ამ მიმართებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკეთესად გამოიყურებიან სსიპ უსდ-ები, რადგან მათი სტრუქტურული მოდელი, ისევე როგორც მართვის ორგანოები, განსაზღვრულია საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“. რაც შეეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირ უსდ-ებს, მათი სტრუქტურული მოწყობის სამართლებრივი უზრუნველყოფა მნიშვნელოვანად მწირია, რის გამოც კერძო უსდ-ების მართვის განხორციელებაში კომპეტენციების გამიჯვნის მექანიზმი საჭიროებს დახვეწას. მართალია, კერძო იურიდიული პირი უსდ-ების რეგულირება (იმისდა გათვალისწინებით, არაკომერციულია თუ კომერციული)

[143] სკ უგშ - მუხლი 46, პუნქტი 2[1].

ხორციელდება როგორც სამოქალაქო კანონმდებლობით, ასევე საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ კერძო იურიდიული პირი უსდ-ების მართვის სპეციალურ ნორმებს, ეფექტური იქნებოდა თუ ამ მიმართებით გაფართოვდებოდა სამართლებრივი მიდგომების არეალი საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“.

უსდ-ს სტრუქტურა, როგორც ნებისმიერი ორგანიზაციის სტრუქტურა, არ შეიძლება იყოს მხოლოდ სტატიკური, რომელიც არ ექვემდებარება ცვლილებასა და განვითარებას. განსაკუთრებულად დინამიურად სრულყოფილ უნდა იქნეს უსდ-ს სტრუქტურა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის სიტუაციებში. სტრუქტურული გარდაქმნების დინამიკის მაღალი დონე, დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა: პრობლემების გადაჭრაში უსდ-ს დამოუკიდებლობის ზრდა, რომელიც განპირობებულია მრავალარხიანი დაფინანსების განვითარებით, ხოლო სამართლებრივი კუთხით – სტრუქტურული გარდაქმნების საკითხთა გადაჭრაში უდ-ს დამოუკიდებლობის სამართლებრივი საფუძვლის შემქმნელი ნორმატიული აქტების არსებობით.

საქართველოს კანონის - „უმაღლესი განათლების შესახებ მე-9 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეებია:

ა) უნივერსიტეტი;
ბ) ინსტიტუტი
გ) კოლეჯი“

ამავე კანონში 2009 წელს შეტანილი ცვლილებების მიხედვით უსდ-ს სახეები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეებია:
ა) უნივერსიტეტი;
ბ) სასწავლო უნივერსიტეტი;
გ) კოლეჯი.“ [144]

რა ფარგლებში ფუნქციონირებს თითოეული მათგანი?! რადგან უნივერსიტეტის დეფინიცია წარმოდგენილია ნაშრომის შესავალში, განვიხილოთ შემდეგი სახეები:

„სასწავლო უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის - მაგისტრატურის - საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს“[145]

„კოლეჯი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას ან/და აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას“ [146]

2010 წლის სექტემბერში საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ზემოაღნიშნული ფორმულირება შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: „კოლეჯი

[144] სკ უგშ - მუხლი 9 პუნქტი 1
[145] სკ უგშ - მუხლი 2, პუნქტი 3'33)
[146] სკ უგშ - მუხლი 2, პუნქტი Ù'

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას.“[147]

2.2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ თანახმად, სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებად ანუ მმართველ სუბიექტებად განისაზღვრა: „აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური“.[148]

- **აკადემიური საბჭო.** საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც აირჩევიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.“[149]

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროგრამებს, ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს, მონაწილეობას ღებულობს წარმომადგენლობის საბჭოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების, ბიუჯეტის, სტრუქტურული ერთეულების დებულებების და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშის განხილვაში, ასევე ასრულებს სხვა უფლებამოსილებებს, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ 2009 წელს შეტანილი ცვლილებების მიხედვით, კიდევ უფრო გაიზარდა აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება: „აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და რექტორისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწვყეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.“[150]

---

[147] სკ უგშ - მუხლი 2, პუნქტი Ù'
[148] სკ უგშ - მუხლი 15, პუნქტი 1
[149] სკ უგშ - მუხლი 20, პუნქტი 1
[150] სკ უგშ - მუხლი 21, პუნქტი 1[1].

- **წარმომადგენლობითი საბჭო.** საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საფუძველზე „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანოა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც აირჩევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი ერთეულებიდან - ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებზე მათი რაოდენობის პროპორციულად“.[151] წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილებათა სპექტრი მრავალმხრივია: ირჩევს სპიკერს, შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებას და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესსა და ეთიკის კოდექსს, ამტკიცებს დაწესებულების ბიუჯეტის შედგენის წესს, ბიუჯეტს, ადმინისტრაციის სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ასევე ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს კანონმდებლობის ფარგლებში.
- **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი.** საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ „რექტორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. თუ გარიგების და შეთანხმების დადება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მათ ხელს აწერს აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.“[152]

თავდაპირველად, საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“ განსაზღვრული იყო, რომ „რექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს ამ ან სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი“[153]. აღნიშნულ კანონში განხორციელებული შემდგომი ცვლილებების თანახმად (2009 წლის ნოემბრის მდგომარეობით), რექტორად შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყო „იმავე ან სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული პროფესორი“[154]. ამავე კანონით (2010 წლის სექტემბრის მდგომარეობით), „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით შეიძლება განისაზღვროს რექტორობის კანდიდატისთვის

[151] სკ უგშ - მუხლი 17, პუნქტი 1.
[152] სკ უგშ - მუხლი 22, პუნქტი 1.
[153] სკ უგშ - მუხლი 22, პუნქტი 2
[154] სკ უგშ - მუხლი 22, პუნქტი 2

წაყენებული მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაუშვებელია შეზღუდვის დაწესება რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, მოქალაქეობისა და დაკავებული აკადემიური თანამდებობის ნიშნით."[155] საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რექტორს „ირჩევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს საბჭოს უფლებამოსილების ვადისა".[156]

ამასთან ხაზგასასმელია, რომ საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ" განხორციელებული ცვლილებების შედეგად (2010 წლის სექტემბრის მდგომარეობით) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის პირველი არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით."[157]

უმნიშვნელოვანესია, რომ რექტორობის კანდიდატთა შესარჩევი კრიტერიუმების გაფართოება (რამაც, გარკვეულწილად, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია განსაკუთრებით სამეცნიერო-აკადემიურ წრეებში), თავის მხრივ, ხელს უწყობს კანდიდატის შერჩევის ეფექტურობას, რადგან შესაძლებლობას იძლევა უსდ-ს მართვაში მონაწილეობა ხელმისაწვდომი გახადოს სწორედ მენეჯმენტის სრულფასოვანი განხორციელების გამოცდილების მქონე ადამიანებისათვის, რაც სასარგებლო იქნება უსდ-ს საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის და არ იყოს ეს წრე შემოსაზღვრული მხოლოდ აკადემიური ნიშნით, რადგან საუნივერსიტეტო მართვის მაღალი კლასის მენეჯერი შექმნის შესაფერის გარემოს უსდ-ს ყოველმხრივი განვითარებისათვის. რაც შეეხება აკადემიური და სამეცნიერო მიმართულებების განვითარების პერსპექტივას, აღნიშნულის რეგულირება რექტორმა-მენეჯერმა შესაძლებელია განახორციელოს მიზნობრივად შერჩეული დარგობრივი მოადგილეების (პროორექტორების) მეშვეობით.

- **ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** (კანცლერი) - „... არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროებში და წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში".[158]

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომელიც ზედიზედ შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ (უფლებამოსილების ვადით არაუმეტეს 4 წლისა), მტკიცდება წარმომადგენლობით საბჭოს მიერ, სადაც მის წარდგენას ახდენს აკადემიური საბჭო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი წესდებით (დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით № 277,

[155] სკ უგშ - მუხლი 22, პუნქტი 3[1]
[156] სკ უგშ - მუხლი 22, პუნქტი 2
[157] სკ უგშ - მუხლი 22, პუნქტი 1[1]
[158] სკ უგშ - მუხლი 23, პუნქტი 1

2001 წლის 13 ივლისი) „რექტორი – დიდი საბჭოს თავმჯდომარე, პირველი პირი თანასწორთა შორის – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელი საქმიანობის ხელმძღვანელია“. დღეს მოქმედი საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესაბამისად, რექტორი არ არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველი საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური რესურსების მართვის დარგში. მიუხედავად აღნიშნულისა, ძირითადად დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში რექტორები ფაქტობრივად მაინც ახორციელებენ ზემოაღნიშნული მიმართულებების ხელმძღვანელობას, რაც ხშირ შემთხვევაში ზღუდავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სრულფასოვნად განახორციელოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, რაც ქმნის სერიოზულ პრობლემებს მართვის განხორციელებაში და მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით სამართლებრივი პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული საკითხების მართვასთან დაკავშირებით ეკისრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს), ფაქტობრივი რეალობის გათვალისწინებით, ამ კუთხით რექტორების მიერ უფლებამოსილების გადამეტება ხშირ შემთხვევაში სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ამიტომ ან ზემოაღნიშნული წესდების ფორმულირების გათვალისწინებით რექტორი უნდა განიხილებოდეს „მთელი საქმიანობის ხელმძღვანელად“ და შესაბამისად უნდა შევიდეს ამ მიმართებით ცვლილებები საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილებებში ან უნდა განხორციელდეს ზოგიერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დამკვიდრებული არასწორი (არაკანონიერი) პრაქტიკის აღმოფხვრა რექტორისა და კანცლერის უფლებამოსილებების აღრევის.

- **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**. „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად“.[159]

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, სადაც მის წარდგენას ახდენს აკადემიური საბჭო.

- **ფაკულტეტი**. საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“ განსაზღვრულია, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია ფაკულტეტი“[160].

ამავე კანონის შესაბამისად, „ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.“[161]

---

[159] სკ უგშ - მუხლი 25. პუნქტი 2
[160] სკ უგშ - მუხლი 27, პუნქტი 1
[161] სკ უგშ - მუხლი 15, პუნქტი 2

ფაკულტეტი თავის მხრივ შედგება სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან. აღნიშნული კანონი ასევე გთავაზობს ფორმებს სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის წარმართვისათვის, ეს შესაძლებელია იყოს კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა და დამხმარე ერთეულები როგორიცაა ბიბლიოთეკა და ა.შ.

საზოგადოდ, ფაკულტეტების (უფრო ზუსტად, მიმართულებების, სპეციალობების) პროფილურ თავისებურებათა გათვალისწინებით, არის თუ არა საჭირო სტრუქტურული მოწყობის უნიფიცირება?! ალბათ არა, რადგან გარკვეულ დანაყოფებს (ლაბორატორიას, ისევე როგორც კლინიკას) არ საჭიროებს ყველა ფაკულტეტი, ამდენად სტრუქტურული ერთეულების მიზანშეწონილობა უნდა განისაზღვროს ფაკულტეტის სპეციფიურობის მიხედვით.

2.3. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა

2004 წლის საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონმა რადიკალურად შეცვალა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოწყობის მექანიზმი. კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა 2001 წელს, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის № 277 ბრძანებულების საფუძველზე[162]. ამავე ბრძანებულებით, დამტკიცებული იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, რომლის შესაბამისადაც „ავტონომიური უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანოა უნივერსიტეტის საბჭო (შემდგომში დიდი საბჭო), რომლის გადაწყვეტილებანი ერთნაირად სავალდებულოა როგორც უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის, ისე მისი მთელი შემადგენლობისათვის“[163].

ხაზგასასმელია, რომ ჯერ კიდევ სსიპ-ად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფორმირებამდე, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 31 დეკემბრის № 781 ბრძანებულებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა განსაკუთრებული სტატუსი, „უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში, პედაგოგიურ და სამეცნიერო ცხოვრებაში შეტანილი დიდმნიშვნელოვანი წვლილისათვის“[164].

რეფორმამ, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, შეცვალა რა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა, მოახდინა მათი სახეებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განსაზღვრა და, რა თქმა უნდა, მათი უფლებამოსილების გამიჯვნა.

---

[162] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, 2001 წ.
[163] თსუ-ს წესდება - თავი II, უნივერსიტეტის მართვა, პუნქტი 5. 2001 წ.
[164] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 1997 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კონკრეტულ სტრუქტურას წარმოგიდგენთ თსუ-ს მაგალითზე (იხ. ცხრილი № 1)

აღნიშნულ სტრუქტურას ემატება ასევე საფაკულტეტო ადმინისტრაციები. ხაზგასასმელია, რომ თსუ-ს ადმინისტრაციაში წარმოდგენილი დეპარტამენტები არის ორმაგი (რექტორისა და კანცლერის) დაქვემდებარების, გარდა საფინანსო-ეკონომიკური და რესურსების მართვის მიმართულებებისა.

2.3.1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტები

რეფორმის პირველი ეტაპის პერიოდში, 2005 წლის დამდეგს, უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა 22 ფაკულტეტი 184 კათედრით, 8 ფილიალი 46 ფაკულტეტით, 3 სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, 81 სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და ცენტრი, 161 სასწავლო ლაბორატორია და კაბინეტი, ასევე კლინიკური საავადმყოფო, დიაგნოსტიკური ცენტრი, გამომცემლობა, სტამბა, ბიბლიოთეკა 3640693 ერთეული წიგნადი ფონდით, საერთო საცხოვრებელი 5 კორპუსით. მუშაობდა 95 საგანმანათლებლო პროგრამა ბაკალავრიატში, 194 მაგისტრატურაში და 16 ერთსაფეხურიან სწავლებაზე. შემდეგ ფაკულტეტებისა და შესაბამისად პროფილური მიმართულებათა დაჯგუფების შედეგად, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფ. რ. ლორთქიფანიძის ბრძანებებით (ბრძ. № 92, 16.06.2005. ბრძ. № 113, 07.07.2005, ბრძ. № 2/672 18.11.2005) შეიქმნა შემდეგი ფაკულტეტები:

- ეკონომიკისა და ბიზნესის;
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა;
- იურიდიული;
- სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა;
- მედიცინის.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფარგლებში გაერთიანდა ყოფილი ეკონომიკის, მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის, კომერციის და მარკეტინგის, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტები (ბიზნესის სამართლის მიმართულების გარეშე).

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში გაერთიანდა ყოფილი მექანიკა-მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის ფაკულტეტები, გამოყენებითი მათემატიკის და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტები, შესაბამისი სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიები.

იურიდიულ ფაკულტეტის ფარგლებში გაერთიანდა მოქმედი ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის

ცხრილი № 1


რექტორი
აკადემიური საბჭო
წარმომადგენლობითი საბჭო
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
აკადემიური საბჭოს სამდივნო
წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო
რექტორის მოადგილე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
რექტორის აპარატი
ფაკულტეტები
მრჩეველთა საბჭო
მრჩეველი
თანამშრომელი
დეკანები
აკადემიური პერსონალი
ფაკულტეტის საბჭო
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
სამეცნიერო კვლევითი ერთეულები
თსუ-სა და აიდაპო-ს (აშშ) უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტი
ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ს/კ ცენტრი
ევროპული კვლევების ინსტიტუტი
გამოყენებითი მათემატიკის ს/კ ინსტიტუტი
მაღალი ენერგიების ფიზიკის ს/კ ინსტიტუტი
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა
კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი
სასწავლო დეპარტამენტი
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი
საფინანსო დეპარტამენტი
მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი
პერსონალის მართვის დეპარტამენტი
კანცელარია
მონიტორინგის დეპარტამენტი
იურიდიული დეპარტამენტი
საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი
კულტურისა და სპორტის ცენტრი
მუზეუმი
საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" redaqcia
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური
გამომცემლობა
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა
აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი
საგამოცდო ცენტრი
საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრი
ახალგაზრდა მოსამზადებელი ცენტრი

მიმართულება და ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის სამართლის მიმართულება.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში გაერთიანდა ყოფილი ფილოსოფიის და სოციოლოგიის (სოციოლოგიის მიმართულება), ფსიქოლოგიის, საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების (საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება), ჟურნალისტიკის, ისტორიის (პოლიტოლოგიისა და პოლიტექნოლოგიების მიმართულება) ფაკულტეტები და სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის მიმართულება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში გაერთიანდა ისტორიის (პოლიტოლოგიისა და პოლიტექნოლოგიების მიმართულების გარდა), ფილოსოფიის და სოციოლოგიის (ფილოსოფიის მიმართულება), ფილოლოგიის, აღმოავლეთმცოდნეობის, დასავლეთ ევროპის, ხელოვნების ფაკულტეტები, შესაბამისი ლაბორატორიები და ცენტრები.

ფაკულტეტები გაიზარდნენ მოცულობით და გააერთიანეს დისციპლინათა უფრო ფართო სპექტრი, რაც ხელს უწყობდა მრავალდისციპლინიანი სწავლებისა და კვლევების განვითარებას. ფაკულტეტებმა წარმოქმნეს უნივერსიტეტში მენეჯმენტისა და გადაწყვეტილებათა მიღების საკვანძო საფეხური, მათ დონეზე დელეგირებულ იქნა მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები აკადემიურ სფეროსა და რესურსების, მათ შორის, საკადარო საკითხებსა და ინფრასტრუქტურის გადანაწილებაშიც.

უნივერსიტეტის ფაკულტეტების გამსხვილებული შემადგენლობა გამომდინარეობს ფართო ინტელექტუალური ლოგიკიდან. ისინი იქცევიან საქმიანობის ახალი, არსებული მიმართულებებისა და სტრატეგიული განვითარების საფუძვლადაც და განსაზღვრავენ აქტიურობის შემცირების ან პოტენციური ექსპანსიის სფეროებს.

თუმცაღა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ფაკულტეტების თანშერწყმას ჰქონდა თავისი უარყოფითი შედეგებიც, რადგან არც თუ ისე მარტივი აღმოჩნდა მრავალპროფილიანი „თავკომბალების“ მართვა.

„ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტები არ იყოს ჰერმეტული: რაც უფრო მეტი პროცესი და პროცედურა მიეკუთვნება არა ერთ ფაკულტეტს, არამედ გავრცელდება მთლიანობაში უნივერსიტეტზე, მით უფრო ადვილი იქნება ფაკულტეტშორისი საქმიანობის ინიცირება და მხარდაჭერა.

თანაბრად იყო ცხადი, რომ ფაკულტეტები არ უნდა გარდაქმნილიყვნენ კვაზიავტონომიურ ინსტიტუტებად: „მათ უნდა ჰქონდეთ რთული და ყველგან შემღწევი კავშირები: ვერტიკალზე - უნივერსიტეტის პირველი დონით, ჰორიზონტალზე ფაკულტეტებთან ერთად“.[165]

რიგი კითხვები ჩნდება ფაკულტეტების მოცულობასთან და საგნობრივ კონფიგურაციასთან მიმართებაში. ამიტომ, უნივერსიტეტში შემუშავებულ უნდა იქნას სახელმძღვანელო პრინციპები მსგავსი პრობლემების გადასაჭრელად. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია:

[165] Taylor J. - . p. 251-274

- ინსტიტუციონალური დარაზმულობა - არც ერთი ფაკულტეტი არ უნდა დომინირებდეს საქმიანობის ან რესურსთა განაწილების საკითხებში ისე, რომ ეს იქცეს საფრთხედ უნივერსიტეტის კორპორაციული არსისთვის;
- ორგანიზაციული წონასწორობა - კონფიგურაცია უნდა ასახავდეს უნივერსიტეტის აკადემიურ ხასიათს საგნობრივი რიგის ადეკვატური ასახვის ხარჯზე;
- დისციპლინათშორისობის მხარდაჭერა;
- ინტელექტუალური ერთსულოვნება - ფაკულტეტები უნდა აერთიანებდნენ დისციპლინებს, რომლებსაც, სიტყვის ფართო გაგებით, აქვთ გარკვეული შემეცნებითი ერთობა;
- გონივრული ზომები - განვითარების პოტენციალისა და მოქნილობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი კრიტიკული მასა.

ხაზგასასმელია, რომ საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საფუძველზე თავდაპირველად სადისერტაციო საბჭოები იქმნებოდა ფაკულტეტებზე „სადისერტაციო საბჭო – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე არსებული ორგანო, რომელიც ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს“.[166] 2009 წელს ამავე კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, შესაძლებელი გახდა სადისერტაციო საბჭოს არეალის გაფართოება: „სადისეტრაციო საბჭო – უნივერსიტეტის ფაკულტეტზე ან უნივერსიტეტში არსებული ორგანო, რომელიც ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარიხს“.[167]

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მენეჯმენტის განხორციელების ეფექტურობას, დიდად განაპირობებს გარკვეულ ფუნქციათა დეცენტრალიზაცია საფაკულტეტო ადმინისტრაციათა საქმიანობის ფარგლებში, რაც მეტად დამოუკიდებელსა და მიზანსწრაფულს ხდის ფაკულტეტის მუშაობას მათ წინაშე დასახული მიზნების სრულფასოვანი რეალიზაციის მისაღწევად. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ანიჭებს საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ფაკულტეტებს თავისი ბიუჯეტისა და სტრუქტურის შემუშავების უფლებამოსილებას, თუმცაღა შემდგომ მათი დამტკიცება უკვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ზემდგომი მართვის ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება და ეს ბუნებრივია, რადგან იურიდიული პირის სტატუსით გვევლინება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და არა ფაკულტეტი, რის გამოც საქმიანობის დეცენტრალიზებულ კომპონენტებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები საჭიროებს შეთანხმებას ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დამტკიცებას როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საბჭოზე (მაგ.: სადისერტაციო საბჭოს დებულება, ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები), ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობით საბჭოზე (ფაკულტეტის სტრუქტურა და დებულება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტი).

[166] სკ უგშ - მუხლი 2, ქვეპუნქტი ჰ7
[167] სკ უგშ - მუხლი 2, ქვეპუნქტი ჰ17

ფაკულტეტი არაუმეტეს 4 წლის ვადის (ზედიზედ მხოლოდ ორჯერ) „თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს“[168]. ხაზგასასმელია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცედურები ჯერ კიდევ 2006 წელს უნდა განხორციელებულიყო, 2009 წლის განმავლობაშიც კი ფაკულტეტების დეკანები რჩებოდნენ მოვალეობის შემსრულებლად.

თუმცაღა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ფაკულტეტების სწრაფვა ავტონომიურობის გაფართოებისაკენ, მისაღები პროცესია და დამატებითი ბარიერების შექმნა, იმ საკითხების ცენტრალიზებული რეგულირება, რაც შესაძლებელია ფაკულტეტის ფარგლებში გადაწყდეს არამიზანშეწონილად მესახება. მოვიყვანოთ მაგალითი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობიდან. არის თუ არა აუცილებლობა, რომ „ცენტრალურ“ ადმინისტრაციაში[169] შეიქმნას კიდევ ერთი დამატებითი რგოლი საგამოცდო ცენტრის სახით, როცა გამოცდების ორგანიზებისათვის საკმარისი რესურსი ფაკულტეტების ადმინისტრაციას გააჩნია და სხვათაშორის, ამ რესურსის გამოყენებით ახდენს გამოცდების ორგანიზაციას თვით ზემოაღნიშნული ცენტრიც. ფაკულტეტების მიერ გამოცდების ჩატარების გამჭვირვალობასა და ობიექტურობაზე კი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას უპრობლემოდ შეუძლია მონიტორინგის განხორციელება. ასევე შესაძლებელია, განხილულ იქნეს, „ცენტრალური“ ადმინისტრაციის ფარგლებში სასწავლო დეპარტამენტის ფუნქციონირების აუცილებლობის საკითხი, რადგან ამ საქმიანობის ეპიცენტრი სწორედ რომ ფაკულტეტზეა წარმოდგენილი.

საყურადღებოა, რომ გარკვეულ შემთხვევაში ფაკულტეტების მართვაში არსებული ხარვეზები განპირობებულია თვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ არასრულფასოვანი მენეჯმენტის განხორციელებით. თუ ადმინისტრაციის საქმიანობა სრულყოფილია, მართვა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიის შესაბამისად, გეგმაზომიერად და არა სტიქიური გადაწყვეტილებების მიხედვით. არაეფექტურია ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც სერიოზულ პრობლემებს უქმნის მართვის განხორციელებას. მაგალითად მოვიყვან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას (2008 წლის 25 თებერვალის აკადემიური საბჭოს სხდომა) ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბაზაზე ორი ფაკულტეტის შექმნის შესახებ (მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის), მაშინ როდესაც გადაწყვეტილების მიღებამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად, დამტკიცებულ იქნა როგორც თსუ-ს ბიუჯეტი, ასევე აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგი. ბუნებრივია, ფაკულტეტის გაყოფის პროცედურა უნდა

[168] სკ უგშ - მუხლი 28, პუნქტი ბ

[169] სკ უგშ - ფიქსირებულია ადმინისტრაცია, „ცენტრალური“ ადმინისტრაცია პირობითი გამოთქმაა.

განხორციელებულიყო წინსწრებით (თუ ეს ფორს-მაჟორით არ არის განპირობებული).[170]

თავი VII.

უმაღლესი განათლების, როგორც საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელების გზები.

§ 1.უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება - ზოგადად;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტის განხორციელების ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული საფინანსო სტრატეგიის სწორად ფორმირებასა და შემდგომ მის რეალიზებაზე.

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ თანახმად: „ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის პროექტს და აკადემიურ საბჭოსთან შეთანხებით, დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.“[171]

1.1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი

ბიუჯეტის დამტკიცებამდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის შედგენის წესს. მაგალითად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესის შესახებ დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის № 153 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. რომელიც განსაზღვრავს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, დამტკიცებას, შესრულებას.

თსუ-ს ბიუჯეტი - ეს არის დაფინანსების სხვადასხვა ლეგიტიმური წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისა და მისი ფუნქციების და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი ხარჯების ნუსხა.

თსუ-ს დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი წყაროებიდან: სახელმწიფო ბიუჯეტით თსუ-სათვის გამოყოფილი ასიგნებანი; სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის სახით მიღებული დაფინანსება და სახელშეკრულებო პროექტების (თემების) შესასრულებლად მიღებული დაფინანსება;

---

[170] აღნიშნული გადაწყვეტილება არ განხორციელებულა

[171] სკ უგშ - მუხლი 26, პუნქტი 2

საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო კვლევითი გრანტები; სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ ერთეულებზე აბიტურიენტთა მიღების წახალისების მიზნით გამოყოფილი სპეციალური სახელმწიფო საბიუჯეტო პროგრამები; დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება; ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. შემოწირულობების (ქველმოქმედების) სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები.

თსუ-ს ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. იგი ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ყოველი წლის 1 ოქტომბრიდან, იწყებს მუშაობას დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განსაზღვრაზე.

თსუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - ფაკულტეტების საბჭოები და სხვა სტრუქტურული ერთეულები ყოველი წლის 1 ნოემბრისათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენენ მომავალი წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტებს. რომელიც სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული, იგი უნდა ეყრდნობოდეს მიღებულ გაანგარიშებათა შედეგებს, ჩამოყალიბებულ დასკვნებსა და კონკრეტულ წინადადებებს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ამზადებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის ნაერთ პროექტს და აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, ყოველი წლის 15 დეკემბრისათვის, დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მაგალითისათვის, თსუ-ს 2009 წლის ბიუჯეტი, რომელიც ასე გამოიყურება დამტკიცებული იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოზე 2008 წლის 29 დეკემბერს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის ბიუჯეტი[172]

შემოსავლები	2009 წელი
სასწავლო გრანტიდან	9 200 700,00
ეკონომიკური საქმიანობიდან	10 150 500,00
სახელმწიფო ბიუჯეტიდან	3 600 000,00
2008 წლის გარდამავალი ნაშთი	3 200 000,00
სახელმწიფო (პრეზიდენტის) სტიპენდია	441 600,00
ჯამი	26 592 800,00

ეროვნული სამეცნიერო გრანტები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით	1 463 719,00
საერთაშორისო გრანტები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით	700 000,00

ევროპული კვლევების ინსტიტუტი გარდამავალი ნაშთის ჩათვლით	249 660,00

[172] დამტკიცებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ – ოქმი № 17 (29.12.2008 წ.)

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა	847 198,00
მ.შ. სწავლის ქირა გარდამავალი ნაშთის ჩათვლით	149 498,00
მ.შ. გრანტი	697 700,00

სულ შემოსავალი	29 853 377,00

2009 წლის ხარჯები

ასიგნებების დასახელება	2009 წელი
სულ ასიგნებები (I+II)	29 561 155
I ხარჯები	28 814 391
შრომის ანაზღაურება	13 898 407
საქონელი და მომსახურება	13 383 721
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	7 199 397
მივლინებები	777 302
ოფისის ხარჯები	3 250 075
წარმომადგენლობითი ხარჯები	316 000
რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	20 000
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	150 000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	1 670 947
სოციალური უზრუნველყოფა	20 000
სხვა ხარჯები	1 512 263
II არაფინანსური აქტივები	746 746

1.2. სწავლის საფასური, სასწავლო გრანტი

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო „საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიურ მოცულობებსა და ოდენობებს, აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამით დაფინანსების ოდენობასა და პირობებს“[173]. ამასთან, ამავე კანონის 81-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მკვეთრად ჩამოყალიბდა, რომ „სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიურ ოდენობას, რომელიც სრულად ფარავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის/ ვეტერინარის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების ღირებულებას, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა“. [174]

[173] სკ უგშ მუხლი 7. პუნქტი გ
[174] სკ უგშ მუხლი 81. პუნქტი 2

ზემოაღნიშნული მუხლის 2''' პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ განისაზღვრება სამაგისტრო გრანტის წლიური ოდენობა: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიურ ოდენობას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. უმაღლეს განათლებას მაგისტრატურაში, გარდა საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრატურისა, სახელმწიფო აფინანსებს 2 წლის განმავლობაში."[175]

კერძო სამართლის იურიდიულ პირ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (საქართველოში წარმოდგენილია ძირითადად შპს-ს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით) ამ მიმართებით მიცემული აქვთ სრული თავისუფლება, როგორც სწავლის საფასურის განსაზღვრის, ისე ძირითადი ღირებულებისა და გრანტის სხვაობის გადახდის თვალსაზრისით: „თუ კერძო სამართლის იურიდიული პირის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის საფასური, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის საფასური აღემატება შესაბამისად სახელმწიფოს მიერ დადგენილ სახელმწიფო სასწავლო გრანტის ან სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი საფასური, რომელიც უნდა დაიფაროს არასახელმწიფო წყაროებიდან".[176] ამავდროულად, ხაზგასასმელია ერთი გარემოება: „სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა 2010 წლის 1 სექტემბრამდე ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე ან ამ კანონის 66^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ინსტიტუციური აკრედიტაციის დარჩენილი ვადით. იმ შემთხვევაში, თუ ამ დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის მომენტში არ იარსებებს შესაბამისი პროგრამის აკრედიტაციის შესაძლებლობა, ეს პროგრამა აკრედიტებულად ითვლება სათანადო პირობების შექმნამდე."[177]

თავი VIII.
უმაღლესი განათლების, როგორც საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელების ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა.

§ 1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი

1.1. უსდ-ს პერსონალის კლასიფიცირება

საქართველოს კანონმა „უმაღლესი განათლების შესახებ" მოახდინა უსდ-ს პერსონალის კლასიფიცირება აკადემიურ: „1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება

[175] სკ უგშ მუხლი 81. პუნქტი 2^{111}
[176] სკ უგშ მუხლი 81. პუნქტი 3
[177] სკ უგშ - მუხლი 88. პუნქტი 7

პროფესორებისაგან. 2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი“[178] და ადმინისტრაციულ თანამდებობებად და სხვა პერსონალად: „1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი და მათი მოადგილეები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები“. „3. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი“. „5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები“[179].

თსუ-ს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, 2001 წლის 13 დეკემბერს, დამტკიცებული თსუ-ს წესდებით განსაზღვრული პროფესორის, დოცენტის და მეცნიერ-მუშაკის თანამდებობების ნაცვლად, საქართველოს ზემოაღნიშნული კანონის მიხედვით, აკადემიური პერსონალი განისაზღვრა სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობებით და ამ თანამდებობების დაკავება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ღია კონკურსით. ხოლო სტრუქტურის მართვის განსახორციელებლად განისაზღვრა ადმინისტრაციული თანალდებობები და სხვა პერსონალი. ასევე საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესაბამისად: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ამ კანონით გათვალისწინებული აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი ჯვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით“[180].

1.2. რეფორმები უსდ-ს პერსონალის მართვის სფეროში

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცვლილებების მომხრეებს ადანაშაულებდნენ ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციული ფასეულობებისათვის ზიანის მიყენებასა და აკადემიური პოზიციების შერყევაში. მაგრამ ხაზგასასმელია აქვე უმთავრესიც – მოძველებული მეთოდების შენარჩუნებას შეეძლო მივეყვანეთ როგორც გაუმართლებელ ფინანსურ დანახარჯებამდე, ისე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონკურენტუნარიანობის დაქვეითებამდე. უფუნქციო, ყოველგვარი სამართლებრივი კონტექსტიდან ამოვარდნილი სტრუქტურული წარმონაქმნები და ახალი, რეფორმის მოთხოვნათა საფუძველზე შექმნილი სტრუქტურული ერთეულები, გარკვეულწილად, პარალელურ რეჟიმში აგრძელებდნენ თანაარსებობას სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფარგლებში და ამიტომ ადგილებზე სერიოზული წინააღმდეგობები ხვდებოდა მუშაობის ფორმების გარდაქმნისა და პარალელიზმების გამორიცხვის პროცესს.

---

[178] სკ უგშ - მუხლი 33. პუნქტი 1 და 2.
[179] სკ უგშ - მუხლი 40. პუნქტები 1, 3 და 5.
[180] სკ უგშ - მუხლი 40. პუნქტი 6.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის უდიდესმა ნაწილმა მაინც აღმოუჩინა მხარდაჭერა ახალ წამოწყებებს. ისინი შეგნებულად შეხვდნენ ბიუროკრატიული პროცესების შემცირებას, გადაწყვეტილებების მიღების ოპერატიულობასა და სამუშაოთა მოცულობის გონივრულ გადანაწილებას. ძირითადად თანამშრომლებმა მოიწონეს მენეჯმენტის პროფესიონალიზმის დონის ამაღლება, როგორც აკადემიურ პოზიციაზე, ისე ადმინისტრაციულ სამსახურებში.

ხაზგასასმელია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეფორმის მიმდინარეობის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა პერსონალის შერჩევაში გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვას.

გარკვეული წლების განმავლობაში, სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობა, ისევე როგორც სწავლა, პრესტიჟულად გამოიყურებოდა და შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს არც მოეპოვებოდათ ალტერნატივა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, რადგან მათ ავტორიტეტულობას საფუძველს უმყარებდა ისტორიული ტრადიციები, ფასეული წარსული, რომელთა სიღრმეში, ქართული მეცნიერების ელიტა ჩამოყალიბდა. დღეს ეს ფრიად პატივსაცემი, მაგრამ წარსულია, თუმცაღა აუცილებელია ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება.

1.3. უსდ-ს პერსონალის კვალიფიკაცია და პერსპექტივები

საგანმანათლებლო სფეროში სულ უფრო ხშირად საჭიროა არა მხოლოდ კვალიფიკაცია, არამედ კომპეტენტურობა, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ჩვევების ერთგვარი ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებს ინდივიდუმს და შეიცავს კვალიფიკაციას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სოციალურ ქცევით მახასიათებლებს და ჯგუფში მუშაობის უნარს, ინიციატივიანობას, რისკისთვის მზადყოფნას. უმაღლესი სასწავლებლების სისტემამ დღეს აუცილებლად უნდა უზრუნველყოს კურსდამთავრებული არა თუ წმინდა პროფესიული ცოდნით, იმ უნარ-ჩვევებით, რომ ორიენტირება მოახდინოს ინფორმაციის სულ უფრო მზარდ ნაკადში, არამედ შეეძლოს ადამიანებთან ურთიერთობა, გუნდური მუშაობა და მზად იყოს გადაჭრას კონფლიქტური სიტუაციები, მუდმივად განაახლებდეს და იღრმავებდეს ცოდნას. ამასთან პედაგოგები უზრუნველყოფას უნდა ახდენდნენ პირობებში, როცა მოხდა ძირითადი პედაგოგიური ფუნქციის კარდინალური ტრანსფორმაცია: პედაგოგი აღარ არის ინფორმაციის წყარო და აღარც მისი ინტერპრეტატორი. ის დღეს ერთგვარი მეგზურია. ცოდნის დაგროვება და მეთოდიკური ნოვაციების გამოყენება, მათი მშვიდად ტრანსლირება, მხოლოდ დრო და დრო შევსებით, უკვე შეუძლებელია, რადგან შეინიშნება ინფორმაციის შეუჩერებელი ნაკადი.

ამგვარად, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადებისადმი მოთხოვნა ავტომატურად „იწვევს“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის პრობლემასაც, რომელიც იძულებულია არა უბრალოდ აიმაღლოს კვალიფიკაცია, არამედ ძირეულად გარდაიქმნას. ინტენსიურად (თუმცა არა ყოველთვის ეფექტიანად) მიმდინარე რეფორმები ორიენტირებულია, უწინარეს

ყოვლისა, უმაღლესი განათლების სისტემის მოქნილობასა და ვარიაციულობაზე. ისინი ითვალისწინებენ სხვადასხვა ტიპის სასწავლებლების და მომავალი სპეციალისტების მომზადების მრავალფეროვანი მიმართულებების განვითარებას.

საკადრო პოლიტიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა პიროვნებათა დაწინაურება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. თუ მხედველობაში მივიღებთ საქმიანობის განვითარების ხასიათს, დაწინაურების პერსპექტივა უდავოა. თუმცაღა, დაწინაურების და კარიერის უზრუნველსაყოფად წინასწარ უმთავრესია მიღწეულ იქნას პერსონალის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც რა თქმა უნდა, დაკავშირებულია მათ მიერ შესაბამისი ტრეინინგების, სწავლებების, სტაჟირებების აუცილებელ გავლასთან. სამწუხაროდ, ხშირად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში, ადგილი აქვს ფაქტებს, რომ ცალკეული მუშაკები ვერ აკმაყოფილებენ დაწინაურებისათვის საჭირო კრიტერიუმებს, მაგრამ მაინც ხდება მათი ავტომატური დაწინაურება, რაც სერიოზულ დაღს ასვამს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების პერსპექტივებს.

ამიტომ უნდა გაძლიერდეს უმაღლესი სასწავლებლების იმ მეცნიერებისა და პედაგოგების გავლენა, რომლებიც საჭიროდ მიიჩნევენ პიროვნების სულიერი თვისებების ჩამოყალიბების გაძლიერებას, სტუდენტებისათვის იმ უნარის განვითარებას, რომ მთლიანობაში ხედავდნენ სამყაროს, აცნობიერებდნენ აქტუალური სოციალური პრობლემების და პიროვნებათაშორისი ურთიერთობის მნიშვნელობას, იმსჭვალებოდნენ სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით.

საწყის ეტაპზე, როდესაც კერძო უსდ-ები მკვიდრდებოდნენ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, შექმნილი იყო ისეთი მდგომარეობა, რომ კერძო სექტორის უსდ-ები ღებულობდნენ სტუდენტებს, რომლებიც ვერ მოხვდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

ამჟამად, ელიტარული კერძო უსდ-ების ფუნქციონირების შემთხვევაში, პირიქით, მიუხედავად სწავლების მაღალი საფასურისა, რომელიც ზოგ შემთხვევაში, 5-6-ჯერაც აჭარბებს სახელმწიფო უსდ-ების სწავლის საფასურს, უკვე არც თუ ისე იშვიათად, აბიტურიენტის არჩევანთა ნუსხაში მაინც პირველ ნომრად გვხვდებიან ასეთი სასწავლებლები, რაც განპირობებულია სწავლების მაღალი ხარისხით და უზრუნველყოფილია პერსონალის პროფესიონალიზმით, კომპეტენტურობითა და უმთავრესი შედეგით – კურსდამთავრებულთა დასაქმების გარანტირებულობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კერძო უსდ-ებმა, მაღალი ანაზღაურების შეთავაზების საფუძველზე, მოახერხეს სახელმწიფო უსდ-ების მაღალპროფესიონალი კადრების გადაბირება. ასე რომ, ელიტარულ კერძო უსდ-ებში თავი მოიყარეს სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა, სხვადასხვა სახელმწიფო უსდ-ებიდან, ამასთან, შეძლეს რა მოეზიდათ მნიშვნელოვანი მოცულობის ფინანსური სახსრები, დაიწყეს თავისი აკადემიური პერსონალის მომზადება, ტრეინინგები და სტაჟირებები ევროპულ და აშშ-ს უსდ-ებში. ხელს უწყობენ თავის პერსონალს სადოქტორო პროგრამები გაიარონ და დისერტაციები დაიცვან სწორედ საერთაშორისო უსდ-ებში. ამას ისინი ახერხებენ სახელმწიფო უსდ-ებთან შედარებით უფრო მოქნილად და

ეფექტურად, რადგან ამგვარი მაგალითები სახელმწიფო უსდ-ებში მხოლოდ ერთეულთა ხვედრია.

თუმცაღა აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციების მქონე უსდ-ები ჯერ მაინც მყარად დგანან წარსულის ფასეულობებზე და ჯერჯერობით არც კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით უჭირთ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მდგომარეობა 50X50-ზე, მომავალი დამოკიდებულია არამხოლოდ ღირსეულ წარსულზე, არამედ პროგრესზე, შესაძლებლობების განვითარებაზე და რაც უმთავრესია, პერსონალის, ხაზგასმით აკადემიური პერსონალის, კომპეტენტურობაზე, პროფესიონალიზმზე, ყოველდღიურ ზრდაზე. თვით ყოველდღიურობაა მრავალფეროვნი მოთხოვნილებების თვალთახედვით. საზოგადოებაში წარმატება ელით იმ უსდ-ებს, რომლებიც შეეწყობიან მუდმივად ცვლად პირობებს, იქნებიან უფრო მოქნილები სოციალური თვალსაზრისით.

1.4. საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის იურიდიულ პირ უსდ-ების პერსონალი

დღეს უმნიშვნელოვანესია რამდენად კონკურენტუნარიანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, განურჩევლად იმისა, საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს. მსოფლიო ტენდენციებმა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი განათლებას შორის უპირატესობის საზღვრები ბაზარზე გაავლო. სადღეისოდ, კერძო უმაღლესი სასწავლებლების გარკვეულმა ნაწილმა (დაახლოებით 5-6 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) შეძლო რიგ სპეციალობებში, ჩვენს ქვეყანაში, გაესწრო ყველა ტიპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და გამხდარიყო ყველაზე მაღალრეიტინგული ისეთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებებში, როგორიცაა: ეკონომიკა, ბიზნესის ადმინისტრირება და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ამ სპეციალობებში ისინი უსწრებენ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ტრადიციული ბაზა გააჩნიათ. თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტობა ნამდვილად ვერ შეძლეს კერძო უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა იურიდიულ, ჰუმანიტარულ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ისევე როგორც, რიგ ტექნიკურ სპეციალობებში. თუმცაღა, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარკვეულმა ნაწილმა უფრო ადრე შეძლო ეფექტური კომპიუტერული მეთოდიკების დანერგვა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სტუდენტთა მონაცემთა სრულფასოვანი ბაზის შექმნა, სტუდენტთა რეგისტრაცია, გამოცდების განრიგების შედგენა და ა.შ. რამაც განაპირობა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინსწრება ერთ დროს მაღალრეინტინგული და დღესაც ისტორიული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

მაგალითად, 2006 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც 20.000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობდა, გამოყენებაში ჰქონდა მხოლოდ 100-ზე მეტი კომპიუტერი. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, წარმოუდგენელი იყო საუბარი საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებაზე სასწავლო პროცესთან. ამ დროს რამდენიმე, მაგრამ რეიტინგულ უმაღლეს კერძო

საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეს პრობლემები გადაწყვეტილი იყო და სტუდენტებს ემსახურებოდათ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები, ჰქონდათ საშუალება ემუშავათ ცალკეულ პროექტებზე და მოეწყოთ პრეზენტაციები.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ 2007-2008 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რადიკალურად შეიცვალა სურათი ამ თვალსაზრისით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ასეულობით კომპიუტერი. სხვადასხვა სასწავლო კორპუსებში ამოქმედდა კომპიუტერული ცენტრები, კლასები და ა.შ.

საზოგადოებაში ხშირად ამბობენ, რომ საქართველოში კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გამოირჩევიან მცირე მოცულობით, სტუდენტთა კონტინგენტიც მცირერიცხოვანია და შედარებით უფრო მარტივია მათი მართვა. თუმცაღა, ეს არ ცვლის დამოკიდებულებას სწავლების ხარისხისადმი, ინიციატივიანობას, რისკისათვის მზადყოფნას, გადაწყვეტილებათა მიღების, მათი შესაძლო შედეგების განჭვრეტის და მათ მიერ პასუხისმგებლობის აღების უნარს.

ალბათ, არ არის დომინანტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად მისი მოცულობა ან სტუდენტთა კონტინგენტის რიცხოვნება, უმთავრესია იმ ადამიანების პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა, ვინც დგანან სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებისა და საზოგადოდ მართვის პულტთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თითოეულ სტრუქტურაშიც კი, რადგან აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიონალიზმი, მაღალკვალიფიციურობა და პასუხისმგებლობის მაქსიმუმი – მინდობილი საქმისადმი, ეს ფაქტორები წარმოადგენენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების გარანტიას.

იდენტურია თუ არა სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პერსონალის განწყობა და დამოკიდებულება საქმისასადმი?! თუ ერთ მხარეს განვიხილავთ ტრადიციულ, ისტორიული გამოცდილების მქონე, საზოგადოების ნდობითა და ავტორიტეტით აღჭურვილ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და ბოლო წლებში რეიტინგით საგრძნობლად დაწინაურებულ რამდენიმე კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (როგორიცაა შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“, შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“, შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ და სხვა) აღმოვაჩენთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალი ძირითადად წარმოდგენილია შემსრულებელთა და არა ინიციატორთა გუნდით (რა თქმა უნდა, სხვადასხვა შეფასებების ფარგლებში -„სანიმუშო“, „კარგი“, „საშუალო“ და ა.შ.), ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში საუბარი მაქვს ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალზე, რადგან აკადემიური პერსონალის გარკვეულ ნაწილს, იგივე თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტში, ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ის მუხტი, რაც ცალკეულ სპეციალობათა განვითარებისათვის არის საჭირო (თუმცაღა სჭირდებათ შესაბამისი პირობები) და აუცილებელია ეს მუხტი

გადარჩეს და განვითარდეს. ამ მხრივ დადებით მომენტად შეიძლება განვიხილოთ მათთან „ექსკლუზიური“ კონტრაქტების გაფორმების პრაქტიკა (რომელიც ზღუდავს მათ საქმიანობას სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფარგლებში), რაც მნიშვნელოვანწილად აუმჯობესებს მათ ფინანსურ მდგომარეობას, თუმცაღა ამგვარმა პრაქტიკამ, რა თქმა უნდა ხელი არ უნდა შეუშალოს აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური მობილობის განვითარების პერსპექტივებს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში? იქ სურათი სხვაგვარია: უფრო მაღალია პერსონალის სწრაფვა სიახლეების ძიებისა და დანერგვისაკენ, საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებისა და გაღრმავებისაკენ, აბიტურიენტებისათვის თანამედროვეობას მორგებული, მიზიდველი პროგრამების შეთავაზებისაკენ, რადგან ეს არის გზა თვითდამკვიდრებისაკენ, კერძო უსდ-ების კონკურენტუნარიანობის ბადეს ქმნის იქ მოღვაწე პერსონალი და ეს მათ (ხაზგასმით რეინტინგულ სასწავლებლებს) სრულად აქვთ გაცნობიერებული. ე.ი. მარტივად რომ ვთქვათ, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის უცხოა თვითდამშვიდების ის სტილი, რაც გარკვეულწილად, მცირე დოზით, მაგრამ მაინც აღინიშნება სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ფაქტია, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში დასაქმების თვალსაზრისით, უფრო მეტად გზა ხსნილი აქვთ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც უმაღლესი განათლება ევროპულ და ამერიკულ უსდ-ებში მიიღეს, ან ადგილობრივი უსდ-ების ფარგლებში, იმ სპეციალობათა კურსდამთავრებულებებს, რომლებმაც მოახერხეს ორმაგი პროგრამების გავლა უცხოეთის უსდ-ებთან ალიანსში. ეს, ჯერჯერობით, საქართველოში რამდენიმე უსდ-მ შეძლო. ე.ი. ფაქტიურად, აღნიშნული შედეგით გაკეთებული დასკვნა ერთადერთია – ორიენტირია სწავლების ხარისხი, რომელიც, თავის მხრივ, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ფორმირების განმსაზღვრელია.

სწავლის საფასურის განსაზღვრის თავისუფლება კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს, რადგან იმ საფასურის საშუალო დონე, რომლებსაც ახდევინებენ კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, აღემატება საფასურებს სახელმწიფო დაწესებულებებისათვის. ამის გამო, მათ შესწევთ უნარი გადაქაჩონ მაღალი პროფესიონალიზმის მქონე ადამიანური რესურსები, რაც თავის მხრივ, სწავლების ხარისხის გამსაზღვრელია.

1.5. უსდ-ს აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები

ხაზგასასმელია, ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 36-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, „აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით“. ამავდროულად, საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე, „შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით“. ბუნებრივია, ეფექტური იქნებოდა, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად კონკურსგავლილ

აკადემიურ პერსონალთან, შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულიყო განუსაზღვრელი ვადით და არა, თუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითს მოვიყვანთ, 2-3 წლის ვადით (3 წლის ვადით სრულ და ასოცირებულ პროფესორებთან, 2 წლის ვადით ასისტენტ-პროფესორებთან), რადგან უვადო ხელშეკრულებები მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს აკადემიური პერსონალის დამოუკიდებლობისა და აკადემიური თავისუფლების ხარისხის ზრდას, რაც თავის მხრივ, სწავლებისა და კვლევის განვითარებისა და სრულყოფის განმსაზღვრელი გახდებოდა.

1.6. უსდ-ს პერსონალის შეთავსებადობის პრაქტიკა

„უსდ-თა აკადემიური მუშაკების უმრავლესობა ან ერთდროულად მუშაობს ორივე სექტორში, ან, თავდაპირველად, ეკავათ თანამდებობები სახელმწიფო უსდ-ებში. ასეთი სიტუაცია ჩამოყალიბდა იმის გამო, რომ უკანასკნელ 15 წელიწადში ევროპის მრავალ ქვეყანაში კერძო უმაღლესი განათლება ძალზე სწრაფად ვითარდებოდა. რადგან კერძო უსდ-ების პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობს ნახევარ განაკვეთზე ან ხელშეკრულებით“[181]

ხაზგასასმელია, რომ სულ უფრო ფართოდ ვრცელდება შეთავსებადობის პრაქტიკა საქართველოშიც, როდესაც პედაგოგები ერთდროულად მუშაობენ სახელმწიფო უსდ-ებშიც და კერძოებშიც. ნაწილობრივ ეს აიხსნება საკადრო რესურსების ნაკლებობით უმაღლესი განათლების სისტემაში. შესაძლებელია, დროთა განმავლობაში ეს პრობლემა გარკვეულწილად დაკარგავს თავის სიმწვავეს.

ხაზგასასმელია, რომ საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 42-ე მუხლით განსაზღვრულია თანამდებობრივი შეუთავსებლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, როგორც ადმინისტრაციული თანამდებობის პირთა, ასევე აკადემიური საბჭოს წევრებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერთან მიმართებაში. ამავდროულად, „თუ ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების ან მართვის ორგანოს წევრობის წინაპირობაა აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნა, აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლა იწვევს შესაბამის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ან მართვის ორგანოში უფლებამოსილების შეწყვეტას აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე, თუ პირი არ აირჩა შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე“.[182] საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „აკადემიური, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის სამსახურეობრივი შეუთავსებლობა განისაზღვრება კანონმდებლობითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით“.

ამასთან, საქართველოს შრომის კოდექსის მე-8 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით: „შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება“. ამ დროს თავს იჩენს გარკვეული პრობლემებიც, კერძოდ:

---

[181] Фрид Йохен, Гласс А., Баумгартл Б. стр.2

[182] სკ უგშ - მუხლი 42 პუნქტი 1[1].

პირველი, რომ უსდ-ს ადმინისტრაციულ ან დამხმარე პერსონალს, რომელსაც ადგილზე, ან სხვა უსდ-ში შეთავსებული აქვს აკადემიური პერსონალის ფუნქცია, გარკვეულწილად ამ სამუშაოს შესრულება უწევს არა „სამუშაოდან თავისუფალ დროს“, არამედ ძირითადი სამუშაოს ხარჯზე და მეორე, თუ ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ უსდ-ეები ერთმანეთის კონკურენტები არიან ყველა პარამეტრის მიხედვით, პერსონალის მოღვაწეობა პარალელურად ორ ან მეტ უსდ-ში ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს: „დასაქმებულის უფლება, შეასრულოს სხვა სამუშაო, შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულებით შეიზღუდოს, თუ ასეთი სამუშაოს შესრულებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მის ძირითად სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობების შერულებას ან/და თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს შეთავსებითი სამუშაო, დამსაქმებლის კონკურენტია“.

ბუნებრივია, კანონით შემოთავაზებული ნორმების დაცვისათვის უმთავრესია, რა პირობებს ვუქმნით პერსონალს, ძირითად სამუშაო ადგილზე, სამუშაო პირობებისა და ფინანსური მოთხოვნების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ასევე საყურადღებოა, პერსონალის სამუშაო დროის ხანგრძლივობის რეგულირების საკითხი. საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის 1 პუნქტის თანახმად „თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 41 საათს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების და დასვენებს დრო“.

აღნიშნულის მიხედვით, ერთ ან მეტ უსდ-ში დასაქმებულის სამუშაო დროის ხანგრძლივობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრულს. თუმცაღა, თუ როგორია პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა ჯამურად, ამ მიმართებით მონიტორინგის განხორციელებით, უსდ-ეები ნაკლებად არიან დაკავებულნი. მათთვის უმთავრესია დასაქმებულმა შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები კონკრეტული უსდ-ს ფარგლებში.

პერსონალის შეთავსებადობას გარკვეულწილად აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტები. ყველაზე ხშირად შეთავსებადობის პრაქტიკა იწვევს უკმაყოფილებას და ექცევა კრიტიკის ქვეშ იმის გამო, რომ მას მივყავართ უმაღლესი განათლების ხარისხისა და სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში პედაგოგების მონაწილეობის შემცირებამდე, კერძო უსდ-ების მიერ სახელმწიფო უნივერსიტეტების რეპუტაციის „ექსპლუატაციამდე“, ინტერესების კონფლიქტამდე.

როგორც აღვნიშნეთ, უმაღლესი განათლების ამ რეალიას გააჩნია, აგრეთვე რიგი უპირატესობები.

შეთავსებადობა ხელს უწყობს: სწავლების მეთოდების ურთიერთგაცვლას, სამეცნიერო კვლევების ზოგიერთ დარგში შესაძლებლობათა გაფართოებას, ფინანსურ სარგებელს დამატებითი შემოსავლების ხარჯზე, ახდენს აკადემიური პერსონალის მოტივირებას დარჩნენ სამშობლოში.

ამჟამად შეთავსებადობა სხვადასხვაგვარად აისახება სახელმწიფო და კერძო უსდ-ების რეპუტაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ პროფესორები ხშირად ერთი და იგივენი არიან, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათი საქმიანობის რეიტინგი დამოკიდებულია უსდ-ს ტიპზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო უნივერსიტეტები იგებენ მუდმივ საფუძველზე მომუშავე მათი პედაგოგების რეპუტაციის წყალობით. იგივე პროფესორები, ასწავლიან რა შეთავსებით კერძო უსდ-ებში, იღებენ უფრო დაბალ რეიტინგულ ქულებს.

გარდა ამისა, რამდენიმე უნივერსიტეტში მომუშავე პროფესორების სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები, როგორც წესი, მიეწერება სახელმწიფო უსდ-ებს, რომელიც წარმოადგენს მათთვის მუშაობის ძირითად ადგილს. კერძო უსდ-ები, ჩვეულებრივ, არ აცხადებენ პრეტენზიას კვლევით პროდუქციაზე თავიანთი შემთავსებლების მიერ.

1.7. პერსონალის ოპტიმიზაცია (თსუ-ში პერსონალის შესარჩევად ჩატარებული კონკურსები)

როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალზე ვმსჯელობთ, მაგალისათვის არ შეიძლება ხაზი არ გაუსვათ მათ ოპტიმიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. წარმოგიდგენთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის დინამიკას რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ (იხილეთ ცხრილი № 2)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის შესარჩევად ჩასატარებელ კონკურსზე 2007 წლის 15 მარტს გაზეთ „24 საათში“ გამოცხადდა 625 საშტატო ერთეული დეპარტამენტების მიხედვით. შექმნილი იქნა საკონკურსო კომისია და სამდივნო (თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება № 11/02-01; 2007 წლის 14.03), შემუშავდა და დამტკიცდა კონკურსის ჩატარების წესები (თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება № 26/02-01; 2007 წ. 18.04), შესაბამისად შეიქმნა საპრეტენზიო კომისიაც.

კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად: I ეტაპის მიხედვით შერჩევა განხორციელდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ხოლო II ეტაპზე ჩატარდა გასაუბრება. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით საკონკურსო პროცედურები შემუშავდა იურიდიული სტანდარტების სრული დაცვით, მაინც კონკურსანტების მხრიდან სამართლებრივი თვალსაზრისით სადაო გახდა რიგი საკითხებისა, რის გამოც, დავებმა საპრეტენზიო კომისიიდან სასამართლოებში გადაინაცვლა.

მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, 2007 წლის 10 ოქტომბერს სასარჩელო განცხადებით მიმართეს მოსარჩელეებმა - ო.ა.-მ, ნ.კ.-მ, ე.დ.-მ, ნ.გ.-მ, მ.კ.-მ, მოპასუხე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ და მოითხოვეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. მოპასუხე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სადაო გახადა გასაჩივრებული აქტის, კერძოდ, 2007 წლის 20 აგვისტოს № 237/02-03 ბრძანების, მოსარჩელეების შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, სამსახურში მიღებისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე სასამართლოს განსჯადობით განხილვის საკითხი.

ცხრილი 2

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის რიცხოვნობა 2005-2009 წლებში (კაცი)

ადმინისტრაციულ-დამხმარე და სხვა პერსონალი 2005-2010 წლები

დასახელება	**31. 03. 2005 წ.**			**31. 12. 2006 წ.**			**30. 06. 2007 წ. (კონკურსამდე)**			**30. 12. 2007 წ.**		
	შტატი	ხელშეკ	სულ	შტატი	ხელშეკ.	სულ	შტატი	ხელშეკ.	სულ	შტატი	ხელშეკ.	სულ
ადმინისტრაცია (ცენტრალური)	1436	248	**1684**	732	297	**1029**	658	305	**963**	163	367	**530**
ფაკულტეტების ადმინისტრაცია	131	0	**131**	152	37	**189**	97	27	**124**	24	0	**24**
ფაკულტეტების დამხმარე პერსონალი	705	0	**705**	660	31	**691**	597	25	**622**	361	35	**396**
სულ:	2272	248	**2520**	1544	365	**1909**	1352	357	**1709**	548	402	**950**

დასახელება	**31. 12. 2008 წ.**			**30.12.09**			**2010 წლის ივლისი**		
	შტატი	ხელშეკ.	სულ	შტატი	ხელშეკ.	სულ	შტატი	ხელშეკ.	სულ
ადმინისტრაცია (ცენტრალური)	169	490	**659**	183	488	**671**	180	580	**760**
ფაკულტეტების დამხმარე პერსონალი	387	64	**451**	395	115	**510**	375	94	**469**
სულ:	556	554	**1110**	578	603	**1181**	555	**674**	1229

აკადემიური და მოწვეული პერსონალი 2005 - 2010 წლები

დასახელება	**2005 წელი**	**2005-2006 სასწავლო წელი**		**2006-2007 სასწავლო წელი**		**2007-2008 სასწავლო წელი**		**2008-2009 სასწავლო წელი**		**2009-2010 სასწავლო წელი**	
	გაზაფხულის სემესტ	შემოდგომის სემესტ	გაზაფხულის სემესტ	შემოდგომის სემესტ	გაზაფხულის სემესტ	შემოდგომის სემესტ	გაზაფხულის სემესტ	შემოდგომის სემესტ	გაზაფხულის სემესტ	შემოდგომის სემესტ	გაზაფხულის სემესტ
აკადემიური პერსონალი	2266	2099	1999	749	748	745	724	718	725	673	**678**
მოწვეული ლექტორები და მასწავლებელი	0	0	1047	1057	892	973	975	769	770	1039	**808**
სულ:	**2266**	**2099**	**3046**	**1806**	**1768**	**1842**	**1818**	**1605**	**1611**	**1712**	**1486**

შენიშვნა: 2005 წლის (გაზაფხული-შემოდგომა) მოწვეული ლექტორების მონაცემი პერსონალის მართვის დეპარტამენტში არ იძებნება: მოწვეული პედაგოგების რაოდენობა დათვლილია ენების შემსწავლელი ცენტრის მოწვეული პედაგოგების ჩათვლი

კერძოდ, მოპასუხის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. თვითონ მოსარჩელეები უთითებენ სარჩელში, რომ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას ჰქონდა სარეკომენდაციო ხასიათი, ხოლო საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება ჰქონდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ამასთან, ვინაიდან ბრძანების ძირითად საფუძველად მითითებულია შრომის კოდექსი, დავა უნდა იქნას განხილული სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, 26.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-22, 284-285-ე მუხლებით და დაადგინა, რომ მოსარჩელეთა სარჩელი მოპასუხე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ – 2007 წლის 20 აგვისტოს № 237/02-03 ბრძანების, მოსარჩელეების შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ნაწილში, ბათილად ცნობის, სამსახურში მიღებისა და იძულებითი განაცდურის ანაზღურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.[183]

მოვიყვანოთ მაგალითი აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით:

2009 წლის 25 მარტს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ განიხილა თსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილე ნ. კ.-ს სასარჩელო განცხადება მოპასუხე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, 04.08.06წ. №01-02/410 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და დაადგინა, რომ ნ. კ.-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.08წ. განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.[184]

2005 წლის 4 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა მოსარჩელემ მ.კ-მ და მოითხოვა: 1. ბათილად ყოფილიყო ცნობილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 05.09.05 წ. № 164 ბრძანება და იურიდიულ ფაკულტეტზე ჩატარებული კონკურსის შედეგები; 2. ბათილად ყოფილიყო ცნობილი იურიდიული ფაკულტეტის დროებითი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი, რომლითაც რეკომენდაცია გაეწია რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, კონკურსში გამარჯვებულ პირთა დასანიშნად; 3. დავალებოდა რექტორის მოვალეობის შემსრულებელს შეექმნა ახალი საკონკურსო კომისია, რომელიც არ იქნებოდა დაკომპლექტებული კონკურსანტებისაგან და თანასწორებისა და სამართლიანობის საწყისზე განიხილავდა ყველა კონკურსანტის განაცხადს. მოპასუხემ სარჩელი არ სცნო და მოითხოვა

---

[183] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება 2008 წ.

[184] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის დადგენილება 2009 წ.

მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-12, მე-13, 34-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 247-249-ე, 254-, 367-ე, 369-ე მუხლებით და მოსარჩელის სარჩელი არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო.[185]

კონკრეტული მაგალითები უკავშირდება პირველ შემთხვევაში დამხმარე პერსონალს. დამხმარე პერსონალის, ისევე როგორც, ზოგ შემთხვევაში, ადმინისტრაციული პერსონალის, საკონკურსო შერჩევის აუცილებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის, მაგრამ საჯაროობის, გამჭვირვალობის თვალსაზრისით, ეფექტურია და ამდენად ფართოდაც დამკვიდრდა უსდ-ების პრაქტიკაში. საუბარია ე.წ. „მუდმივ", ანუ შტატიან პერსონალზე.

მეორე შემთხვევაში მოყვანილია მაგალითები აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით.

კონკურსის წესით დანიშნული აკადემიური პერსონალის უპირატესობა ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული ლექტორებისაგან ვლინდება უფლების დაცვის განსხვავებული სამართლებრივი საშუალებების არსებობაში. კერძოდ, საქართველოში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, უსდ-ს აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული დავები განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული აკადემიურ პერსონალთან, ისევე როგორც ადმინსტრაციულ და დამხმარე პერსონალთან დაკავშირებული საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ხშირად უსდ-ები არ ახორციელებენ აქტიურ საქმიანობას კადრების მომზადების ბაზარზე. ასეთი მდგომარეობა ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ერთის მხრივ, კადრების უწყვეტი მომზადება არ წარმოდგენს მათი პირველხარისხოვანი ზრუნვის საგანს. მეორეს მხრივ, ისინი ამჯობინებენ მიმართონ ტრენინგის კერძო კომპანიებს ან არასამთავრობო ორგანიზაციებს. ისინი უფრო მოქნილად უდგებიან კლიენტების სპეციფიკურ მოთხოვნილებებს, იმ უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით, რომლებიც დღემდე ითვლებიან ბიუროკრატიზირებულად, და უუნაროდ გაითვალისწინონ კონკრეტული სახის შრომითი საქმიანობის პრაქტიკული ასპექტები. მთლიანობაში – ზოგიერთი საკმაოდ შესამჩნევი გამონაკლისით – მომზადების ბაზრის კლიენტები უმრავლეს შემთხვევაში ამჯობინებენ კვალიფიცირებულ ექსპერტებს. უკანასკნელ წლებში პიროფესიული მომზადების ბაზარზე გამოჩნდა ახალი აგრესიული მოთამაშე: პროფესიული გაერთიანებები, კერძოდ, ისეთები, როგორებიცაა ბუღალტრების, ექიმების, ფსიქოლოგების და ა.შ. ასოციაციები, რომლებიც თავიანთ წევრებს აქტიურად სთავაზობენ პროფესიულ მომზადებას; ეს მომზადება, ჩვეულებრივ, ხორციელდება გამოცდილი პრაქტიკოსების – თავიანთ დარგში ცნობილი ექსპერტების მიერ. ასეთი მომსახურეობების დანარჩენმა პროვაიდერებმა უნდა მიიღონ შესაბამისი პროფესიული ასოციაციის აკრედიტაცია. ამ პირობებში, მიუხედავად კადრების მომზადებაში მუდმივად მზარდი მოთხოვნილებისა,

[185] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება 2009 წელი.

უნივერსიტეტები არაკონკურენტუნარიანები არიან პროფესიული მომზადების ბაზარზე. იმისათვის, რომ გავიდნენ პირველ პოზიციებზე უნივერსიტეტებმა უნდა ისწავლონ თავიანთი პროგრამების ადაპტირება კლიენტის სპეციფიკური მოთხოვნილებებისადმი.

1.8. პარალელები დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს უსდ-ების პერსონალთან დაკავშირებით

საყურადღებოა, რომ პერსონალთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც გვხვდება გარკვეული პრობლემები. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ დიდი ბრიტანეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკა და პარალელები გავავლოთ ქართულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან. ამ შედარებისთვის გამოვიყენე პროფესორ კენ ედვარდსის სტატია - „ახალი მიდგომა უმაღლეს განათლებაში პერსონალის დაქირავების საკითხისადმი“.

საკითხი აქტუალურია უპირველესად იმის გათვალისწინებით, რომ განხილული პრობლემა საერთოა უმაღლესი საგანმანათლებლო საერთაშორისო სივრცისათვის. პროფესორ კენ ედვარდს პრობლემის სრულფასოვანი წარმოჩენისათვის გამოყენებული აქვს შედარებითი ანალიზის მეთოდი. ანალიზის ფონზე იგი უპირატესობას ანიჭებს „მუდმივ“ პერსონალს, რომელსაც დასაქმების მტკიცე გარანტიები აქვს, ვიდრე „დროებითი“ ხელშეკრულებით დაქირავებულ მუშაკებს, რასაც ამართლებს მათი აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის მოტივით, თუმცა, ხაზს უსვამს, დროებითი კატეგორიის არსებობის შემთხვევაში, ფინანსური სირთულეების რეგულირების საკითხს.

დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში აკადემიური პერსონალის დაქირავების პირობების ანალოგი, ქვეყნებს შორის განსხვავების მიუხედავად, საერთაშორისო ასპარეზზეც გვხვდება.

დიდი ბრიტანეთის აკადემიური პერსონალი ორ მსხვილ კატეგორიად გაიყო, რომელთაგან ერთ-ერთი საკარიერო შესაძლებლობების და აკადემიური თავისუფლების მკაცრ შეზღუდვებს განიცდის იმ არასაკმარისი მოქნილობის გამო, რომელიც განპირობებულია მეორე, „მუდმივი“ ჯგუფისათვის მიცემული ზედმეტი გარანტიებით.

ამასთან დაკავშირებით, მრავალი უნივერსიტეტი სულ უფრო ფართოდ იყენებს „დროებითი შრომითი ხელშეკრულებებით პერსონალის დაქირავების პრაქტიკას“, რაც საშუალებას იძლევა უფრო მოქნილად რეაგირებდნენ დაფინანსების მოცულობათა შეცვლაზე.

პროფესორ კენ ედვარდსის აზრით: „უნდა მივაღწიოთ წონასწორობას ერთი მხრივ, ინდივიდუალურ აკადემიურ თავისუფლებას და ყველა თანამშრომლისადმი ერთნაირ დამოკიდებულებას, და მეორე მხრივ, ყველა თანამშრომლისათვის წარმატებული ინსტიტუციონალური განვითარებისა და მაქსიმალური შესაძლებლობების უზრუნველყოფას შორის“.

საქართველოს კანონის - „უმაღლესი განათლების შესახებ“ განმარტებით, აკადემიური თავისუფლება არის „აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა“. ყოველი უნივერსიტეტი არ წარმოადგენს უბრალოდ ცალკეულ აკადემიურ

მუშაკთა ერთობლიობას, რომლებიც ინდივიდუალური სურვილებით ხელმძღვანელობენ. ახლა უნივერსიტეტის ავტონომია, არ ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტი ასრულებს ბუფერის როლს, რომელიც იცავს აკადემიურ თავისუფლებას გარედან ზემოქმედებისაგან.

ბუნებრივია, აკადემიური თავისუფლების ხარისხი უფრო მაღალია იმ პერსონალთან მიმართებაში, რომელსაც დიდ ბრიტანეთში „მუდმივს", ანუ „შტატიანს" უწოდებს, ანუ ჩვენს პირობებში ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც თსუ-ს საშტატო განრიგით განსაზღვრული და დამტკიცებული აკადემიური პერსონალი, რომლის შერჩევა საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ" 34-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია განხორციელდეს „მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს".

რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (როგორც თსუ-ში) გამოყენებულია მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებების პრაქტიკაც, რომელიც ნამდვილად იძლევა გარკვეულ ფინანსურ ეფექტებს, მით უმეტეს, თუ თანამშრომლის ფუნქცია ამოწურულია და შესრულებულია ეტაპის ამოცანაც. ამდაგვარი პრაქტიკა დამკვიდრებულია არა მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ პერსონალთან, არამედ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან მიმართებაშიც. თუმცაღა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ „მუდმივი" და „დროებითი" თანამშრომლები თანაბარ პირობებში არ იმყოფებიან გარკვეული მიმართულებებით, ეს შეიძლება რეალობად მივიჩნიოთ თსუ-ს მაგალითზეც (თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა და სხვა).

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგალითზე ორი კატეგორიის – „მუდმივი" და „დროებითი" პერსონალის არსებობა, პროფესორ კენ ედვარსს ნაკლებ ეფექტურად ესახება. თუმცაღა, ჩემი მოსაზრებით, პარალელურ რეჟიმში, ამ კატეგორიების არსებობას, უარყოფითთან ერთად, ნამდვილად აქვს თავისი დადებითი ასპექტები. ამასთან, შესაძლებელია აღნიშნული საკითხის რეგულირება უფრო ეფექტურად, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეძლებს სწორად განსაზღვროს საუნივერსიტეტო საკადრო პოლიტიკა და დასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად უზრუნველყოს კადრების ოპტიმიზაცია.

1.9. 65 წელი – უსდ-ში მოღვაწეობის ზღვარი?!

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის საკითხის განხილვისას შეუძლებელია არ შევეხოთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მეტად მნიშვნელოვან პრობლემას, რასაც ქმნის ემერიტუსის წოდების მინიჭების საკითხი. ხაზგასასმელია, რომ თავდაპირველად, საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ" 39-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული იყო „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 65 წლის ასაკს მიღწეულ ყველა პროფესორს ენიჭება ემერიტუსის წოდება". აღნიშნული კი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას ავალდებულებდა ემირიტუსის წოდების მინიჭებამდე არსებული ხელფასისა და სახელმწიფო პენსიის ოდენობებს შორის განსხვავების დაფარვას. აღნიშნული ნამდვილად ჯდება მათი ღვაწლის უმაღლესი

სახელმწიფო დაწესებულების მიერ დაფასების კონტექსტში, თუმცაღა პრობლემებს ქმნის სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან საფინანსო უზრუნველყოფის თვალსაზრისით, იმ პირობებშიც კი, როდესაც აღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 39-ე მუხლის მე-2 პუნქტში დაკონკრეტდა, რომ ემირიტუსის წოდება ენიჭება „65 წლის ასაკს მიღწეულ ყველა სრულ პროფესორს“. ე.ი. ემერიტუსების რაოდენობა მცირდებოდა.

ხაზგასასმელია, რომ საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ შეტანილი შემდგომი ცვლილებების გათვალისწინებით, 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 65 წელს მიღწეულ ყველა სრულ პროფესორს ენიჭება ემერიტუსის წოდება, გარდა იმ პირებისა, რომლებიც აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნენ ამ კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ან ამ კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად აგრძელებენ აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნას. ამ პირებს ემერიტუსის წოდება მიენიჭებათ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ. ამ ვადის გასვლამდე ემერიტუსის წოდების მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის თანხმობით“.

ბუნებრივია აღნიშნული ცვლილება განაპირობა, პირველ რიგში, 36-ე მუხლის მე-3 პუნქტში შეტანილმა ცვლილებამ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევის შესაძლებლობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის ორი მესამედით. აკადემიურმა საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, ფაკულტეტისათვის ან ფაკულტეტის ცალკეული მიმართულებისათვის“

აღნიშნულ ცვლილებამდე 36-ე მუხლის (აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები) მე-2 პუნქტი წარმოდგენილი იყო ასეთი სახით: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი“. (იხილეთ ცხრილი № 3)

ცხრილი 3

თსუ აკადემიური პერსონალი - 60-65 წლამდე და 65 წელს ზემოთ 2010 წლის ივლისის მდგომარეობით (აბსოლუტური მაჩვენებელი)

	ფაკულტეტი	60-დან 65 წლამდე									65 წლიდან ზემოთ									ჯამი
		ქალი				კაცი				სულ	ქალი				კაცი				სულ	
		სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	**სულ**	სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	**სულ**		სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	**სულ**	სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	**სულ**		
1	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	3	7	1	**11**	1	4	1	**6**	**17**	1	21	1	**23**	5	12	1	**18**	**41**	**58**
2	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	1	3	5	**9**	5	15	1	**21**	**30**		1		**1**	5	19	2	**26**	**27**	**57**
3	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი		6	1	**7**	1	5	1	**7**	**14**	1	1		**2**		19	3	**22**	**24**	**38**
4	მედიცინის ფაკულტეტი		1	3	**4**	5	2		**7**	**11**		2	1	**3**	2	3	1	**6**	**9**	**20**
5	იურიდიული ფაკულტეტი										1			**1**	3			**3**	**4**	**4**
6	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	1	1	3	**5**			2	**2**	**7**		1	1	**2**	1	1		**2**	**4**	**11**
7	**სულ:**	**5**	**18**	**13**	**36**	**12**	**26**	**5**	**43**	**79**	**10**	**26**	**3**	**32**	**21**	**54**	**7**	**77**	**109**	**188**

თავი IX.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის ფორმები

§ 1. საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნება უსდ-ს სტატუსის მოპოვების მიზნით

1.1. ზოგადად

იურიდიული პირების არსებობა გარკვეულ სამართლებრივ სისტემაში დამოკიდებულია რიგ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე. როგორც იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. სუხანოვი აღნიშნავდა: „იურიდიული პირების წარმოქმნა, ფუნქციონირება და განვითარება მნიშვნელოვნად განისაზღვრება ეკონომიკაში გაბატონებული სამეურნეო მექანიზმის ტიპით, ე.ი. ეკონომიკური საქმიანობის რეგულატორული მიღებული სისტემებით – საბაზრო, საგეგმო-ცენტრალიზებული, შერეული, გარდამავალი. აღნიშნული გათვალისწინებით ფართოვდება ან იკვეცება იურიდიული პირების ქსელი...“[186]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად: „იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას.“[187]

უპირველეს ყოვლისა, ზოგადი საწყისები იურიდიული პირების დაყოფისათვის ასახვას პოულობენ სამოქალაქო კანონმდებლობაში, რომელიც იურიდიულ პირებს აჯგუფებს საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად. ამავდროულად ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები“[188].

ხაზგასასმელია, რომ „ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორი მათ დაფუძნებაში ვლინდება.

კერძო სამართლის იურიდიული პირი მისი დამფუძნებლის თუ დამფუძნებელთა (ერთობლივი) ნების გამოვლენის საფუძველზე იქმნება. მისი უფლებაუნარიანობა წარმოიშობა ამ ნების სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მომენტიდან.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქმნება „კანონის“ საფუძველზე“.[189]

სამოქალაქო კანონმდებლობით, სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირი, უნდა შეიქმნას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ თანახმად, „მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს),

---

[186] Е.А. Суханов Гражданское право. С. 178-179
[187] სსკ - . მუხლი 24, პუნქტი 2
[188] სსკ - მუხლი 24, პუნქტი 3
[189] კერესელიძე დ., გვ.170

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი."[190]. ხაზგასასმელია, რომ „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი წარმოადგენენ იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოებს (კომპანიებს)".[191]

ყველა შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შპს, რომელიც საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" თანახმად „არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც."[192]

ამავდროულად, ხაზგასასმელია რომ: „იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით".[193]

თავდაპირველად, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ", მე-11 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოს შეეძლო უსდ-ს დაფუძნება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით: „სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აფუძნებს მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით".

ზემოაღნიშნულ კანონში 2009 წელს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე: „სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით. (ეს პუნქტი ამოქმედდეს 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებისთანავე)." [194]

საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ", 2010 წლის სექტემბერში, ავტორიზაციის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით, განხორციელებული ცვლილებების მიხედვით განისაზღვრა, რომ სახელმწიფოს, ისევე როგორც ცალკეულ სუბიექტებს, აქვთ უფლებამოსილება დააფუძნონ არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, არამედ საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით.

ამდენად, აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის 1 პუნქტის დ) პუნქტის შესაბამისად, განსაზღვრული საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება: „განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, აგრეთვე კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. (ეს ქვეპუნქტი ამოქმედდეს

[190] სკ მშ - მუხლი 2. პუნქტი 1.
[191] სკ მშ - მუხლი 2. პუნქტი 3.
[192] სკ მშ - მუხლი 44, პუნქტი 1.
[193] სსკ - მუხლი 24, პუნქტი 6
[194] სკ უგშ - მუხლი 11, პუნქტი1

2010-2011 სასწავლო წლის დაწყებისთანავე).“ ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით „დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით აფუძნებს საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით.“[195]

ასევე, საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ შეტანილი ცვლილებების მიხედვით, მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით აფუძნებს საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს“.

საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ ცვლილებების შეტანამდე „სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების შესახებ საქართველოს მთავრობის აქტით განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, სახე, მიზანი და მისთვის გადასაცემი ქონების ნუსხა.“[196] განხორციელებული ცვლილებების შედეგად, განისაზღვრება არა უსდ-ს სახელწოდება და ა.შ., არამედ: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ საქართველოს მთავრობის აქტით განისაზღვრება დაწესებულების სახელწოდება, მიზანი და მისთვის ქონების გადაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებები, განისაზღვრება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ავტორიზაციის გავლასთან და უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები მართვის ორგანოების არჩევამდე.“[197]

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესაბამისად, სახელმწიფოს ჰქონდა უფლებამოსილება: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დააფუძნოს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით. (ეს პუნქტი ამოქმედდეს 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებისთანავე)“[198], თუმცა ავტორიზაციის სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით, აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტი შემდეგი სახით განისაზღვრა: „სახელმწიფო უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით დააფუძნოს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.“

ზემოაღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით შეიძლება დაფუძნდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული კერძო სამართლის იურიდიული პირი“.[199]

ამავე დროს, თუ საქართველოს კანონში - „უმაღლესი განათლების შესახებ“ ცვლილებებამდე წარმოდგენილი იყო, რომ: „სახელმწიფოს ეკრძალება კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის –

[195] სკ უგშ - მუხლი 6, პუნქტი 1, დ) ქვეპუნქტი
[196] სკ უგშ - მუხლი 11, პუნქტი 3
[197] სკ უგშ - მუხლი 11 პუნქტი 3
[198] სკ უგშ - მუხლი 12, პუნქტი 4
[199] სკ უგშ - მუხლი 12, პუნქტი 1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნება, წილის (აქციის) ფლობა ან წევრობა. (ეს პუნქტი ამოქმედდეს 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებისთანავე)“[200], ამ კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, აღნიშნული შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: „ 2^1. სახელმწიფოს ეკრძალება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნება, წილის (აქციის) ფლობა ან წევრობა.“[201]

§2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კერძო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნის შესაძლებლობა

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, რომლის საფუძველზეც განხორციელდა რეფორმა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცეში, იყო მნიშვნელოვანი ეტაპი, მიუხედავად გარკვეული სამართლის ნორმების არასულფასოვნებისა. შემდგომ აღნიშნულ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა თვითონ განსაზღვრა გზა გარდაქმნის შესაძლებლობისაკენ და 88-ე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, რომლის ამოქმედება ნაგულისხმევია 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებისთანავე, შემოგვთავაზა, რომ „საქართველოს მთავრობის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება რეორგანიზებულ იქნეს კერძო სამართლის იურიდიულ პირად, რის შედეგადაც აღნიშნული იურიდიული პირი ჩაითვლება შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებამონაცვლედ“[202].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოაღნიშნულ კანონში ცვლილებების შეტანამდე 88-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად „საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს მთავრობამ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტის მომზადება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ახალი სტატუსის – არამომგებიანი იურიდიული პირის სტატუსის მისანიჭებლად“. საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციის პერსპექტივა არ მოაქციეს მხოლოდ არამომგებიანი (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩარჩოში, სწორედ ამიტომ გაფართოვდა არეალი კერძო სამართლის იურიდიული პირის ფარგლებში, რაც მეტი არჩევანის შესაძლებლობას იძლევა და გაჩნდა დაშვება საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებამონაცვლედ ჩათვლის თაობაზე.

ამასთან ხაზგასასმელია, რომ საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ თანახმად: „არასამეწარმეო იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება ეწეოდეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, შესაბამისად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის

---

[200] სკ უგშ - მუხლი 12, პუნქტი 2^1 .
[201] სკ უგშ - მუხლი 12, პუნქტი 2, პუნქტი 2^1
[202] სკ უგშ - მუხლი 88, პუნქტი 13

შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში“.[203]

2.1. ქონებასთან დაკავშირებული პრობლემები, უსდ-ს გარდაქმნის პროცესში

2.1.1. ზოგადად

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კერძო სამართლის იურიდიულ პირად რეორგანიზაცია იქნება მიღწეული, უმნიშვნელოვანესია ქონებასთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონება შედგება მისთვის სახელმწიფოს, იურიდიული და კერძო პირების მიერ გადაცემული, ასევე მის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.“[204]

ამავდროულად:

„1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნებისას სახელმწიფო მას უსასყიდლო უზუფრუქტით გადასცემს შესაბამის ქონებას.

2. გადასაცემი ქონების ნუსხა ერთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების აქტს.

3. გადასაცემი ქონების ნუსხაში მიეთითება:

ა) ქონების ჩამონათვალი;

ბ) დამოუკიდებელი აუდიტის მიერ ქონების მდგომარეობის შეფასების შედეგები.

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად უბრუნდება სახელმწიფოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“[205]

ამ შემთხვევაში ბუნებრივია მესაკუთრის სახით გვევლინება სახელმწიფო. სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული ცნების შესაბამისად, საკუთრება არის ნივთზე ბატონობის სამართლებრივად აღიარებული უფლება: „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“.[206] განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მფლობელობა საკუთრებისაგან განსხვავდება, ეს ფაქტია და არა უფლება.

სსიპ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს უძრავ-მოძრავი ქონება, უძრავ ქონებას ის, როგორც ზემოთ აღინიშნა, ღებულობს სახელმწიფოსაგან უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით

---

[203] სკ უგშ - მუხლი 78

[204] სკ უგშ - მუხლი 84

[205] სკ უგშ -მუხლი 86. პუნქტი 1,2,3,4

[206] სსკ - მუხლი 170

ნაწილის (აქ საუბარია უფრო მოძრავ ქონებაზე) მესაკუთრედ გვევლინება თვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც შესყიდვა განახორციელა მიღებული ეკონომიკური შემოსავლებიდან. მოძრავი ქონების ნაწილს ის ღებულობს სახელმწიფოსაგან (თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე ეკონომიკის განვითარების სამინისტროსაგან).

ხაზგასასმელია, რა უფლებებით სარგებლობს უზურფრუქტუარი - ამ შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: „უძრავი ნივთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება (უზუფრუქტი) ამ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა.“[207].

2.1.2. თსუ-ს ქონების რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების (დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის № 277 ბრძანებულებით) XI თავში „ქონება, ფინანსები, კონტროლი“ აღნიშნულია, რომ „უნივერსიტეტს დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სახელმწიფოსაგან უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემული აქვს სახელმწიფო ქონება, რომელიც გამოიყენება ამ წესდებით დადგენილი მიზნების მისაღწევად. უნივერსიტეტისათვის გადაცემული ქონების მფლობელობისა და სარგებლობის რეჟიმი დგინდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად დადებული უზუფრუქტის ხელშეკრულებით“.

სამართლებრივი თვალსაზრისით, თითქოს ერთი შეხედვით ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ 2001 წლის შემდეგ ადეკვატური იყო თუ არა რეალური სურათი, ამის განსჯა მარტივად შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე, რომელიც მხოლოდ 2008 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების № 1-1/2397 - „სსიპ „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის უძრავი ქონების უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმის გადაცემის შესახებ“ საფუძველზე გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის XI (ე.წ. ბიოლოგების), საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის და კიდევ უფრო მეტიც მთლიანად ბაგების სტუდქალაქის უზურფრუქტუარი.

ასევე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის № 1-1/678 (02.04.09) ბრძანებით - „საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 26.01.06 წ. № 1-1/64 ბრძანების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ს.ს.ი.პ. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ შორის 2006 წლის 17 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმებისა (მოშლის) და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2003 წლის 3 ნოემბრის № 01/01-01/238 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ გადაეცა „ს.ს.ი.პ. „ივანე ჯავახიშვილის

[207] სსკ - მუხლი 242

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. № 1-3-ში მდებარე № 1 და № 2 (საერთო ფართით 35 314 კვ.მ.), № 3, № 4, № 5, № 6, № 7, № 8 შენობა-ნაგებობები, მათზე დამაგრებულ 57 069 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან ერთად (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 1/14/14/10/8) და ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 8-ში მდებარე № 1 ნაგებობა, მასზე დამაგრებული 390 კვ.მ. მიწის ნაკვთთან ერთად (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 1/14/14/10/008), არსებობის ვადით“.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უძრავი ქონების 80%-ზე მეტი წლების განმავლობაში ჰქონდა მხოლოდ ფაქტობრივი (და არა იურიდიული) მფლობელობის ფარგლებში, ასე რომ ბუნებრივია საიჯარო თუ ქირავნობის ხელშეკრულებები, რომელიც ზემოაღნიშნულ ფართებზე იყო გაფორმებული, იყო კანონდარღვევით, ზოგ შემთხვევაში კი ფართებზე ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე დისლოცირებული იყვნენ გაურკვეველი შპს-ეები, რომლებიც ყოველგვარი საფასურის გარეშე სარგებლობდნენ საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურით (ფართით, წყლით, ელენერგიით და ა.შ.) დანახარჯს კი იხდიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბუნებრივია, ქონებით ამგვარი სარგებლობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სრულად იყო ამოვარდნილი საქართველოს კანონის - „უმაღლესი განათლების შესახებ“ 85-ე მუხლის კონტექსტიდან: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

საუნივერსიტეტო ქონების მართვის ფარგლებში სერიოზულ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თითქმის ათწლეულების განმავლობაში, არ იყო ჩატარებული უძრავი და მოძრავი ქონების სრულფასოვანი ინვენტარიზაცია და არსებულ საინვენტარიზაციო წიგნებში აღნუსხული ქონება, ხშირ შემთხვევაში, მკვეთრად განსხვავდებოდა ფაქტობრივი რეალობისაგან, რაც სერიოზულ შეფერხებებს ქმნიდა საუნივერსიტეტო ქონების ზუსტი აღრიცხვიანობისა და მართვის თვალსაზრისით.

ხაზგასასმელია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში დისლოცირებული ჰქონდა 8 ფილიალი (სოხუმის, სიღნაღის, ახალციხის, მარნეულის, ფოთის ოზურგეთის, ჯავახეთის, ზუგდიდის), საქართველოს კანონის 88-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების რეორგანიზაცია. მათ შორის 5 ფილიალის ბაზაზე (სოხუმი, ზუგდიდი, სიღნაღი, მესხეთი, ჯავახეთი) სამთავრობო დადგენილებების

საფუძველზე ჩამოყალიბდა (დადგენილებები № 160 31.07.2007; № 145 16.07.2007, № 162 31. 07.2007; № 161 31.07.2007; № 159 21.07.2007) ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სოხუმის, ზუგდიდის, წნორის, ახალციხის, ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები), რომლებიც აღნიშნულ გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩაითვალნენ თსუ-ს უფლებამონაცვლედ შესაბამისი ფილიალის ნაწილში, ანუ უძრავი ქონების უზურფრუქტუარობაში ჩაენაცვლნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მათგან 3 ფილიალი (ფოთი, ქვემო ქართლი, ოზურგეთი) ლიკვიდირებულ იქნა კანონით დადგენილი წესით.

მაგრამ თუ საკითხი ეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციას კერძო სამართლის იურიდიულ პირად საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებამონაცვლეობის ფარგლებში, მაშინ იკვეთება კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე სახელმწიფო ქონების უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემის საკითხი. ეს გადაცემა უნდა განხორციელდეს როგორც არასამეწარმეო, ისე სამეწარმეო იურიდიულ პირებზე, რადგან საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 88-ე მუხლის 13 პუნქტში დაფიქსირებულია სსიპ-ს უფლებამონაცვლეობა ზოგადად კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ. აქვე შეიძლება დაისვას კითხვა – რამდენად ეფექტურია სახელმწიფოსათვის უძრავი ქონება სამეწარმეო იურიდიულ პირს გადასცეს უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით. მით უმეტეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რადგან სახელმწიფო უფლებამოსილია შექმნას არაკომერციული იურიდიული პირი უსდ, შეუძლია საქართველოს მთავრობის აქტით ქონების გადაცემაც. მაგრამ სამეწარმეო (კომერციული) უსდ-ს დაფუძნება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს ეკრძალება კანონით. თუმცაღა, გარკვეულ ეტაპზე მაინც, ქონებასთან დაკავშირებით, ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობა შეიძლება დადგეს, რადგან ისინი ნაკლებად იქნებიან გადახდისუნარიანი და ამასთან, მათი განვითარებისა და საჯაროსამართლებრივი ფუნქციის განხორციელების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

კანონით შემოთავაზებული მოდელის მიხედვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუძლია გახდეს უძრავი ქონების მესაკუთრე. ალბათ რა ფორმით უნდა განხორციელდეს აღნიშნული, ეს სამთავრობო გადაწყვეტილებით იქნება რეგულირებული, თუმცაღა, შესაძლებელია ამ მიმართებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 24.01 № 1/109 ბრძანების - „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ანალოგის დაშვება.

ხაზგასასმელია აგრეთვე, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონებასთან დაკავშირებით, მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაცია ხორციელდებოდეს სრულფასოვნად საკანონმდებლო მოთხოვნათა სრული დაცვით. აქვე შესაძლებელია მოვიყვანოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითი. საქართველოს პრეზიდენტის, 2003 წლის 23 მარტის, № 3235 განკარგულების – შპს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრისა“ და შპს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს შესახებ“ საფუძველზე, აღნიშნულ 100%-იანი სახელმწიფო წილით დაფუძნებული შპს-ები მართვის უფლებით გადაცემული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მიუხედავად აღნიშნულისა, შპს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს“ პრივატიზების თაობაზე, ყოველგვარი იურიდიული პროცედურების გვერდის ავლით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ინფორმაცია მიიღო ტელეეთერიდან, რის გამოც, ამ საკითხებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიმართვის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 17 სექტემბრის № 1-1/1401 ბრძანების - „საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ შორის, 2003 წლის 18 ნოემბერს, გაფორმებული წილის მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მე-2 პუნქტში დაფიქსირდა: „შეტანილ იქნას ცვლილება საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ შორის 2003 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული წილის მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებაში (რეესტრის № 1-5880) და ხელშეკრულებიდან ამოღებულ იქნას შპს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს 100% წილი“.

§3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბების ფორმები

კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების დანიშნულებასა და სტატუსს შორის განსხვავების მიუხედავად, არსებობს რიგი საერთო ნიშნებისა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ ისეთი არაკომერციული ორგანიზაციის მართვისას, როგორიცაა უმაღლესი სასწავლებელი, შეიძლება გამოყენებულ იქნას კომერციული ორგანიზაციის მმართველობითი მექანიზმები, თუნდაც იმიტომ, რომ უმაღლესი სასწავლებლები ფინანსდება არამხოლოდ ბიუჯეტიდან, ისინი მონაწილეობენ კომერციულ საქმიანობაში ყიდიან რა თავის მომსახურებას ბაზარზე.

იურისტ-მეცნიერთა მოსაზრებების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შეიძლება ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა ფორმით, თუმცაღა აღნიშნული ფორმების მისადაგება ჩვენს რეალობასთან არც თუ ისე მარტივია და სერიოზულ დამუშავებას საჭიროებს:

- **პირველი ფორმა** – სასწავლო–სამეცნიერო საწარმოო კომპლექსი, რომელიც შეიცავს საკუთრივ უმაღლეს სასწავლებელს, ასევე მასთან არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს რომელთაც იურიდიული პირის სტატუსი გააჩნიათ.კომპლექსის შიგნით არსებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის კონკრეტული ფორმები და შინაარსი განისაზღვრება უმაღლესი სასწავლებლის აგრეთვე კომპლექსში შემავალი დაწესებულებების და

ორგანიზაციების – იურიდიული პირების დებულებებით. კომპლექსის მდგრადობა გარანტირებულია მისი მონაწილე – იურიდიული პირების ხელშეკრულებით. ცხადია, რომ ასეთი სისტემა არამყარია, რამდენადაც მონაწილეთა სხვადასხვა ეკონომიკური ინტერესები და მიზნობრივი ფუნქციები (მისიები) სამართლებრივი ნიჰილიზმის პირობებში უეჭველად წარმოქმნის გადაუჭრელ წინააღმდეგობებს, რომლებიც გაართულებს მართვას.

- **მეორე ფორმა** – საკუთრივ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, როგორც ერთი იურიდიული პირი, რომლის შემადგენლობაში არ არის რაიმე ფილიალი, განყოფილება ან სხვა იურიდიული პირის უფლების მქონე სტრუქტურული ქვედანაყოფი, ანუ უნიტარული დაწესებულება.
- **მესამე ფორმა** – სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, როგორც იურიდიული პირი, მაგრამ მის შემადგენლობაშია სტრუქტურული ქვედანაყოფების განცალკევების ყველა შესაძლო ვარიანტი: განყოფილებები, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სამეცნიერო–კვლევითი ლაბორატორიები და სხვა ფილიალები, ისინი იქმნება დამფუძნებლის მიერ, წარმოადგენენ იურიდიული პირების განცალკევებულ ქვედანაყოფებს, რომლებიც ფლობენ უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელ ქონებას, გააჩნიათ დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიში ბანკში,
- **მეოთხე ფორმა** - უმაღლესი სასწავლებელი, როგორც სააქციო საზოგადოება. თუ სახელმწიფო არასაკმარისად აფინანსებს მის საკუთრებაში მყოფ უმაღლეს სასწავლებლებს, მაშინ უმაღლესი სკოლების პრივატიზაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმედად მხოლოდ ძირითადი დამფუძნებლები რჩებათ და ყველა პრობლემა უმაღლეს სასწავლებლებს დააწვება მხრებზე. ამის ყველაზე სავარაუდო შედეგი - გაკოტრებაა. შესაძლებელია სხვა ვარიანტებიც: განათლების კომერციალიზაციის ნახტომი, ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების ან სხვა საქმიანობის განვითარების ხარჯზე. უფასო საგანმანათლებლო მოსახურების გამოძევება, განათლებაში უთანასწორობის ნახტომისებური ზრდა, მისი გარდაქმნა უპირატესად რჩეულთათვის და სხვა.

საკუთრების აქციონერულმა ფორმამ შეიძლება გამოიწვიოს უმაღლესი სასწავლებლის მიერ ავტონომიის, დემოკრატიზაციის მთავარი მიღწევის დაკარგვა. დამფუძნებლებს შეუძლიათ აირჩიონ რექტორი უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივის აზრის გათვალისწინებით, შეუძლიათ არც გაითვალისწინონ ეს აზრი.

თუმცაღა, ზემოაღნიშნული მოსაზრება იმის შესახებ, რომ უმაღლესი სასწავლებლის როგორც სააქციო საზოგადოების, სავარაუდო შედეგი გაკოტრებაა, ნამდვილად იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, რადგან რეალურად, შესაძლებელია ასეთი წარმონაქმნის ფუნქციონირება ამგვარი შედეგის გარეშეც.

- **მეხუთე ფორმა-** მმართველი კომპანიის შექმნა უმაღლესი სასწავლებლის გარეთ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველი სისტემის სახით შეიძლება გამოვიდნენ ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორიცაა უმაღლესი სასწავლებლების გაერთიანება (რეგიონული, სპეციალიზაციის მიხედვით და ა.შ.) იურისტ-მეცნიერები განიხილავდნენ აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური ჰოლდინგების ორგანიზების პერსპექტივებს, სადაც გაერთიანდებოდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ქვედანაყოფები, მეცნიერებატევადი საწარმოები და მათთან დაკავშირებული ბანკები. [208]

სწორედ ინტეგრაციის ფორმას შეუძლია უზრუნველყოს ჯერ ერთი - საკანომდებლო საფუძველი, მეორეც –მრავალარხიანი ფინანსირების ქმედითობა, სამეცნიერო ფონდების დაფუძნება, უმაღლესი სკოლის სოციალ-ეკონომიური საკითხების გადაწყვეტა, მეორეს მხრივ, ასეთი სტრუქტურის შექმნას წინ ეღობება მოცემულ საკითხზე მოქმედი კანონმდებლობის არარსებობა, სერიოზული წინააღმდეგობები, რომლებიც შეიძლება წაირმოიშვას მმართველი კომპანიის რეგისტრაციისას.

§ 4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამედროვე ადაპტიური სტრუქტურები

4.1. ადაპტიური სტრუქტურების ფორმირების წინაპირობები

მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული ზოგიერთი ორგანიზაცია აწყდებოდა გარემოს სწრაფ ცვლილებებს, ამიტომ მრავალმა მათგანმა დაიწყო ახალი, უფრო მოქნილი ტიპის ორგანიზაციული სტრუქტურების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც ტრადიციული (ვერტიკალურ) სტრუქტურებთან შედარებით უკეთესად იყვნენ ადაპტირებულნი გარე პირობების სწრაფ ცვლილებასთან და მეცნიერებატევადი და ინოვაციური ტექნოლოგიების წარმოქმნასთან. ასეთ სტრუქტურებს ეწოდებათ ადაპტიური, რადგან შეიძლება მათი სწრაფი მოდიფიცირება გარემოს ცვლილებებისა და თვით ორგანიზაციის მოთხოვნილებების შესაბამისად.

ადაპტაცია - ეს მოცემული გარემოს შესაბამისი სტრუქტურის ფორმირების პროცესია. წარმატებულ ადაპტაციას მივყავართ ორგანიზაციის გადარჩენამდე. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ადაპტაცია ხდება მატერიალური, ფინანსური და ადამიანისეული რესურსების, ბაზრის ზეწოლის, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების საშუალებით სახელმწიფო რეგულირების ხარჯზე.

---

[208] Шаммазов А.М., Бахтизин Р.Н. стр.2-4

ბ. სპორნი თავის წიგნში „ადაპტიური უნივერსიტეტების სტრუქტურები“ გვაძლევს ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების სოციოეკონომიკური გარემოსადმი ადაპტაციის ვრცელ ანალიზს. ის თვლის, რომ „იდეალური აკადემიური ორგანიზაცია მუშაობს ცვლილებაზე ორიენტირებული მისიის, მართვის კოლეგიალური სტრუქტურის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს დახმარებას მათი ადაპტაციისათვის“[209]. ამერიკელი მკვლევარები ყურადღებას აქცევენ უსდ-ს სუსტ მხარეებსა და მათ დამოკიდებულებას გარემოზე, უნივერსიტეტები წარმოადგენენ ღია სისტემებს და ამიტომ იძულებულნი არიან შეცვალონ სტრუქტურები, შეზღუდონ აკადემიური ავტონომიის გავლენა, ამით ისინი პასუხობენ დროის გამოძახილს.

უსდ-ის სტრუქტურაზე გავლენას ახდენენ როგორც გარე ფაქტორები - საკანონმდებლო და პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და კულტურული, გლობალიზაცია და ტექნოლოგიები, ისე შიდა ფაქტორები: მისია, ამოცანები, კორპორაციული კულტურა, ლიდერობა, ინსტიტუციური გარემო, განათლების ხარისხი, სწავლების ღირებულება, ეფექტურობა, წვდომა. თანაც, თითოეული ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია. მაგალითად, მენეჯმენტის სამეცნიერო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი პ. სენგე (მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი) მნიშვნელოვნად თვლის ტექნოლოგიურ ცვლილებებს, რომლებიც იძლევიან პოტენციალის ზრდის შესაძლებლობას, ორგანიზაციის განვითარების პერსპექტივისათვის, რათა გაიზარდოს უნივერსიტეტების ინტელექტუალური აქტივები. ცნობილი მეცნიერი - მ. ბოლდრიჯი (აშშ-ში დაწესებულია მისი სახელობის ეროვნული პრემია ხარისხის დარგში), უნივერსიტეტებს განიხილავს აკადემიურ ორგანიზაციებად. უნიკალური მახასიათებლებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მათი ადაპტირების უნარზე დაინტერესებულ პირთა, აგრეთვე, ამოცანათა და მიზანთა მრავალფეროვნების, კორპორაციული კულტურის წყალობით. სხვები უნივერსიტეტებს განსაზღვრავენ როგორც თავისუფლად დაკავშირებულ სისტემებს ან ორგანიზაციულ ანარქიებს რეგულირებისა და კონტროლის სუსტი მექანიზმით, რომლებიც ეხმარებიან მას საბაზრო პირობებისადმი სწრაფ ადაპტირებაში.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ უნივერსიტეტი ადიქმებოდა მთავრობების მიერ როგორც მაღალკვალიფიცირებული სამუშაო ძალისა და მეცნიერული ცოდნის მომწოდებელი. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუშაობდა შინაგან კულტურასა და მმართველობით კოლეგიალობაზე და საკუთარ პროფესორებზე დაყრდნობით. ეკონომიკის გლობალიზაციამ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა, ცვლადმა სამყარომ წამოაყენეს უნივერსიტეტების წინაშე ახალი ამოცანები: სტუდენტების რაოდენობის ზრდა, უწყვეტი სწავლება, რომელიც შეესაბამება სწავლის მსურველი მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთა სულ უფრო მზარდ პროცენტს, კონკურენცია ცოდნის ათვისების სხვა ფორმებთან, ადაპტაცია ახალი შემსწავლელი ტექნოლოგიებისადმი და ა.შ. ამ ამოცანებმა არარად ჩააგდეს სახელმწიფო უნივერსიტეტების მონოპოლიური ურთიერთობები მთავრობებთან სხვადასხვა ქვეყანაში. აშშ-ში უნივერსიტეტების ახალი კლიენტები ხდებიან სავაჭრო პალატები,

[209] Информационно-справочный портал поддержки систем управления качеством стр. 1

საქმიანი ასოციაციები და, მთლიანობაში, ისინი, ვინც დაკავებულია ტერიტორიის განვითარებით. ამიტომ პარალელურად გაჩნდა ახალი შესაძლებლობები საუნივერსიტეტო „ნოუ-ჰაუსთან“ და, კერძოდ, რეგიონალურ გარემოცვასთან მიმართებაში. ამ ამოცანებმა საჭირო გახადეს უნივერსიტეტების ორგანიზაციული მოწყობის გარდაქმნა, მათი ადაპტაცია.

4.2. უსდ-ს თანამედროვე ადაპტიური სტრუქტურების ტიპები

განვიხილოთ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სხვადასხვა თანამედროვე ადაპტიური სტრუქტურები: მატრიცული უნივერსიტეტი, TQM (Total Quality Menegement) – ხარისხის ტოტალურ მენეჯმენტის პროცესზე ორიენტირებული უნივერსიტეტი, თანამედროვე უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი - ტექნოპოლისი, საინოვაციო-სამეწარმეო უნივერსიტეტი, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამგვარი მოდელების საქართველოში დამკვიდრების პერსპექტივა.

4.2.1. მატრიცული უნივერსიტეტი[210]

მატრიცული სტრუქტურა ოპტიმალურია, როდესაც გარემო ძალზე ცვალებადია და ორგანიზაციის მიზნები ასახავენ ორმაგ მოთხოვნებს, როდესაც ერთნაირად მნიშვნელოვანია კავშირებიც კონკრეტულ ქვედანაყოფებთან და ფუნქციური მიზნებიც. მართვის ორმაგი სტრუქტურა აადვილებს კომუნიკაციებს და მოქმედებათა კოორდინაციას, რომლებიც ასე საჭიროა იმისათვის, რომ ოპერატიულად მოხდეს რეაგირება გარემოს ცვლილებებზე. ის ეხმარება ქვედანაყოფის ფუნქციურ ხელმძღვანელებსა და უმაღლეს ხელმძღვანელობას შორის ძალაუფლების სწორი ბალანსის დადგენაში. ორგანიზაციის მატრიცული სტრუქტურისთვის დამახასიათებელია ძლიერი ჰორნიზონტალური კავშირები.

მატრიცული სტრუქტურისას ჰორიზონტალური გუნდები არსებობენ ტრადიციულ ვერტიკალურ იერარქიასთან ერთად. მატრიცული უნივერსიტეტი - ეს თანამედროვე უნივერსიტეტისკენ გადადგმული ნაბიჯია. კათედრა ხდება არასაკმარისი სწავლების ფუნქციების შესასრულებლად, ჩნდებიან კვლევითი ცენტრები, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, მუშაობას პროექტებზე და სადაც საჭიროა სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები, სხვადასხვა კათედრებიდან და ფაკულტეტებიდან. იმ კომუნიკაციების გარდა, როდესაც ინფორმაციის გაცვლა ვერტიკალურად, იერარქიული ჯაჭვით ხდება, წარმოებს ინფორმაციის ჰორიზონტალური გაცვლა, რაც საშუალებას იძლევა გადაილახოს ბარიერები სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, კათედრებს შორის და უზრუნველყოფილ იქნეს პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამშრომლების მოქმედებათა კოორდინაციის შესაძლებლობა საერთო მიზნის, მაგალითად, რომელიმე სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესასრულებლად.

ორგანიზაციის მატრიცული სტრუქტურისათვის დამახასიათებელია ძლიერი ჰორიზონტალური კავშირები. გადანაცვლება უფრო "ბრტყელი", ჰორიზონტალური სტრუქტურების მხარეს საშუალებას იძლევა

[210] Информационно-справочный портал поддержки систем управления качеством. стр. 3

გაიზარდოს ჰორიზონტალური კოორდინაციის დონე საინფორმაციო სისტემების დანერგვის, ქვედანაყოფებს შორის პირდაპირი კონტაქტის საშუალებით.

მატრიცული სტრუქტურის უნიკალურ თვისებას წარმოადგენს ის, რომ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს გააჩნიათ ერთნაირი ძალაუფლება ორგანიზაციაში და მუშაკები ერთნაირად ემორჩილებიან ერთსაც და მეორესაც.

მატრიცული სტრუქტურის ძლიერი და სუსტი მხარეებია:

ძლიერი მხარეები:

1. გვეხმარება კოორდინაციის მიღწევაში, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ორმაგი მოთხოვნები.

2. უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მოქნილ განაწილებას საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობის მომსახურეობათა სახეებს შორის.

3. გვაძლევს რთული ამოცანების შესრულების შესაძლებლობას სწრაფად ცვლადი, არასტაბილური გარემოს პირობებში.

4. გვაძლევს როგორც პროფესიული თვისებების განვითარების, ისე გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

5. ყველაზე მეტად შეეფერება იმ ორგანიზაციებს, რომლებიც სწევენ რამდენიმე სახის მომსახურებას.

სუსტი მხარეები:

1. თანამშრომლები უნდა ემორჩილებოდნენ ძალაუფლების ორ ტოტს, რამაც შეიძლება დამრთგუნველად იმოქმედოს მათზე.

2. თანამშრომლებს სჭირდებათ ადამიანთა ურთიერთობის განსაკუთრებული ჩვევები და სპეციალური მომზადება.

3. გვართმევს ბევრ დროს: საჭიროა კერძო შეხვედრები და მოლაპარაკება კონფლიქტების აღმოსაფხვრელად.

4. სტრუქტურა არ მუშაობს, თუ ორგანიზაციის მენეჯერებს არ ესმით ამ სტრუქტურის არსი და ამუშავებენ ურთიერთობების კოლეგიალურ და არა იერარქიულ სტილს.

5. ძალაუფლების ბალანსის შესანარჩუნებლად საჭიროა მნიშვნელოვანი ძალისხმევა.

4.2.2. TQM (Total Quality Menegement)[211] – ხარისხის ტოტალური მენეჯმენტის პროცესზე ორიენტირებული ორგანიზაციების სტრუქტურა

ტრადიციულ, იერარქიულ სტრუქტურაში მომუშავე დაწესებულებებს უძნელდებათ ადეკვატური რეაგირება გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე. მკაცრი საზღვრები, ბარიერები და მოძველებული შეხედულებები ახასიათებთ ასეთ ტრადიციულ დაწესებულებებს. მათ ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს საერთო მისიის, ძალაუფლების იერარქიათა ნაკლოვანება და დამოკიდებულება ბიუროკრატიულ პროცედურებზე. ასეთმა ორგანიზაციებმა ვერ გამოიმუშავეს აქცენტი კლიენტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, მათ კურსდამთავრებულებს სხვებზე უფრო ხშირად ვერ ამჩნევენ და არ მოითხოვენ ბაზარზე. ასეთ უსდ-ში განხორციელებული სრულყოფა, ჩვეულებრივ, მიმართულია სწავლების ღირებულებისა და დანახარჯების

[211] Информационно-справочный портал поддержки систем управления качеством. стр 4-5

შემცირებისკენ, სწავლებაზე ნაკლები გადასახადით აბიტურიენტების მოსაზიდად.

TQM სთავაზობს განათლების ორგანიზაციებს ტრადიციული ბიოროკრატიული მოდელის საწინააღმდეგო თვალსაზრისის მიღების შესაძლებლობას. ორგანიზაციები, რომლებმაც დანერგეს TQM, ახდენენ ხარისხის ინტეგრირებას თავიანთ სტრუქტურებში და უზრუნველყოფენ ხარისხს ყოველ დონეზე და ყოველ ეტაპზე. იმისათვის, რომ ეს იყოს მიღწეული, საჭიროა დიდი ინვესტიციების დაბანდება პერსონალში, მის სწავლებასა და მოტივაციაში, რადგან ის წარმოადგენს ორგანიზაციის ხარისხისა და მისი მომავლის მთავარ ფიგურას.

თუ უსდ-ს განზრახული აქვს TQM დანერგვა ორგანიზაციაში, მაშინ მან სინქრონულად უნდა იმუშაოს, განახლდეს, განგრძოს წინ სვლა, დაინახოს თავისი მისია მიზნის მიღწევაში. ის უნდა აცნობიერებდეს იმას, რომ ხარისხი ყოველთვის უზრუნველყოფს მათ ადგილს და საკუთარ ნიშას ბაზარზე. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ აკადემიურ შემადგენლობამდე, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალამდე უნდა მიიტანოს იდეა იმის შესახებ, რომ ხარისხი უმთავრესია საგანმანათლებლო პროცესსა და სამეცნიერო კვლევებში. ამ თვალსაზრისით, მასტიმულირებელი ძალა მუდმივად უნდა მომდინარეობდეს ხელმძღვანელებისაგან და პროცესი მუდმივად უნდა მოტივირდებოდეს და ძლიერდებოდეს.

TQM ორგანიზაციისთვის არ არსებობენ სტანდარტული ფორმები, თუმცა ხარისხის ტოტალური მენეჯმენტის სისტემის შემოღების გავლენით ხდება ტრადიციული სტრუქტურების ტრანსფორმირება. სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს და აადვილებდეს TQM- პროცესის დანერგვას. გამოცდილების მიხედვით, TQM განვითარებისას იერარქია მეტწილად ქრება და ერთდონიანი, მატრიცული სტრუქტურები ძლიერი ჰორიზონტალური ურთიერთკავშირებით ცვლიან იერარქიას. ასეთი ორგანიზაციული ფორმები მარტივია, მოქნილი და იგება ძლიერ გუნდურ მუშაობაზე. გუნდური მუშაობის განვითარება, გაძლიერება წარმოადგენს TQM თვისებას და ამცირებს საშუალო დონის კონტროლირებადი რგოლის აუცილებლობას. ნაცვლად იმისა, შუა რგოლის ხელმძღვანელები იქცევიან ხარისხის ლიდერებად და საკუთარ თავზე იღებენ მხარდამჭერი გუნდის როლს. ეს შუა რგოლის მენეჯერების ახალი როლი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გუნდურ მუშაობას შეიძლება ჰქონდეს საპირისპირო მხარეც. ჯგუფებმა, რომლებიც ძალზე განკერძოებულები არიან, შეიძლება არაკოორდინირებულად და არაეფექტიანად იმუშაონ. გუნდური მუშაობის მართვის სისტემა უნდა იყოს მარტივი, მაგრამ ეფექტური. მნიშვნელოვანია, რომ გუნდებს ესმოდეთ უსდ-ის კონცეფცია და ხედვა. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ გამოიყოფა ასე TQM-თან დაკავშირებულ ლიტერატურაში ხედვა და ხელმძღვანელობა.

TQM-ს თვალსაზრისით ორგანიზაცია - ეს სისტემაა, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ ემსახუროს მომხმარებლებს. ამისათვის ორგანიზაციის სისტემის ყველა ნაწილი შეთანხმებული უნდა იყოს ერთმანეთთან. ორგანიზაციის ყოველი ცალკეული ნაწილის წარმატება გავლენას ახდენს მთელი ორგანიზაციის მუშაობაზე. სხვაობა TQM-ითი მომუშავე მომწიფებულ სტრუქტურასა და ჩვეულებრივ ორგანიზაციულ ფორმას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ტრადიციული ორგანიზაციები

თავიანთ საქმიანობას აგებენ ფუნქციების გათვალისწინებით, მაშინ, როდესაც TQM- განვითარების მიზნების, ფუნქციების, მართვის ინსტრუმენტების გათვალისწინებით.

4.2.3. საყოველთაოდ მიღებული თანამედროვე უნივერსიტეტი[212]

საყოველთაოდ მიღებული თანამედროვე უნივერსიტეტი (სმთუ) წარმოიქმნა მატრიცული უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის მხრიდან პროფესურის პროფესიონალიზაციისა და სპეციალიზაციის პროტესტთან დაკავშირებით, რომელიც წარმოშობს მოთხოვნილებებს მომსახურეობათა და რესურსთა მზარდ ნაკადში.

ფართოვდებიან ფაკულტეტები, წარმოიქმნება სხვადასხვა ცენტრი და მათი მოთხოვნილებები ხდება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე კათედრებს აქვთ. სწავლება, მთლიანობაში, დაუჯერებლად რთულდება. მატრიცული უნივერსიტეტი საჭიროებს ისეთ მომსახურეობებს, რომლებიც სცილდებიან ტრადიციული ბიუროკრატიული წესებით უზრუნველყოფილი მომსახურეობების ჩარჩოებს. ორგანიზაციულ დონეზე ნორმალურ ჰორიზონტალურ მომსახურეობებს უკვე საჭიროებს ყველა სასწავლო პროგრამა, ფაკულტეტი და განყოფილება.

საყოველთაოდ მიღებული თანამედროვე უნივერსიტეტის (სმთუ) ორგანიზაციული სტრუქტურა ორიენტაციას იღებს, როგორც მას უწოდა ცნობილმა მეცნიერმა ჰ. მინცბერგმა, „შერეულ პროფესიულ ბიუროკრატიაზე“. შერეული პროფესიული ბიუროკრატია ვარაუდობს მძლავრი პროდუქტიული ბიუროკრატიის არსებობა, რომლის მომსახურეობები გარკვეულწილად სტრუქტურირებულია. უნივერსიტეტებში ეს საკმაოდ შესამჩნევია. ამ მკაფიოდ სტრუქტურირებულ პროფესიულ ბიუროკრატიას უნდა დავუმატოთ მექანიკური ბიუროკრატია, რომელიც ხელმძღვანელობს სწავლებისა და კვლევების ცალკეულ მხარეებს ტექნოლოგიური სტრუქტურის საშუალებით, რომლის დანიშნულება - მომსახურეობების გარანტირება.

საქმიანობა სახსრების მოზიდვაზე შეიძლება ფორმალიზებულ იქნეს, თუ ხდება უნივერსიტეტსა და მის კურსდამთავრებულებს შორის კავშირების განმტკიცება. სინამდვილეში, საყოველთაოდ მიღებულ თანამედროვე უნივერსიტეტს თავისი იერარქიის მეშვეობით ძალუძს მართოს თავისი შენატანები რეგიონალურ განვითარებაში - საყოველთაოდ მიღებული შენატანები ტერიტორიულ-ორგანიზაციული ღონისძიებების მხარდასაჭერად. მას, აგრეთვე, ძალუძს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს ლაბორატორიებს, რათა დაკმაყოფილდეს მათი საჭიროებები.

მატრიცული უნივერსიტეტის მოდელიდან საყოველთაოდ მიღებული თანამედროვე უნივერსიტეტის მოდელზე გადასვლა გაივლის ორ მნიშვნელოვან ორგანიზაციულ ცვლილებას: მოთხოვნილი და მნიშვნელოვანი მომსახურეობების გამრავლება და აღნიშნული ტიპის უნივერსიტეტის გლობალურ ფუნქციონირებაში მექანიკური ბიუროკრატიის როლის გარდაუვალი დაზუსტება.

[212] Информационно-справочный портал поддержки систем управления качеством. стр. 1-8

4.2.4. უნივერსიტეტი - ტექნოპოლისი (მულტიპოლარული უნივერსიტეტი)[213]

საყოველთაოდ მიღებულ თანამედროვე უნივერსიტეტს (სმთუ) ცვლის უნივერსიტეტი-ტექნოპოლისი (უტ), რომელიც წარმოიქმნა საზოგადოების მოთხოვნილებათა ზრდის გამო. მენეჯმენტის კლასიკური სახელმძღვანელოს - „მენეჯმენტის საფუძვლები“ თანაავტორის მ. მესკონის კლასიფიკაციით ასეთი უნივერსიტეტი შეიძლება მივაკუთვნოთ კონგლომერატის ტიპის ორგანიზაციას, რომელშიც ერთ განყოფილებაში შეიძლება გამოიყენებოდეს მატრიცული სტრუქტურა, მეორეში - სამეწარმეო, ხოლო მესამეში კი - ფუნქციური სტრუქტურა. ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინ კ. კერი (კალიფორნიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი ბერკლში), აღნიშნავდა მულტი-უნივერსიტეტის წარმოქმნას, რომელიც თავისი სტრუქტურით წარმოადგენდა პლურალისტულ ორგანიზაციას.

ტექნოპოლისის სტრუქტურამ შეავსო საყოველთაოდ მიღებული თანამედროვე უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა სამი ელემენტით:

1. დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც ხშირად მოქმედებენ როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირები - ეს დამოუკიდებელი ორგანიზაციები საჭიროა, მაგალითად, უწყვეტ განათლებაში, ექსპერიმენტული საცდელი ცენტრების შექმნაში, კვლევების ორგანიზაციაში, აკადემიური კვალიფიკაციის აღიარებაში, იმ შერეული ცენტრების შექმნაში მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც თანამშრომლობენ ინფორმაციის შექმნითა და გავრცელებით დაკავებულ ფირმებთან, კომპანიებთან და სახელმწიფო ორგანიზაციებთან.

2. ჰორიზონტალური ქვედანაყოფები, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ გარანტირებულ იქნეს ჰორიზონტალური კავშირები, ან ისეთი მიზნების მისაღწევად, რომლებიც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მატრიცული ორგანიზაციებით.

3. ენდოგენური ზრდის ქვედანაყოფები წარმოადგენენ, არც მეტი არც ნაკლები, კვლევით და სერვისულ ორგანიზაციებს. ისინი წარმოიქმნებიან უნივერსიტეტის კადრების ინიციატივის გამო.

უნივერსიტეტში ჩნდება ახალი ფიგურა - „თავის გამტანი“ პროფესორი, ინიციატივიანი პროფესორი, რომელსაც შეუძლია დატვირთოს ლაბორატორია საკუთარი პროექტებით და ძალუძს სათავეში ჩაუდგეს კვლევით ჯგუფებს და შექმნას თვითდამფინანსებელი ორგანიზაციები. „თავის გამტანი“ პროფესორი ხდება საკვანძო ფიგურა, რეგიონალური განვითარებისთვის დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის შესაძლებლობათა ზრდის გაგების საქმეში.

ახალი უნივერსიტეტი - ტექნოპოლისი სტრუქტურირებულია ისეთნაირადვე, როგორც ტექნოლოგიური პარკი ან ე.წ. ახალი საქალაქო სტრუქტურები (მსგავსება უნივერსიტეტსა და ტექნოპოლისს შორის ძალზე აშკარაა. ტექნოპოლისი გაგებულია როგორც სივრცობრივი საქალქო სისტემა, რომლისთვისაც არსებობს სინერგია ცალკეულ

[213] Информационно-справочный портал поддержки систем управления качеством. стр. 8

მოქმედებათა კოორდინაციისთვის, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა ფუნქციები და რომლებმც საჭიროებენ კოორდინირებულ ხელმძღვანელობას. ასეთ უნივერსიტეტებს შეიძლება მივაკუთვნოთ ამერიკის ეროვნული მრავალპროფილიანი უნივერსიტეტები: ნიუ-იორკის უნივერსიტეტის განათლების სკოლა, არიზონის უნივერსიტეტი, ჰარვარდის უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტ-ტექნოპოლისში ერთდროულად შეიძლება თანაარსებობდეს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა, აქ ადგილი აქვს შეფარდებულობას სივრცესთან, სადაც ორგანიზაციები განიხილებიან მათი სტრუქტურის სირთულის თვალსაზრისით. სივრცეში არამსგავსი ხასიათის სხვადასხვა ერთეულის არსებობა არ გამორიცხავს არც ორგანიზაციის რეალობას, არც მართვისა და კოორდინაციის შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტი - ტექნოპოლისი იქმნება ღია სტრუქტურირების გზით, როდესაც აუდიტორიები დაკავშირებულია ლაბორატორიებთან და სხვა საუნივერსიტეტო სივრცეებთან (ინსტიტუტებთან, ჰორიზონტალურ ცენტრებთან და ა.შ.) თუმცა, კვლევითი მოღვაწეობის როლის იძენს სხვა ასპექტებს არა მარტო ფორმულა „პიროვნება - ჯგუფთან" მიმართებაში, არამედ ორგანიზაციული თვალსაზრისით, ხდება რა იმ შიდა დინამიკის შედეგი, რომელიც წარმოქმნილია მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით.

ქვედანაყოფები, სრულად ან ნაწილობრივ ავტონომიურები, მრავლდებიან და საჭიროებენ ორგანიზაციულ სრულყოფას, მოთხოვნების მიხედვით. კვლევები იქცევიან წარმოების სისტემის ნაწილად, და იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთა მოღვაწეობა მიეძღვნა სამეცნიერო კვლევებს, შესამჩნევად იზრდება. არსებობს განსაზღვრული დამოკიდებულება, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ორგანიზაციულ ადაპტაციას საჭირო ფორმის დაფინანსებისადმი. კვლევების ორგანიზაცია გულისხმობს პროფესორების განაწილებას უნივერსიტეტების მიხედვით.

4.2.5. საინოვაციო, სამეწარმეო უნივერსიტეტი[214]

დაბალი სახელმწიფო დაფინანსებისა და მკაცრი უმაღლესი სასწავლებელთაშორისი კონკურენციის ფარგლებში, უმაღლესი განათლების ფუნქციონირების ახალი პირობები აიძულებენ სახელმწიფო და კერძო უდს-ებს იმუშაონ საბაზრო საწარმოს ტიპით. ამრიგად, თავისი თვითგანვითარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს სამეწარმეო ორგანიზაციის მუშაობის პრინციპები. სამეწარმეო ტიპის უნივერსიტეტის მთავარი პროფილური ბაზრებია: საგანმანათლებლო მომსახურეობათა ბაზარი, შრომის ბაზარი და მეცნიერების განვითარების ბაზარი. საინოვაციო მენეჯმენტი სთავაზობს უნივერსიტეტებს სრული საინოვაციო ციკლის რეალიზაციას ახალი ცოდნის მიღებიდან მათ კომერციულ რეალიზაციამდე პროფილურ ბაზარზე. ფუნდამენტური და საძიებო კვლევების მსვლელობაში მიღებული ახალი ცოდნა შემდეგ რეალიზდება სხვადასხვა ტრაექტორიით სრული საინოვაციო ციკლის ეტაპების ჩარჩოებში.

[214] Информационно-справочный портал поддержки систем управления качеством. стр. 12

XIX საუკუნის ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ბ. კლარკი აღნიშნავს სამეწარმეო უნივერსიტეტის შემდეგ დამახასიათებელ ნიშნებს:

1. მყარი მმართველობითი ღერძი. რექტორი და მისი გუნდი მუშაობენ როგორც საქმის ერთგული ხელმძღვანელი ჯგუფი;

2. დეცენტრალიზაცია და სტიმული პერიფერიული ქვედანაყოფების შესაქმნელად (რომლებიც ექვემდებარებიან გარდაქმნას და მიისწრაფიან სწრაფი ზრდისკენ). მუშავდება უნივერსიტეტი - „ჰოლდინგის" კონცეფცია, ამასთანავე, ხდება ახალი კვლევითი ქვედანაყოფების "გამოგონება" ახალ შერეულ საწარმოებთან, ფონდებთან და ა.შ. დამატებით ხდება სწრაფად მზარდი ქვედანაყოფების ავტონომიის წახალისება;

3. დაფინანსების წყაროების დიფერენცირება;

4. კლასიკურ სტრუქტურულ ქვედანაყოფებზე (ფაკულტეტებსა და განყოფილებებზე) ზემოქმედება ცვლილებების სტიმულირებისთვის. ხორციელდება სტრატეგიული გეგმები ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში;

5. სამეწარმეო კულტურა ხდება საერთო ყველა კადრისთვის.

ახალი კულტურა წინასწარ განსაზღვრავს დიალოგს ყველა ხელმძღვანელ ორგანოს შორის. საბიუჯეტო ურთიერთობები ქვედანაყოფებს შორის იცვლება.

მიუხედავად ამისა, წინსვლა სამეწარმეო უნივერსიტეტისკენ არ შეიძლება მოხდეს, თუ არ არის საფუძველ ჩაყრილი საბაზო პირობები, რომელთა ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული უნივერსიტეტის წესდებასთან:

- მიზნების, კონცეფციის შექმნა;
- გადასვლა ვერტიკალური უნივერსიტეტიდან ტექნოპოლისზე;
- საინოვაციო პროგრამის საშუალებით ყველა გაერთიანებისთვის მოდელის ცოდნის გავრცელების კულტურული ცვლილებების პროპაგანდა.

2003 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა ინსტიტუციური სამეწარმეო მართვისა და ევროპის უმაღლესი განათლების სისტემებში მეწარმეობის შესწავლის გელზენკირხისეული დეკლარაცია. მასში დაყენებულ იქნა სამეწარმეო ინსტიტუციურ მმართველობაზე უნივერსიტეტების გადასვლასთან დაკავშირებული შემდეგი ამოცანები:

- უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და პერსონალის პროფესიონალიზაცია ძლიერ აღმასრულებელ ხელმძღვანელობასთან შეუღლებით;
- შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია;
- მენეჯმენტის ახალი საბაზრო მეთოდების შესწავლა და ინტეგრაცია მთავარ აკადემიურ ფასეულობებთან ფრთხილი დამოკიდებულების პირობით;
- მჭიდრო კავშირები საქმიან წრეებთან და საზოგადოებასთან;
- ინიციატივიანი ინოვაციური სამეწარმეო კულტურის განვითარება: ცოდნის გადაცემა, ახალი საწარმოო კომპანიების დაარსება, განათლების გაგრძელება და კურსდამთავრებულებთან კონტაქტების დამყარება, მათ შორის სახსრების მოსაზიდადაც;

- აკადემიური და კვლევითი ქვედანაყოფების ინტეგრაცია ტრადიციული დისციპლინარული საზღვრების წაშლისა და ცოდნის წარმოებისა და გამოყენების ახალი მეთოდების შესაბამისი საპროექტო წამოწყებების დაფუძნების საშუალებით.

ეკონომიკური ურთიერთობების საბაზრო მოდელისას საგანმანათლებლო და სამეცნიერო მომსახურეობათა ბაზრის განვითარებასა და სასწავლო დაწესებულების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მარკეტინგი. მარკეტინგის სფერო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის არა მარტო ფასიანი სწავლებაა, არამედ სასწავლო ლიტერატურის წარმოებაც, პატენტების, „ნოუ-ჰაუს“, მეცნიერებატევადი შემუშავებების გაყიდვაც. მარკეტინგული საქმიანობის მიზნობრივი შედეგი - ეს მოთხოვნილებათა ყველაზე ეფექტური დაკმაყოფილებაა: პიროვნებისა - განათლებაში; სასწავლო დაწესებულებისა - მისი და თანამშრომლების კეთილდღეობასა და განვითარებაში, მაღალ დონეზე სპეციალისტების მომზადებაში. საზოგადოებისა - ერთობლივი პიროვნული და ინტელექტუალური პოტენციალის გაფართოებულ აღწარმოებაში.

მთელ მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული საინოვაციო სისტემების შექმნას, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ მეცნიერებასა და ბიზნესს (ესენი კი ბევრად განსაზღვრავენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო დონეზე).

2003 წლის ოქტომბერში, ბრიუსელში, ევროკომისიის მიერ ჩატარებულ სემინარზე, რომლის თემა იყო „უნივერსიტეტებისა და მრეწველობის ურთიერთქმედება“, სემინარის მონაწილეები მივიდნენ იმ დასკვნებამდე, რომ საინოვაციო საქმიანობა, სწავლებასა და სამეცნიერო კვლევებთან ერთად, ცხადდება უნივერსიტეტების მესამე მისიად, თუმცა რიგი ექსპერტები ემხრობიან უფრო ზომიერ მიდგომას, კლასიკურ (ტრადიციულ) უნივერსიტეტებთან ერთად უშვებენ რა ინოვაციურად ორიენტირებული უნივერსიტეტების „თანაარსებობაც“.

ი. გონჩერენოკი აღნიშნავდა, რომ საინოვაციო საქმიანობის პროცესში უნივერსიტეტების როლის აქტივიზაციისთვის საჭიროა ფუნდამენტური მოთხოვნის - უნივერსიტეტებისთვის კვლევების შედეგებზე საკუთრების უფლების მინიჭებისა და ამ უფლებების ეფექტური მართვის შესაძლებლობის მიცემის - შესრულება. თანამედროვე საზოგადოება განსაზღვრავს უნივერსიტეტების ახალ სოციალურ სტატუსსა და როლს ეკონომიკისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ ცოდნის გადატანის ცენტრის სახით, ამიტომ უნივერსიტეტებმა ზუსტად და აქტიურად უნდა განსაზღვრონ თავიანთი წვლილი საინოვაციო პროცესსა და სოციალურ განვითარებაში.

ექსპერტები თვლიან, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ინოვაციური უნივერსიტეტების შექმნაში - ეს უნივერსიტეტებს და სამრეწველო საწარმოებს შორის მნიშვნელოვანი კულტურული განსხვავების არსებობაა. რასთან დაკავშირებითაც აუცილებელია არა მარტო კადრების გაცვლა წარმოებასა და აკადემიურ სექტორს შორის, არამედ „მეცნიერება-წარმოების“ მართვის პროცესში ჩაბმული აკადემიური მუშაკების პროფესიული კომპეტენტურობის პრობლემის გადაჭრაც.

ინოვაციების რეალიზაციისთვის უდს-ები უნდა შეუერთდნენ ამ პროცესს და შექმნან ტექნოპარკები და ინოვაციური ინკუბატორები

უნივერსიტეტების ბაზაზე. ინოვაციური ინკუბატორები - ინოვაციების „დაშლის“ ეფექტური ფორმაა, როდესაც სპეციალურად სამეცნიერო-ტექნიკური ან ტექნოლოგიური შემუშავების წინსვლისთვის იქმნება მცირე საწარმოები იურიდიული პირის ფორმით. მეორე მიდგომა - უნივერსიტეტში ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრების ან ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრების შექმნაა.

ასეთი ცვლილებები უფრო თანამედროვესა და დინამიურს ხდის უდს-ებს ტრადიციული აკადემიური ფასეულობებისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ამჟამად აღმოცენებულ ახალ მეცნიერებატევად ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სისტემებში საჭიროა სწორედ ახალი ტიპის ისეთი უნივერსიტეტები, რომლებიც შეიძლება იყვნენ უნივერსიტეტ-ტექნოპოლისის სტრუქტურის ნაწილი. ცვლილებები შეეხებიან არა მარტო უნივერსიტეტების მართვას, რომელსაც მოუხდება შეიძინოს სამეწარმეო ხასიათი, არამედ ცოდნის წარმოებისა და გავრცელების ამოცანებს, რომლებიც უნდა განხორციელდნენ ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.[215]

„სამეწარმეო უნივერსიტეტი – ფაკულტეტის ამოცანები“ ამ დღის წესრიგით 2001 წელს ბერლინში ჩატარებული დეკანების, ევროპის აკადემიური ქსელის ყოველწლიური კონფერენციის ერთ-ერთ სხდომაზე პოლონეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის, ფაკულტეტის დეკანმა საინტერესო დახასიათება მისცა უმაღლესი განათლების პოლონური სისტემის მდგომარეობას. მან განაცხადა, რომ პოლონეთში არ არსებობენ სამეწარმეო უნივერსიტეტები, მაგრამ არიან პროფესორ-მეწარმეები. მათ გახსნეს კერძო სკოლები, იძლევიან კერძო კონსულტაციებს და როგორც შედეგი, იშვიათად ჩნდებიან მშობლიურ უსდ-ში, ძირითადად წყვეტენ პირად ამოცანებს.

შეიძლება მოვიყვანოთ მსგავსი სახის მრავალი მაგალითი, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ უსდ-ებში არის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის სამეწარმეო აქტიურობისა და ინიციატივის გამოყენების ხარჯზე, შრომის მწარმოებლობის გაზრდის მნიშვნელოვანი რეზერვი. ამ რეზერვის გამოყენების პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია სტანდარტული ხერხით უნივერსიტეტის ტრადიციული-ორგანიზაციული სტრუქტურის ჩარჩოებში.

უნივერსიტეტის განვითარების მიზნით, ამ რეზერვის გამოსაყენებლად, საჭიროა შესაბამისი სტრატეგიული მართვა, რომელიც მოიცავს იმ ახალი სტრუქტურის მიმართულებით უმაღლესი სასწავლებლის ტრანსფორმაციაზე ორიენტირებული სტრატეგიის ფორმირებას. ამასთანავე, მართვის მთავარ რესურსს, რომლის გამოყენების საფუძველზე უნდა მოხდეს უნივერსიტეტის ყოველმხრივი განვითარება, წარმოადგენენ არა ფინანსური საშუალებები და სხვა ტრადიციული რესურსები, არამედ თანამშრომელთა მთელი ძირითადი შემადგენლობის ინტელექტი და მათში სამეწარმეო და ლიდერული თვისებების არსებობა. აღსანიშნავია, რომ ასეთი მიდგომა მართვისადმი წარმოადგენს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის - საინფორმაციო საზოგადოების ან ცოდნის საზოგადოების განმსაზღვრელ ნიშანს.

[215] Информационно-справочный портал поддержки систем управления качеством. стр. 13

მენეჯმენტის თანამედროვე თეორიამ უკვე ჩამოაყალიბა მიდგომები ინოვაციური ორგანიზაციის - „ინდივიდუალიზებული კორპორაციის“ შექმნისადმი, რომელიც ეფუძნება ახალ ორგანიზაციულ ფილოსოფიას. ამ ახალი ფილოსოფიის არსი - რწმენაა პიროვნებასა და ინდივიდუალური ინიციატივის ძალაში, რომელიც წარმოადგენს სამეწარმეო აქტიურობის ძირითად პრინციპს. ინდივიდუალიზირებული კორპორაციის საკვანძო პრინციპი - ძირეული მეწარმეობის პრინციპია.

ინდივიდუალიზირებული ორგანიზაციის ერთ-ერთი აშკარა სარგებელი მდგომარეობს „ზემოთ“ მიმავალი უსარგებლო ანგარიშგების მოცულობის შემცირებაში. მეორეს მხრივ, სამეწარმეო გუნდების ეფექტური ურთიერთქმედება შეუძლებელია კორპორაციულ ინფორმაციასთან უფრო ფართო წვდომის გარეშე. ეს ინფორმაცია უნდა გამოიყენებოდეს არა იმდენად ხელქვეითების კონტროლისთვის, რამდენადაც საპროექტო გუნდებისთვის თავიანთი მუშაობის გაუმჯობესების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

კორპორაციაში საქმიანობის ინდივიდუალიზაციისკენ მიმართული ორგანიზაციული ინოვაციების განხორციელება ავლენს სამეწარმეო მიზანდასახულობების, ცოდნისა და უნარის არარსებობას მოსამსახურეებში, რომლებიც ათწლეულობით მუშაობენ კლასიკურ იერარქიულ ბიუროკრატიაში. თავისუფლება აღმოჩნდება თანამშრომლებისთვის უსარგებლო და, უფრო მეტიც, ისეთად, რომელიც მხოლოდ ართულებს მათ ჩვეულ საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით რადიკალური ტრანსფორმაცია, რომელიც მოიცავს რესურსებისა და უფლებამოსილებების გადანაწილებას, წარმოადგენს უპასუხისმგებლო საქმეს, რომელმაც შეიძლება მოგვიყვანოს კორპორაციის კრახამდე.

ტრანსფორმაციის დაწყების მთავარ ნაბიჯი უნდა იყოს მასტიმულირებელი გარემოს შექმნა. მის ელემენტს წარმოადგენს ისეთი სპეციალისტების არსებობა, რომლებსაც შეუძლიათ სპეციალისტები აქციონ მენეჯერებად, ხოლო მენეჯერები კი - ლიდერებად. ეს გადასვლა მოითხოვს დიდ დროს. შესაბამისად იმისა, თუ როგორ წარმოიქმნებიან ისეთი ლიდერები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა და დაადგინონ საკუთარი ამოცანები და სტანდარტები, შეიძლება თანდათან მოვხსნათ ბარიერები და შევასუსტოთ კონტროლი. ყველა მენეჯერის ლიდერად ქცევა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ თვითმართვადი, თვითგანახლების შემძლე ორგანიზაცია.

წარმატებული სამეწარმეო ორგანიზაციების უმაღლესი ხელმძღვანელობის როლი მდგომარეობს ორი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციული ატრიბუტის: 1) ისეთი გარემოს განვითარებაში, რომელშიც ინდივიდებს შეუძლიათ მიიღონ ახალი ცოდნა და განავითარონ უნარ-ჩვევები იმისათვის, რომ საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა თვითმართვასა და კონტროლზე, 2) ისეთი კულტურის განვითარებაში, რომელიც უზრუნველყოფს რწმენას, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ გარისკონ.

სრულებით ნათელია, რომ ინდივიდუალიზირებული კორპორაციის აგების ჩამოყალიბებული პრინციპები ემთხვევიან, ძირითადად, ბ. კლარკის მიერ ჩამოყალიბებულ „სამეწარმეო უნივერსიტეტის“ კონცეფციას. ის მიუთითებს ახლანდელი საუნივერსიტეტო სტრუქტურის სამეწარმეო უნივერსიტეტად ტრანსფორმაციის შემდეგ მიმართულებებს: 1) უნივერსიტეტის მმართველობითი ბირთვის გაძლიერება, 2) პერიფერიის

გაფართოება, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის ეკონომიკურ განვითარებას; 3) დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნების გაზრდა; 4) პროფესორ-მასწავლებლების ძირითადი შემადგენლობის სტიმულირება, 5) ყოვლისმოცველი სამეწარმეო კულტურის განვითარება. [216]

4.2.6. ინდივიდუალური უნივერსიტეტი[217]

„ინდივიდუალური უნივერსიტეტის“ აგების მეთოდების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ უნივერსიტეტის ტრანსფორმაციის ამოსავალი წერტილია პროფესიული ორგანიზაცია მაშინ, როდესაც „ინდივიდუალიზირებული კორპორაციის“ ავტორები განიხილავენ მექანიკური ბიუროკრატიის ტრანსფორმაციის ამოცანას.

პროფესიული სამეწარმეო ორგანიზაციის მართვას გააჩნია არსებითი თავისებურებები. ასეთი ორგანიზაციის განვითარების რაოდენობრივი მაჩვენებლების მიმდინარე დაგეგმვის როლი ძალზე მცირეა. ძირითადი მნიშვნელობა გააჩნია სტრატეგიულ მართვას. ამავე დროს განსაზღვრულ პერიოდზე სტრატეგიის ფორმირების ამოცანის გადაჭრა არ არის პერმანენტული. ეს ამოცანა თამაშობს არსებით როლს ადაპტიური ორგანიზაციის შექმნისას, ხოლო შემდგომში ჩნდება გარე გარემოს მორიგი არსებითი ცვლილებების დროს. პროფესიული სამეწარმეო ორგანიზაციის მართვაში ცენტრალურ როლს თამაშობს ინოვაციური მისია. მისია იძლევა უსდ-ს საქმიანობის ზოგად სტანდარტებს და განსაზღვრავს მის კულტურას. მისია, აგრეთვე, განსაზღვრავს უნივერსიტეტის ფუნქციებს, მკაფიოდ მოხაზავს მისი საქმიანობის ფორმებსა და სახეებს იმისათვის, რომ უნივერსიტეტი დარჩეს უნივერსიტეტად, რათა ასრულებდეს მეცნიერებისა და განათლების იმ ფუნდამენტურ ამოცანებს, რომლებსაც მისგან მოელის საზოგადოება და სახელმწიფო. საუკუნეების განმავალობაში უნივერსიტეტები, აგრეთვე, ვითარდებოდნენ გარკვეული მისიის საფუძველზე, თუმცა ეს იყო სხვა ტიპის მისია.

უნივერსიტეტის თანამედროვე ინოვაციური მისია არსებითად ინდივიდუალურია და ასახავს მის განსაკუთრებულ ადგილს კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში.

§ 5. თავის დასკვნა

5.1. ზოგადად

უნივერსიტეტები ცდილობდნენ ეფექტურად გაეწიათ კონკურენცია სხვა უსდ-ებისათვის, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ითვლებოდა რეაქციის სისწრაფე და მოქნილობა, რომლებიც ტრადიციულ სტრუქტურებს არ გააჩნდათ. ამრიგად, უნივერსიტეტი ფუნქციონირებს სწრაფად ცვლად პირობებში, სადაც წარმატების გასაღებია მოქნილობა და სისწრაფე. საჭიროა, რომ მისი სტრუქტურები ხელს უწყობდნენ ინოვაციებს, რესურსებისა და პერსონალის შემოქმედებით გადანაწილებას ყველა დონეზე, ინარჩუნებდნენ, ხოლო შეძლებისდაგვარად, ზრდიდნენ კიდეც ყველა შესაძლო შემოსავალს, ზიანის მიუყენებლად ფუნდამენტური

[216] Грудзинский А.О. с.9-20.
[217] Грудзинский А.О. с.9-20.

ღირებულებებისთვის. უნდა შევიმუშაოთ შესაფერისი, მაგრამ არა ძალზე რთული პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსურ სტაბილურობასა და სამართლებრივი ნორმების დაცვას საქმიანობის ყველა მიმართულებაში. „ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ ჩვენ ვაგრძელებთ ხელსაყრელი შესაძლებლობების ხელიდან გაშვებას არსებული სტრუქტურებისა და პროცედურების გამო, რომლებიც ძალზე ზოზინა და ხისტია და არ იძლევიან საშუალებას არა მარტო მოვახდინოთ შემოქმედებითი რეაგირება, არამედ, შეძლებისდაგვარად, წინასწარ განვჭვრიტოთ წარმოქმნილი ინტელექტუალური და ფინანსური ოფციონები...“ [218]

ამრიგად, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს უნივერსიტეტების სწრაფვა რადიკალური სტრუქტურული ტრანსფორმაციებისადმი:

- მართვის ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლება;
- კვლევებისა და სწავლების ბუნებისა და აკადემიური დისციპლინების განვითარების ახალი ტენდენციები;
- ფორმალური გარე მოთხოვნები;
- კონკურენციის გამწვავება

რესტრუქტურიზაცია ტარდებოდა ცვლილებათა მკაფიო გაცნობიერებაში, სწავლებასა და კვლევებში, ახალი დისციპლინათშორისი მიმართულების წარმოშობა ითვლებოდა ცვლილებათა უმნიშვნელოვანეს სფეროდ, რომელიც მოითხოვდა მიზანმიმართულ და აქტიურ ინსტიტუციონალურ საქმიანობას. მრავალი მეცნიერული წამოწყება ხდებოდა ტრადიციულ საგანთა გათვალისწინებით, ამიტომ როგორც სწავლებაში, ისე კვლევებში საჭირო იყო რესურსებისა და პერსონალის ახლებურად დაჯგუფება. ამავე დროს გაჩნდა სასწავლო მასალის შეთავაზების ახალი მეთოდები და ხარისხის ახალი ფორმატები. ასეთ პირობებში ძალზე მნიშვნელოვანი იყო მოქნილი და არჩევითი მიდგომა, რომელიც მოგვცემდა საშუალებას სასწავლო პროგრამებში ჩაგვერთო როგორც სპეციფიკური ჩვევები, ისე ცოდნის ფუნდამენტური საფუძვლებიც.

როგორც აღვნიშნეთ, ყველა უსდ, თავისი დამფუძნებელი ორგანოებისა და პირების, საკუთრების ფორმის მიუხედავად, ასრულებს ზოგადსახელმწიფოებრივ ფუნქციებსა და ამოცანებს, ამასთან, მისი დამფუძნებლის როლში შეიძლება მოგვევლინოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სუბიექტი. უმაღლესი განათლების სფეროში ორიენტაცია თავისუფალი ბაზრის შექმნაზე, გულისხმობს საბიუჯეტო სექტორის რესტრუქტურიზაციის ზოგად მოთხოვნებთან სახელმწიფო და არასახელმწიფო უსდ-ების სტატუსის მიყვანას, რასაც მოსდევს უმაღლესი სკოლის გადაცემა საბაზრო ძალების ძალაუფლებაში, „უსდ განიხილება, როგორც ავტონომიური „წარმოება“, რომელიც ბაზარზე ზუსტად ისევე მოქმედებს, როგორც ბიზნესის ნებისმიერი სხვა საწარმო. სასწავლო დაწესებულებაში თვითონ უნდა იღებდნენ პასუხისმგებლობას ბაზარზე საკუთარ ქმედებებზე და კონკურენტული ბრძოლის პირობებში

[218] Taylor J. - p. 251-274

მაქსიმალური მოგებით მომხმარებლებისთვის საგანმანათლებლო მომსახურებათა მიყიდვის გამო“[219].

განათლების მართვის დეცენტრალიზაცია, როგორც ამ სფეროში ადმინისტრაციული რეფორმის დომინირებადი შემადგენელი, გულისხმობს ყველაზე ოპტიმალურ პირობებს უსდ-ების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსის შესაცვლელად. გამოსაყენებელ საშუალებათა არსენალს შორისაა - სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებათა დელეგირება სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის, მათ შორის, არასახელმწიფოებისთვისაც, საჯარო-საგანმანათლებლო მომსახურებათა გაწევის მიზნით, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გაფართოება, რომელთა „ელასტიურობა“ საშუალებას მოგვცემდა ყველაზე ეფექტურად გადაგვეჭრა მათი სამართალსუბიექტურობის, ეკონომიკური განვითარებისა და აგრეთვე, უმაღლეს განათლებაში კერძო სექტორის საკითხები.

საქართველოს უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების მისაღწევად, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიას“[220]. ავტონომიის დეფინიციას კი იგივე კანონი იძლევა: „ავტონომია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მისი ძირითადი ერთეულის თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა“[221]. თუ აღნიშნული კომპონენტების მიხედვით სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ანალიზს მოვახდენთ, რა თქმა უნდა, თვალნათლივ იკვეთება, რომ იგი სრულად ვერ ჯდება ავტონომიის კონტექსტში, ზემოაღნიშნული კომპონენტებთან მიმართებაში სრული თავისუფლების ხარისხის გათვალისწინებით. რაც შეეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ყოველივე აღნიშნული მათი სრული თავისუფლების განმსაზღვრელი ნამდვილად გახლავთ. თუ გამოვრიცხავთ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტთა ცენტრალიზებული მიღების წესს.

ანუ, განიხილება რა დანერგვისათვის სტრუქტურის ესა თუ ის ვარიანტი, აუცილებელია გულდასმით აიწონ-დაიწონოს მათი სუსტი და ძლიერი მხარეები, გათვალისწინებულ იქნას უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკა, მისი ადგილი. უმაღლესი სასწავლებლები აგრძელებენ სპეციალისტების მასობრივ გამოშვებას, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი ეკონომიკის მოთხოვნებით. ეს წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობაში წარმოება – გასაღების კონცეფციის შენარჩუნების შედეგს, როცა ვყიდით იმას, რისი გაკეთებაც შეგვიძლია და არა იმას, რაც ჭირდება მომხმარებელს. მაგრამ ასეთი მიდგომა არ შეესაბამება უმაღლესი სასწავლებლის წარმატებულ ფუნქციონირებას, რამდენადაც საბაზრო ეკონომიკაში წამყვანი როლი მიეკუთვნება მომხმარებელს, როლი პროფესიული მომზადების საერთო სისტემაში, ისტორიულად ჩამოყალიბებულ სპეციალიზაციაში და სხვა.

---

[219] Майбуров И. стр. 31

[220] სკ უგშ - მუხლი 3, პუნქტი 2, ქვეპუნქტი ვ.

[221] სკ უგშ - მუხლი 2, პუნქტი ბ.

სპეციალისტების შეფასებით, საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზებამ საქართველოში, ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, კოლოსალური ნახტომი გააკეთა და ამჟამად მეტია, ვიდრე ბაზრის მოთხოვნა. ამას მივყევართ იმისაკენ, რომ სასწავლო დაწესებულებანი არამარტო იწყებენ ერთმანეთთან კონკურენციას, არამედ მიისწრაფვიან რა სტუდენტების მიზიდვისაკენ, სულ უფრო დამოკიდებული ხდებიან საქმიანობის ფინანსირების კუთხით შეთავაზებული პროდუქტისა და მომსახურების დიფერენცირებასა და დივერსიფიკაციაზე. კონკურირებენ სკოლები და პროგრამები, აქტიურად მიდის ბრძოლა სტუდენტთა კონტიგენტისათვის, სახელმწიფოსგან დაფინანსების, საზღვარგარეთიდან დახმარების, გრანტების მიღებისათვის, სპონსორების მოზიდვისათვის.

5.2. უსდ-ს ლოჯისტიკის სქემა

გარემოს შეცვლასთან ერთად, შეიცვალა უმაღლესი სკოლის ლოჯისტიკური სქემაც. გეგმიურ–დირექტიული ეკონომიკის პირობებში ის გამოიყურებოდა კლასიკურად: რესურსი-წარმოება-პროდუქტი. აბიტურიენტი, რომელიც გადიოდა საკონკურსო შერჩევას გეგმიური შერჩევის ფარგლებში, ხდებოდა უნივერსიტეტის სტუდენტი, სადაც სახელმწიფოს ხარჯზე სწავლობდა 5 წელი, გამოდიოდა ახალგაზრდა სპეციალისტი და მიემართებოდა განაწილებით შესაბამისი პროფილის საწარმო ან ორგანიზაციაში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში უნივერსიტეტის ლოჯისტიკურმა სქემამ განიცადა ცვლილებები კავშირებსა და ურთიერთობებში. გაჩნდა კავშირი უნივერსიტეტსა და ოჯახს შორის, ხელშეკრულების საფუძველზე სწავლების აუცილებელი გადასახადის სახით. ოჯახი, რესურსების უფასოდ მიმწოდებლიდან გადაიქცა უმაღლესი სასწავლებლის მომსახურების მომხმარებლად, იხდის რა ფასს საქონლის წარმოებისთვის და იღებს მას სწავლების დამთავრების შემდეგ. დასუსტდა უმაღლესი სასწავლებლის კავშირი განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან სწავლების ფინანსური ნაკადის შემცირების ნაწილში, ანუ სახელმწიფო ნაკლები რაოდენობით იძენს უმაღლესი სასწავლებლის წარმოებულ პროდუქტს და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, წარმოიშვა კონკურენცია უმაღლეს სასწავლებლებს შორის, რაც საბაზრო წინადადებების ხარისხის ამაღლების სტიმულს აძლევს მათ.

ცენტრალიზებული საგეგმო ეკონომიკის დროს უმაღლესი სასწავლებლების ბაზარს წარმოადგენდა სახელმწიფო, რომელიც გამოდიოდა, როგორც გადამხდელი უმაღლესი სასწავლებლების მომსახურების და გარანტირებული მომხმარებელი ახალგაზრდა სპეციალისტების. ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირების პროცესში, ამ ბაზარზე გამოჩნდა ახალი საბაზრო სეგმენტები და თუ წინა პერიოდში ზოგ სტრუქტურაში შენარჩუნებული იყო უმაღლესი სასწავლებლიდან მიღებული პროდუქტის ხარისხის მიმართ დაბალი მოთხოვნების ტენდენცია, ამჟამად გაზრდილია საბაზრო მოთხოვნები სპეციალისტების მომზადების ხარისხის, როგორც ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობის ამაღლების გადამწყვეტი ფაქტორის მიმართ.

საგანმანათლებლო სფეროში, ლოჯისტიკის გარემოს, შემადგენლობისა და ხასიათის ცვლილება, განსაზღვრავს საუნივერსიტეტო სისტემაში შიდა საორგანიზაციო ცვლილებების

გატარების აუცილებლობას. კონკურენტული გარემოს გამკაცრებულ მოთხოვნების მიმართ უწყვეტი ადაპტაციის გარეშე, შეუძლებელია ბაზრის მონაწილედ დიდხანს დარჩენა. ზოგიერთი შეფასების თანახმად, სახელმწიფო უმაღლესი დაწესებულებები, დამძიმებულები მოძველებული ტრადიციებით, შეხედულებებით, საპენსიო ასაკის პერსონალით, კონსერვატულობით, აუდიტორიული და ლაბორატორიული ფონდის ჩამორჩენილობით და ა.შ. გატარებული გარდაქმნების არასაკმარისი ტემპებით - ბაზრიდან გამოდევნის სავსებით რეალური კანდიდატებია საბაზრო კონიუქტურის შემდგომი გართულების შემთხვევაში. ბაზრის მოსალოდნელ საფრთხეთა შორისაა უმაღლესი სასწავლებლების პრივატიზაციაც, საბიუჯეტო ფინანსირების შემდგომი შემცირებაც და იმ საკადრო რესურსების სიმწირეც, რომელმაც უნდა შეავსოს ასაკის გამო წასული კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალის ადგილი და ა.შ.

კონკურენციის გამძაფრება და უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებლობა განსაზღვრავს მათ მიერ სამეურნეო მარკეტინგის ფილოსოფიის დაჩქარებულ ათვისებას, როგორც მომხმარებლის მოთხოვნის შესწავლისა და ხარისხიანი დაკმაყოფილების საშუალებით ორგანიზაციის მიზნების მიღწევის სისტემას.

ახალი სპეციალობების აღმოჩენა და პერსპექტიულისათვის ხელის შეწყობა, სწავლების ხარისხის პოლიტიკის გაცხადება და კონკურენტული ანალიზის ჩატარება განხილულ უნდა იქნას, როგორც პირველი ნაბიჯები უმაღლესი სასწავლებლის მართვისადმი საბაზრო მიდგომის ათვისებაში. აუცილებელია განხორციელდეს სისტემური სამუშაო სხვადასხვა საბაზრო სეგმენტების მოთხოვნებზე. უნივერსიტეტის მიერ საქმიანობის მარკეტინგული კონცეფციის ათვისება, შეიძლება შეუთავსდეს უწყვეტ შიდა ცვლილებებს, მიმართულს ფუნქციონირების ახალი სტანდარტების ათვისებისაკენ, რომელსაც ითხოვს გარემოს დინამიკა. სისტემური გარდაქმნისათვის ეფექტურია უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მეთოდი.

5.3. უსდ-ს ფუნქციური სისტემები

უნივერსიტეტის, როგორც ნებისმიერი სხვა საბაზრო პირობებში მოქმედი სტრუქტურის საფუძველს შეადგენს შემდეგი ფუნქციური სისტემები: კომუნიკაციური, მმართველი, საორგანიზაციო და ტექნოლოგიური.

უნივერსიტეტის სტრუქტურის წარმოდგენა, ორგანიზაციის სისტემისა და დონის სახით, საშუალებას იძლევა გამოვყოთ ელემენტები და მოვახდინოთ მათი ფუნქციური ანალიზი.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისას უმაღლეს სასწავლებლებს გაუჩნდათ ახალი ფუნქცია გარე სფეროში, ხოლო შიდა გარემოში შეინიშნება ახალი და ძველი საწარმოო ფუნქციების შეხამება დღევანდელი დღისათვის ახლის უპირატესობით.

უნივერსიტეტის **კომუნიკაციური სისტემა** კონკურენტულ გარემოში მონიტორინგის საფუძველზე (ბაზრის ტევადობა, მისი სტრუქტურა, ფასი, მომსახურების ხარისხი და ა.შ). აყალიბებს მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენლობის და მოცულობის, მათი კვალიფიკაციისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სწავლების ვადების, რესურსების ხარჯვის მიმართ.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნივერსიტეტის **მმართველი სისტემა** აფასებს შესაძლებლობებს, ამუშავებს კორპორატიულ სტრატეგიას, სახავს მიზნებს ყველა სისტემისათვის და ახორციელებს კონტროლს მათ მიღწევებზე. სრულდება სტრუქტურის ფუნქციის ანალიზი ყოველ ელემენტში და მათი ეფექტურობის შეფასება მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. ეფექტური ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა ყველა ელემენტის მიღებული სტრატეგიისათვის თანადაქვემდებარების საფუძველზე, წარმოებს **ორგანიზაციული სისტემით**. შემდეგ ხდება შესაძლებლობების შეფასება მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად, ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების **ტექნოლოგიური სისტემით**.

უნივერსიტეტის გარდაქმნის ეფექტურობა, მისი სტრუქტურული ელემენტების ურთიერთმოქმედება, ფასდება საზოგადოებრივი კრიტერიუმებით – ბაზრისათვის გაწეული მომსახურების კონკურენტუნარიანობით. თუ კონკურენტუნარიანობის მიღწეული დონე უზრუნველყოფს ბაზარზე უმაღლესი სასწავლებლის არჩეული სტრატეგიის რეალიზაციის შესაძლებლობას, მაშინ მოქმედებაში მოდის სისტემის გარდაქმნის პროგრამა ვადებისა და პასუხისმგებელი პირების დადგენით.

სიტუაცია საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე ხასიათდება მოთხოვნაზე შეთავაზებულის გადამეტებით და კონკურენციის გამწვავებით. უნივერსიტეტებისათვის სახელმწიფო დახმარების შემდგომი შემცირებისას ზოგიერთმა მათგანმა, მეტად დამძიმებულმა, საწარმოო ბაზის ჩამორჩენილობით, მმართველი გუნდის სისუსტით და ა.შ. შეიძლება ვერ გაუძლოს კონკურენტულ ბრძოლას და ჩამოშორდნენ ბაზარს.

უმაღლესი სასწავლებლის გადარჩენის პირობა ამგვარ პერსპექტივაში არის აქტიური ზომების მიღება საბაზრო სივრცის ათვისებისათვის, საქმიანობის მარკეტინგული კონცეფციის საფუძველზე, შიდა გარემოს სტრუქტურულ გარდაქმნასთან ერთად, კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიმართულებით.[222]

ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში უპირატესობათა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს უცხო ქვეყნების სტუდენტებისთვის ჩვენთან სწავლის მიმზიდველობის ზრდა, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში უკვე მიიღება განათლების შესახებ დოკუმენტი, რომელიც ადვილად ცნობადი იქნება მათ ქვეყნებში, ხოლო სწავლის გადასახადი საქართველოში კი შედარებით დაბალია. თუმცა შეიძლება მოხდეს ისიც, რომ ბევრი საგანმანათლებლო პროგრამით უცხოელმა სტუდენტებმა უბრალოდ არ მოინდომონ საქართველოში განათლების მიღება, მაგალითად ეს ეხება სოციალურ-ეკონომიკურ სპეციალობებს, რომლებიც არა მოთხოვნადია ევროპაში იმ სახით, რა სახითაც ისინი არსებობენ ჩვენთან ამჟამად. ამასთან, არსებობს ყველა საფუძველი იმისათვის, რომ საქართველოში მიღებული განათლება ფუნდამენტურ, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო და ჰუმანიტარული სპეციალობებსა და მიმართულებებში, ასევე კულტურის სფეროში უდაოდ იქნება მოთხოვნადი, თუმცა, ამისათვის, როგორც ზემოთ ითქვა, საჭირო იქნება ჩვენი საორგანიზაციო-მეთოდური დოკუმენტების, განათლების

[222] Прокопенко С.А. стр. 6

სტანდარტების ჩათვლით, აგრეთვე სპეციალობების ჩამონათვალის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა.

5.4. უსდ-ს შეჯერებული მოდელები, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების მიხედვით.

ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლებლების მიერ განვლილი ისტორიული გზისა და პრაქტიკული გამოცდილების შეჯერებით, შესაძლებელია გამოვკვეთოთ ეფექტური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში, იდეაში, მოვარგებდით რეალობას. ალბათ, ეს მოდელი შეიძლება წარმოვიდგინოთ ყველა ქვეყნის გამოცდილების საუკეთესო კომპონენტთა ნაერთის მიხედვით:

- ძველი საუნივერსიტეტო ტრადიციების შერწყმა განათლების მართვის ინოვაციურ მეთოდებთან, ფუნდამენტურ განათლებასა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან (გერმანულთან მიახლოებული მოდელი).
- განათლების მოდერნიზაციის აუცილებლობა, უნივერსიტეტების მართვის ახალი პრაქტიკის დანერგვა (დიდი ბრიტანეთის მაგალითზე)
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია (დიდი ბრიტანეთის მაგალითი).

ასევე ეფექტურია აშშ-ს კორპორაციული უნივერსიტეტების თავისებურებების ფაქტორების დანერგვის პერსპექტივა ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში:

- უნივერსიტეტის პოლიფუნქციონალობა, ან როგორც თანამედროვე ცოდნის ტრანსფერის გენერირების, ისე მისი უზრუნველყოფის უნარი;
- ძლიერი ორიენტაცია სამეცნიერო კვლევებსა და შემუშავებებზე, უპირველეს ყოვლისა, ფუნდამენტალურ კვლევებზე;
- ორიენტაცია მეცნიერების თანამედროვე მიმართულებებზე, მაღალი ტექნოლოგიები და ინოვაციური სექტორი ეკონომიკაში, მეცნიერებაში, ტექნიკაში;
- სპეციალობებისა და სპეციალიზაციების ფართო ნაკრები.
- კონკურსების, მათ შორის საერთაშორისო კონკურსების საფუძველზე სამუშაოდ მიღებული პედაგოგების მაღალი პროფესიული დონე; მსოფლიოს სხვადასხვა ქეყნებიდან დროებით სამუშაოზე წამყვანი სპეციალისტების მოსაწვევად შესაძლებლობების არსებობა;
- საინფორმაციო საჯაროობის მაღალი ხარისხი და ინტეგრაცია მეცნიერებისა და განათლების საერთაშორისო სისტემაში;
- მსოფლიო გამოცდილების გაზიარება, მოქნილობა სამეცნიერო კვლევების ახალ მიმართულებებთან და სწავლების მეთოდოლოგიასთან მიმართებაში;
- სელექციური მიდგომა სტუდენტების შერჩევისას;
- უნივერსიტეტის ირგვლივ განსაკუთრებული ინტელექტუალური გარემოს შექმნა;

- მეცნიერებებზე, დემოკრატიულ ფასეულობებსა და აკადემიურ თავისუფლებებზე ბაზირებული კორპორაციული ეთიკის არსებობა;
- სწრაფვა ლიდერობისკენ რეგიონის, ქვეყნის, მთლიანობაში მსოფლიო და საგანმანათლებლო გაერთიანების შიგნით.[223]

მრავალი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, ბევრი საინტერესო მოსაზრება წარმოდგენილია თვით „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებებში“. მაგალითად „უნდა განისაზღვროს სამეცნიერო კვლევისა და სწავლების პრიორიტეტები, პოსტერიოტები“ ამ პროცესის უმთავრესი კრიტერიუმი იქნება სწავლებისა და კვლევის ხარისხი. ე.ი. უმთავრესია განსაზღვრულის სრულფასოვანი რეალიზაციის შედეგად მიღებული პროდუქტი - რომელიც თავის მხრივ განხორციელების ვადებს, ტემპს, ხარისხს უკავშირდება, თორემ როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს იდეათა და მოსაზრებათა ნაკრები, მისი სრულფასოვანი შესრულების გარეშე, არსებულ კონკურენტუნარიანობის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განწირულია.

უმაღლესი განათლების სისტემების თანამედროვე განვითარებაზე ზემოქმედებას ახდენს შემდეგი ფაქტორები, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ გლობალურ ფაქტორებს, ვინაიდან ისინი დამახასიათებელია როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისათვის, ისე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პარტნიორი ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის:

- მასობრივი სწრაფვა უმაღლესი განათლების მიღებისადმი;
- საბაზო უმაღლესი განათლების რეგულარული განახლება და შევსება საზოგადოებისა და ტექნოლოგიების გაძლიერებული დინამიკური განვითარების გათვალისწინებით;
- საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისად, უმაღლესი განათლების სისტემებისადმი, ცოდნის შინაარსისა და მოცულობისადმი, მისი შეძენის ფორმებისა და მეთოდებისადმი მოთხოვნების მრავალფეროვნება;
- სახელმწიფოს მხრიდან განათლების ადმინისტრირებული მართვის ლიბერალიზაცია;
- დემოგრაფიული დაქვეითება, მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლა: შედარებით ზრდასრული და ხანდაზმული მოსახლეობის წილის გაზრდა „ტრადიციულად“ სტუდენტური ასაკის მოსახლეობის წილთან შედარებით. საგანმანათლებლო პოლიტიკაში უფროსი ასაკის ჯგუფების მოთხოვნილებათა გათვალისწინება;
- უმაღლესი განათლების სისტემის მხარდაჭერისა და განვითარებისათვის საჭირო სახელმწიფო რესურსების დდფიციტი;

[223] Экономика, Социология, Менеджмент. стр 6; 10; 11;23;25

- ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარება; საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ინტერნაციონალიზაცია.

რას ნიშნავს ეს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართულებებისა და მართვის მეთოდებისათვის? მე-20 საუკუნეში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი მეტი წილი ქვეყნების მთავრობები მნიშვნელოვან კონტროლს უწევდნენ და გავლენას ახდენდნენ ამ სექტორში ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით. დღეს, ერთის მხრივ, რიგი ქვეყნებისა ბევრად მეტად არიან დაინტერესებული იმის უზრუნველყოფით, რომ უმაღლესი სასწავლებლები შეესაბამებოდნენ ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებს, ამასთან ითვალისწინებენ მათ მნიშვნელობას ცოდნაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში. მეორე მხრივ, ისინი აღიარებენ, რომ ცოდნისა და სწავლების ჩამოყალიბების ცენტრალიზებული დაგეგმვა ხშირად არაეფექტიანია. განვითარებულ საზოგადოებასა და ეკონომიკას სჭირდება ისეთი საგანმანათლებლო ინსტიტუტები, რომლებიც იმოქმედებდა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით, რადგან სხვადასხვა ჯგუფის მომხმარებლებისათვის შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა ფორმაზე მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირებაში, საბაზრო მექანიზმები ხშირად უფრო ეფექტიანია, ვიდრე ადმინისტრაციული.

როგორ აყალიბებენ სხვადასხვა ქვეყნები ამ საკითხს და როგორ წყვეტენ ამ საკითხთან დაკავშირებულ უმაღლესი განათლების ინსტიტუტების მართვის ამოცანებს?! სიტუაციის ანალიზი ეფუძნება იმ დონის განსაზღვრას, სადამდეც უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ ავტონომიით და განავითარონ თავიანთი საკუთარი შიდა რესურსები, ამასთან შეინარჩუნონ უმაღლესი განათლების სისტემის მთლიანობა. კერძოდ, ეს გულისხმობს უმაღლესი სკოლის საქმიანობაზე მმართველობითი ზემოქმედების ცვლილებათა შემდეგი ასპექტების განხილვას:

- პირველი, რამდენად თავისუფალი არიან უმაღლესი სასწავლებლები საკუთარი ამოცანების განხორციელებაში;
- მეორე, რა დონეზე არიან დამოკიდებული სახელმწიფო დაფინანსებაზე ან რა დონეზე შეუძლიათ დაეყრდნონ საკუთარ რესურსებს;
- მესამე, უმაღლესი განათლების სფეროში ცვალებადი კონტროლის მეთოდები და ხარისხის გარანტიები;
- მეოთხე, უსდ-ების ხელმძღვანელობის გაძლიერება;
- მეხუთე, ახალი როლები მათი ხელმძღვანელობისათვის.

ადგილობრივი ფაქტორები განსაზღვრავს უმაღლესი განათლების სფეროში სამ ურთიერთდაკავშირებულ ტენდენციას:

- მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებას;
- უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას;
- უმაღლესი სასწავლებლების თვითმმართველობის განვითარების გააქტიურებას – განათლების „ავტონომიზაციას“.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინოვაციური და სამეცნიერო კვლევების განვითარებაზე, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებასა და ბიზნესს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერებაზე. დღეს ყველაზე უმთავრესი რაც შეიძლება შესთავაზოს ქვეყანას უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ არის ცოდნისა და კვლევების მაღალი დონით მიღწეული ტექნოლოგიების, განვითარება და წარმატებული შედეგების ბიზნეს სექტორში დანერგვა. რადგან განვითარებული ინოვაციური სისტემები, თავის მხრივ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების უტყუარი გარანტია.

თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე ვისმჯელებთ, აღმოვაჩენთ, რომ დარგობრივი ინტელექტუალური პოტენციალის გათვალისწინებით, შესაძლებელია წარმოებას, ბიზნეს სექტორს შესთავაზონ მომსახურება და მიიღონ დაკვეთები ჯანმრთელობის სფეროდან, ელექტრონიკის, მანქანათმშენებლობის, სოფლის მეურნეობის და სხვადასხვა დარგებიდან. თუმცაღა ხაზი უნდა გაესვას გარემოებას, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, კვლევების განვითარების თვალსაზრისით, არცთუისე ეფექტურად გამოიყურებიან და აღნიშნულს უპირველესად არასაკმარისი დაფინანსება განსაზღვრავს. თუმცა, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მაქსიმალურად არიან ჩართულნი ეროვნული და სამეცნიერო გრანტების მოპოვების კონკურსებში. ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შედეგების მიხედვით საქართველოს საგანმანთლებლო სივრცეში მოპოვებული სამეცნიერო გრანტების მნიშვნელოვანი პროცენტი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე ნაწილდება.

საქართველოს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ძირითადად სასწავლო დაწესებულებების ფუნქციებით შემოიფარგლებიან და ნაკლებ ინტერესს იჩენენ კვლევებთან მიმართებაში. საქართველოს პირობებში, სახელმწიფო დაფინანსების სიმცირის გამო, ეფექტური იქნებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამეცნიერო ტექნოცენტრების, ტექნოპარკებისა და ბიზნეს ინკუბატორების შექმნა, რაც არამარტო ხელს შეუწყობს მეცნიერული კვლევების განვითარებას, არამედ მომგებიანი იქნება ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

შრომის ახალი განაწილება სწავლებასა და კვლევებს, ერთი მხრივ, და ინსტიტუციონალურ მენეჯმენტს შორის, მეორეს მხრივ, საშუალებას მოგვცემს გადავწყვიტოთ უმაღლესი განათლების წინაშე არსებული მრავალი პრობლემა, მაგრამ ეს ახალი მოდელები უნდა გამოვიყენოთ გონივრულად და დელიკატურად მოცემული კვლევის შედეგები მოწმობენ იმის შესახებ, რომ ასეთ შეხედულებას იზიარებს მრავალი აკადემიური მოღვაწე.

უნივერსიტეტი, რომელიც შესაძლებელია აკმაყოფილებდეს არამარტო ქვეყნის, არამედ რეგიონის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების ინტეგრირების პროცესს, უნდა ანვითარებდეს შემდეგ მიმართულებებს:

· ახორციელებდეს სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებულ პროგრესულ განვითარებაში ეფექტური წვლილის შეტანის უნარის მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას;

· ანვითარებდეს ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებას, თანამედროვე საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემათა ეფექტური გადაჭრისათვის, აღწევდეს ახალი ცოდნისა და

ტექნოლოგიების წყაროებისა და განათლების მაღალ ხარისხს, ანვითარებდეს ტექნოლოგიებსა და ცოდნის ტრანსფერის ზოგადსაუნივერსიტეტო კულტურას, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის განათლების განვითარებაში;

თავი X.
უმაღლესი განათლების სისტემის თეორიული საფუძვლები

§ 1. უსდ-ს ორგანიზაციულ სტრუქტურათა თეორიები.

70-80-იან წლებში წარმოქმნილ ორგანიზაციულ სტრუქტურათა თეორიები წარმოადგენენ წარმატებული კონკურენციისთვის აუცილებელ შიდა ორგანიზაციასა და სამუშაო გარემოს შორის ურთიერთკავშირის ხასიათის ახსნის მცდელობებს. ამ თეორიებიდან ერთ-ერთია არასტაბილურობის მოდელი. ამ მოდელის თანახმად, სტაბილურ გარე პირობებში მუშაობისას, როდესაც ტექნოლოგიური ცვლილებები შეზღუდული და განჭვრეტილია, ორგანიზაციებს აქვთ მიდრეკილება შექმნან ცენტრალიზებული მექანიკური სტრუქტურები ხელისუფლების მკაფიო იერარქიითა და მკაცრად მითითებული წესებითა და პროცედურებით. ადრე სწორედ ასე ფუნქციონირებდა უმაღლესი განათლების სისტემა. არასტაბილურობის მოდელი გულისხმობს, რომ სწრაფად ცვლადი პირობებისა და განუჭვრეტელი ტექნოლოგიური ცვლილებების პერიოდში ორგანიზაციები ორიენტირებულნი არიან უფრო მოქნილი, თავისუფალი, ორგანული სტრუქტურებისკენ შიდა ავტონომიის მომეტებული დონით, რომლებშიც კომუნიკაციები ხორციელდება არა მარტო ვერტიკალურად, არამედ ჰორიზონტალურადაც.

მენეჯმენტის ცნობილი სპეციალისტი, მაკ-გილის უნივერსიტეტის (McGill University - მონრეალი) პროფესორი ჰ. მინცბერგი აღწერს სხვადასხვა სტრუქტურულ მიდგომებს კონტექსტისა და ორგანიზაციის მოთხოვნათა მიხედვით. ის გვთავაზობს უნივერსიტეტთა რეორგანიზაციის ზოგიერთ საბაზრო პრინციპს: „ეფექტური სტრუქტურირება მოითხოვს კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებას სტრუქტურის პარამეტრთა შიდა ლოგიკურობისა“ და „სტრუქტურის პარამეტრთა განსაზღვრის დროს“. მეცნიერი ხაზს უსვამს შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის მნიშვნელობას. ერთის მხრივ, დაჯგუფება უნდა იყოს შეკრული საერთო ზედამხედველობის, რესურსებისა და იმის ხარჯზე, რასაც ჰ. მინცბერგი განსაზღვრავს, როგორც „ურთიერთშეგუებას“; მეორე მხრივ, აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ ორგანიზაციული ქვედანაყოფები განსხვავდებიან თავიანთი მიზნებით, დროებითი პერსპექტივით, ურთიერთობის სტილითა და ფორმალიზაციის დონით. და ბოლოს, ჰ. მინცბერგი განსაზღვრავს დაჯგუფებებისთვის დამახასიათებელ ოთხ უმნიშვნელოვანეს ურთიერთდამოკიდებულებას:

- სამუშაო ურთიერთდამოკიდებულებები დაკავშირებულნი არიან ჯგუფის შიგნით პროცესის რაც შეიძლება მეტი ასპექტის შენარჩუნების აუცილებლობასთან.
- პროცესის ურთიერთდამოკიდებულებები ეხებიან პროფესიონალთა ერთობლივი მუშაობის აუცილებლობასა და სპეციალიზაციას.

· მასშტაბური ურთიერთდამოკიდებულებები გულისხმობენ საერთო სამსახურებრივი ჯგუფების შექმნას ინფრასტრუქტურის დუბლირების ნაცვლად.

· თითოეული ცალკეული ჯგუფისთვის სოციალური ურთიერთდამოკიდებულებები განსაზღვრავენ პირად და სოციალურ მოთხოვნილებებს.

ასეთია უნივერსიტეტთა ორგანიზაციული ქვედანაყოფების შექმნის კონცეპტუალური ჩარჩოები.

ჰ. მინცბერგი ახდენს შვიდ სახედ ორგანიზაციის კლასიფიცირებას: მანქანური (მექანიკური) ორგანიზაცია, სამეწარმეო ორგანიზაცია, პროფესიული ორგანიზაცია, ედჰოკრატიული ორგანიზაცია, დივერსიფიცირებული ორგანიზაცია, პოლიტიკური ორგანიზაცია და იდეოლოგიური ორგანიზაცია. მისი კლასიფიკაციის შესაბამისად უსდ-ები მიეკუთვნებიან პროფესიული ტიპის ორაგინაზციებს. პროფესიული ორგანიზაცია მოკლე აღწერით: შექმნილია საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად შედარებით სტაბილურ პირობებში, მაშასადამე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უნარ-ჩვევების, სტანდარტიზაციასა და მომსახურებათა გამოყოფას, რომლებიც შესრულებულ უნდა იქნენ შედარებით დამოუკიდებელი და ზეგავლენიანი ექსპერტების მიერ. ამავე დროს ადმინისტრატორები უფრო მეტად უწევენ დახმარებას, ვიდრე აკონტროლებენ შესრულებას. ესენი, ჩვეულებრივ, საავადმყოფოები, უნივერსიტეტები და სხვა ორგანიზაციებია, სადაც საკვანძო როლს თამაშობს კვალიფიკაცია დ ხელობა“.

ამ განაზღვრებაში სტრატეგიის ფორმირების ამოცანის თვალსაზრისით ცენტრალურ როლს თამაშობს დებულება „შედარებით სტაბილური პირობების“ შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტული თვალსაზრისით, უნივერსიტეტის, როგორც პროფესიული ორგანიზაციის, განსაზღვრება არ შეესაბამება დღევანდელი დღის რეალიებს. უნივერსიტეტის მიერ სტრატეგიული მართვის პრობლემა წარმოიშვა სწორედ იმის გამო, რომ გარე გარემომ დაიწყო სწრაფი და უწყვეტი ცვლილება. გარე გარემოს მოთხოვნებმა და უსდ-ების ორგანიზაციის საწყისმა ტიპმა განსაზღვრეს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის ტრანსფორმაციის ვექტორი, რომელიც მიმართულია კლასიკური პროფესიული ორგანიზაციიდან პროფესიული სამეწარმეო ორგანიზაციის მხარისკენ.

ჰ. მინცბერგი განსაზღვრავს სამეწარმეო ორგანიზაციას საკმაოდ ვიწრო გაგებით, როგორც ხელმძღვანელის მიერ პირადად კონტროლირებად სუსტად შემუშავებულ მოქნილ სტრუქტურას. ამავე დროს, სამეწარმეო ორგანიზაციების ნიმუშთა სახით ის ასახელებს დამწყებ კომპანიებსა და მცირე ბიზნესის საწარმოებს. თუმცა თანამედროვე პირობებში კორპორაციების მართვის განვითარების ლოგიკამ მიგვიყვანა იმ გაგებამდე, რომ სამეწარმეო ორგანიზაციის იდეები გამოყენებადია მსხვილი კომპანებისა და უნივერსიტეტების აგებასთან მიმართულებაში. ამასთან დაკავშირებით, უნდა ვახსენოთ ორი ნაშრომი, რომლებმაც წარმოჩინეს ეს ახალი მიმართულება, საერთოდ, მენეჯმენტსა და, კერძოდ, უნივერსიტეტის მენეჯმენტში. ესენია მეცნიერების ს. გოშალისა და ს. ბარტლეტის მონოგრაფია „ინდივიდუალიზირებული კორპორაცია. ფუნდამენტურად ახალი მიდგომა

მენეჯმენტთან მიმართებაში“[224] და ბ. კლარკის - „ვქმნით რა სამეწარმეო უნივერსიტეტებს: ტრანსფორმაციის ორგანიზაციული გზები“ [225].

ყველა უნივერსიტეტმა, მიჰყვებოდნენ რა დირენსისა და ჯ. ლორშის რეკომენდაციებს, მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო კომუნიკაციისა და გადაწყვეტილებათა მიღების მოკლე ვერტიკალური ხაზების შექმნას. ამავე დროს, მინცბერგის მიერ შემუშავებული წარმატებული დაჯგუფების ნიშნები გამოყენებადია ზოგიერთი ახალი სტრუქტურისადმი პროცესების ურთიერთდამოკიდებულებათა თვალსაზრისით. შესაძლოა, უმაღლესი განათლების განვითარების გრძელვადიანი ისტორიის პოზიციიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კათედრა უკვე არ არის კვლევებისა და სწავლების განხორციელების ძირითადი უჯრედი.

ლ. ლორენსი და ჯ. ლორში, რომლებმაც მოახდინეს მარკეტინგისა და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური სისტემების ანალიზი, ამტკიცებენ, აგრეთვე, რომ ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება არის ორი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელი პროცესის - დიფერენციაციისა და ინტეგრაციის შედეგი. ბ. კლარკმა განავითარა ეს იდეა უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში. დაურწმუნებლობისა და სირთულის ზრდის გამო - ხოლო ჩვენი სამყარო მეტისმეტად რთულია - ორგანიზაციებს მიდრეკილება აქვთ დიფერენცირებისკენ, წარმოქმნიან რა თავიანთ შემადგენლობაში ვიწროსპეციალიზირებულ ქვედანაყოფებს, რომელთაგან თითოეულს გააჩნია პასუხისმგებლობის საკუთარი სფერო. ამავე დროს ჭარბ დიფერენციაციას მოსდევს ძალისხმევისა და დანახარჯების დუბლირება, ე.ი. აუცილებელია ვისწრაფოდეთ ეფექტური თანამშრომლობისკენ ქვედანაყოფებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ „ეფექტურ ინსტიტუტებს არასტაბილურ პირობებში გააჩნიათ ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც ხასიათდებიან როგორც ინტეგრაციის, ისე დიფერენციაციის მაღალი დონითაც“[226].

შრომის ფსიქოლოგიის ფუძემდებელი, კონსალტინგის პირველი კომპანიის დამაარსებელი აშშ-ში ს. ვ. დილი და ბ. სპორნი აღწერენ უნივერსიტეტებში დაჩქარებული ტექნოლოგიური განვითარებისა და კონკურენციის გამწვავების ფონზე მიმდინარე ტრადიციული ბიუროკრატიული და იერარქიული სტრუქტურების დაშლასა და ახალქსელურ კომუნიკაციაზე გადასვლას: „ადაპტაციისა და ინოვაციებისადმი მაქსიმალური პოტენციალი გააჩნიათ ქსელურ სტრუქტურებს, რომლებიც ახდენენ თანაზიარობის, ნდობისა და ხანგრძლივი ერთგულების წახალისებას“.[227]

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ კათედრებს, როგორც საკვანძო ორგანიზაციულ ქვედანაყოფებს. მეცნიერები თ. ბეხერი და მ. კოგანი ხაზს უსვამენ, რომ კათედრები წარმოადგენენ უნივერსიტეტთა სტრუქტურულ ელემენტებს, რომელთა საფუძველში დევს საკუთარი დისციპლინებისადმი აკადემიური მოღვაწეების ინსტიქტური ერთგულება, რომელიც უფრო ნათლადაა გამოხატული, ვიდრე ერთგულება უფრო განშტოებული ქვედანაყოფებისადმი,

[224] Ghoshal S., Bartlett C.A. Business Book, 2000
[225] Clark B.R. Press: Pergamon: Elsever Science, 1998
[226] Dill, D.D. p 95.
[227] Dill, D.D p. 96.

ისეთებისადმი, როგორებიც არიან სკოლები, ფაკულტეტები და თვით უნივერსიტეტებიც კი.[228]

უნივერსიტეტების მართვის მსოფლიოში ცნობილმა ექსპერტმა შატოკმა აღნიშნა კათედრების მნიშვნელობა საუნივერსიტეტო მენეჯმენტისთვის: „აუცილებელია ყველანაირად შევინარჩუნოთ კათედრები. მათი ხელმძღვანელობა, მათი მემკვიდრეობითობის პოლიტიკა, ახალგაზრდების სტიმულირების მათ მიერ გამოყენებული ხერხები უნდა იყოს უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი ყურადღების საგანი; უნდა გვიხაროდეს მათი წარმატებები, წარუმატებლობებისას - გვქონდეს თანაგრძნობა. რესურსთა განაწილების პროცესი, პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს იმაზე, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად (ყველა არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით) იქნეს უზრუნველყოფილი კათედრებისთვის თავიანთი საკვლევი და სასწავლო ვალდებულებების განხორციელების შესაძლებლობა“[229].

სხვა მეცნიერები ეჭვის ქვეშ აყენებენ ტრადიციულ საკათედრო სტრუქტურებს. ასე, მაგალითად, მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ. დუდერშტადტი ამტკიცებს, რომ „კონსენსუსის მიღწევისა და დებატების ფაკულტატური ტრადიციები, აკადემიური კათედრებისა და დისციპლინების ძლიერ დანაწევრებულ ორგანიზაციასთან ერთობლიობაში, სულ უფრო ნაკლებად პასუხობენ გადაწყვეტილებათა მიღების მოთხოვნებს, ზოგადსაუნივერსიტეტო პროცესების ტემპებსა და მასშტაბებთან დაკავშირებით“[230]. ის განაზოგადებს უნივერსიტეტების წინაშე არსებულ პრობლემებს: „უბრალოდ არარეალისტური იქნება იმის მოლოდინი, რომ ათწლეულების განმავლობაში ან ასწლეულების წინათაც კი ჩამოყალიბებულ მართვის მექანიზმებს ძალუძთ ემსახურონ თანამედროვე უნივერსიტეტს ან საზოგადოებას მთლიანობაში. სავსებით ნათლად გვეჩვენება, რომ XXI საუკუნის უნივერსიტეტებს სჭირდებათ ხელმძღვანელობისა და მართვის ახალი მოდელები, რომლებიც მოგვცემენ საშუალებას გავითვალისწინოთ ჩვენი საზოგადოებისა და მისი საგამანათლებლო დაწესებულების ცვლადი მოთხოვნილებები და წარმოქმნილი პრობლემები“[231].

თავი XI.
უმაღლესი განათლების საყოველთაობის საკითხი

§ 1. განათლების მიღება, როგოც მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სხვადასხვა პერსპექტივების განხილვისას, ხაზი უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, არის თუ არა უმაღლესი განათლება საქართველოში საყოველთაო?!

[228] Becher, T. and Kogan, M. (1992).Becher, T. and Trowler, P. (2001)
[229] Shattock, M, Managing p. 74
[230] Duderstadt, J. A p. 240
[231] Duderstadt, J. A 2000, p. 257

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად: „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“ - ეს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებაა და არჩევანში შეზღუდვა დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია, რომ „დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა“, ასევე „...მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება“.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სოციალური უფლება – განათლების უფლება,[232] დაკავშირებულია თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციურ პრინციპთან, რაც გულისხმობს „ყველას“ განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა, მოქალაქეობისა, თანასწორობას განათლების კონსტიტუციური უფლებით სარგებლობაში. განათლების უფლების საფუძველზე ყველასათვის განვითარების თანაბარი შანსის მიცემა არ გულისხმობს უმაღლესი განათლების საყოველთაობის პრინციპის დანერგვის სავალდებულოობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ არ გვაძლევს პასუხს კითხვაზე, არის თუ არა შესაძლებელი საჯარო ფუნქციის – უმაღლესი განათლების ორგანიზაციული მოწყობის კერძო სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით განხორციელება, საჯარო ფუნქციების კერძო პირებისთვის გადაცემის (შპს კერძო უნივერსიტეტი) ან სახელმწიფოს მიერ კერძო სამართლის ფორმით განხორციელების შემთხვევაში ჩნდება მისი კანონისმიერი დათქმის პრინციპთან[233] შესაბამისობის საკითხი.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო გულისხმობს სახელმწიფოს უფლებამოსილებების და მოქალაქეთა სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების გაზრდას. გამომდინარე იქიდან, რომ ეს წარმოშობს საფრთხეს ადამიანის უფლებების შეზღუდვის, კანონისმიერი დათქმის პრინციპი გულისხმობს მმართველობითი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას შესაბამისი საკანონმდებლო ნორმის საფუძველზე (ლეგალურობის საფუძველი).[234]

ერთი მხრივ, აღიარებულია მმართველობის ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევის თავისუფლება[235], მეორეს მხრივ, რამდენადაც ადგილი აქვს საჯარო სამართლებრივი ფუნქციის განხორციელებასთან, ის ექვემდებარება განსაკუთრებულ შეზღუდვებს. ადმინისტრაციული ორგანო კერძო სამართლის ფორმის გამოყენებისას მოქმედებს კერძო სამართლის სფეროში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის, განსხვავებით კერძო პირებისგან, ვალდებულია დაიცვას კონსტიტუციით აღიარებული თანასწორობის პრინციპი, ადამიანის პატივი და ღირსება, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და ა.შ.[236]

---

[232] სკ-ის 35-ე მუხლის კომენტარი, იხ. ლევან იზორია, გვ. 298
[233] კანონისმიერი დათქმის პრინციპი, იხ. ტურავა პ, წკეპლაძე ნ, 2010, გვ. 30.
[234] Hagemeister, გვ. 108
[235] იხ. ტურავა პ, წკეპლაძე ნ, 2010, გვ. 17
[236] Hagemeister, გვ. 124.

§2. უმაღლესი განათლების საყოველთაობა

საბჭოთა საქართველოს პირობებში ფუნქციონირებდა ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახით, თბილისში დისლოცირებულ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჰქონდათ ინსტიტუტის სტატუსი, როგორიც იყო პოლიტექნიკური, უცხო ენების, სამედიცინო, პუშკინის სახელობის პედაგოგიური (შემდგომ სულხან საბა-ორბელიანის სახელობის), ზოოვეტერინალური, სასოფლო-სამეურნეო, ფიზკულტურის და ა.შ. ინსტიტუტები. ასევე ინსტიტუტები ძირითადად პედაგოგიური პროფილის ფუნქციონირებდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: ქუთაისში, გორში, ბათუმში, თელავში და ა.შ. ზოგ ქალაქში ფუნქციონირებდნენ ასევე პოლიტექნიკური თუ ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტები (მაგ. ქუთაისში, გორში და ა.შ.)

გარდა უმაღლესი სასწავლებლებისა ფუნქციონირებდნენ საშუალო სპეციალური სასწავლებლები (როგორიც იყო ე.წ. სამედიცინო, მუსიკალური, კავშირგაბმულობის ტექნიკუმები და ა.შ.) და პროფტექნიკუმები (პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები), რომლებიც ამზადებდნენ სხვადასხვა პროფილის კადრებს საწარმოებისა და სხვადასხვა ობიექტებისათვის.

როგორი სურათია თანამედროვე საქართველოში?! დღეს ჩვენს ქვეყანაში სულ 70 აკრედიტებული და 200-მდე ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, მათ შორის 40-ზე მეტი კერძო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა[237]. (თუმცაღა, ავტორიზაციის ინსტიტუტის შემოღება, ამ სურათს მნიშვნელოვნად შეცვლის და სავსებით სამართლიანადაც)

არის თუ არა ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ამდენი უსდ-ს ფუნქციონირების აუცილებლობა და უნდა შევთავაზოთ თუ არა ყველას უმაღლესი განათლება. 2009-2010 სასწავლო წლის მონაცემებით, საქართველოში 28948 აბიტურიენტთაგან 27624 სტუდენტი გახდა (25054 ბაკალავრიატის, 2570 - უმაღლესი პროფესიული პროგრამების)[238]. რა მიდგომა უნდა განვავითაროთ, დარჩენილ კატეგორიასაც უმაღლესი განათლება უნდა შევთავაზოთ?! რაღა თქმა უნდა არსებობს სპეციალობები, რომელიც არ საჭიროებს უმაღლესი განათლების მიღებას, მაგრამ, ბუნებრივია, საჭიროებს კონკრეტული სპეციალობის შეთავაზებას. ვინ გეგმავს და ან ვინ აწარმოებს იმის მონიტორინგს, რამდენი ექიმი, ეკონომისტი, იურისტი, ფიზიკოსი თუ ა.შ. ჭირდება ყოველწლიურად ჩვენს ქვეყანას?! (რიგი მოსაზრებებით, დაგეგმვა ამ მიმართებით არაეფექტიანია). მხოლოდ ის სპეციალისტები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ბაზარზე, (ეს უპირველესად შეიძლება ითქვას იურისტებსა და ეკონომისტებზე) მარტივად ახერხებენ „თავშესაფარი“ ჰპოვონ პროფილურ კერძო სექტორებში.

რა თქმა უნდა, სასურველია, რაც შეიძლება მეტს ჰქონდეს მიღებული უმაღლესი განათლება. XXI საუკუნე სხვა მოთხოვნებსა და

[237] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი
[238] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი

კომპენტეციებს მოითხოვს, არიან მზად თუ არა ჩვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ამისათვის პროგრამულად? ასევე უმაღლესი განათლება ბუნებრივია ზრდის ინტელექტუალობის ხარისხს, მაგრამ დიპლომი ყოველთვის არ უდრის ინტელექტუალობას და განსწავლულობას.

ხაზგასასმელია ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც: შესაძლებელია თუ არა განვიხილოთ უმაღლესი განათლება პიროვნების პატივისა და ღირსების აუცილებელ შემადგენელ ნაწილად?! – აღნიშნული საკითხი განსახილველია ალბათ ინდივიდუალური და არა საყოველთაო მიდგომის ფარგლებში.

ამასთან ჩნდება მრავალი კითხვაც: ჭირდება მეპურეს, მეწაღეს ან ზეინკალს უმაღლესი განათლება?! ჭირდება „სუპერმარკეტის" გამყიდველს იყოს კარგი ეკონომისტი, ფინანსისტი და ა.შ. არა, მაგრამ აუცილებლობა მდგომარეობს ერთში: უნდა იყოს თავისი საქმის კარგი სპეციალისტი. ამ მიმართებით, დადებით ნაბიჯად შეიძლება იქნეს მიჩნეული ის ფაქტი, რომ საქართველოში ვითარდება პროფესიული განათლების სისტემა.

იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზირებული უმაღლესი სასწავლებლები ავტორიზაციას ვერ გაივლიან, შესაძლებლობა მიეცემათ, საზოგადოებრივ ინსტიტუტებად (Community College) ჩამოყალიბდნენ. „საზოგადოებრივ ინსტიტუტში ისწავლიან ის ბავშვები, რომლებმაც ვერ ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები, ატესტატის ასაღებად ვერ გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და ასევე სურთ, მცირე პერიოდში - ორი წლის განმავლობაში კონკრეტულ პროფესიებს დაეუფლონ".[239]

ზემოაღნიშნული საკითხის რეგულირების მიზნით, საქართველოს კანონში - „პროფესიული განათლების შესახებ" შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე, განისაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფორმატი, რომელიც აერთიანებს პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებს.[240] ამავე კანონის მე-4 მუხლის ღ[1] პუნქტით ჩამოყალიბებულ იქნა საზოგადოებრივი კოლეჯის დეფინიცია: „საზოგადოებრივი კოლეჯი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად ახორციელებს მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო ან/და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა".[241] ამასთან ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული კანონის 30[2] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს იმ პირს, რომელმაც, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის გავლის მიუხედავად, ვერ შეძლო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვება".[242]

ჩვენს ქვეყანაში ბევრი, მათ შორის ხაზგასმით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი თვლის, რომ

---

[239] გაზეთი „ვერსია" № 82 (431) 23 ივლისი, 2010 წელი. გვ. 7

[240] საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ" მუხლი 4. პუნქტი ფ

[241] საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ" მუხლი 4. პუნქტი ღ[1]

[242] საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ" მუხლი 30[2]. პუნქტი 2

თანამედროვეობას და პროგრესს სჭირდება სწორედ რომ ადამიანები უმაღლესი განათლებით. მისაღები მოსაზრებაა, მაგრამ რეალისტური თვალსაზრისით, თანამედროვე სამყაროს მოწყობას არ ჭირდება ყველა უმაღლესი განათლებით, მაგრამ ჭირდება თავისი დარგის კარგი მცოდნე და პროფესიონალი ადამიანები, მაქსიმალური პასუხისმგებლობით - განურჩევლად პროფესიისა.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განათლების ფარგლებში კომერციული სტრუქტურის განვითარებით ჰუმანისტური ფუნქცია უფრო ინტენსიურად განვითარდება, რადგან კლასიკური ვარიანტის საბიუჯეტო სასწავლებლები სახელმწიფოს შეკვეთას ასრულებენ, იმყოფებიან რა საზოგადოებრივი ეფექტიანობის მოთხოვნებსა და სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებლობას შორის, არასახელმწიფო სასწავლებლები ასრულებენ საზოგადოების შეკვეთას, ახორციელებენ რა მშობლების უფლებას და განათლების დამოუკიდებელი სუბიექტების პედაგოგიურ უფლებას, ხელს უწყობენ რა ამით სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. მთავარია, რომ ჩვენი საზოგადოება არ გადაიქცეს ინტელიგენციის ერთიან კლასად, თორემ მომუშავე აღარავინ იქნება. ჩვენს ქვეყანაში კი ასეთი ტენდენცია იკვეთება.

თუმცა, ამის თაობაზე სხვა მოსაზრებებიც არსებობს. 1971 წელს შეერთებულ შტატებში გამოვიდა ივან ილიჰიხის წიგნი „საზოგადოება, რომელიც უარს ამბობს განათლებაზე“. ავტორმა წამოაყენა ინიციატივა გაეუქმებინათ სავალდებულო სწავლება, აეკრძალათ სამსახურში მიღებისას განათლების შესახებ დოკუმენტების მიღება. მისი აზრით, სკოლა კი არ განავითარებს ბავშვს, არამედ ამზადებს დეტალებს საზოგადოებრივი მანქანისათვის, თრგუნავს პიროვნებას. ამით დაისვა განათლების რეფორმაციისა და მისი შეზღუდვის საკითხი: რა არის განათლების სისტემაში სწორი და რას უნდა შეუწყოს ხელი ამ სისტემამ ინდუსტრიულად განვითარებული საზოგადოებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა განსაზღვრულიყო და მკვეთრად გამიჯნულიყო განათლების სისტემის ფუნქციები.

ამ საკითხს მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც არიან სოციოლოგიის ფრანგული სკოლისა და სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ფუძემდებელი ემილ დიურკგეიმი, ცნობილი გერმანელი სოციოლოგი, ისტორიკოსი და ეკონომისტი მაქს ვებერი, ჰერბერტ სპენსერი. ემილ დიურკგეიმის აზრით, განათლების ძირითადი ფუნქციაა გაბატონებული კულტურის ღირებულებათა გადაცემა. მაქს ვებერის აზრით განათლების სოციალური ფუნქციები დაკავშირებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ პროცესებთან, რომლებიც საზოგადოებაში მოცემულ ეტაპზე ხდება.

დასკვნა

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსპექტიული მოდელი

იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის ბაზად (ობიექტად) გამოყენებული იქნა ძირითადად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიზანშეწონილია განვსაზღვროთ მისი განვითარების (გარდაქმნის) პერსპექტიული მოდელი.

შემოთავაზებული მოდელის მისადაგება, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, შესაძლებელია მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, საგანგებო სტატუსის მინიჭების ფარგლებში, რადგან ანალოგიური დაშვება, საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში, განხორციელდა იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში, რომლებიც გამოირჩევიან ეროვნულობითა და განვლილი ისტორიული გზით.

ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ოქსფორდის უნივერსიტეტი:

- ოქსფორდის უნივერსიტეტი არის დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უძველესი, ეროვნული უნივერსიტეტი (რომელიც დაამთავრა დიდი ბრიტანეთის ოცდაორმა პრემიერ-მინისტრმა).
- ოქსფორდის უნივერსიტეტი არის „თვითრეგულირებადი კორპორაცია“[243], რომელიც ადმინისტრაციულად ექვემდებარება მხოლოდ პარლამენტს.[244]
- ფინანსურად ოქსფორდის უნივერსიტეტი თითქმის მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფო და კერძო შეწირულობებზე, რომელიც შეადგენს მისი ბიუჯეტის 2/3.

შესაძლებელია, დასაშვებად იქნას მიჩნეული, ასევე, ტარტუს უნივერსიტეტის მაგალითი:

- ესტონეთის რესპუბლიკაში მიღებულ იქნა კანონი „ტარტუს უნივერსიტეტის შესახებ“ იმის საფუძველზე, რომ იგი დაარსებულია 1632 წელს და განიხილება ესტონეთის ეროვნულ უნივერსიტეტად. ეროვნულმა ტრადიციებმა განსაზღვრა მის მიმართ განსხვავებული სამართლებრივი დამოკიდებულებაც.
- ტარტუს უნივერსიტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ზემოაღნიშნული კანონი ამტკიცებს ამ უნივერსიტეტის ავტონომიას, საქმიანობასა და სპეციფიკას სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებთან შედარებით.[245]

თუ დავუბრუნდებით პირველი ქართული უნივერსიტეტის 90-წლიან ტრადიციებს, ხაზგასმით იმას, რომ „ილია ჭავჭავაძის იდეათა კვალდაკვალ ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა მიერ 1918

---

[243] ინგლისურ-ამერიკულ სამართალში არ გამოიყენება იურიდიული პირის ერთიანი ცნება და ამ ორგანიზაციული წარმონაქმნების აღსანიშნავად იხმარება corporation. იხ. ლ. ჭანტურია, გვ.226

[244] ვებგვერდი University of oxford; Catholic Encyclopedia: University of Oxford; ვებგვერდი QS TOPUNIVERSITES - University of Oxford; Большая Энциклопедия - Оксфордский университет

[245] ესტონეთის რესპუბლიკა - კანონი „ტარტუს უნივერსიტეტის შესახებ“. 1995 წლის 16 თებერვალი. §1, §2 პუნქტი 1, 3

წელს დაარსებული უნივერსიტეტი ქართველი ერის ნებისა და სულიერების უმაღლესი გამოხატულებაა".[246] და შესაბამისად, თვალს გადავავლებთ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებს, ალბათ მართებული იქნებოდა, პირველ ქართულ უნივერსიტეტს შეენარჩუნებინა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი, გარკვეული ცვლილებების გათვალისწინებით. მისაღებად მესახება თსუ-ს, კვლავინდებურად, სსიპ-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის ფორმა (მოდერნიზებული სახით) და მისი ფუნქციონირების მექანიზმთან, კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებამოსილების სპექტრიდან გარკვეული კომპონენტების თანშერწყმა, შესაბამისი სამართლის ნორმების რეფორმირების ფარგლებში.

ბუნებრივია, უპირველესად უნდა განისაზღვროს სტუდენტთა საერთო და ასევე ყოველწლიურად მისაღები კონტიგენტის რაოდენობა. შემდგომ, დღის წესრიგში ხაზგასმით გამოკვეთილად დადგება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი, რაც უკავშირდება:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსირების ზრდას (თსუ-ს ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსავალი შეადგენს მხოლოდ 10-15 პროცენტს).
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით, განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, ეფექტური იქნებოდა თსუ-ს სახელმწიფო ბიუჯეტში ცალკე მუხლად გამოყოფა.
- შესაძლებელია ასევე, განხილულ იქნას საკითხი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სწავლის საფასურის ისეთი განსაზღვრისა, რომ დაფინანსების ზედა ზღვარი კანონმდებლობით არ იყოს შეზღუდული გრანტის მაქსიმალური ოდენობით (ბაკალავრიატის საფეხურზე), როგორც ეს კერძო სამართლის იურიდიულ პირთან დაკავშირებით ხორციელდება (ძირითად ღირებულებასა და სასწავლო გრანტს შორის სხვაობის გადახდა). თუმცაღა საკითხის ამგვარად დასმამ, ხელი არ უნდა შეუშალოს მაქსიმალური გრანტის ოდენობის განსაზღვრის პერსპექტივას.

ასევე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის შენარჩუნების პირობებში, სასურველი იქნებოდა უძრავი ქონების საკითხი გამხდარიყო მსჯელობის საგანი, პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ (როგორც უკვე აღვნიშნეთ, საპატრიარქოსათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების ანალოგის მიხედვით).

ამასთან ხაზგასასმელია, რომ საგანგებო სტატუსის მინიჭების პირობებში, შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიეცეს უფლება შეიმუშაოს საკუთარი საგანმანათლებლო სტანდარტები, აღიჭურვოს ფართო ავტონომიით და, რაც მთავარია, გაჩნდეს დაშვებადობა (თუმცაღა ეს საკითხი საჭიროებს სერიოზულ დამუშავებას), ჩარიცხოს აბიტურიენტები საუნივერსიტეტო მისაღები

[246] თსუ-ს წესდება. პრეამბულა

გამოცდების საფუძველზე და არა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით.

2. კვლევის შედეგად შემოთავაზებული უსდ-ს მოდელი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, წარმოდგენილნი არიან ძირითადად (უფრო ზუსტად სრულად) შპს-ს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, თუმცაღა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ისინი ახორციელებენ სწავლებას და ნაკლებად (ფაქტიურად საერთოდ არ ახორციელებენ) ორიენტირებულები არიან კვლევაზე.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის პირობებისათვის, შპს უსდ-ების მიერ დაწესებული მასშტაბური სასწავლო საფასურები (როგორიც არის ათასობით ლარი) იმ შემთხვევაშია მისაღები, თუ სწავლებისა და შესაბამისად სასწავლო პროგრამების ხარისხი ადეკვატურად არის მისადაგებული ღირებულებას.

აღსანიშნავია, რომ შპს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც შპს, საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ შესაბამისად, ორიენტირებულია მოგებაზე, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მიერ საჯარო სამართლებრივი ფუნქციის შესრულებას აქვს თავისი სტანდარტები, რომელიც სრულად უნდა ჯდებოდეს შესაბამის კონტექსტში (თუმცაღა, ავტორიზაციის ინსტიტუტის შემოღება შესაძლებელია გახდეს განათლების ხარისხის განვითარების სრულფასოვანი გარანტი).

ამდენად, კომერციული უსდ-ები არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ „წარმატებული ბიზნესის“ ფორმით. საზოგადოდ, საქართველოში აღნიშნული უსდ-ების ფუნქციონირების რეალობის გათვალისწინებით, ისინი პასუხობენ ძირითადად სასწავლო უნივერსიტეტის ფორმატს.

საყურადღებოა, რამდენად მისაღები იქნებოდა სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად გარდაქმნა იმ მოსაზრებების გათვალისწინებით, რაზედაც საქართველოს სამეცნიერო-იურიდიულ წრეებში მსჯელობდნენ და განიხილავდნენ უსდ-ების ეფექტური ფუნქციონირების შესაძლებლობას ინსტიტუციონალური ფონდების მხარდაჭერით. რაღა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ფონდების, თუ დონორ-დამფინანსებლების მხრიდან მხარდაჭერის მდგრადობისა და სისტემატურობის საკითხი (კონკრეტულად, 2007 წელს დაფუძნებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განვითარების ფონდი“ შედეგების მიხედვით ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განათლების უფლება საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით გარანტირებული პირის სოციალური უფლებაა, რაც სახელმწიფოს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს. მოქალაქეებს უფლება აქვთ უფასოდ მიიღონ (ასევე) უმაღლესი განათლება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ ვალდებულების რეალიზაციის სამართლებრივი გარანტიების ჩამოყალიბება. ეს შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით და, მათ შორის, სახელმწიფო

უნივერსიტეტის შექმნით. უმაღლესი დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობის კერძო-სამართლებრივი ფორმის არჩევა არ წარმოადგენს უმაღლესი განათლების კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის შემაფერხებელ გარემოებას.

სახელმწიფოს მიერ ფინანსირებული უმაღლესი განათლება იმ მოცულობით, როგორც ეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშია იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. აღნიშნული სისტემა არის მუდმივი კრიტიკის საგანი, რამდენადაც სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების დაფინანსება იწვევს შემოსავლების არათანაბარ, არასამართლიან განაწილებას. სახელმწიფო დაფინანსების შედეგად სტუდენტები ექცევიან შეღავათიან პირობებში განსხვავებით საზოგადოების სხვა ფენებისაგან. უმაღლესი განათლება ფინანსდება გადასახადების გადამხდელებისაგან, რომელთა შემოსავალი გაცილებით ნაკლებია დაფინანსებულთა (სამომავლო) შემოსავლისაგან. რაც ნიშნავს „ღარიბების" მიერ „მდიდრების" სუბვენციონირებას. ფინანსების ასეთი განაწილება იწვევს ისეთ ალოკატიურ შედეგს, როგორიცაა სტუდენტთა რაოდენობის ზრდა. დაფინანსების აღნიშნული მოდელი ზრდის სტიმულს სტუდენტობაზე. როგორც გერმანიის მაგალითი აჩვენებს, მცირდება მოთხოვნა სტუდენტებზე და ამის საპირისპიროდ შეიმჩნევა დეფიციტი პროფესიული განათლების მქონე კადრებზე.[247]

არანაკლებ უარყოფით შედეგებს გამოიწვევდა უმაღლესი განათლების კერძო დაფინანსების ფორმის აღიარება. მივიღებდით საწინააღმდეგო ეფექტს - მოთხოვნის ზრდას სტუდენტებზე. სასწავლო დაწესებულება ორიენტირებული იქნებოდა ბაზრის მოთხოვნებზე, რაც შეუძლებელს გახდის გრძელვადიანი პროგრამების ჩამოყალიბებას. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს არა მარტო სწავლებას, არამედ მეცნიერულ კვლევებს, ფუნდამენტური კვლევების განხორციელება დადგებოდა საფრთხის წინაშე, რამდენადაც გაყიდვადია მხოლოდ გამოყენებითი კვლევა. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფო დაფინანსების იმედზე მყოფი დარგები(მაგ., ჰუმანიტარული მეცნიერებათა სფეროში) თავისუფალ ბაზარზე ვერ მოიპოვებდნენ დაფინანსებას.

საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არის იდეალური ტიპი, რომელიც არსებული რეალობის გათვალისწინებით არარეალიზებადია. აუცილებელი ხდება სახელმწიფოს მონაწილეობა გარკვეული ფორმით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაწესებულების არსებობა, სადაც სახელმწიფო დაფინანსება 25%-ზე ნაკლებია არ არის მიზანშეწონილი. უმაღლესი განათლების, როგორც საჯარო სამართლებრივი ფუნქციის აღიარება არ არის გამართლება ამ ფუნქციის განხორციელების ორგანიზაციული მოწყობის საჯარო-სამართლებრივი ფორმის არჩევის. აღნიშნული ფუნქციის მაღალ დონეზე შესრულების გარანტიას არ ქმნის უმაღლესი დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობის ფორმა, არამედ მართვის ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა უმაღლესი დაწესებულებების ავტორიზაცია, აკრედიტაცია და მათი პირობების დაცვაზე კონტროლი.

[247] Woll, 339

სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კერძო უნივერსიტეტის სინთეზად შეიძლება წარმოვიდგინოთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **უნივერსიტეტი (ძველი სამართლის ნორმების შეაბამისად, საუბარია ფონდ-უნივერსიტეტზე)**. მოდელის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მასში თავს იყრის ორივე მოდელის დადებითი ელემენტები.

საქართველოში უნდა შეიქმნას ასეთი კერძო უნივერსიტეტი, რომელიც ღირსი იქნება ატაროს „უნივერსიტეტის" სახელი ყველა პარამეტრის მიხედვით. ამისათვის, რომ მან მოიპოვოს, მეტად აუცილებელი კერძო სექტორის მხარდაჭერა, ის, სამართლებრივი კონსტრუქციისა და პროფილის მიხედვით, უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ წინაპირობებს, კერძოდ, უნივერსიტეტის მოწყობამ უნდა უზრუნველყოს მისი დამაჯერებელი და მკაფიო გამიჯვნა სახელმწიფოსგან, ანუ ის უნდა იდგეს საჯარო მმართველობის სისტემის მიღმა. ასევე უნდა გაიზარდოს უნივერსიტეტის ეკონომიური აქტიურობა და უშუალო მოსარგებლეთა ჩართვა მის დაფინანსებაში.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულება უნდა იყოს „უნივერსიტეტის" იმ იდეალის ერთგული, რომელიც ჩამოყალიბებული იქნა ჰუმბოლდტის მიერ. ეს იდეალური მოდელი გულისხმობს ერთჭერქვეშ გაერთიანებულ საზოგადოებას, რომლებიც აკადემიური დამოუკიდებლობის გათვალისწინებით, სამეცნიერო დისციპლინების ფართო სპექტრში (მათ შორის ისეთები, რომლებიც არ არის გათვლილი ბაზრის მოთხოვნებზე) სწავლობს და ასწავლის. ასეთი ფორმის დაწესებულება განსხვავდება „გამოშვებაზე" („output"-ზე) ორიენტირებული უმაღლესი სასწავლებლების მსგავსი მომზადებისა და გადამზადების ცენტრებისგან. სწორედ უნივერსიტეტის საერთო საზოგადოებრივი „დამატებითი ღირებულება" არის გამართლება ერთი მხრივ კერძო ინიციატივის და მეორე მხრივ, სახელმწიფოს დაფინანსების მოთხოვნის.

ნამდვილი (სრულფასოვანი) უნივერსიტეტის შექმნა შეუძლებელია მხოლოდ კერძო დაფინანსების ფარგლებში. ის საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილ „საფუძვლებს". ამ მხრივ, მნიშვნელოვანია არსებული სახელმწიფო რესურსების გადასვლა კერძო უნივერსიტეტის ხელში. ასევე მისი შემდგომი არსებობისათვის საჭირო მილიონები შეუძლებელია მოპოვებული იქნას მხოლოდ კერძო სექტორიდან. ის, რომ გარკვეული დროის შემდეგ შესაძლებელია ასეთი კაპიტალის დაგროვება ამას ადასტურებს, თუნდაც ამერიკული უნივერსიტეტების ჰარვარდისა და სტანდფორდის მაგალითები[248].

შემოთავაზებულ მოდელში ორგანიზაციული მოწყობის ფორმა არის კერძო სამართლებრივი, რომელიც გაათავისუფლებს მას საჯარო-სამართლის ნორმებით ბოჭვისგან. უნივერსიტეტის ფართო ავტონომიას უზრუნველყოფს კერძო დაფინანსების დომინანტურობა. ამდენად, ფონდის უნივერსიტეტად გარდაქმნა არ ამოიწურება მხოლოდ ფორმალური

---

[248] უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი მილიარდიანი ბიუჯეტი მხოლოდ მე-20 საუკუნის 60-ან წლებში გაჩნდა. იმის გათვალისწინებით, რომ მეცენატური საქმიანობისათვის აშშ-ში უკეთესი პირობებია, ვიდრე საქართველოში, ეს არ წარმოადგენს ახლო მომავლის პერსპექტივას. ასევე, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, ამერიკულ სამაგალითო უნივერსიტეტები დიდწილად საჯარო დაფინანსებას ეყრდნობიან, ასე, რომ სრული კერძო დაფინანსება არ არის საჭირო და არც არის რეალისტური.

(ორგანიზაციული) პრივატიზაციით, არამედ გულისხმობს ობიექტთან დაკავშირებული ამოცანების მატერიალურ პრივატიზაციას.

აღნიშნული მოდელის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საქართველოში ფონდების საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების რეფორმირება, რომელიც შესაძლებელს და მიმზიდველს გახდის ფონდების საქმიანობას და განათლებისა და მეცნიერების დაფინანსებას.

ორგანიზაციული მოწყობის ფორმის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ერთის მხრივ, გარანტირებულ იქნას იურიდიული პირისა და მისი ორგანოების ავტონომია და კერძო სამართლის ფორმის არჩევით ადგილი არ ქონდეს „გაქცევას" საბიუჯეტო სამართლიდან კერძო სამართალში და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს გამართლებული და საბიუჯეტო სამართლის პრინციპებით გამყარებული ინტერესი - ზეგავლენა მოახდინოს იურიდიულ პირზე, უნდა იქნას გარანტირებული. რაც მთავარია, ორგანიზაციული მოწყობა უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების ფუნქციის განხორციელებას, რაც ლეგიტიმურს გახდის მის სახელმწიფოსაგან აღიარებას და ფინანსური დახმარების გაწევას. სამართლებრივი ფორმის შერჩევისას დაბალანსებული უნდა იქნას ეს ორი ნაწილობრივ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესი.

კერძო სამართლის იურიდიულ პირში გავლენით სარგებლობენ ძირითადი კაპიტალის მესაკუთრეები. კერძო უნივერსიტეტში სახელმწიფოს, როგორც ძირითადი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილის მესაკუთრის უფლებები უნდა შეიზღუდოს იურიდიული პირის წესდებით და „უნივერსიტეტის წევრებმა" (აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი და სტუდენტობა) დამატებითი ორგანოს შექმნით უნდა მოიპოვონ ზეგავლენა. თუმცა აუცილებელია, იმავდროულად შენარჩუნებულ იქნას საზოგადოების გადამწყვეტი ხმა საზოგადოების მიზნების, წესდების და მისი შემდგომი არსებობის ბედის განსაზღვრაში. ფონდი წარმოადგენს შემომწირავის მიერ გრძელვადიანი მიზნებისთვის შემოწირულ და კონკრეტული იურიდიული პირის ფორმით არსებულ ქონებას („მკვდარი ხელი")[249]. ფონდის მიზნების განსაზღვრით შემომწირავი ახორციელებს საკუთარ უფლებამოსილებას ფონდის საქმიანობის ფარგლებში. ამით ფონდი ხდება სახელმწიფოს ზეგავლენისაგან თავისუფალი და ფონდის მიზნების ფარგლებში ავტონომიური. მეორეს მხრივ შესაძლებელია სხვა პირების, როგორიცაა ფონდით მოსარგებლე, შემომწირავი თუ სპონსორი მონაწილეობით ფონდის ორგანიზაციაში შემოტანილი იქნას კორპორაციული ელემენტები.

იურიდიული პირის ორგანიზაციულ მოწყობაში გამგეობასთან ერთად დებულებით გათვალისწინებული უნდა იქნას ფონდის საბჭო ან კურატორიუმი, რომელშიც შევლენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების წარმომადგენლები და მეცენატები. ამ ორგანოს ამოცანა იქნება გამგეობისათვის რჩევების მიცემა, კონტროლი და წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების, მათ შორის გამგეობის შექმნაში მონაწილეობის უფლების განხორციელება. კერძო დამფინანსებელთა წარმომადგენლები ფონდის საბჭოში შეიძლება შეირჩეს დამფინანსებელთა საერთო კრების მიერ, რომელიც

[249] Battis, Grigoleit, p. 68

იმავდროულად შეასრულებს უნივერსიტეტის მეგობართა და დამფინანსებელთა საზოგადოების ფუნქციას.

აუცილებელი უნივერსიტეტ-კორპორაციის ელემენტი შემოტანილი უნდა იქნას შემდეგი დამატებითი ორგანოს შექმნით, როგორიცაა სენატი. მასში (უმრავლესობით) უნდა შევიდნენ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლები[250]. სენატმა მონაწილეობა უნდა მიიღოს გამგეობის ფორმირებაში, რეკომენდაციები გაუწიოს ამ უკანასკნელს აკადემიურ სფეროში შემავალი გადაწყვეტილებების მიღებაში. მიუხედავად იმისა, რომ ფაკულტეტები და მათი ხელმძღვანელები – დეკანები არ არიან ფონდის ორგანოები, მათი ორგანიზაციული მოწყობა და კომპეტენცია უნდა განისაზღვროს წესდებით, უფრო მეტიც, სასწავლო და სამეცნიერო სფეროში მათ მთელი რიგი მეტი უფლებამოსილება უნდა მიენიჭოთ ფონდის სხვა ორგანოებთან შედარებით. ბოლოს, მნიშვნელოვანია შეიქმნას კონფლიქტის გადაჭრის შიდა მექანიზმები, რათა ავამაღლოთ უნივერსიტეტის ავტონომია სახელმწიფო კონტროლთან შედარებით.

როდესაც ფონდის მომწესრიგებელი ნორმების რეფორმირებაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ თავდაპირველად (ცვლილებებამდე) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ფონდი განისაზღვრებოდა როგორც „იურიდიული პირი, როცა ერთი ან რამდენიმე დამფუძნებელი სპეციალურ ქონებას საერთო-საზოგადო სასარგებლო მიზნის მისაღწევად საკუთრებად გადასცემს დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელსაც არა ჰყავს წევრები“.

ზემოაღნიშნულ კოდექსში, ცვლილებების შეტანის შემდეგ, ამოღებულია ფონდის მომწესრიგებელი სამართლის სპეციალური ნორმები, წარმოდგენილია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ზოგად კონტექსტში, მაგრამ განსაზღვრულია, რომ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია თავისი ორგანიზაცია და სტრუქტურა მოაწესრიგოს წესდებით, რომელიც საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას“.[251]

ილუზორული იქნებოდა იმის რწმენა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტების გარდაქმნა კერძო უნივერსიტეტად, საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ერთ დღეში განხორციელდება. ის უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც კარგად დაგეგმილი პროცესი, რომელიც ეტაპობრივად შეძლებს სახელმწიფო დაფინანსების შეცვლას კერძო დაფინანსებით. გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი. კერძო სექტორის მხრიდან ფინანსური მონაწილეობის ზრდით უნდა შემცირდეს სახელმწიფოს როლი და ეს უნდა აისახოს ფონდის ორგანოებში სახელმწიფოს წარმომადგენლობაში. სახელმწიფოს წარმომადგენელთა ხმების წილი დაფინანსების ცვლილების პარალელურად უნდა შეიცვალოს. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს უნდა ქონდეს უფლებამოსილება შეაჩეროს ფონდის საქმიანობა, თუ კი ის გადაუხვევს პრივატიზაციის მიზნებს, ან როდესაც ფონდის შემოსავლები დაეცემა წინასწარ დადგენილი მინიმუმს ქვევით, ან

[250] ამ შემთხვევაში სტრუქტურული მოწყობის თვალსაზრისით, აღნიშნულ მოდელში ხდება სსიპ უსდ-ს კომპონენტების ჩართვა. სკ უგშ თავი 4.
[251] სსკ – მუხლი 35, პუნქტი 2

როდესაც საგრძნობლად შემცირდება უნივერსიტეტში მისაღები კონტიგენტი.

უმაღლესი განათლების, როგორც საჯარო ფუნქციის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად განხორციელებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები მრავალფეროვანია: უსდ-ების ავტორიზაციის, აკრედიტაციის პროცესები, ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზება, სასწავლო პროგრამების განსაზღვრა, დაფინანსება და ა.შ. ამდენად სახელმწიფო განსაზღვრავს კონკრეტულ ამოცანებს, ახორციელებს მასზე კონტროლს, ხოლო ამ ამოცანების ფარგლებში მომსახურებას ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – კერძო უნივერსიტეტი.